N20 (571) 19/V-25/V-2011 ფასი 1 ლარი

გზა

ჩემი რჩეული

ვაჟა-ფშაველა

ხუთტომეული
ტომი I

შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
6 ლარი ღირს

შემდეგ
ვაჟა-ფშაველა
ტომი II

„დროთა განმავლობაში
ოჯახად ვიქეცით“...

კაცებზე
მონადირე
გოგონები

ქართველი ასმეთაური
ქალის ჯარისკაცური
ცხოვრება

სექსი
შორენასთან,
15 კაცის
თანდასწრებით

არაპოპულარობის
გამო დაწუნებული...

რა შანსი გაუშვა ხელიდან
დათო ქაცარავამ?

„მახსოვს, მიწაზე
მოფენილი ყვავილები
და სისხლის წვეთები“

მკვლელობა თუ
თვითმკვლელობა?

ყველასგან
განწირული
პატიმრის
ტრაგედია

ფაეტონი —
შეყვარებული
წყვილების
ტრანსპორტი

„შავკანიან გოგონებსაც
ხშირად ვასეირნებ“...

ბრიტანელი მოგზაურის
თბილისური
შთაბეჭდილებები

ველოსიპედით — მსოფლიოს გარშემო,
სიცოცხლის საჭმელად — ავტომობილით

ISSN 1987 - 5029

ფაქტები საგაზაფხულო დიეტის წინააღმდეგ

Elos

სილამაზის ტექნოლოგიის ინოვაციური მეთოდი

სხეულზე პროცედურები

Elos — ეპილაცია წარმოადგენს სხეულის ნებისმიერ უბანზე თმის მოცილების 100%-ან გარანტიას. პროცედურა უმტკივნეულოა, კანზე არ ტოვებს სიწითლეს და პროცედურის შემდეგ კანი არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას. Elos ტექნოლოგიას შეუძლია მოგაშოროთ ყველა ტიპის, მათ შორის უხეში, გარუჯული, ჭაღარა და ძალიან ღია თმა!

სახის პროცედურები

Elos გაახალგაზრდავება — აღადგენს სახის კონტურს, კანის ფერს, აძლიერებს სიმკვრივეს, ასწორებს ნაოჭებსა და კანს უბრუნებს ბრწყინვალებას. Elos ტექნოლოგია გეხმარებათ გაუმკლავდეთ აკნეს, პიგმენტაციას, კუპეროზს, ნაწიბურებს, კანის დაბერებასა და სხვა დეფექტებს.
ეს არის პლასტიკური ქირურგიის რეალური ალტერნატივა!

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS

ჩაეწერეთ უფასო კონსულტაციაზე

29 00 66 29 47 47

თბილისი, ფალიაშვილის 15, www.oxford-med.ge

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო ჯარუსელთან“ ერთად, დიდი ქართველების ბიოგრაფიების თითო წიგნი!

1. ვახტანგ გორგასალი
2. ვაჟა-ფშაველა
3. ფიროსმანი
4. ილია ჭავჭავაძე
5. თამარ მეფე
6. ბორის პაიჭაძე
7. გალაკტიონ ტაბიძე
8. ივანე ჯავახიშვილი

და სხვა დიდი ქართველები

20 - დან 27 მაისამდე

ფიროსმანი

შემდეგი

გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები

წიგნების სერია ბავშვებისთვის

წიგნის ფასი: 2.50
(ჟურნალთან ერთად 3.50)

გელითი - პალიტრა L!

წიგნის ფესტივალი 2011

ეს **აქციები** ყველას ახსოვს

წიგნები პრესასთან ერთად, **განსაკუთრებულ** ფასად!

15 ლარი

7 ლარი

3 ლარი

რაიმე თუ გამოგრჩათ,
ან გამოტოვეთ
წიგნის ფესტივალი!
ყველა წიგნი
აქციის ფასად!

მხოლოდ 4 დღე!
მხოლოდ ჩვენთან!

26-დან 29 მაისამდე!

„ექსპო ჯორჯია“ მე-11 პავილიონი

„გამომცემლობა პალიტრა L“-ის წიგნები



დინოზავრები

ფორმატი: 25.5X28.5
გვ. რაოდ.: 10
ყდა: მაგარი

ეს სამგანზომილებიანი წიგნი, თავისი მოძრავი ილუსტრაციებით დინოზავრებს თქვენს წინაშე ცოცხლად წარმოაჩენს! იმოგზაურე დინოზავრების საოცრებებით აღსავსე ერაში. აქ შეხვდებით უზარმაზარ, მრისხანე მტაცებლებს. გაიგებთ თუ რომელი დინოზავრი ითვლება ყველა დროის უდიდეს მფრინავად და რა თავდაცვითი მექანიზმები გააჩნია ეულოცეფალუსს!

ფასი: 16.99

ფეხბურთი

(წიგნი + DVD)
ფორმატი: 23X29 სმ
გვ. რაოდ: 64
ყდა: მაგარი

ფასი: 14.99

თქვენ ხართ ბავშვი, ვისაც ფეხბურთი უყვარს? მაშინ წიგნი ფეხბურთი, ვარჯიში და ოსტატობა თავისი 53 წუთიანი DVD დისკით დაგეხმარებათ ივარჯიშოთ ისე, როგორც ვარჯიშობდნენ მსოფლიოს ცნობილი ფეხბურთელები. წიგნში მრავლადაა სხვადა-სხვა სვარჯიშო, რომლებიც ოსტატობის დახვეწაში დაგეხმარებათ.

თუთიყუშ ჟაკოს თავგადასავალი



ფორმატი: 21.61 X 30.52
გვ. რაოდ.: 88
ყდა: მაგარი

ფასი: 19.99

მისი თავგადასავალი ხალისიანი, მიმზიდველი და მომნუსხველია. ჯითხულობ და ჟაკოსთან ერთად განიცდი, გიყვარს, გეშინია, ხან გაოცდები, ხანაც გულიანად იცინებ... მოკლედ, ეს არის შემეცნებითი პოემა ყველასათვის, ვისაც იტაცებს მოგზაურობა საინტერესო ამბებისა და ადამიანების სამყაროში. თუ ჯითხვით დაიღლებით, ჩართეთ თანდართული დისკი. მისი მეშვეობით, ამ საოცარ ისტორიას მსახიობი რამაზ იოსელიანი მოგიყვებათ.

წარმოიდგინე, რომ ხარ რაინდი

ფორმატი: 25 X 25
გვ. რაოდ.: 23
ყდა: მაგარი

ფასი: 22.99

წიგნი მამაცი ყმაწვილებისათვის. დაბრუნდი წარსულში და გაიგე ყველაფერი ჯეთილშობილი რაინდების საგმირო საქმეების შესახებ. გაეცანი რაინდის ეოდექსს. შეიტყვე, როგორ ხდება რაინდად ჯურთხევის ცერემონია, როგორ უნდა იასპარეზოს ტურნირებში და დაიცვას ბრძოლის დროს თავი ჭეშმარიტმა რაინდმა.

იყავი ყურადღებიანი

ფორმატი: 26X28
გვ. რაოდ.: 24
ყდა: მაგარი

ფასი: 8.99

ეს წიგნი თქვენს პატარას გულისხმიერებას, თანადგომასა და სიკეთის ჯეთებას ასწავლის. წიგნის წაკითხვის შემდეგ ისინი თანატოლების მიმართ უფრო ყურადღებიანები, უფრო მზრუნველები გახდებიან.

თქვი სიმართლე

ფორმატი: 26X28
გვ. რაოდ.: 24
ყდა: მაგარი

ფასი: 8.99

ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ბავშვები მიხვდებიან, რა ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ყველაზე უწყინარ ტყუილსაც კი, რატომ არის ტყუილის თქმა ცუდი საქციელი და რატომ უნდა თქვან სიმართლე ყველგან და ყოველთვის.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge

№20 (571)
19 — 25 მაისი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
გზა

■ **მინიატიურები** 5
ეს ჩვენი(ს) თვრამეტიანები

■ **ჭრელი მსოფლიო** 6

■ **ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე** 7

■ **მისია** 13
ქართველი ასმეთაური ქალის ჯარისკაცური ცხოვრება

■ **დეკლარანტები** 16
პენსიონერი გიორგი ასანიძე გასესხებული ფულის დაბრუნებას ნატრობს

■ **ცხელი წერტილი** 18
მღელვარება სირიაში და დამასკოში დარჩენილი ქართველი სტუდენტი

■ **ამპლუა** 21
იურისტი, ჯომარდელი, საოპერო ბანი და... სექსი 15 კაცის თანდასწრებით

■ **ტანდემი** 22
რას ეუბნება ყველაზე ხშირად ყურში ნოე სულაბერიძე ნანკა კალატოზიშვილს?

■ **მეტამორფოზები** 24
„დღემდე ისეთი ვარ, როგორც ამ ფოტოზე გამოვიყურები“

■ **ფსიქოპორტრეტი** 26
რატომ მათხოვრობდა ონისე ონიანი ბათუმის ბულვარში

■ **ერთი მიწის შვილები** 28
„იმედი მქონდა, რომ ოსები დედაჩემს მოსაკლავად არ გაიმეტებდნენ“

ქვეყანა

ქართველი ასმეთაური ქალის ჯარისკაცური ცხოვრება

„ბავშვობიდან მინდოდა, სამხედრო პირი ვყოფილიყავი. 7 წლის ვიყავი, 1989 წლის 8 აპრილს დედამ მიტინგზე რომ წამიყვანა. სამშობლოს სიყვარულს ბავშვობიდან მინერგავდა“.

13

სახე

სექსი 15 კაცის თანდასწრებით...

„დასასვენებლად 100 წლის შემდეგაც მეცლება და სანამ ენერგია, დრო და სურვილი მაქვს, მანამდე უნდა გავაკეთო ყველაფერი. ჩემთვის სიცოცხლე მოძრაობაშია“...

20

ცხოვრება

უიკ-ენდი ნიგვზიანში

გურულს ეკითხებიან: რას ეძახიან თქვენთან სულელსო? — რას და აბდალს, ძამაო. — ჭკვიანსო? — აჰ, მასეთი არ გვყავსო...

35

გზა კნილები

თავისუფალი თემა

— არაკაცი, — კბილებში გამოცრა ნოდარმა, მაგრამ იქ მსხდომებმა ეს სიტყვები — ვერ, მე კი მაინც მგონია, არ გაიგონეს. დირექტორმა სრული თანხმობის ნიშნად ხელები გაშალა, — აქაოდა, მე სანინაალმდეგო არაფერი მაქვსო.

64

პროფესია 30
ფაეტონი — წყვილების საყვარელი ტრანსპორტი

ტრაგედია 31
„გთხოვთ, შემინარჩუნოთ სიცოცხლე“

მოგზაური 33
ველოსიპედით მსოფლიოს გარშემო

ნამდვილი ამბავი 35
უიკ-ენდი ნიგვზიანში

თინეიჯერული პონტები 37
კაცებზე მონადირე გოგოები

ტაძარი 40
იგავი „ორი მოვალის“ შესახებ

შემოქმედი 42
„ერთი პერიოდი ხატვა ისე მინდოდა, როგორც წყალი მოგწყურებიათ“

ანტიდეპრესანტი 44

ავტო 44

ერუდიტი 46
ვახო კანდელაკის ადგილი ახალ „ოჯახში“

საკითხავი ქალებისათვის 48

ჯანმრთელობა 49
რატომ გვტკივა გული

სახელოსნო 52
საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებული დაუსაქმებელი არქიტექტორები

წვეთი პოეზია 54

რეალური 55
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)

მისტიკური დეტექტივი 56
რუსუდან ბერიძე. ხაფანგი (გაგრძელება)

რომანი 60
სვეტა კვარაცხელია. ნაადრევი ენძელები (გაგრძელება)

გზავნილები 64
თავისუფალი თემა

ყველა ერთისათვის 68

მობილი-ზაცია 70

სამყარო 76

გასართობი 78

ასტროლოგია 80

სკანვორდი 81

საფირმო კროსვორდი 82

სამყარო

როგორი „ჩოლკა“ მოგიხდებათ...

ვისაც დაბალი შუბლი აქვს, მისთვის ზედგამოჭრილია ღრმა, თითქმის კეფიდან დაწყებული სწორი „ჩოლკა“.

48

ბიბლუსი

ხაფანგი

— მერე რედაქტორი? ვითომ გაბედავს ასეთი რამის დაბეჭდვას?

— თუ ვერ გაბედავს, თავში ქვა უხლია, — ხელი არხეინად აიქნია ლალიმ, — მაშინვე „ანტაგონისტში“ მივარბენინებ.

— სწორადაც მოიქცევი. იქ ნაღდად დაგიბეჭდავენ.

56

ტაიმ-აუტი

„წმინდა“ ცხოველები

ძველ ჩინელებს 4 საკულტო ცხოველი ჰყავდათ: ვეფხვი, კუ, დრაკონი და ფენიქსი.

ძველი ეგვიპტელები თითქმის ყველა ცხოველს ეთაყვანებოდნენ. იქ დღესაც არის შემორჩენილი მათთვის სათაყვანებელი — ნიანგის, ცხვრისა და იბისის სამარხები.

76

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქავჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

ეს ჩვენი(ს) თვრამეტიანები

შესავლის ნაცვლად მგონი, დიდი პოლიტიკური გნიასი გველის ამ თვის ბოლოს, ყველა გამალებულ მზადებაშია — ამ ჩვენი რვიანიდან დაწყებული, იმ ჩემის თვრამეტიანებით დამთავრებული...

„რვიანში“ ე.წ. „ოპოზიციურ რვიანს“ ვგულისხმობ და „თვრამეტიანი“ თქვენთვის მომინდვია — გინდ დანარჩენი ოპოზიცია იგულისხმეთ და გინდ — ხელისუფლება. პირადად მე აღარც ერთი არ მაღელვებს, არასოდეს ვყოფილვარ ასეთ აპათიაში მოსალოდნელი პოლიტიკური კატაკლიზმების წინ — ადრე ხელებს ვიფშვნეტდი და სეირის საყურებლად ვემზადებოდი ხოლმე, ახლა კი ან მე დავბერდი და ან ეგენი — კისერი უტეხიათ „ერთებსაც“ და „მეორეებსაც“, რაღაცნაირი უინტერესოები გახდნენ, ერთმანეთსაც უნდილად აგინებენ და დაჭერებმა და ცემა-ტყეპამაც იკლო ამ ბოლო დროს...

მოკლედ, 21 მაისის იმედი მაქვს, თორემ ვრჩები საპროვოკაციო ამბების გარეშე...

ისე, რაღაზე იკლავენ თავს, ვერ ვხვდები — ადრე რომ ქუთაისში პარლამენტის გადატანაზე იყო საუბარი და მიშა-უფროსმა რომ თქვა, ეგრე არ მითქვამს, მხოლოდ გამსვლელი სხდომები ჩატარდება იქ, ძირითადად ისევ თბილისში იმუშავებენ პარლამენტარებიო, ახლა უკვე ვეღარ მალავენ — რუსთაველზე მდებარე პარლამენტის შენობის გაყიდვის გადაწყვეტილება უკვე ოფიციალურმა პირებმაც დაადასტურეს და რაც მთავარია, ეს სახელმწიფოსთვის მომგებიან საქმედ შემოგვასაღეს — გაცილებით ძვირად გავყიდით, ვიდრე ქუთაისში ასაშენებელი პარლამენტი დაჯდებაო.



ჰოდა, იმას ვამბობდი — რაღას დარბის-მეთქი ეს ოპოზიცია? გაჩეჩილაძეები ვაკის იქით ვერ იცხოვრებენ და თბილისში ქუთაისიდან და იმის იქიდან ჩამოცხოვრებულ ტიპებს შენ გააბრუნებ უკან?!

ისე, როგორც ჩანს, მაგის გამო დაფაცურდნენ — 21 მაისს „უნდა დავამთავროთ ეს ხელისუფლებაო“ რომ გაიძახიან, ალბათ იმიტომ უნდათ, ეს „დამთავრება“ დააჩქარონ, რომ პარლამენტს ხელი აღარ ახლოს მიშამ...

მოკლედ, აღდგომა და ხვალეო — 21 მაისიც მალე მოვა...

მანამდე კი, „ქართულმა პარტიამ“ ამერიკის საელჩოსთან მოაწყო მიტინგი ლოზუნგით — „ყველამ თავის ბოზ მამიდას მიხედოს!“ ანუ თავი დაგვანებეთო...

არა, თვითონ იდეა და მიტინგის ფაქტი იქნებ არც იყოს დასაძრახი, მაგრამ რატომღაც ასე მახსოვს, რომ ამ პარტიის ერთ-ერთი თავკაცი და იმ მიტინგის ორგანიზატორი, ადრე რომ „რუსთავი 2“-ის პატრონი და „ვარდების რევოლუციის“ მთავარი „მატორი“ იყო, სანამ ტელევიზიასაც „აახევდნენ“ და „ვარდ-სასტავიდანაც“ „მოასრიალებდნენ“, სწორედ ამერიკული იდეალების მთავარი პროპაგანდისტი იყო და ახლა რა „გველი შეუწვა“ ძია სემმა?!

გასაგებია — ასაკთან ერთად, გემოვნებაც იცვლება, ადრე თუ დოლარს არ ასდიოდა სუნი, ახლა რუბლი აღარ ყარს, ალბათ...

ჰმ, შალიკოს დასცინოდნენ, ამერიკის საელჩოსთან რომ მიტინგებს აწყობდა და თეთრი სახლის წინ რომ უყვიროდა „ბიძია თომას“ (ობამას „ვესიყვარულები“ ხოლმე ასე) — მიშა მოგვაშორეო და ახლა თვითონ არ დაიწყეს?!

არადა, მიშას როგორ, „ბოიშმამითხოვია“ და, ჰკიდია ეგ ყველაფერი, ატყობთ? ესენი აქ გადატრიალებისთვის ემზადებიან, ის კიდევ ბათუმში დელფინებს ეთამაშება... კი არ ეთამაშება, ეღლაბუცება — კინაღამ პირში ჩაუყო იმ დღეს თავი, შეიძლება, ბოროტი ვარ, მაგრამ ისე მინდოდა, რომ ეკბინა...

მორჩა, 21 მაისამდე პოლიტიკაზე აღარ ვლაპარაკობ — მხოლოდ შოუბიზნესი!

მაშ ასე — „ევროვიზია 2011“-ის გამარჯვებული აზერბაიჯანი გახდა!

საერთოდ, ევროპა რომ ვეღარ ევროპობს, ჩვენ ხომ ჯერ კიდევ 2008-ის აგვისტო-სექტემბერში დავრწმუნდით, მაგრამ ეს ნამეტანი მგონია: ჯერ ერთი, აზერბაიჯანი რომ ევროპა იქნება, მერე მეორე — იმ ევროპაში რომ რაღაცაში ყველას აჯობებს და მესამე და მთავარი — სომხეთი რომ იჩივლებს, მე უნდა ვყოფილიყავი პირველი და დამჩაგრესო, იმ ევროპას რა ვუთხარი, მე!..

ამ ჩვენი „ოპოებისა“ არ იყოს, ეს რუსული კი ვიცი და მეც „ერთმორწმუნეებისკენ“ ხომ არ გადავიხარო?!

P.S. ეს „გადავიხარო“ ისე წამომცდა, მაგრამ სიმართლე კი გამომივიდა — სერიოზულად და „პროვოკაციის“ გარეშე რომ ვთქვა, მომკალით და მართლა „გადახრა“ მგონია, დღეს ვინც რუსეთთან მეგობრობის იმედზეა და მტერს მტრად არ აღიქვამს. ეს რომ არაერთხელ დავწერე, აქ ათასმა კაცმა მომწერა ელფოსტაზე — „მიშისტი“ ხარო...

ჰოდა, ახლა ყველას ერთად გპასუხობთ: ჩემდა თავად, „მიშისტის“ ასე და ისე (რაც გინდათ, ის იგულისხმეთ), მაგრამ ვერც „პუტინისტი“ გავხდები და ვერც — „ნინოისტი“, ვერც — „გრეჩიხისტი“ და „კუკავისტობისგან“ ხომ მთლად ღმერთმა დამიფაროს! მოკლედ, ერთადერთი „ისტი“ — „შარაფისტია“, რაც ვარ და წავედი ახლა მე მაგ „საქმეზე“ და ქვეყანას ჩემ მაგივრად ეს „სამშობლოსთვის გულდათუთქულები“ მიხედავენ 21-მდე, მერე მეც შემოგიერთდებით.

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ქვეყანა

სექსუალური ძალადობისთვის დევნილი მაღალჩინოსანი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი დომინიკ სტროს-კანი პარიზში გამგზავრებამდე, ჯონ კენედის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს. 62 წლის სტროს-კანს ნიუ-იორკის სასტუმრო შოფიტელის დამლაგებლის მიმართ სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ. როგორც 32 წლის დამლაგებელი ჰყვება, ის ცარიელ ნომერში დასალაგებლად შევიდა, მაგრამ მოულოდნელად სააბაზანოდან მამაკაცი გამოვიდა, რომელმაც მისი გაუპატიურება სცადა და ოთახის დატოვების საშუალებას არ აძლევდა. ფრანგი ჩინოვნიკი ჰარლემის ციხეში, სექსუალური ხასიათის ძალადობაში ბრალდებულთა განყოფილებაში მოათავსეს და ახლა სასამართლო პროცესის მოლოდინშია. როგორც სტროს-კანის ადვოკატმა ბენჯამინ ბრაფმანმა განაცხადა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა მის მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება უარყო. შეგახსენებთ, რომ დომინიკ სტროს-კანი 2012 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში სოციალისტური პარტიისგან ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევდნენ. ■

„კავკასიის მშვენება“ სომეხი გოგონა

20 წლის სომეხი გოგონა — სუსანა კოჩარიანი „კავკასის მშვენება“ გახდა. სილამაზის კონკურსი ნოვოსიბირსკში ჩატარდა. მასში აზერბაიჯანის, სომხეთის, ინგუშეთის, დაღესტნისა და საქართველოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მათ დამსწრეთა წინაშე მუსიკალური ნომრებით წარდგნენ, მონაწილეობა მიიღეს ინტელექტუალურ კონკურსში და საზოგადოებას საკუთარი ქვეყნის ტრადიციები გააცნეს. საქართველოს მედეა ჯავახიშვილი წარმოადგენდა, რომელმაც „მის ტალანტის“ ტიტული მიიღო. მედეა 23 წლისაა, ნოვოსიბირსკში სპორტის უმაღლესი ხელოვნების ცენტრში მუშაობს. ის სპორტის საერთაშორისო კლასის დიდოსტატია, მსოფლიოს სამგზის რეკორდსმენი, მსოფლიოს, ევროპისა და რუსეთის მრავალგზის ჩემპიონი ლასტებით ცურვაში. მეორე ადგილზე აზერბაიჯანელი აიდა იმანოვა გავიდა. კონკურსი ორგანიზაცია „მთის შვილები“ ინიციატივით ჩატარდა, რომელიც ციმბირის სამეცნიერო და კულტურულ ცენტრში 2011 წლის იანვრიდან არსებობს. ■

რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

ჯონი დეპი გვირგვინოსნებს ენათესავება?

„დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედი და ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯონი დეპი შორეული ნათესავები არიან“ — ასეთი ინფორმაცია გაავრცელეს ისტორიკოსებმა, რომლებიც ირწმუნებიან, დედოფალი და კინოვარსკვლავი „დაანათესავა“ XVII საუკუნეში დაქორწინებულმა იორკშირელმა წყვილმა — რიჩარდ დენტონმა და ელენა უინდენ-



ბანკმა. გარდა ამისა, დეპი უილიამ გასკონისა და მისი მეუღლის, მარგარეტ პერსის შთამომავალია, რომლებიც მეფე ედუარდ მესამის პირდაპირი ნათესავები ყოფილან. გენეალოგ ნიკ ბერატის თქმით, იმის შესაძლებლობა, რომ დეპი და ელისაბედ II ერთმანეთს ენათესავებიან, საკმაოდ დიდია, მაგრამ ამ ფაქტის დადასტურებას, თუკი საჭირო საბუთს ვერ მიაკვლიეს, ვერ შეძლებენ. ექსპერტები კვლევას დოკუმენტის პოვნის იმედით აგრძელებენ. ■

რა სურს „ქართულ პარტიას“?

„ქართული პარტია“ ქართველი ხალხის გაოცებას ყოველდღე ახერხებს. ჯერ იყო და, ირაკლი ოქრუაშვილმა გაგვაოცა აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიმართ წაყენებული ბრალდებით, — თავისუფლებას გვართმევთ და ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიას ასამარებთო. შემდეგ ეროსი კიწმარიშვილმა და სოზარ სუბარმა გადაწყვიტეს, ის ნიაღვარი, რომლითაც ქართველი საზოგადოება იწამლება, აშშ-ის საელჩოდან მოდისო, — და „ონკანის გადასაკეტად“, მხარდამჭერებთან ერთად იქითკენ გაემართნენ. მხარდამჭერები-მეთქი, ამას პირობითად ვამბობ, თორემ... ადამიანებმა, რომლებიც „ქართული პარტიის“ ლიდერებს გვერდს უმშვენებდნენ, თავადაც არ იცოდნენ, ვინ იყვნენ, რა უნდოდათ და სად მიდიოდნენ... არ გეგონოთ, რამეს ვაზვიადებდე, პირადად მოვისმინე, რომ „რუსთავი 2“-სა და „იმედის“ კორესპონდენტების მიერ დასმულ კითხვაზე: რას ითხოვთ ამერიკისგან? „ქართული პარტიის“ აქტივისტები პასუხობდნენ — სააკაშვილი წაიყვანოსო, ზოგიერთი მათგანი დაბნეული სახით ჟურნალისტს აქეთ უსვამდა კითხვას — ნეტავ, ამერიკა რა შუაშიაო?.. შესაძლოა, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ბევრმა მათგანმა ისიც კი არ იცოდა, რა ეწერა ტრანსპარანტზე, რომელიც ხელში ეჭირა. მართალია, ტრანსპარანტზე წარწერა ინგლისურად იყო გაკეთებული, მაგრამ... როგორც ჟურნალისტი და როგორც საქართველოს მოქალაქე, მეც დავინტერესდი, თუ რატომ მოაწყო „ქართულმა პარტიამ“ საპროტესტო აქცია ამერიკის საელჩოს წინ მაშინ, როდესაც ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა საჯაროდ არაერთხელ განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ სააკაშვილის ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლას... ■



ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

საქართველოს საკანონმდებლო ორგანო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მხოლოდ ქუთაისი იქნება. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების პროექტი პარლამენტში უკვე შევიდა. კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მიხედვით, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პარლამენტი ქუთაისსა და თბილისში უნდა ყოფილიყო, საკონსტიტუციო ცვლილების თანახმად კი პარლამენტი მხოლოდ ქუთაისში იმუშავებს. ■

კიწმარიშვილი ბურჯანაძეს ხელს უწვდის

„ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი, ეროსი კიწმარიშვილი „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერს, ნინო ბურჯანაძეს კონსულტაციების დაწყებას სთავაზობს. მისი თქმით, შექმნილი რეალობიდან და საზოგადოებაში არსებული მოლოდინიდან გამომდინარე, „ქართული პარტია“ მზად არის, „სახალხო კრებასა“ და ნინო ბურჯანაძესთან მოლაპარაკება გამართოს. „მზად ვართ, დღეიდანვე დავიწყოთ ღია კონსულტაციები, 21 მაისის გადაწყვეტილების ფარგლებში, იმ წარმონაქმნთან, რასაც „სახალხო კრება“ ჰქვია. ეს ჩვენი პარტიის პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ეს პროცესი დაწყებულიყო“, — განაცხადა კიწმარიშვილმა და დასძინა, რომ „ქართული პარტია“ მზადაა ყველა იმ ძალასთან თანამშრომლობისთვის, რომელიც ხელისუფლებასთან დიალოგში არ არის ჩართული. კიწმარიშვილის შეთავაზებას ბურჯანაძე უკვე გამოეხმაურა. „ფუჭი ლაპარაკის დრო არ არის. ვისაც ქვეყნის გადარჩენა რეალურად სურს, 21 მაისს ხალხის გვერდით უნდა დადგეს“, — ასე უპასუხა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა „ქართული პარტიის“ პოლიტიკურ მდივანს. ■

რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ხელოვნური განაყოფიერების კლინიკა „ინ ვიტრო“

გთავაზობთ სამედიცინო მომსახურების ფართო არჩევანს: უშვილობის მკურნალობა (როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა), IVF „ინ ვიტრო“ განაყოფიერება, ICSI - ინტრაციტოპლაზმური სპერმის ინექცია, TESA - ტესტიკულური სპერმის ექსტრაქცია, დონაციასუროგაციის პროგრამა, საშვილოსნოსშიდა ინსემინაცია, ემბრიონების კრიოპრეზერვაცია, ბლასტოცისტის კულტივაცია, გინეკოლოგიურ დაავადებათა სკრინინგი და მკურნალობა და სხვა. თქვენს განკარგულებაშია უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი კვლევითი ლაბორატორია.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ: ᲚᲣᲒᲚᲘᲐᲜᲐᲡ 2 / 6
ᲢᲔᲚ: 15 77 77. 8 (68)405050
e-mail: info@invitro.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: invitro.ge

„ჩემი რჩეული“: ირჩევთ სასურველს — გაწვდით სრულყოფილს!

...და ძალიან იაფად გავმდიდრდებით

„პალიტრა მედიის“ ახალი, გაცილებით მასშტაბური, კიდევ უფრო მეტად ამბიციური და „დემოკრატიული“ პროექტი კვლავ ჟურნალ „გზასთან“ ერთად დაიწყო. თქვენ ირჩევთ სასურველს, ჩვენ გაწვდით სრულყოფილს, ასე რომ, თადარიგი დაიჭირეთ და მხოლოდ თაროების შეძენაზე ნუ იზრუნებთ: თქვენი დროის „ოქროს ფონდიდან“ ჯერ საკითხავი დრო გამოათავისუფლეთ და საკუთარ რჩეულთან შესახვედრად მოემზადეთ!

ირმა ხარშილაძე

„ჩემი რჩეული“ თითოეული ჩვენგანის არჩევანია — ჩემი და შენი რჩეული ქართველი მწერლების რჩეული შემოქმედება: ლექსები, პოემები, მოთხრობები, რომანები, პიესები, ესეები, სცენარები, პუბლიცისტური წერილები და პირადი მიმოწერა რამდენიმე ტომად. ის, რაც გამოცემულა და შეიძლება, პირველადაც გამოიცემა, ან იქნებ თქვენამდე ვერ მოუღწევია თუნდაც იმიტომ, რომ ყიდვა ვერ შეძელით, ან არც არსად „შეგხვედრიათ“ — შორიახლოს ხომ ერთი წიგნის მაღაზიაც არ გაქვთ!

მაგარყდიანი და თანამედროვე დიზაინის, ჟურნალ „გზასთან“ ერთად ლამაზად შეფუთული „ჩემი რჩეული“ ყველას კარს შემოაღებს — მთავარია, თქვენ ამოირჩიოთ და სასურველი სტუმარი უმალ დაგიმეგობრდებათ, ასაკისა და პოლიტიკური შეხედულების მიუხედავად.

ა-ა, უკვე ხელთ გაქვთ?.. მოგეწონათ?.. ეს მხოლოდ პირველია, დასაწყისია და თანაც — საუკეთესო: ვაჟა-ფშაველას ხუთტომეულის პირველი ტომი მხოლოდ 5 ლარად (ჟურნალთან ერთად — 6 ლარად)!

რატომ — ვაჟა? არა მგონია, ვინმემ იდაოს, რადგან... პირველი არჩევანი სრულიად საქართველომ გააკეთა: 2011 ვაჟა-ფშაველას წელია — მისი დაბადებიდან 150 წელიწადი სრულდება და ახალი პროექტიც საქართველოს რჩეულით დავიწყეთ.

ვაჟა-ფშაველას ხუთტომეულს ხუთი კვირის განმავლობაში, ყოველ ხუთშაბათს ჟურნალ „გზასთან“ ერთად მიიღებთ და მასში მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, პიესას — „მოკვეთილი“, პუბლიცისტურ და ეთნოგრაფიულ წერილებს წაიკითხავთ.

„ჩემი რჩეულის“ მომდევნო ტომეული კი თქვენი უსაყვარლესი მგოსნის — გალაკტიონ ტაბიძის რჩეული შემოქმედება იქნება და ისიც — ხუთ ტომად; გალაკტიონს მიხეილ ჯავახიშვილის ტომეული შეცვლის და ასე, ნელ-ნელა, თითოეული ჩვენგანის არჩევანის მიხედვით, ძალიან იაფად გავმდიდრდებით. აწი, ამას თუნდ „წიგნების წარღვნა“ უწოდეთ, გნებავთ, წიგნების „მეორედ მოსვლა“, ჟწიგნ(ურ)ობას მაინც აჯობებს, რომ შინ გექნებათ ქართული სიტყვის დიდოსტატთა საუკეთესო თხზულებების ნაკრები — პროზა, პოეზია და ეპისტოლური მემკვიდრეობა და... სურვილი მასთან დაახლოების. ■

გამოფენა-კონცერტი ეროვნულ ბიბლიოთეკაში



ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ახალგაზრდა მხატვრებმა გამოფენა-კონცერტი მოაწყვეს. „მუსიკა ფერწერაში“ — ასე დაასათაურა ღონისძიება ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ია ესვანჯიამ. ახალგაზრდებმა საგამოფენო დარბაზში წარმოადგინეს ფერწერული კომპოზიციები, რომლებიც ფერენც ლისტის ნაწარმოებების მიხედვითაა შესრულებული: გამოფენა-კონცერტი გამოჩენილი კომპოზიტორის დაბადებიდან 200 წლისთავს მიუძღვნეს. ■

ბრძოლით დაწყებული და ბრძოლით დამთავრებული

„ჩემში ყოველივე ბრძოლით იწყება და ყოველივე ბრძოლითვე მთავრდება“ — ეს ფრაზა ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ერეკლე საღლიანს ეკუთვნის. მარჯანიშვილის თეატრში პოეტის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. საღლიანის პირველი კრებული 1985 წელს გამოვიდა, რომელიც გაჯერებული იყო ტრადიციული თემებითა და ეროვნული სულისკვეთებით. ის პოეტთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ჩაება ეროვნულ მოძრაობაში და ახალი სიტყვაც თქვა ქართულ პოეზიაში. ■

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲓᲐ „ᲠᲕᲘᲐᲜᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ „ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ“ ᲒᲐᲓᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ. „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ“ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ, ᲡᲝᲖᲐᲠ ᲡᲣᲑᲐᲠᲛᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜᲐ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲐ, ᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲐᲓ ᲙᲘ „ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ, ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲨᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ. ᲡᲣᲑᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ „ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲔ. ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲪ — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲒᲐᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲔᲑᲘᲪ ᲣᲫᲦᲝᲓᲐ ᲬᲘᲜ... „ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲠᲕᲘᲐᲜᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲜᲐᲒᲣᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲬᲐᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐᲡ ᲣᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲝᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲔᲡᲐᲪ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ.

ᲙᲐᲗᲣᲜᲐ ᲒᲐᲮᲢᲣᲠᲘᲫᲔ

— ᲡᲣᲚ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ „ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲠᲕᲘᲐᲜᲘ“ ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐᲡ ᲛᲪᲓᲐᲠ ᲜᲐᲑᲘᲯᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲓᲐ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲘᲢᲔᲗ?

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ, *„ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ:*

— „ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲠᲕᲘᲐᲜᲘ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲐᲡ ᲐᲠ Ა�პᲘᲠᲔᲑᲡ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲗ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲐᲥᲢᲘᲣᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲘᲡᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲓᲐᲜ. ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲐ — ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐᲐ. ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲘᲕᲐᲬᲝᲓᲝᲗ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲗᲣ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲐᲓ ᲠᲐᲡ ᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ. ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲕᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ ᲓᲔᲓᲝᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘᲪ.

— ᲔᲘ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲘᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ?

— ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲐᲠ ᲕᲒᲔᲒᲛᲐᲕᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ. ᲗᲣ ᲗᲕᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐᲛ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲘᲦᲝ, ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲐᲕᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ, ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ — ᲛᲝᲒᲕᲔᲪᲘᲗ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ!

— ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ“ ᲓᲐ „ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ“. ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲛᲐ ᲫᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲔᲗ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ?

— „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ“ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲐᲠᲘᲐ. ᲒᲐᲝᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲪᲕᲚᲐᲡ ᲣᲭᲔᲠᲡ ᲛᲮᲐᲠᲡ, ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ �გᲣᲜᲓᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ. ᲐᲨᲨ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲦᲔᲑᲔᲚᲘᲐ. რაც შეეხება „სახალხო კრებას“, ამ ორგანიზაციაში ძალიან ბევრი ღირსეული და კარგი ადამიანია, მაგრამ ასევე გაუგებარია მათი მიზნები და ამოცანები. გარდა ამისა, ჩვენ სკეპტიკური დამოკიდებულება გვაქვს დაანონსებული რევოლუციების მიმართ.

— მათთვის კი ის არის გაუგებარი, თუ რატომ ხვდება ალასანია ლავროვს ან რა საკითხებთან დაკავშირებით მართავს შეხვედრებს გერმანიასა და პარიზში...

— შეხვედრების თემა არის საქართველოში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება და რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემები. ჩვენ ვცდილობთ, უცხოელ პარტნიორებს ჩვენი მიზნები გავაცნოთ და მათი ჩვენდამი მხარდაჭერა გავაძლიეროთ.

— ლავროვს რის შესახებ ესაუბრა ალასანია?

— ლავროვს ალასანია ოპოზიციონერი პოლიტიკოსის სტატუსით კი არა, საქართველოს წარმომადგენლის სახელით შეხვდა. მათ შორის დაფინანსებაზე კი არა, შიდა ქართულ პოლიტიკაზეც კი არ ყოფილა საუბარი: ჩვენ მივიჩნევთ, რომ მეზობელი ქვეყნის წარმომადგენელთან შენი ქვეყნის შინაურ საქმეზე ლაპარაკი არასწორია. მათ ისაუბრეს ქართულ-რუსული ურთიერთობის ჩიხიდან გამოყვანაზე, კეთილმეზობლობის აღდგენაზე. ალასანიამ ლავროვთან საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთს აუცილებლად მოუწევს ვალდებულებების შესრულება და ქვეყნის ტერიტორიიდან შეიარაღებული ძალების გაყვანა. ოკუპირებული ტერიტორიების თემაზე მტკივნეული, ღირებული და მნიშვნელოვანი „თავისუფალი დემოკრატებისთვის“ არაფერია.

— ფიქრობთ, რომ ოპოზიციონერ ლიდერს მსგავსი პრობლემების მოგვარება შეუძლია?

— რა თქმა უნდა, ოპოზიციის წარმომადგენელი მსგავს პრობლემას ვერ გადაჭრის. გერმანიაში სწორედ ამაზე იყო საუბარი. დარწმუნებული ვარ, „პოსტსაკაშვილის“ დროს საქართველო ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემას რუსეთთან მშვიდობიანი დიალოგის შედეგად მოაგვარებს. ალასანია გამოცდილი დიპლომატია და მსგავს საკითხებში კარგად ერკვევა.

— დარწმუნებული ხართ, რომ რუსეთთან ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემას ქართული მხარე კომპრომისების გარეშე მოაგვარებს?

— დიპლომატიაში კომპრომისების გარეშე შედეგს ვერ მივიღებთ. რა კომპრომისებზე წასვლა შეიძლება რუსეთთან და რაზე — არა, ეს უკვე სხვა საკითხია და ამაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. ■

რუსეთის პატრიარქმა აფხაზი სასულიერო პირები გააკრიტიკა

რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ის აფხაზი სასულიერო პირები გააკრიტიკა, რომელთაც საქართველოს ეკლესიისგან გამოყოფა სურთ. „გაზეტა.რუ“-ს ინფორმაციით, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა განაცხადა, რომ აფხაზეთის ახალი მიტროპოლიის შექმნა კიდევ უფრო გაართულებს აფხაზეთის საეკლესიო საკითხის გადაწყვეტას. „ეკლესიის კანონები არ ითვალისწინებს ახალი მიტროპოლიის და მით უმეტეს, ავტოკეფალიური ეკლესიის ჩამოყალიბებას საეკლესიო-სახალხო შეკრების საფუძველზე, ხოლო სახალხო კრების მიერ ეპისკოპოსთა კანდიდატების დასახელება პირდაპირ არის აკრძალული“, — ეს განცხადება რუსეთის საპატრიარქოს საეკლესიო საგარეო საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილემ, ნიკოლაი ბალაშოვმა გააკეთა. შეგახსენებთ, რომ ახალი ათონის მონასტერში საეკლესიო-სახალხო შეკრების მონაწილეებმა ახალი მიტროპოლიის შექმნის შესახებ განაცხადეს. მათი აზრით, მიტროპოლია დროთა განმავლობაში აფხაზეთის დამოუკიდებელ ეკლესიად უნდა ჩამოყალიბდეს.

აფხაზ სასულიერო პირს, ბესარიონ აპლიას ახალი ათონის შეკრებაში მონაწილეობა არ მიუღია; ის აფხაზეთის დამოუკიდებელ ეკლესიად მიტროპოლიის ჩამოყალიბებას მხარს არ უჭერს, მაგრამ ქართული ეკლესიისგან გამოყოფის იდეას იზიარებს. მისი თქმით, აფხაზეთის ეკლესია მხოლოდ რუსეთის ეკლესიის მხარდაჭერით შეძლებს გაძლიერებას. ■

რუსი ბლოგერები პუტინს ემშვიდობებიან

რუსი ბლოგერები აქტიურად განიხილავენ რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის შესაძლო გადაყენებას. მათი თქმით, პრეზიდენტი დმიტრი

მედვედევი პუტინს დაითხოვს და მას გრიგორი იავლინსკით ჩაანაცვლებს, რომელიც ფრაქცია „იაბლოკოს“ ლიდერია. ბლოგერების აზრით, „მეგობრისა და მასწავლებლის“ თანამდებობიდან დათხოვნას, დმიტრი მედვედევი იმით ახსნის, რომ დოკუმენტებზე მოსაწყენი მუშაობის გარდა, უმაღლესი ხელისუფლისთვის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეებიც არსებობს... ამ ინფორმაციის უტყუარობასთან დაკავშირებით ბლოგერების აზრი არაერთგვაროვანია. ■

აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველები ელჩის გაწვევას ითხოვენ?!

რუსული საინფორმაციო საშუალებების ინფორმაციით, საინგილოში მცხოვრები ეთნიკური ქართველები აზერბაიჯანში საქართველოს ელჩის, თემურ შარაშენიძის გაწვევას ითხოვენ. ზაქათალის რაიონის მოსახლეობა ქართველ დიპლომატს უყურადღებობაში ადანაშაულებს. იქაური ქართველების თქმით, ელჩი სოფელ ალიაბადში ნასვამი მივიდა და მოსახლეობას, რომელიც სოფელში ქართული სკოლისა და საბავშვო ბაღის გახსნას ითხოვდა, შეურაცხყოფა მიაყენა. საქართველოს საელჩო აზერბაიჯანში უარყოფს ამ ინფორმაციას. საელჩოს პირველმა მდივანმა კახა აბდალაძემ აღნიშნულ ბრალდებას ტყუილი და უსაფუძვლო უწოდა. ■

რუსები აზერბაიჯანელებს პლაგიატობაში ადანაშაულებენ

პლაგიატობაში „ევროვიზიაზე“ გამარჯვებულ აზერბაიჯანელ შემსრულებლებს ადანაშაულებენ. ელდარ გასიმოვმა და ნიგიარ ჯამალმა ყველაზე მეტი — 211 ქულა დააგროვეს. მათ სიმღერა — Running Scared შეასრულეს. რუსებმა მელოდიაში როკჯგუფის One Republic სიმღერის — Secret კარგად დავიწყებული ძველი მოტივები ამოიცნეს. მუსიკოსმა დმიტრი მალიკოვმა აღნიშნა: „ვერ ვიტყოდი, რომ აქ პლაგიატობაა, მაგრამ მომღერლები რომ One Republic-ის სიმღერის სულის-

კვეთებით არიან შთაგონებულნი, ფაქტია. როცა ადამიანი სცენაზე გადის, მხოლოდ ხმითა და კოსტიუმით როდი უნდა იწონებდეს თავს. სწორედ ეს არის იმ კრიზისის მიზეზი, რასაც პოპმუსიკა და საერთოდ „ევროვიზია“ განიცდის“, — აცხადებს რუსი კონკურსანტის მე-16 ადგილზე გასვლის გამო დანაღვლიანებული კომპოზიტორი. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა კონკურსის შედეგები მუსიკალურ საზოგადოებას ჩიხში აყენებს. ევროვიზიის წესების თანახმად, მუსიკა სპეციალურად კონკურსისთვის უნდა იყოს დაწერილი. ■

ფოტოგრაფი კატა

სიეტლელი კატის, მეტსახელად კუპერის პატრონებმა მას კისერზე დაუმაგრეს პაწაწინა ფოტოაპარატი, რომელიც ავტომატურად, 2 წუთში ერთხელ იღებს სურათებს. მაიკლ და დეირდრი კროსების თქმით, ერთი წლის წინ დაინტერესდნენ, თუ სად დახეტიალებდა მათი კატა მთელი დღის განმავლობაში, ამიტომ სახალისო ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტეს. პირველივე დღეს ფოტოგრაფი კატა ფირზე აღბეჭდილი უამრავი საინტერესო კადრით დაბრუნდა შინ. ამის შემდეგ ფოტოაპარატი მისი უცვლელი თანამგზავრია. კუპერის ფოტოების გამოფენა საკმაოდ პრესტიჟულ გალერეებში არაერთხელ მოწყობილა. ■

რუსი პოლიტიკოსის თვალით დანახული „ახალი საქართველო“

„რუსეთში იმდენად მძიმე პოლიტიკური და სოციალური სიტუაციაა, რომ ოპოზიციის ნაწილს პოლიტიკური ცვლილების იმედიც კი გაუჩნდა... ვინც ხელისუფლებაში ვლადიმირ პუტინის მოსვლის შემდგომი რუსეთის პოლიტიკურ ვითარებას ოდნავ მაინც იცნობს, ასეთი განცხადებები გაცვეთილად ეჩვენება, რადგან პუტინის ზეწოლის ქვეშ მყოფი ოპოზიცია მარგინალური გახდა“, — აცხადებს ახალგაზრდა ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ვლადიმირ მილოვი, რომელიც იმედოვნებს, რომ მის მიერ დაფუძნებული „ხალხის თავისუფლების პარტია“ მოსახლეობაში მზარდი უკმაყოფილების გამოყენებას შეეცდება. ვლადიმირ მილოვს ხელისუფლების სათავეში მოსვლის ამბიცია და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შეცვლის სურვილიც აქვს.

ᲚᲐᲚᲘ ᲞᲐᲞᲐᲡᲙᲘᲠᲘ

— ბატონო ვლადიმირ, იმედი გაქვთ, რომ თქვენი პარტია, მმართველი პარტიის საპირწონედ იქცევა?

— დიახ, ამის თქმის საფუძველს რუს საზოგადოებაში დაგროვილი საპროტესტო მუხტი მაძლევს. რუსულ პოლიტიკაში ყოფნამ საკმაო გამოცდილება მომცა. არაერთი ანტისამთავრობო დემონსტრაციის აქტივისტი ვარ და რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკურ ანატომიას კარგად ვიცნობ... 7 წლის ვიყავი, როცა ოჯახთან ერთად, ინდოეთში ცხოვრებამ მომიწია და მაშინ პირველად ვნახე ერთმანეთთან დაპირისპირებული პოლიტიკური ლიდერების ლოზუნგები. საბჭოთა რუსეთში მაშინ მსგავსი რამ წარმოუდგენელი იყო, მაგრამ მმართველობის სისტემა არც მას შემდეგ შეცვლილა... საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის რეგისტრაციის გასავლელადაც კი დიდი ბრძოლა გვიწევს. სახელმწიფო მედიას სატელევიზიო დებატებში ოპოზიციის მოწვევა აკრძალული აქვს... მე და ჩემი თანამოაზრეები — ბორის ნემცოვი, ვლადიმირ რიჟკოვი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი მიხაილ კასიანოვი საზოგადოებასთან მისასვლელად და მის გამოსაფხიზლებლად ათასგვარ გზას ვეძებთ...

— როგორ შეაფასებთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს?

— ალბათ ბოლოდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაზე მეკითხებით, მაგრამ სანამ კონკრეტულად შეკითხვას ვუპასუხებდე, ერთი-ორი სიტყვით საქართველოში მიმდინარე რეფორმებსაც შევეხები. სააკაშვილს ყველაზე ხშირად, განათლებისა და ეკონომიკის სისტემების რეფორმისთვის აკრიტიკებენ, — ქართული მენტალობისთვის მიუღებელ ცვლილებებს ახორციელებსო. ამის მიზეზი ის არის, რომ ქართველ საზოგადოებაში საბჭოთა მენტალობა ჯერ კიდევ ძლიერია და მისი შეცვლა აზროვნების „თავდაყირა დაყენებას“ ნიშნავს. საქართველოს ხელისუფლებამ ჭკუა იხმარა და სიახლეებს ფრთხილად მიუდგა; საზოგადოებამ გააპროტესტა, მაგრამ მაინც შეეგუა. რუსეთში კი მსგავსი ცვლილებების დაწყება რევოლუციით დასრულდებოდა... ჩვენი ხალხი კორუფციაში ცხოვრობს; ადამიანებს შიათ, სცივათ, მათ უფლებებს მუდმივად არღვევენ, მაგრამ როცა უკმაყოფილების მუხტი პიკს აღწევს, მედვედევი-პუტინის ხელისუფლება „გამოსავალს პოულობს“ — რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანას შეუტევს და სიტუაციაც განიმუხტება. ამით იმის თქმა მინდა, რომ ციმბირის

რომელიღაც მხარეში მცხოვრებ გლეხსაც კი აქვს „დერეჟავის“ „სიტკბო“ გამჯდარი და მას დემოკრატია, დასავლური იქნება თუ რუსული, არ სჭირდება. ამისთვის ჯერჯერობით მზად არ არის... რაც შეეხება საქართველოს: სხვა საკითხია, რამდენად ეფექტიანი იქნება დასავლური დემოკრატია თქვენს ქვეყანაში, მაგრამ ასეა თუ ისე, მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში დემოკრატიას საფუძველი ჩაუყარა...

— **როგორ წარმოგიდგენიათ რუსეთ-საქართველოს შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენა და გაგრძელება?**

— ამ კითხვას ადგილობრივი ჟურნალისტებიც ხშირად მისვამენ და ასე ვპასუხობ: მიხაილ ჟვანეცკის თხოვნა უნდა გავიზიარო-მეთქი, — „გაგვიხსენით“ ახალი საქართველო, რათა უფრო ახლოს გავეცნო რამდენიმე წლის განმავლობაში რადიკალურად შეცვლილ ქვეყანას“... ჩვენ იქ ჩასვლისა და სიტუაციის ადგილზე გაცნობის უფლება არა გვაქვს, რუსეთიდან დანახული რეალობა კი ასეთია: ჯერჯერობით ვერ ვხედავ საქართველოში ჩამოყალიბებულ ოპოზიციურ ძალას, ვისთანაც თანამშრომლობა შეიძლება. მათი უმეტესობა სააკაშვილის მმართველობაზე კი არა, პირადად პრეზიდენტზე არიან განაწყენებული. მათ არ მოსწონთ ეკონომიკური რეფორმები, მაგრამ არ ახსოვთ, საიდან დაიწყო სააკაშვილმა ქართული ეკონომიკის შენება. 90-იანი წლების შემდეგ არ არსებობდა სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა ანუ საბჭოთა კავშირთან ერთად, საქართველოს ეკონომიკაც დაინგრა. ახლა კი ვხედავთ, რომ ეს ქვეყანა თანდათან წინ მიდის. შემოდიან ინვესტორები, ჰყავს საკმაოდ ბევრი მყარი და სანდო პარტნიორი სახელმწიფო... ცხადია, სააკაშვილი არ არის იდეალური მმართველი და ამაზე საერთაშორისო ორგანიზაციების, თუნდაც ამერიკის ადმინისტრაციის დასკვნაც მიანიშნებს. როცა სააკაშვილი თავისი გუნდის მიღწევებს აფასებს, მათ ხშირად აზვიადებს, მაგრამ ეს არის ადამიანი, რომელმაც საქართველოში ის გააკეთა, რაც რუსეთისთვის — ფანტასტიკის სფეროა. მაგალითად, პოლიციის რეფორმა, „გაისა“ და ქურდული სამყაროს ლიკვიდაცია, რაც ძალზე სარისკო იყო, რადგან ეს არის ქვეყანა, სადაც „ქუჩის სკოლა და აკადემიაგავლილ“ ადამიანებს პოლიტიკაშიც გზა ხსნილი აქვთ და პრეზიდენტადაც კი ირჩევენ... ქართველი ოპოზიციონერები ხშირად აპროტესტებენ, რომ მათთვის საინფორმაციო ეთერი დაბლოკილია. მე რამდენჯერმე ვნახე მათი დებატები. მაპატიეთ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ისინი ჯერ პოლიტიკურად გამოუცდელები არიან და პიარ-ტექნოლოგიებშიც მოიკოჭლებენ... ახლახან, სამხედრო-საზღვაო უსაფრთხოების ორგანიზაციის — Black-Sea for — მიერ გამართულ შეხვედრას დავესწარი. ეს ერთადერთი ორგანიზაციაა, სადაც ქართველი და რუსი სამხედროები თანამშრომლობენ. მისი მუშაობა მნიშვნელოვანია შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების განვითარებისთვის. ხუთწლიანი პაუზის შემდეგ პირველად მომეცა ქართველ ოფიცრებთან გასაუბრების საშუალება. მე ვნახე მაღალ დონეზე მომზადებული, კვალიფიციური და მოტივირებული სამხედროები და რუსეთის შეიარაღებული ძალები დამიდგა თვალწინ. ჩვენი ხელისუფლება სხვა ქვეყნების ჯარებს უფრო კარგად აიარაღებს, ვიდრე საკუთარ არმიას. მაშინ მივხვდი, რომ არაპროგნოზირებადი და ზომაზე მეტად აქტიური მიხეილ სააკაშვილის მუშაობას შედეგი მოჰყვა... ასე რომ, შესაძლოა, არაპოპულარულ რამეს ვამბობ, მაგრამ სუსტ და არამყარ ოპოზიციასთან ურთიერთობას, ძლიერ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა სჯობია. როცა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის მოგვარების გზებზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, ორ ქვეყანას შორის ნდობა უნდა აღვადგინოთ, შემდეგ კი სადავო რეგიონებზეც ვიმსჯელებთ, რომელიც, მართალი გითხრათ, უფრო მეტ პრობლემას უქმნის რუსეთს, ვიდრე სარგებელი მოაქვს.

— **მუდმივად გვესმის, რომ რუსეთის ხელისუფლება საქართველოში საყრდენს ეძებს. როგორ ფიქრობთ — რამდენად არსებობს საფრთხე, რომ მოსკოვი მართლაც ჩაერიოს საქართველოს საშინაო პოლიტიკაში?**

— მოგეხსენებათ, რომ რუსეთის ხელისუფლება, ადგილობრივი რუსი და ქართველი ბიზნესმენები რადიკალური ქართული ოპოზიციის დასაფინანსებლად თავს არ ზოგავენ, მაგრამ ამას მაინც ფარული სახე აქვს და რუსეთი აშკარა აგრესიაზე გადასვლას ვერ გაბედავს. ■

101 წლის ქალმა პოლიტიკოსობა დაიწყო

ესპანური ქალაქ კუნტისის მცხოვრებმა ჟოზეფინა ვილიავერდემ მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა და სოციალისტური პარტიის წევრი გახდა. თანაგუნდელების თქმით, მოხუცი ძალიან მონდომებულია და გამარჯვების იმედიც აქვს. ჟოზეფინამ თანაპარტიელებთან ერთად წინასაარჩევნო აგიტაცია უკვე დაიწყო, ქალაქის ქუჩებში დადის და საკუთარი პარტიის სარეკლამო ფლაერებს არიგებს. პენსიონერი ამბობს, რომ უკვე მრავალი წელია, სოციალისტური პარტიის მხარდამჭერია და ძალიან მოსწონს პრემიერ-მინისტრი, სოციალისტური პარტიის წევრი ხოსე ლუის როდრიგეს საპატერო. ჟოზეფინა ვილიავერდეს ესპანეთში ჩატარებულ ყველა საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნებში აქვს მონაწილეობა მიღებული. პირველად სასურველ კანდიდატს 1933 წელს მისცა ხმა. ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება სწორედ ამ წელს მოიპოვეს. ■

პოლიციელებმა რუსი კაციჭამია დააკავეს

მოსკოვის შს სამმართველოს თანამშრომლებმა კაციჭამია დააკავეს. სამართალდამცველები ორი კვირის განმავლობაში, კოლექტორებსა და სარდაფებში ადამიანის სხეულის ნაწილებს პოულობდნენ. ადამიანის ორგანოები დაკავებულის სახლთან ახლოსაც იპოვეს. კანიბალიზმში ეჭვმიტანილი ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში აღრიცხვაზეა აყვანილი. მის მაცივარში პოლიციელებმა ადამიანის გაყინული ღვიძლი იპოვეს. დაკავებულმა აღიარა, რომ საკუთარი ნაცნობის მოკვლის შემდეგ, მისი სხეული დაანაწევრა, რამდენიმე ორგანო სახლში შეინახა, დანარჩენი ნაწილები კი მდინარეში გადაყარა. ■

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ
გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

ქართველი ასმეთაური ქალის ჯარისკაცური ცხოვრება

თამარ მღებრიშვილმა ბავშვობის ოცნება აისრულა

ქართულ არმიაში მამაკაცების გვერდით ქართველი ქალებიც მსახურობენ და ისინი საკმაოდ მოტივირებულები არიან. ამაში თამართან ინტერვიუს დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ალბათ ბევრს ვერ წარმოუდგენია ახალგაზრდა ქალი ასმეთაურის რანგში, მაგრამ 28 წლის უფროსი ლეიტენანტი ამ რთულ მისიას ბრწყინვალედ ართმევს თავს.

თეა ხურცილავა

გასულ კვირას, მის გასაცნობად გორში მეხუთე ქვეით ბრიგადას ვეწვიე. ბრიგადის მეთაურმა, ბატონმა რომან შველიძემ რაციით გადასცა: „შმაგი მოვიდეს!“ გაკვირვებული სახით გადავხედე ჩემს მეგზურს, თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომელ ეკა გახოკიძეს, რადგან ქალთან ინტერვიუსთვის ვემზადებოდი. მეთაური მიმიხვდა და ღიმილით თქვა: „ჯარში ვართ! აბა, თამარს ხომ არ დავუძახებ? ამ სახელს სიყვარულით მხოლოდ მე ვეძახი, ვაჟკაცური გოგოა, თავისი საქმის პროფესიონალი!“

მალე ოთახში მოღიმარი სახით ახალგაზრდა გოგო შემოვიდა. თამარს ჯარში ყველა მამის სახელით მიმართავს: „თენგიზიჩს“ მეძახიან. იმდენად მიეჩვივნენ, სახელით აღარავინ მომმართავდა. მერე ამისთვის სასჯელიც მოიგონეს: ვინც „თენგიზიჩს“ დამიძახებდა, 50 აზიდვა უნდა შეესრულებინა. მიუხედავად ამისა, დღემდე ასე მეძახიან“, — მითხრა ღიმილით.

თამარ მღებრიშვილი *თბილისში დაიბადა და გაიზარდა. 2006 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი დაამთავრა, საერთაშორისო ჟურნალისტიკის სპეციალობით. „მთავარ გაზეთსა“ და „24 საათში“ მუშაობდა, იქაც — სამხედრო თემებზე. ამბობს, რომ ამან უფრო მეტად უბიძგა იმისკენ, რომ ბავშვობის ოცნება აეხდინა, და თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ჩააბარა.*

— მაინც რამ გადაგაწყვეტინათ ამ სფეროს არჩევა?

— ბავშვობიდან მინდოდა, სამხედრო პირი ვყოფილიყავი. 7 წლის ვიყავი, 1989 წლის 8 აპრილს დედამ მიტინგზე რომ წამიყვანა. სამშობლოს სიყვარულს ბავშვობიდან მინერგავდა. 22 წელი გავიდა სისხლიანი ტრაგედიიდან, მაგრამ კარგად მახსოვს იმ ღამის ცალკეული მომენტებიც, კერძოდ — კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდება. დედას ვთხოვდი, სცენაზე ავეყვანე: ძალიან მინდოდა, წამეკითხა ლექსი — „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“. სცენისკენ წავედით, მაგრამ დედას ჯგუფელი შეგვხვდა და უთხრა, — სცენაზე კი არა, ბავშვი დროზე გაიყვანე აქედან, ტანკები უკვე შემოსულიაო. მეტროთი წავედით შინ. მეორე დღეს, 9 აპრილს, მძიმე ვითარების მიუხედავად, რუსთაველზე დედამ მაინც მიმიყვანა. ერთადერთი „კადრი“ მახსოვს — მიწაზე მოფენილი ყვითელი ყვავილები და სისხლის წვეთები... ვფიქრობ, ეს ემოციები ქვეცნობიერად ჩემში დაგროვდა და შემდეგ ამან გამოიწვია ჩემი არჩევანი. სკოლის პერიოდიდან ჩემი ქვეყნის სადარაჯოზე დგომისკენ მივისწრაფოდი. ახლა ვცდილობ, ჩემი პატარა წვლილი შევიტანო ქვეყნის დაცვასა და გამთლიანებაში.

— თოჯინების ნაცვლად, იარაღით თამაში ხომ არ გიყვარდათ?

— პატარაობიდანვე დაბრკოლებების გადალახვა მიყვარდა. ბავშვები რომ იტყოდნენ, — იქ ვერ გადავძვრები, ამას ვერ გავაკეთებო, — ეს ჩემთვის უცხო იყო. სოფელში ხის კენწეროზე ხშირად ავდიოდი. ერთხელ ჩამოვვარდი და ცხვირ-პირით ისე მაგრად დავენარცხე მიწას, არ ეგონათ, თუ გადავრჩებოდი. მოუსვენარი, აქტიური გოგო ვიყავი.

— ჯარში თქვენს წასვლას ოჯახი როგორ შეეგება?

— უნივერსიტეტში საერთაშორისო ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, სამხედრო აკადემიაში სასწავლო კურსის გასავლელად რომ მივედი. მითხრეს, რომ უმაღლესის დიპლომი უნდა მქონოდა. ჟურნალისტიკა რომ დავამთავრე, ისევ მივედი, მაგრამ გოგონების მიღებაზე უარს ამბობდნენ. ფარ-ხმალი მაინც არ დავყარე — გარკვეული ხნის შემდეგ აკადემიაში დავრეკე და გავიგე, რომ გოგონებს უკვე იღებდნენ. სახლში იცოდნენ, ყველაფერი, რაც ამ სფეროს ეხებოდა, როგორ მიყვარდა. ჯერ დედას ვუთხარი, სწავლის გაგრძელებას იქ რომ ვაპირებდი, მერე მამას შევაპარე. ჩემმა ძმამ საბუთების შეტანის შემდეგ გაიგო და არ მოეწონა. მართალია, ბევრჯერ უამაყია ჩემით, მაგრამ დღესაც ვერ ეგუება და არ მოსწონს, ჯარში რომ ვარ. ქალი ჯარში და თან ასეულის მეთაური — ბევრს აკვირვებს. აკადემიის დამთავრების შემდეგ, მეხუთე ბრიგადაში კავშირგაბმულობის კვანძის უფროსად



კავშირგაბმულობის კუთხით გავიარე მომზადება. ერთ-კვირიანი საველე მომზადებაც გავიარე დიდი ინტერესით

დამნიშნეს; მერე ასეულის მეთაურის მოადგილედ გადამიყვანეს. აგვისტოს ომის შემდეგ, ამერიკაში წავედი სასწავლებლად. წარმატებით გავიარე კავშირგაბმულობის ოფიცრის 8-თვიანი კურსი. 2009 წლის აგვისტოს ბოლოს დავბრუნდი და ასეულის მეთაურად დამნიშნეს.

— ქალისთვის ალბათ რთული სამხედრო მოსამსახურის ცხოვრების წესებთან შეგუება, არა?

— გაგიკვირდებათ, მაგრამ საერთოდ არ გამძნელებია. ძალიან რთული კარანტინი ანუ — საწყისი საბრძოლო მომზადება გავიარეთ. როცა სამხედრო ცხოვრებაზე გადადიხარ, როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ფიზიკური მომზადების გავლა გიწევს. ეს ადვილი ნამდვილად არ არის. სწორედ კარანტინში ყალიბდება ადამიანი ჯარისკაცად. ჩვენ ეს პერიოდი საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში გავიარეთ.

— როგორც ვიცი, ამ წვრთნებს ხშირად მამაკაცებიც ვერ უძლებენ და კარანტინის დროს უარს ამბობენ ჯარისკაცობაზე, თქვენ ეს როგორ მოახერხეთ?

— საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში მართლაც რთული წვრთნები იყო. ალბათ ჯიხვები არ დადიოდნენ ისეთ ადგილებში, სადაც ჩვენ გვიწევდა სიარული. 24-საათიანი მარშიც გვქონია. განგაში ღამის 2 საათზე ატყდა და უკან მეორე ღამის 12 საათზე დავბრუნდით. ფეხზე ძლივს ვიდექით და ერთი სული გვქონდა, იარაღი ჩაგვებარებინა. სულ 6 გოგო ვიყავით, არც ერთი კარანტინიდან არ წამოსულა. სამაგიეროდ, ბევრი მამაკაცი წავიდა, ხოლო დიდი ნაწილი მხოლოდ იმიტომ დარჩა, რომ ჩვენს შემხედვარეს, შერცხვა... ამ ყველაფრისთვის ფსიქოლოგიურად ვემზადებოდი. შინაგანად ყოველთვის მჯეროდა, რომ მიზანს მივაღწევდი და ალბათ ამიტომ არ გამიჭირდა... ერთ დღეს, ოცეულები დაბრკოლებების გადალახვაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. გრძელი მორით ტალახში სირბილით უნდა შევსულიყავით, მერე მორი დაგვედო და ხოხვა-ხოხვით, ბოლოში გავსულიყავით. ხოხვის რამდენიმე სახეობა არსებობს. დიდი, გრძელი მორი ერთად ვზიდეთ, მერე ჩვეულებრივად ვხოხავდით და უეცრად სერჟანტმა ბრძანა, — დაბალი ხოხვით წამოდითო! — ანუ ტალახში სახეჩარგულებს უნდა გვეხოხა. ორივე ლოყა კარგად დავისვარე, რომ ჰგონებოდა — ზუსტად შევასრულე ბრძანება... ჩემი ხოხვა მაინც არ მოეწონა და ფინიშამდე რომ მივედი, ისეთი ტალახიანი ხელები მომადო ლოყებზე, რომ ტალახი ყურში ჩამივიდა და აღარაფერი მესმოდა. მაშინ მივხვდი, ჯარში რომ ვიყავი... საბოლოოდ, ტალახი ტანზე შეგვახმა.

იციან, უსამართლოდ არავის მოვექცევი. დასჯითაც ბევრი დამისჯია

— ფიზიკურადაც მომზადებული იყავით? ბავშვობაში სპორტის რომელიმე სახეობაზე ხომ არ დადიოდით?

— არა. ოცნებად დამრჩა ცურვაზე სიარული. მუსიკასა და ცეკვაზე მატარეს. როცა გავიგე, რომ მანდილოსნებს იღებდნენ, 3 კვირა მქონდა დარჩენილი ფიზიკური მომზადებისთვის. უნარების გამოცდაც უნდა ჩამებარებინა. მათემატიკის მასწავლებელი ავიყვანე. დილას ვვარჯიშობდი, მერე მათემატიკას ვსწავლობდი, საღამოს ტრენაჟორებზე დავდიოდი. უფლის წყალობით, 3 კვირაში ყველაფერი მოვასწარი და 98 ქულა დავაგროვე.

— სამხედრო ფორმაში საკუთარი თავი მოგეწონათ?

— აკადემიაში ფორმაში გამოწყობილ ოფიცერ ქალებს რომ ვხედავდი, ერთი სული მქონდა, მეც როდის ჩავიცვამდი. ჩვენს ატელიეში ძალიან კარგი ქალბატონი მუშაობდა: ფორმა რომ ჩავიცვი, მკლავები ლამაზად ამიკეცა — ანუ ისე ჩავიცვი, როგორც ოფიცრებს ეცვათ. მოწყობაზე რომ დავდექით, გვიბრძანეს, მკლავები ჩამოგვეშალა. ჯარში აუცილებელია, ბრძანებას დაემორჩილო... ქუჩაში ფორმით არ დავდივარ. ერთადერთი შემთხვევა იყო — თავდაცვის სამინისტროში უნდა მივსულიყავი და საალღუმო ფორმა ჩავიცვი, თავზე შავი ბერეტი მეფარა. ქუჩაში მამაკაცების გაკვირვებულ და მოწიწებით სავსე მზერას ვამჩნევდი... იმდენად შევეჩვიე სამხედრო ფორმას, სახლში რომ ვბრუნდები, სხვა ტანსაცმლით უკვე დისკომფორტს ვგრძნობ. იყო პერიოდები, სახლში საერთოდ ვერ მივდიოდი, რადგან მეთაურის მისია დიდ ენერგიასა და დროს მოითხოვს. მართალია, ჩვენს ასეულს ბრიგადის კავშირის უზრუნველყოფა ევალება, მაგრამ გარდა ამისა, ჩვენთან მეცადინეობები ისევე მიმდინარეობს, როგორც ქვეით ქვედანაყოფებში.

— რომელ იარაღს ანიჭებთ უპირატესობას? მიზანში კარგად ისვრით?

— იარაღი ძალიან მიყვარს და მინდა, პირადი იარაღიც მქონდეს. შერჩეული მაქვს „ვალტერის“ სასურველი მოდელიც. არც ძალიან დიდია და არც პატარა, „ქალურია“. მიზანში ძალიან კარგად ვისვრი. ე.წ. კარანტინის დროს 9 ტყვიას გვასროლინებენ

ასეულის მეთაური ქალი ამერიკაშიც არ შემხვედრია, თუმცა ჯარში ქალი არ უკვირთ

— ცხრავე მიზანში გავარტყი. მეთაური გაოცდა. მკითხა, — ადრეც გისვრიაო? — კი, ახალ წელს ჰაერში გამისვრია-მეთქი...

— **ამბობენ, რომ მკაცრი მეთაური ხართ. დასჯის რა მეთოდებს იყენებთ?**

— უდიდესი პასუხისმგებლობაა, იყო ასეულის მეთაური. ეს ძალიან დიდ ენერგიას მოითხოვს. უმთავრესია — განათლება, გამოცდილება. პრინციპული და ერთგული ადამიანი ვარ, რასაც მავალებენ, მთელი გულით ვაკეთებ. ვფიქრობ, ჩემი იმედი ზემდგომსაც აქვს და ჯარისკაცებსაც. იციან, უსამართლოდ არავის მოვექცევი. დასჯითაც ბევრი დამისჯია. ვცდილობდი, სამართლიანი ვყოფილიყავი. ელემენტარული რამის გამოც მიმიცია შენიშვნა ჯარისკაცისთვის, რადგან მიმაჩნია — თუ წვრილმანს აპატიებ, მერე შეიძლება, მეტი გააკეთოს. ძალიან მკაცრადაც არ დამისჯია... ასეული მოწყობაზე რომ დადგება, შორიდან ვხედავ, იმ 100 კაციდან რომელიმე თუ მოეშვება და უნებურ მოძრაობას გააკეთებს... ყოველთვის ვცდილობდი, ჩვენი ურთიერთობა პატივისცემაზე ყოფილიყო აგებული, თორემ ჩემი რატომ უნდა შეშინებოდათ?! ერთად საქმის კეთება კარგად გამოგვდის.

— **როგორც ქალს, ჯარისკაცები ხომ არ განებივრებენ?**

— როცა მეთაური ხარ, მანდილოსანი არა ხარ. ჯარში სქესი არ არსებობს. ყველანი ბრძანებას ვასრულებთ.

— **როცა მამაკაცები იგებენ, რომ ოფიცერი ხართ, თან — ასმეთაური, რა რეაქცია აქვთ?**

— ეს შოკია მათთვის. ვცდილობ, ამის აფიშირება არ მოვახდინო. ასეულის მეთაური ქალი ამერიკაშიც არ შემხვედრია, თუმცა ჯარში ქალი არ უკვირთ. ჩვენთანაც საკმაოდ მომრავლდნენ ქალები.

— **რა მოგცათ ამერიკაში გატარებულმა პერიოდმა?**

— ინგლისურს კარგად ვფლობ. აკადემიის დამთავრების შემდეგ, ქვეითი ოცეულის მეთაურის წოდება მომანიჭეს. ამერიკაში კი კავშირგაბმულობის კუთხით გავიარე მომზადება. ერთკვირიანი საველე მომზადებაც გავიარე დიდი ინტერესით. კარავში ვცხოვრობდით, ურთულეს დავალებებს ვასრულებდით. საშინელ კლიმატურ პირობებში ვცხოვრობდით, შხამიანი მწერები არ გვასვენებდნენ. ხალხი დასივებული დადიოდა, მე კი რატომღაც არ მეკარებოდნენ... ასეულში სულ 5 უცხოელი ვიყავით. ერთ დღეს, გოგო მეუბნება, — შენ უკან გველიაო. კბენას ძლივს გადავურჩი. ნელ-ნელა ავდექი და ფეხი პირდაპირ თავზე დავადე. გოგო გაგიჟდა — ფეხით თავი მოვაჭერი. მერე სხვებმაც შეიტყვეს და გმირივით მიყურებდნენ.

— **როგორც ვიცი, შეყვარებული გყავთ, თქვენს არჩევანს როგორ შეეგუა?**

— ამ თემაზე საუბარი არ მსურს — ეს ჩემი პირადი ცხოვრებაა.

— **ამბობენ, კარგ ჰიცას აკეთებთ, მართალია?**

— საოჯახო საქმეებსაც ვაკეთებ და ყველაფერი მეხერხება, მაგრამ სამწუხაროდ, საამისოდ დრო არ მრჩება. ქარგვაც ვიცი. ყველანაირ კერძს ვამზადებ და კარგი ტორტების ცხობაც დედამ მასწავლა.

— **ახლა რაზე ოცნებობთ?**

— ერთადერთი ოცნება მაქვს — ის, რაც ყველა ჯარისკაცს: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; თან მინდა, ეს ოცნება მალე ამიხდეს.

P.S. როგორც შევიტყვე, ჩვენი შეხვედრის შემდეგ თამარ მღებრიშვილი დააწინაურეს და დაგეგმარების ოფიცრად გადაიყვანეს. თუ მანამდე მის ასეულს მოცემული დავალებების შესრულება უწევდა, ახლა უკვე ამ დავალებების დაგეგმვა მას მოუწევს. ახალგაზრდა ოფიცერ ქალს წარმატებებს ვუსურვებთ!

■

9 ტყვიას გვასროლინებენ – ცხრავე მიზანში გავარტყი

პენსიონერი გიორგი ასანიძე

გასესხებული ფულის დაბრუნებას ნატრობს...

მინიდოსიე:

გიორგი ასანიძე 1975 წლის 30 აგვისტოს საჩხერეში მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. მამა მაღაზიაში მუშაობდა, დედა — ძირითადად დიასახლისობდა და ასე, გაჭირვებით ზრდიდნენ 8 შვილს. ბევრი ფული არასდროს ჰქონიათ და ამიტომ ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც მშობლებისგან მემკვიდრეობით ერგოთ, — ერთმანეთის სიყვარულია.

მეუღლე — თეა კოტუა 1977 წლის 15 დეკემბერს ოჩამჩირეში დაიბადა. ერთმანეთი ბორჯომში გაიცნეს და ორ წელიწადში იქორწინეს კიდეც. გიორგი მაშინ 20 წლის იყო, თეა კი — 17-ის. 4 შვილი შეეძინათ: მარიამი 1996 წლის 9 აგვისტოს, ოლიმპიადის დახურვის დღეს დაბადებულა, მომდევნო — კახი 2000 წლის ოლიმპიადის დახურვის დღეს, ტყუპი — საბა და სალი 2003 წელს, ხარებას არიან დაბადებული.

ნინო ჯავახიშვილი

11 წელი საერთო საცხოვრებელში

ცხოვრება საინტერესო იმიტომაა, რომ არ ვიცით, წინ რა გველოდება, თუმცა არასდროს შემშინებია და ფარხმალი არ დამიყრიაო, — მითხრა საუბრისას გიორგიმ. ცხოვრების უფრო საინტერესო და წარმატებულ ეტაპამდე კი მან ბევრი გაჭირვება გამოიარა. ზოგჯერ არსებობისთვის აუცილებელი მინიმუმიც კი არ ჰქონია და ყოველთვის საკუთარი თავისა და მარჯვენის იმედად იყო...

— 16 წლის ვიყავი, როდესაც მე და ჩემი დეიდაშვილი საქონელს იაფად ვყიდულობდით და რაიონში მაღაზიებს ძვირად ვაბარებდით. 2-2 ათასი მანეთი დაგვრჩა. სკოლას ვამთავრებდი და მახსოვს, იმ ფულით რაღაცები ვიყიდე, ნაწილი კი შევინახე — თბილისში სავარჯიშოდ მინდოდა წამოსვლა. ასე რომ, ოდესმე თუკი ბიზნესში წავალ, როგორმე ამასაც დავადგამ თავს...

— არასდროს დაგხმარებიათ ვინმე?

— როგორ არა?! მეგობრები, ვინც იმ დროს უფრო შეძლებულად ცხოვრობდნენ. იმ პერიოდში მხარში ამომიდგა კახი კახიაშვილი და მისი უზომოდ მადლობელი ვარ. ჩემი მწვრთნელიც ხშირად მეხმარებოდა, შეძლებისდაგვარად — მშობლებიც. დიდ შრომასა და წვალებაში გამოიწრთო ის „ფოლადი“, რომელმაც შემდეგ მაღალ ტემპერატურას გაუძლო (*იცინის*)... შემდეგ იყო წარმატებები სპორტში და სახელმწიფოსგან ხელფასის სახით ვიღებდი დახმარებას. გარდა ამისა, ერთმა კომპანიამ დამინიშნა გარკვეული თანხა. წოდებით კაპიტანი ვარ და 1993-დან 2004 წლამდე თავდაცვის სამინისტროს არმიის სპორტულ კლუბშიც ვმუშაობდი. მოკლედ, რა არ გადავიტანე, მაგრამ ერთი რამის ყოველთვის მჯეროდა — თუ ძალიან მოინდომებს კაცი და მიზნის მისაღწევად მაქსიმუმს გაიღებს, აუცილებლად მიეცემა უკეთესი ცხოვრების შანსი...

— და თქვენც გაგიმართლათ ბევრი წვალების შემდეგ?.. ქონებრივ დეკლარაციაში ის გრაფა, რომელშიც მთელი თქვენი უძრავ-მოძრავი ქონებაა ჩამოთვლილი, საკმაოდ „მსუყედ“ გამოიყურება...

— ასეა, თუმცა ზოგისგან განსხვავებით, არც მომიპარავს და არც არავისთვის წამირთმევია. ბინა, სადაც ამჟამად ვცხოვრობთ, საკმაოდ დიდი — 190 კვ. მეტრია და 2001 წელს შევიძინე. მოგეხსენებათ, იმ წელს მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი და საკმაოდ დიდი ჰონორარი მერგო. გარდა ამისა, ერთ-ერთი ბიზნესჯგუფისგან მივიღე სოლიდური ფულადი ჯილდო და სწორედ ამ თანხით მოვახერხე ბინის ყიდვა; მართალია, სხვისი დახმარებით, მაგრამ საკუთარი შრომით.

— ალბათ ძალიან კარგი შეგრძნება იყო, ხომ?

— ძალიან კარგი?! კარგი კი არა, არაჩვეულებრივი შეგრძნება მქონდა: 11 წელი ცოლ-შვილთან ერთად, საერთო საცხოვრებელში, 20 კვადრატულ მეტრში ვცხოვრობდი, ძალიან ცუდ პირობებში, მაგრამ გავუძელით... ამის შემდეგ ამხელა ბინის ყიდვა, რა თქმა უნდა, დიდი სიხარული იყო.

— თქვენს დეკლარაციაში რამდენიმე მშენებარე ბინაც მოხვდა. ბიჭებისთვის წინასწარვე ზრუნავთ და მათთვის აშენებთ თუ უბინაობამ თავის დროზე ისე შეგაწუხათ, რომ გინდათ, ახლა ბევრი სახლი გქონდეთ?

— ორი ბიჭი მყავს და რატომაც არა?! მშობლის უპირველესი ვალი — შვილებზე ზრუნვაა და თუკი შემიძლია, რატომ არ უნდა გავუკეთო მათ ყველაფერი?! (*დეკლარანტს ჭავჭავაძის 49-ში აქვს მშენებარე ბინა და კიდევ — შარტავას 43-ში. გარდა ამისა, მის სახელზეა გაფორმებული არასაცხოვრებელი ფართობი ჭავჭავაძეზე, რომელიც 700 კვადრატულს შეადგენს. — ავტ.*). ინვესტორმა, რომელიც ჭავჭავაძეზე აშენებს კორპუსს, იკისრა ვალდებულება, რომ ააშენებს სპორტულ კომპლექსს დაახლოებით 3000 კვადრატულ მეტრ ფართობზე. იქ იქნება კრივის, ძალოსნობისა და ფარიკაობის დარბაზები, რომლებიც შემდეგ სპორტის ფედერაციის სარგებლობაში გადავა. მიწის გარკვეული ნაწილის სანაცვლოდ კი მესაკუთრეები საცხოვრებელი ფართებით დავკმაყოფილდებით. რაც შეეხება მეორე სახლს შარტავაზე: ეს არის ცნობილი „ოლიმპიური ვარსკვლავის“ ბინა, რომელიც ჯილდოს სახით მე და ზვიადაურს 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებისთვის გვერგო.

— ავტომანქანა თქვენც გყოლიათ და თქვენს მეუღლესაც. ძვირად ღირებული მანქანებია?

— თეას ჰყავდა ავტომანქანა „ჰონდა“, რომელსაც კარგა ხანია, ძვირად ღირებული ნაწილი გაუფუჭდა და ჯართადღა თუ გამოდგება, მის გაკეთებას აზრი არა აქვს. ამჟამად ჩემი „მერსედესით“ დადის, ბავშვები სკოლაში, ცეკვასა თუ ფეხბურთზე დაჰყავს და მისთვის ძნელია უმანქანობა. მე კი სამსახურის მანქანით ვსარგებლობ. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი მანქანა ძვირად ღირებულია. 2008 წლის დეკემბერში შევიძინე, დღესდღეობით 12-15 ათას დოლარამდე ეღირება. მანქანები მიყვარს, ბევრი გამოვიცვალე, ზოგი — საკუთარი ფულით ნაყიდი და ზოგიც — ნაჩუქარი. ახლო მომავალში მანქანის გამოცვლას არ ვაპირებ, ალბათ კარგა ხანს შემრჩება ეს „მერსედესი“...

,,ჩემნაირი გიჟი ქართველები ბევრნი არიან...“

საჩუქრებით განებივრებულ დეკლარანტს თვითონაც უყვარს სხვებისთვის რამის ჩუქება და სიურპრიზის მოწყობა, თუმცა საჩუქარს მისი ფასით არასდროს განსაზღვრავს. შეიძლება, სულ უბრალო ნივთმაც კი გაახაროს. პრეტენზიული არც მისი მეუღლე ყოფილა. პარლამენტარი ცხოვრობს დევიზით — „რასაცა გასცემ, შენია...“ და როდესაც ფული აქვს, დიდი სიამოვნებით ხარჯავს კიდეც. კითხვაზე, — ქეიფის შემდეგ ფულის გადასახდელად თუ „გიჟიდავიათ“-მეთქი? (ხომ იცით, ფულის გადასახდელად გაწევ-გამოწევა ქართველებისთვის დამახასიათებელია) — მიპასუხა: ხშირად მომხდარა ასეც, რადგან ჩემნაირი „გიჟი“ ქართველები ბევრნი არიანო. ამის საშუალებას კი დეპუტატის ყოველთვიური შემოსავალი აძლევს, თუმცა ფულის დაზოგვაც ეხერხება, რისი წყალობითაც, ნაღდი ფული — 5.000 ლარი გადაუნახავს.

— ოთხი შვილი და ბევრი დედმამიშვილი მყავს და ფულს უგზოუკვლოდ ნამდვილად არ ვხარჯავ. თანაც, არც ისე დიდი ფულის პატრონი ვარ. ყოველწლიურად ხელზე 36.000 ლარს ვიღებ (*ანუ — თვეში 3.000 ლარს. — ავტ.*); ხელფასიდან საოჯახო დაზღვევის თანხაც მექვითება. მეუღლე არ მუშაობს, შვილებს მოვლა-პატრონობა ხომ უნდა?

— თვითონ როგორი მამა ხართ?

— (*იცინის*) შვილების რაოდენობა განსაზღვრავს, როგორი მამაც ვარ. ბავშვები რომ არ მიყვარდეს, ოთხი შვილი კი არ მეყოლებოდა.

— დეკლარაციაში მითითებულია — ბანკში საპენსიო ანგარიშზე არსებული ნაშთიც — 1.000 ლარი. სხვა შემოსავალიც გაქვთ?

— პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ყველა ოლიმპიურ ჩემპიონს სიცოცხლის ბოლომდე ყოველთვიური 1.000-ლარიანი პენსია დაენიშნა, რაც მისასალმებელია. 25-მდე პენსიონერი ვართ და ეს თანხა სახელმწიფოსთვის უსაშველოდ დიდი არ უნდა იყოს...

— საკმაოდ სოლიდური სოციალური დახმარებაც მიგიღიათ ერთ-ერთი ბიზნესჯგუფის ფონდიდან.

— ყველა წარმატებული სპორტსმენი, მსახიობი თუ მუსიკოსი იღებს ამ ფონდიდან ქველმოქმედების სახით ფულად დახმარებას. მე 36.000 ლარი მივიღე.

ჩემი „მერსედესით“ დადის, ბავშვები სკოლაში, ცეკვასა თუ ფეხბურთზე დაჰყავს

— თქვენ თუ გრჩებათ ფული სხვების დასახმარებლად?

— ბევრ ადამიანს დავხმარებივარ, თუმცა სამწუხაროდ, ყველას ვერ გასწვდები.

— ფულის გასესხებაც ხშირად გიწევთ?

— ოხ, ნეტავ მევალეები დამიბრუნებდნენ ჩემს ფულს და აღარაფერს ვჩივი!..

— ესე იგი, აღარავინ მოგაკითხოთ ფულის სასესხებლად, ხომ?.. საახლობლო წრეში გაასესხეთ?

— კი. ხომ იცით, როგორც ხდება... ოლიმპიური თამაშების შემდეგ გავასესხე ფული და ჯერაც არ დაუბრუნებიათ. ალბათ არა აქვთ და რა ქნან?! თუ მექნება, კიდევაც გავასესხებ, რატომაც არა?! ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა. ჩემმა ერთმა მეგობარმა მეორეს ფული რამდენჯერმე ასესხა. როდესაც იმან კიდევ ერთხელ სთხოვა, პირველმა უპასუხა: სახლში ასვლა მეზარება, ადი, ბალიშის ქვეშ ხელი შეყავი და აიღეო. მართლაც წავიდა, მაგრამ უკან ხელცარიელი დაბრუნდა, — ვერაფერი ვიპოვეო. ჩემმა მეგობარმა უთხრა: ბიჭო, არაფერი მოგიტანია და რაღას იპოვიდიო?! დაახლოებით ასე ვარ მეც. სანამ ვალს არ დამიბრუნებენ, გასასესხებელი ფულიც არ მექნება...

ვალის დაბრუნების მოლოდინში კი ძალოსან პარლამენტარს ყოველდღე ჯიბეში თურმე ცოტა ფული უდევს. როცა არ გაქვს, ჯიბეში ბევრ ფულს როგორლა ჩაიდებო?! — მითხრა და ისიც გულახდილად გამიმხილა, რომ დილით 300 ლარი ბანკომატიდან ამოიღო, რადგან სახარჯო თანხა აღარ ჰქონდა... ამაზეა ნათქვამი — ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო... ■

ავეჯის სალონი “კლასიკა” იტალიური ავეჯის და ტექსტილის დიდი არჩევანი

სასადილო გარნიტური
“ელიასაბეტი”

ტყავის სამეული

ალ. ყაზბეგის 14ბ ✆ 38 88 11
ც. დადიანის 7, “ქარვასლა”, I სარ. ✆ 66 10 50 www.classica.com.ge
კლასიკა Classica

მღელვარება სირიაში და დამასკოში დარჩენილი ქართველი სტუდენტი

„ამ ლამაზი ქალაქის ქუჩებში გგონია, დროში მოგზაურობ“

რამდენიმე კვირაა, სირიაში პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, საპროტესტო გამოსვლები გრძელდება. ანტისახელისუფლებო გამოსვლებს 2 თვეში 500-ზე მეტი ადამიანი შეეწირა. ათასობით დემონსტრანტი დაპატიმრებულია. დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სირიაში მყოფ ჩვენს მოქალაქეებს ქვეყნის დატოვება ურჩია. დამასკოს უნივერსიტეტში 11 ქართველი სტუდენტი სწავლობდა. 10-მა სწავლის ვადაზე ადრე შეწყვეტა გადაწყვიტა და სამშობლოში დაბრუნდა. იქ ამჟამად მხოლოდ ერთი ქართველი სტუდენტი — მანანა გეგია რჩება.

თეა ხურცილავა

მანანა პროფესიით აღმოსავლეთმცოდნეა. წლების მანძილზე ჟურნალისტად მუშაობდა. ბოლო ხანს ჟურნალ „სარკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე იყო. თითქმის ერთი წელია, სტუდენტის სტატუსით სირიაში ცხოვრობს. დამასკოში საქართველოს საელჩოს ინფორმაციით, ქვეყანაში ასევე, რამდენიმე ათეული ქართველი დარჩა. მათი უმრავლესობა ბიზნესსაქმიანობითაა დაკავებული.

რა ვითარებაა რეალურად სირიაში — ამის გასარკვევად ჩვენს კოლეგას დავუკავშირდით. პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მანანა პრესასთან ურთიერთობის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მაგრამ მაინც დავიყოლიე.

— თქვენს ადგილზე რომ ვიყო, სირიაში დარჩენა ალბათ გამიჭირდებოდა: ამ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში უცხო ქვეყანაში ყოფნა არ გეშინიათ?

— დაწყებული საქმის შუა გზაზე მიტოვება არ მიყვარს და რაც მთავარია, ჯერ ვერ ვხედავ, სირიაში ისეთი მოვლენები არ ხდება, რომ აქაურობის დატოვება და საქართველოში დაბრუნება აუცილებელი იყოს. უფრო მეტიც — ვფიქრობ, დღეს აქ პოლიტიკური სიტუაცია რაიმე სერიოზულ ცვლილებას არ მოასწავებს, თუ გარე ძალები არ ჩაერევიან. ცვლილებების მოთხოვნა არსებობს, მაგრამ მზადყოფნა — არა. ისიც ვიცი, სიტუაცია თუ აირევა, დიდი ხნით აირევა და აქ მერე მართლა გართულდება სასწავლებლად ჩამოსვლა. არაბული ენის შესასწავლად კი ამაზე უკეთესი ქვეყანა არ მეგულება. ამ თვალსაზრისით, იემენიც კარგია, მაგრამ იქ რაც ხდება, თქვენც კარგად იცით. არჩევანი თითქმის არა მაქვს, ამიტომ ვცდილობ, ჩემი მიზნის მისაღწევად დრო მაქსიმალურად გამოვიყენო.

ცვლილებების მოთხოვნა არსებობს, მაგრამ მზადყოფნა – არა

— ქუჩაში ხალხს ხოცავენ, ასეულობით ადამიანი უკვე შეეწირა ამ გამოსვლებს — მეტი რაღა უნდა მოხდეს, ქვეყანა რომ დატოვო?

— მე სირიის დედაქალაქში, დამასკოში ვცხოვრობ. ასეთი ფაქტები კი ძირითადად, პატარა ქალაქებში მოხდა. დედაქალაქში შედარებით სიმშვიდეა. თუ დამასკო არ აიღებს ინიციატივას ამ პროცესებში და თუ არ დაიწყება აქ მასშტაბური გამოსვლები, ვფიქრობ, ოპოზიცია რაიმე სერიოზულ შედეგს ვერ მიაღწევს. ეს გამოსვლები ხალხმრავალი ნამდვილად არ არის. როგორ ფიქრობთ, 22-მილიონიან ქვეყანაში თუნდაც 100 ათასი კაცის გამოსვლა რამეს შეცვლის?! დამასკო ჩვეული რიტმით ცხოვრობს, სწავლა არ შეწყვეტილა; ქალაქში ელექტროენერგია, წყალი მუდმივად არის. მარტში, როცა გამოსვლები დაიწყო, სანამ ჯარი დარყასა და სხვა ქალაქებში შევიდოდა, დამასკოში კონტროლი გააძლიერეს; აუცილებელი იყო, ქუჩაში გასულს პასპორტი ან სტუდბილეთი თან გვქონოდა. სხვა შეზღუდვა აქ არ ყოფილა. პირადად ჩემთვის, მართლა არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ აღდგომის ღამე ტაძარში ვერ გავათენე.

— რატომ?

— პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, პატრიარქმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღდგომის წირვა დილის 6 საათზე დაწყებულიყო და ღამისთევა არ ყოფილა.

— კონკრეტულად, რა სახის მოთხოვნები აქვს ოპოზიციას?

— ამბობენ, რომ დემოკრატიული ცვლილებები უნდათ, მაგრამ აქციის საფუძველი, ეკონომიკურ პრობლემასა და რელიგიურ დაპირისპირებაში უფრო იკითხება. მე აქ 12 წლის წინათაც ვიმყოფებოდი და სიმართლე გითხრათ, დემოკრატიული თვალსაზრისით, ცვლილებები ნამდვილად მოხდა. მაშინ პრეზიდენტის სახელის აუგად ხსენებასაც ვერავინ ბედავდა, ახლა თავისუფლად ლანძღავენ. რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის. ძველ დროსთან შედარებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სახელმწიფოს საზღვარი თითქმის ღიაა, შეზღუდვები არ არის. მაშინ საქართველოში ფაქსის გამოგზავნაც პრობლემას წარმოადგენდა; ახლა „სკაიპით“ გელაპარაკებით. როცა აქ ჩამოვედით, „ფეისბუკი“ აკრძალული იყო, ახლა მისი გამოყენება დაუშვეს. რაც შეეხება ეკონომიკას — ამ სფეროში ცვლილება თითქმის არ შეიმჩნევა. დედაქალაქში ერთადერთი ახალი შენობა დგას — სასტუმრო „4 სეზონი“, სხვა ყველაფერი ისევ ისეთი დამხვდა, როგორიც წლების წინ დავტოვე. თითქოს ეს 12 წელი არც გასულა. სამაგიეროდ, ფასები კატასტროფულად გაზრდილია. მიკვირს, მოსახლეობა როგორ ცხოვრობს. რაც

— აქ ინახებოდა იოანე ნათლისმცემლის თავი

შეეხება რელიგიურ დაპირისპირებას — სირია ის ქვეყანაა, სადაც ერთად ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები. ისლამი, სექტები, ქრისტიანობა და სხვა რელიგიები — თანასწორი უფლებებით სარგებლობს. ამას კანონიც არეგულირებს. ბოლო მოვლენების დინამიკას თუ დავაკვირდებით, სუნიტ არაბებსა და ალავიტებს (შიიტი მუსლიმანები) შორის რელიგიური დაპირისპირება აშკარადაა. ამას ისიც ცხადყოფს, რომ ყველა საპროტესტო გამოსვლა პარასკევს — სუნიტების ლოცვის შემდეგ იმართება. ალბათ იცით, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ბასარ ალ ასადი — ალავიტია. სირიას, მუსლიმურ სექტებს შორის სისხლიანი დაპირისპირების ძალიან მძიმე ისტორია აქვს. სანამ ახლანდელი პრეზიდენტის ბასარ ალ ასადის მამა, ჰაფეზ ალ ასადი ხელისუფლებაში მოვიდოდა, საშინელი ფაქტები მოხდა: მთელი სოფლები ამოწყვიტეს. ამ პერიოდის გახსენება აქაურ მოსახლეობას ახლაც ზარავს. შეიძლება, მოსახლეობის ნაწილს ცვლილება უნდა კიდეც, მაგრამ ორი რამის გამო იკავებს თავს: პირველი — სირია ისრაელთან საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნად მიიჩნევს თავს, მას, როგორც სახელმწიფოს, არ აღიარებს და არ არის დარწმუნებული, რომ ახალი ხელისუფლება იმავეს გააკეთებს; მეორე — კონდოლიზა რაისმა წლების წინ განაცხადა, რომ აშშ „გააკეთებს“ ახალ შუა აღმოსავლეთს. აქ შიშობენ, რომ შეიძლება, ყველაფერი ამერიკიდან იმართებოდეს.

— ამ ქვეყანაზე, მის ისტორიაზე რას გვეტყვით?

— სირია საბჭოთა კავშირის მე-16 რესპუბლიკად ესახებოდათ და ამ პერიოდმა მასზე დიდი გავლენა იქონია, როგორც განათლების, ისე ცხოვრების სტილის თვალსაზრისით. მაგრამ ამის მიღმა, დიდი ისტორია დგას. სირია გახლავთ მემკვიდრე შუმერების, ასურელების ცივილიზაციებისა. შემდეგ იყო ანტიკური ხანა, მერე — ქრისტიანული; საბოლოოდ ისლამი დამკვიდრდა. ამ ქვეყანაში ყველა ამ პერიოდის ძეგლი არსებობს. ხოლო დამასკოს ასაკის დადგენა დღემდე ვერ ხერხდება... დამასკო რაღაცით ჰგავს თბილისს. აქაც არის მთა, რომელიც ძალიან მაგონებს მთაწმინდას, — მას კასიონი ჰქვია. ეს სწორედ ის მთაა, სადაც კაენმა აბელი მოკლა. იქიდან 40 კილომეტრში აბელის საფლავია. დამასკოშივე არის წმინდა ანანიას სახელობის უძველესი ეკლესია და წმინდა თომას კარი. დამასკო ასევე ცნობილია ომაელთა მეჩეთით, რომელიც 708 წელს აშენდა, უფრო სწორად — ეკლესია გადაკეთდა მეჩეთად. თავიდან ის ებრაელების სალოცავი ყოფილა, მერე იქ ქრისტიანები ლოცულობდნენ, მოგვიანებით კი მეჩეთად გადაკეთდა. ეს ის ეკლესიაა, სადაც იოანე ნათლისმცემლის თავი ინახებოდა. აქ მდებარეობს ასევე ზეინაბის მეჩეთი და აქვეა მისი საფლავი. ალბათ იცით, ვისზეა საუბარი — მუჰამედის შვილიშვილსა და ხალიფა ალის შვილზე. დამასკოს ღირსება — ძველი ქალაქია, რომელიც უძველესი სახით არის შემონახული და ათასწლეულებში გაბრუნებს. დღესაც მოქმედია ჰამიდიის ბაზარი, რომელსაც აბრეშუმის გზით მოსარგებლე მოვაჭრეთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. როცა ამ ლამაზი ქალაქის ქუჩებში დადიხარ, გგონია, რომ დროში მოგზაურობ. დამასკოს ფარგლებს გარეთაც უამრავი საინტერესო რამის ნახვა შეიძლება. საინტერესოა იბლა, იდლიბი, მარი, უგარითი, თადმური ანუ პალმირა (რომაული პერიოდის ბრწყინვალე ნაქალაქარი), აფამეა, რამა, წყლის წისქვილები, ჯვაროსნების ციხე, ალეპოს ციხე. ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის კი სირია უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა, სადაც უამრავი წმინდა ადგილი და უძველესი ეკლესიაა. განსაკუთრებით რამდენიმეს გამოვყოფ: წმინდა სვიმონ მესვეტის ეკლესია — იქ დღესაც შემონახულია ქვა, რომელზეც წმინდა სვიმონმა წლები გაატარა; ქალაქი მალულა — მდებარეობს ქალამუნის მთებში, სადაც ადამიანები დღემდე ქრისტეს — არამეულ ენაზე საუბრობენ. მალულაში მდებარეობს ეკლესია, რომელიც გადმოცემის თანახმად, მსოფლიოში უძველესია. როგორც ამბობენ, იგი მაცხოვრის ჯვარცმიდან რამდენიმე წელიწადში აიგო. ამავე ტერიტორიაზეა წმინდა თეკლას სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია — „მარ თეკლა“, რომელიც წმინდა თეკლას საფლავისა და გამოქვაბულის გარშემოა აშენებული. წმინდა თეკლა ქრისტიანად რომ მოინათლა, მამამ მისი მოკვლა გადაწყვიტა; თეკლა გაიქცა და გადაწყვიტა, მთებისთვის შეეფარებინა თავი; კლდეს შეეჩეხა და გადარჩენის შანსი თითქმის არ ჰქონდა, მაგრამ მოხდა სასწაული — კლდე გაიხსნა და თეკლამ მასში გავლა შეძლო... გახსნილი კლდე აქ დღესაც არსებობს. ამ ადგილიდან ცოტა მოშორებით, შემაღლებულ ადგილას მდებარეობს ძველი ეკლესია, რომელიც მოწამეების — სერგისა და ბახუსის სახელობისაა. ეკლესიის დღესასწაული 7 ოქტომბერს აღინიშნება. რაც შეეხება „საიდ ნაიას“ — ეს მონასტერი 547 წელს არის აშენებული ბიზანტიელი იმპერატორის იუსტინიანეს მიერ. როცა იუსტინიანე თავის ჯართან ერთად, სპარსელებთან საომრად მიდიოდა, გზად ღვთისმშობელი გამოეცხადა, რომელმაც მიუთითა ადგილი, სადაც უნდა აეშენებინა ეკლესია. ეს მონასტერი დღეს იმითაც არის ცნობილი, რომ იქ წმინდა ლუკას მიერ დახატული ღვთისმშობლის ხატი ინახება (ცნობილი ოთხი ხატიდან ერთ-ერთი). ხატი სასწაულთმოქმედია. იქ უამრავი მომლოცველი დადის და სალოცავად ხშირად მუსლიმებიც მიდიან. 1980 წელს თურმე მონასტრის კიბეზე ღვთისმშობელი გამოისახა... ■


მალულა

სახე

იურისტი, ჯომარდელი, საოპერო ბანი და... სექსი 15 კაცის თანდასწრებით...

პროფესიით იურისტია, მაგრამ ექვსთვიანი მუშაობა საკმარისი აღმოჩნდა, მიმხვდარიყო, რომ ეს მისი საქმე არ გახლდათ. 3 წლის განმავლობაში კონსერვატორიაში, საოპერო ბანის განხრით სწავლობდა, მაგრამ არც ეს პროფესია აღმოჩნდა „მისი“. მსახიობი არ არის, თუმცა არაერთი როლი აქვს შესრულებული. ამასთან ერთად, სპორტის უამრავი სახეობითაა დაინტერესებული და ჯომარდობის ფედერაციის პრეზიდენტიც გახლავთ. ეს ადამიანი 3 შვილის მამა, 33 წლის დათო ქაცარავაა, რომელიც რედაქციაში გვესტუმრა და საკუთარ გატაცებებსა თუ კინოკარიერაზე გვესაუბრა.

ელენე გასილიძე

— იურისპრუდენციაში 6 თვე ვიმუშავე და მივხვდი, ამ სფეროში საკუთარ თავს ვერ ვიპოვიდი. მერე ბანკირის პროფესიაზე გადავერთე — ბანკში 7 წლის განმავლობაში ვმუშაობდი.

— მსახიობობაზე თუ გიოცნებია?

— კი. ოცნება საჭირო რამეა, რადგან ოცნებები ხდება! ბავშვობაში მსახიობობაზეც მიოცნებია და ჯომარდობაზეც... დღეს ფილმებში ვთამაშობ და აქტიური ჯომარდელიც ვარ.

— როდის შედგა შენი კინოდებიუტი?

— 2008 წელს გადამიღეს ნიკა ხომასურიძის 30-წუთიან სადიპლომო ფილმში — „დიდგორი“, რომელიც ჯერ დიდ ეკრანზე არ გასულა. ამ ფილმში ეპიზოდური როლი მქონდა. ერთ-ერთ ეპიზოდში ნაჯახით ხელში გუჯა ბურდულისკენ მივრბოდი და იმდენად ლამაზი კადრი გამოვიდა, რომ ლოს-ანჯელესში ფილმის ჩვენებისთვის დაბეჭდილ პოსტერზე ნაჯახით ხელში მოვხვდი გუჯა ბურდულთან ერთად. მერე იყო პირველი ქართული საშინელებათა ფილმი — „სპამი“. თავდაპირველად ამ ფილმში რეჟისორმა შემომთავაზა ისეთი როლი, რომელიც სექსუალური სცენის თამაშს ითხოვდა, რის გამოც უარი ვთქვი და ბოლოს, მთავარ როლზე დამამტკიცეს... თავდაპირველად, რეკლამებსა და კლიპებში ვმონაწილეობდი, მერე კინოც დაინტერესდა ჩემით.

— მაგრამ სექსუალური სცენის თამაში სხვა ფილმში მაინც მოგიხდა...

— ჰო, ასეთი როლი მაინც არ ამცდა (*იცინის*)! როგორც ჩანს, ჩემს კინოკარიერას საკმაოდ სერიოზულად მივუდექი და სულ რაღაც წელიწად-ნახევრის განმავლობაში ხუთ ფილმში გადამიღეს: „სპამი“, „მამაჩემის გელფრენდი“, „დავიწყებული მეფე“, „გაიღიმე“, რომლის პრემიერაც მალე შედგება; ვითამაშე სომხურ ფილმშიც.

— შენი ბოლო ფილმი, რომელიც ეკრანებზე გამოვიდა, „მამაჩემის გელფრენდია“...

— ნიკა ხომასურიძემ კასტინგზე დამპატიჟა და გადაწყვიტა, რომ ყოფილი მორაგბის მამის როლი უნდა შემესრულებინა. გადაღების პროცესი ძალიან სახალისო და საინტერესო იყო. ამასთან, მთელი ფილმი სულ რაღაც 14 დღეში გადავიღეთ. სახალისო, საკმაოდ დინამიკური ფილმია, მისი ყურებისას ნამდვილად არ ჩაგეძინება. ამ ფილმის შესახებ დადებითი აზრიც მომისმენია და კრიტიკაც.

— თქვი, გადაღებისას საკმაოდ კარგად გავერთეო; რაიმე ამბავს ხომ არ გაიხსენებ?

— ჰო, გადაღების პერიოდში კარგად ვხალისობდით. სიმართლე გითხრა, ბევრი დუბლის გადაღება არ მჭირდება, მაგრამ ერთი სცენა იყო, რომლის გადასაღებად 15 დუბლი მოგ-



ასეთი როლი მაინც არ ამცდა

ვიხდა. მე და ბატონი ალეკო მახარობლიშვილი (ფილმში ხელოსნის როლს ასრულებს) ოთახში შევდივართ და ვლაპარაკობთ, თუ როგორ უნდა გაილესოს გაჯით ოთახი. ამ ეპიზოდს საათზე მეტხანს ვიღებდით. ბატონი ალეკო რომ დაიწყებდა, — აი, აქ უნდა მიგაჯვაო, — სიცილისაგან ფეხზე ველარ ვიდექით.

— **წელან მითხარი, ფილმში „სპამი“ სექსუალური სცენის შესრულებაზე უარი ვთქვიო. ამ ფილმში როგორ გარისკე?**

— არ ვიცი, ალბათ გავიზარდე, როგორც მსახიობი (*იცინის*). დღემდე მივიჩნევ, რომ იმ სექსუალური სცენის თამაში, რომელიც „სპამში“ სოფი მაიერმა და მირიან ჯეჯელავამ შეასრულეს — დღესაც გამიჭირდებოდა. „მამაჩემის გელფრენდში“ შესრულებული სასიყვარულო სცენა კი საკმაოდ ზომიერი იყო. სანამ ამ სცენას გადავიღებდით, ძალიან ვნერვიულობდი. შორენა მამშვიდებდა, — კაი, დამშვიდდი, მართლა კი არ მოხდება ყველაფერიო?! რეჟისორმა მითხრა, ოთახში მხოლოდ ის ადამიანები დავრჩებით, რომლებიც სექსუალური სცენის გადაღებაში მიიღებენ მონაწილეობას, ზედმეტი არავინ იქნებაო. ბოლოს მე, შორენა, რეჟისორი და გადამღები ჯგუფი დავრჩით — ასე, 15 კაცამდე (*იცინის*)...

— **ჯომარდობის ფედერაციის ერთ-ერთი დამაარსებელი და პრეზიდენტი ხარ, თამაშობ ჩოგბურთს, აირსოფტს, რაგბის, ფეხბურთს... თუ არსებობს სპორტის სახეობა, რომელშიც ძალები არ მოგისინჯავს?**

— დროთა განმავლობაში აღმოვაჩინე, რომ სულითა და გულით, აქტიური ჯომარდელი ვიყავი და 2003 წელს ჯომარდი დავიწყე. სპორტი და აქტიური ცხოვრება ყოველთვის მიტაცებდა. ამას წინათ, გადაცემაში „ინტუიცია“ ერთ-ერთი „ექსპონატი“ ვიყავი. სოფო ნიჟარაძეს უნდა გამოეცნო, თუ რომელი ადამიანი ფლობდა სპორტის 8 სახეობას. ეს ადამიანი მე გახლდით. ჯომარდი, ჩოგბურთი, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა... თხილამურებით სრიალში „ჩაინიკობას“ გავცდი და შეიძლება ითქვას, „ტეფალის“ ელექტროჩაიდანი ვარ. რაგბისაც ვთამაშობ. რამდენიმე წლის წინ თოვლის რაგბიში, რომელიც ბაკურიანში ჩატარდა, ჯომარდელები ვეტერან მორაგბეებს ვეთამაშეთ და საქართველოს ჩემპიონები გავხდით. გული მწყდება, რომ 13-14 წლის წინ რაგბის თამაშისას ფეხი მოვიტეხე და ვარჯიში ველარ გავაგრძელე — პროფესიონალ მორაგბედ ჩამოყალიბების შანსი გავუშვი ხელიდან. თავმდაბლობის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ სპორტის ამ სახეობების დაუფლებაზე საკმაოდ ბევრი დრო და ენერგია დავხარჯე.

— **როგორ ასწრებ ამდენ რამეს?**

— თითოეული საქმე, რომელსაც ვაკეთებ, ძალიან მიყვარს, ხოლო რაც მიყვარს — კარგად გამომდის. გრაფიკი მაქვს გაწერილი. ვცდილობ, დრო გავანაწილო და ყურადღება არაფერს მოვაკლო. დასასვენებლად 100 წლის შემდეგაც მეცლება და სანამ ენერგია, დრო და სურვილი მაქვს, მანამდე უნდა გავაკეთო ყველაფერი. ჩემთვის სიცოცხლე მოძრაობაშია; როცა არაფერს ვაკეთებ, ცხოვრება ძალიან მდორედ მიედინება. ხომ იცი, ქართველები ისეთი ტიპები ვართ, სულ რომ არაფერი გვესმოდეს, კვანტურ ქიმიაზეც შეგვიძლია საუბარი, მაგრამ მე ვცდილობ, ყველაფერს არ „მოვედო“ და ოქროს შუალედი დავიცვა.

სანამ ამ სცენას გადავიღებდით, ძალიან ვნერვიულობდი

— **როგორც ვიცი, 3 შვილის მამა ხარ, არა?**

— კი, სამი პატარა მყავს: 5 წლის, 1 წლისა და 6 თვის და 5 თვის.

— **ოჯახის წევრები როგორ უყურებენ კინოთი შენს დაინტერესებას?**

— ძალიან სერიოზულად. ყოველი ახალი ფილმის ნახვისას კრიტიკის ქარცეცხლში მატარებენ. მათზე კარგად ვერავინ ხვდება ჩემს ლაფსუსებს და მუდამ მიმითითებენ. ჩემს უფროს შვილს პირველი ფილმი „სპამი“ ძალიან არ მოეწონა. სისხლიანი რომ მნახა, ავუხსენი, კეტჩუპი დამასხესმეთქი და, — რატომ დაგასხეს, რატომ ყვირიო? — ძალიან შეწუხდა. ახალ ფილმში მოვეწონე, მაგრამ ჩემზე მეტად, შორენა მოეწონა...

— **როგორც შევიტყვე, სულ მალე კიდევ ერთ ახალ ფილმში გიხილავთ.**

— კი, ივნისის ბოლოს დაიწყება ფილმის — „ჯინსების თაობა“ გადაღება, რომელშიც საკმაოდ სერიოზულ მსახიობებს გავუწევ პარტნიორობას. მთავარ როლში ვიხილავთ მაიკლ მედსენსა და კატერინა ლოკენს, საკმაოდ მაღალბიუჯეტიანი ფილმი იქნება. ახალი ფილმის გადაღებამდე კანში მსოფლიო რეკორდსმენ ფილმს — „დავიწყებული მეფე“ წავიღებთ, რომელიც ერთი უწყვეტი კადრითაა გადაღებული და 105 წუთის განმავლობაში გრძელდება. აქამდე მსოფლიო რეკორდი ეკუთვნოდა ფილმს, რომელიც 90 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა.

— **კიდევ ხომ არაფერს მეტყვი სამომავლო გეგმებზე?**

— ძალიან მინდა, ჯომარდში საქართველოს ჩემპიონატი მოვიგო და მსოფლიო ჩემპიონატზე წავიდე. საამისოდ კი გეგმა უკვე დავისახე. კინომ ბოლო დროს ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი მოიცვა და მინდა, რომ მასზე სერიოზულად ვიფიქრო. ვაპირებ, შემოდგომაზე რამდენიმე თვით ლოს-ანჯელესში წავიდე და სამსახიობო კურსები გავიარო. კინო თუ შრომის შესაბამის ანაზღაურებას მომიტანს, მთლიანად ჩავერთვები მასში. მინდა, მხოლოდ კინოთი ვიყო დაკავებული და რამდენად მოვახერხებ ამას, დრო გვიჩვენებს.

— **წარმატებებს გისურვებთ.**

— დიდი მადლობა!

■

რას ეუბნება ყველაზე ხშირად ყურში ნოე სულაბერიძე ნანკა კალატოზიშვილს?

„ძალიან ბევრი განსაცდელი გადავიტანეთ“

ნანკა კალატოზიშვილმა და ნოე სულაბერიძემ ერთმანეთი ჯერ კიდევ მაშინ გაიცნეს, როცა ვერც ნანკა წარმოიდგენდა, თუ ოდესმე ტელეწამყვანი გახდებოდა და არც ნოე აპირებდა გადაცემების პროდიუსერობას. დღეს, გარდა მეგობრობისა, ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობებიც აკავშირებთ და თუ გადაცემა „ფეისკონტროლის“ მაყურებელი ბრძანდებით, აუცილებლად შეამჩნევდით, რომ მისი მსვლელობისას ნოე წამყვანებთან ერთად მშვენივრად ერთობა.

ელენე გასილიძე



— გახსოვთ, ერთმანეთი როგორ გაიცანით?

ნანკა:

— კი, როგორ არა?! ერთმანეთი თეატრალურ ინსტიტუტში გავიცანით. მართალია, ნოე იქ არ სწავლობდა, მაგრამ ხშირად მოდიოდა. საერთო მეგობრებიც აღმოგვაჩნდა და...

ნოე:

— თბილისი პატარა ქალაქია, ყველა ყველას იცნობს. მე და ნანკას ერთმანეთი საერთო მეგობრებმა გაგვაცნეს. ნანკა რომ გავიცანი, წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ოდესმე პროდიუსერი გავხდებოდი. დღეს პირველ რიგში, მეგობრები ვართ და მერე — საქმიანი პარტნიორები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთი მეორეს ხელს უშლის. საღამოს 8 საათის შემდეგ ვმეგობრობთ (*იცინიან*).

ნანკა:

— სამსახურში სულ გვავიწყდება, რომ მეგობრები ვართ. მე თუ მკითხავთ, სწორადაც ვიქცევით, რომ მეგობრობას საქმისაგან მკაცრად ვმიჯნავთ.

— მუშაობის პროცესში თუ კამათობთ რამეზე?

— არა, ნოე ჩემი პროდიუსერია, რატომ უნდა ვეკამათო?! ვუჯერებ და სწორედ ამიტომაცაა მისი ყველა პროექტი წარმატებული. ყველამ თავისი საქმე ზედმიწევნით უნდა იცოდეს. ნოემ ზუსტად იცის, რა სჭირდება.

ნოე:

— ნანკა ძალიან ჭკვიანია, იგი ის ადამიანია, რომელსაც შემიძლია დავურეკო და აზრი ვკითხო. ყოველთვის სწორად მსჯელობს და ვიცი, რომ საღ აზრს მომაწვდის.

— ნოე, შენი პირველი გადაცემა, რომელიც ნანკას მიჰყავდა, „სიმართლის დრო“ იყო, არა?

— კი. ამ პროექტზე დასათანხმებლად ნანკას დიდხანს არ უფიქრია.

ნანკა:

— ამ გადაცემის წამყვანობაზე დათანხმება იმითაც იყო გამოწვეული, რომ ნოეს კარგად ვიცნობდი. პროექტიც ძალიან საინტერესო გახლდათ და ამ გადაცემის წყალობით მე და ნოე „მეგობრობის 24-საათიან გრაფიკში“ გადავედით. დროთა განმავლობაში კი „ოჯახად“ ვიქეცით.

— როგორია ნოე მუშაობის პროცესში?

— ნოე სულ დაკავებულია, შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალი დრო არასოდეს აქვს. სავსებით შესაძლებელია, რომ ღამის 2 საათზეც მოლაპარაკებაზე იყოს წასული რომელიმე პროექტთან დაკავშირებით. ან „ფეისბუკზე“ უნდა „დაიჭირო“, ან — ტელეფონზე ელაპარაკო. შუა საუბარში, როცა გგონია გისმენს, „სხვაგან არის“ და შეიძლება, რაიმე იდეა მოუვიდეს და მასზე ფიქრობდეს. ამას წინათ, ახალი გადაცემის იდეა მანქანაში მოუვიდა. რაღაცაზე ვსაუბრობდით, შუა ლაპარაკში თემა შეცვალა და ახალი გადაცემის შესახებ მომიყვა. ხანდახან „დაარტყამს“ ხოლმე... სულ ვამბობ, ეს ადამიანი არ უნდა ჩააფიქრო, თორემ იდეები მოსდის და მოსდის...

ნოე:

— ნანკა სამუშაო პროცესში ძალიან „კომფორტულია“. ყოველთვის იცის, რა არის გასაკეთებელი და ზედმეტი ჩიჩინი არ სჭირდება. ერთი სიტყვის თქმაც კი საკმარისია, რომ შევთანხმდეთ.

ნანკა:

— გადაცემის განმავლობაში ყურში მაშინ მელაპარაკება, როცა რამე სასაცილოს ამბობს. რაღაც „საოცრებებს“ ჰყვება ხოლმე!

— შენიშვნა თუ მოუცია ნოეს?

— რა თქმა უნდა! ხშირად არა, მაგრამ ხანდახან ვიმსახურებ. ხანდახან ყურშიც მეუბნება რამეს. შეიძლება, საუბარი სხვა თემაზე განვავრცო და თემას მაცვლევინებს.

— გადაცემის მსვლელობისას ნანკა თუ დაბნეულა?

ნანკა:

— „სიმართლის დროს“ ჩაწერისას ყოფილა ასეთი შემთხვევები. ისე კი ჩემი დაბნევა იოლი არ არის.

ნოე:

— მაშინ, როცა გადაცემა დასასრულს უახლოვდება, ვცდილობ, დავაბნიო და გავახალისო. შეიძლება, ყურში ისეთი რამ ვუთხრა, რომელიც სრულიად არ ეხება გადაცემას. ამას წინათ „მუსიკალური ლიგის“ ჩაწერისას „ფეისკონტროლის“ თემაზე ველაპარაკებოდი. ერთხელ კი „მუსიკალური ლიგის“ ჩაწერაზე მაყურებელს სამშაბათამდე ანუ „ფეისკონტროლის“ გასვლამდე დაემშვიდობა.

ნანკა:

— დავემშვიდობე მაყურებელს და ყურში მესმის ნოეს ხმა, — აბა, ახლა შენ რა ქენიო?! ვერაფრით მივხვდი, ამას რატომ მეუბნებოდა და რომ გა-

ვიხსენე, რა ვთქვი, მაგრად ვიცინეთ.

— „ფეისკონტროლის“ დროს არაერთხელ შემინიშნავს, რომ ნოე შენი და ნინის გამხიარულებაზე ზრუნავს. რას გეუბნებათ ასეთს, პირდაპირ ეთერში სიცილს რომ ვერ იკავებთ?

— ამას რა მათქმევინებს?! ყურში იმიტომ გვეუბნება, რომ ყველამ არ გაიგოს, თორემ ხომ იტყოდა საქვეყნოდ! ისეთ რაღაცებს ამბობს — არ ითქმის! ალბათ ჰგონია, რომ თავს შევიკავებთ, მაგრამ როგორ გინდა, არ გაგეცინოს?! ყურში ყველაზე ხშირად — რეკლამაო! — გვეუბნება, მაგრამ სანამ ამ ერთ სიტყვას იტყვის, წინ რამდენიმე სასაცილო წინადადებასაც ურთავს.

ნოე:

— მაყურებელი წამყვანის მხიარულ განწყობილებას ხედავს და ეს კარგია. როცა ადამიანი მხიარულობს, ეს მაყურებლებისათვის დადებით ემოციებს აღძრავს. ამიტომაც ვცდილობთ, მაყურებელი პოზიტიური ენერგიით დავმუხტოთ.

ნანკა:

— ამასთან ერთად, „ფეისკონტროლი“ „დავარცხნილი“ გადაცემების რიგს არ განეკუთვნება. აქ შემიძლია, ვიცინო და თუ ტირილი მომინდება, არც მაშინ შევიკავებ თავს.

— რამდენი ერთობლივი პროექტი გაქვთ გაკეთებული?

ნოე:

— სამი. ჯერჯერობით ჩვენი ერთობლივი პროექტების რაოდენობა ერთნიშნა რიცხვს არ აღემატება. აი, სამომავლოდ კი იმედი მაქვს, ორნიშნა ციფრზე გადავალთ.

— ნანკა, ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდი, ნოესთან მინდა მუშაობა, ვერ მომიშორებსო...

— იცი, რა ძნელია ასეთი ადამიანის პოვნა?! საქართველოში ძალიან ცოტაა ადამიანი, რომელიც იქ არის, სადაც უნდა იყოს და აკეთებს იმას, რასაც უნდა აკეთებდეს; ამასთანავე, იყოს პროფესიონალი და ხარისხიან გადაცემას აკეთებდეს, მუშაობის პროცესში ძალიან მოწესრიგებული იყოს და ყველანაირად გიწყობდეს ხელს... ნოე ზუსტად ასეთია. პირველ რიგში, ხელს მიწყობს, რომ თეატრში რეპეტიციები არ გამიცდეს. შეიძლება ითქვას, რომ გრაფიკს ჩემი დღის წესრიგის მიხედვით ადგენს. ამასთან ერთად, სრულიად ვენდობი!

ნოე:

— მე კი ვიტყოდი, რომ არ არის იოლი, იპოვო ადამიანი, რომელსაც ენდობი. ნანკა კარგ ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც ცხოვრების განმავლობაში შეიძლება, ხუთზე მეტი არ შეგხვდეს. ჩვენი მეგობრობა უამრავ „გამოცდაზე გავიდა“ და წარმატებითაც „ჩააბარა“. ასევე წარმატებით ავაწყვეთ საქმიანი ურთიერთობაც.

ნანკა:

— 2 წელია, ერთად ვმუშაობთ და ამ დროის განმავლობაში ძალიან ბევრი განსაცდელი გადავიტანეთ. ნოეს აქვს თვისება, რომ ბოლომდე გაიტანოს ადამიანი, რომელიც გვერდით ჰყავს.

ნოე:

— ვაიმე, გავწითლდი, ნანკა!

ნანკა:

— მართლა ასეთი ხარ და რა ვქნა, ტყუილს ხომ არ ვიტყვი?!

ნოე:

— ნანკას სიტყვებს რომ დაწერ, დააკოპირე და ჩემს ნათქვამადაც იგივე ჩაწერე (*იცინიან*).

— ნანკა, ვიცი, რომ ნოე შენს შეყვარებულთანაც მეგობრობს...

— წეღან ხომ ვთქვი, ოჯახი ვართმეთქი?! ნოეს მეუღლეზე ვგიჟდები, ძალიან კარგი ადამიანია. სამწუხაროდ, ხშირად არ სცალია, რომ ჩვენთან ერთად იყოს.

დააკოპირე და ჩემს ნათქვამადაც იგივე ჩაწერე

ნოე:

— ძალიან მიხარია, ნანკას ძალიან კარგი ადამიანი რომ ჰყავს გვერდით. თამამად ვიტყვი — ჩემი მეგობარი საიმედო ხელშია.

— გართობისთვის თუ იცლით?

ნანკა:

— მიუხედავად იმისა, რომ გართობისთვის ბევრი დრო არ გვაქვს, მაინც „საშინლად კარგად“ ვერთობით. მართალია, გასართობი ადგილი ცოტა გვაქვს, მაგრამ ამის გამო არასოდეს ვწუწუნებთ.

ნოე:

— ნებისმიერ ადგილას შეგვიძლია გავერთოთ. მთავარია, ერთად ვიყოთ. სულაც არ არის აუცილებელი, კლუბში ან ბარში წავიდეთ — ჩაკეტილ ოთახშიც მშვენივრად გავერთობით, ვიპოვით რამე თემას, რომელზეც მაგრად ვიხალისებთ.

ნანკა:

— ბოლო დროს სულ წვიმდა და ცუდმა ამინდმა ყველაზე იმოქმედა. საშინელი „უჟმურობა დაგვემართა“, ყველა ცუდ ხასიათზე ვიყავით. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ „ფეისკონტროლის“ დღე მოგვეწყო ერთ-ერთ კლუბში. სულ ვცდილობთ, პოზიტიური ენერგიით დავიმუხტოთ.

— ნოე, ნანკას ხელფასის ოდენობაზე ლეგენდები დადის...

ნანკა:

— უი, რა კარგია, რა კარგი! იაროს, იაროს (*იცინიან*)... ღმერთმა ქნას, მართლა იმდენი გადამიხადონ, რამდენსაც ხალხი ამბობს.

ნოე:

— მიხარია, რომ ადამიანებს ჰგონიათ, ნანკას ძალიან მაღალ ხელფასს ვუხდით. ვინაიდან მის ხელფასზე გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს შრომას აფასებენ.

— ნოე, ახლო მომავალში რაიმე ახალ პროექტს ხომ არ შემოგვთავაზებ?

— სულ ახლახან გავაკეთეთ ახალი პროექტი — „პოკერინგი“, რომელსაც გიორგი ყიფშიძე უძღვება. მაყურებელს ეძლევა საშუალება, თვალყური ადევნოს თითოეული მოთამაშის სვლას. საკმაოდ საინტერესო გადაცემა გამოვიდა და დარწმუნებული ვარ, ბევრ ადამიანს დააინტერესებს.

— ნანკასთან დაკავშირებით რამე გეგმა თუ გაქვს?

— ნანკასთან დაკავშირებით სულ მაქვს გეგმები. ჩემი და ნანკას თანამშრომლობა კიდევ გაგრძელდება.

■

„დღემდე ისეთი ვარ, როგორც ამ ფოტოზე გამოვიყურები“

ფოტოებთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. თავისი ცხოვრების ნაწილი ისე უყვარს, რომ მეც კი არ მანდო ისინი (ფოტოები არ გამომატანა — ინტერნეტით გამოგზავნა). ამბობს, რომ დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს იმასთან დაკავშირებით, რაც მის ცხოვრებას ეხება.


ქეთათო ჭეშმარიტი ქეთათოა

ელენე გასილიძე

— ბავშვობაში კარგი მადით გამოვირჩეოდი და დედაჩემიც გახარებული იყო ამის გამო. მუდამ თეთრი, ვარდისფერი, ცისფერი ან ყვითელი ფერის ტანსაცმელი მეცვა. ამ ფოტოზე გაბრაზებული გამომეტყველება მაქვს, ვიღაცის პორტმანე მომეწონა, წავართვი და გაბუსხული ვზივარ, ჩემი უნდა იყოს, არ მოგცემ-მეთქი. ბავშვობაში ბალეტზეც დავდიოდი, მაგრამ სამწუხაროდ, იმ პერიოდის ფოტოები ვერსად ვიპოვე. ნახეთ, ეს ჩემი საყვარელი ფოტოა — შავთეთრია, მაგრამ მერე მაისური გავაფერადე... ამ ფოტოში ჩემი საყვარელი მაისური მაცვია. მახსოვს, ინდოეთიდან ჩამომიტანეს და ძალიან მიყვარდა. ფერადი და ხელით ნაქარგი გახლდათ. ეს ბლუზა ჩემს ბავშვობასთანაა დაკავშირებული და ამ ფოტოზე გამოსახული ქეთათო ჭეშმარიტი ქეთათოა. დღემდე ისეთი ვარ, როგორც ამ ფოტოზე გამოვიყურები.

— ნაღვლიანი ხარ...

— ჰო, ასეთი ვარ (*იღიმის*). ეს ლოყებგაფერადებული ქეთათოს ფოტო იმდროინდელია, როცა „ოქტომბრელი“ ვიყავი. სხვათა შორის, გელა ჩარკვიანმა ეს ფოტო რომ ნახა, ჩემი შვილი, ნანა ეგონა. როგორც ჩანს, საკმაოდ ვგავართ მე და ჩემი შვილი, მაგრამ მამასაც ამსგავსებენ. ეს კი მოსწავლეობის დროინდელი ფოტოა, მონდომებით ვამბობ ლექსს. საკმაოდ კარგი მოსწავლე ვიყავი, აქტიური; ვცდილობდი, ყველა საგანი კარგად მესწავლა, მაგრამ ჰუმანიტარული საგნები მეტად მიყვარდა, ფიზიკა და ქიმია — ნაკლებად... მახსოვს, ბავშვობაში სხვადასხვა ადგილის დათვალიერება ძალიან მიყვარდა. ხშირად მივდიოდი ეკლესია-მონასტრების მოსანახულებლად.

— ამ ფოტოზე შენ და ირაკლი ხართ. როგორც ჩანს, თქვენი ურთიერთობა ახალი დაწყებული იყო...

— კი, ამ ფოტოზე ახალი დამეგობრებულები ვიყავით. 15 წლის ვიყავი, როცა მეგობარმა ირაკლი გამაცნო. ეს ფოტო კი 1989 წელსაა გადაღებული — გაცნობიდან რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ცალკე გადავედით საცხოვრებლად. ფოტოებს გურამ წიბახაშვილი გვიღებდა. ბინაში არაფერი გვქონდა, ერთი საწოლისა და სკამის გარდა. კედლებზე კი ბინის ყოფილ პატრონებს წარწერები გაეკეთებინათ... იმ დროს გადაღებული ფოტოები თეატრში რომ მივიტანე, ხალხმა მკითხა: გარაჟში ხართო? — არა, ეს ჩვენი ბინაა-მეთქი, — ვუპასუხე... ეს ფოტო ჩვენს ბოლო კონცერტზეა გადაღებული, მახსოვს, ძალიან ვნერვიულობდი ამ დღეს, მაგრამ კარგი კონცერტი გამოვიდა. მაშინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს კონცერტი ირაკლისთვის ბოლო აღმოჩნდებოდა.

— ერთად სიმღერა როდის გადაწყვიტეთ?

— მას შემდეგ, რაც ერთად ცხოვრება დავიწყეთ, დაგვებადა იდეა, რომ ერთად გვემღერა. ალბათ გახსოვთ სიმღერა — „შენ აფრენ“. ამ


ვიღაცის პორგმანე მომეწონა, წავართვი და გაბუსხული ვზივარ

გელა ჩარკვიანმა ეს ფოტო რომ ნახა, ჩემი შვილი, ნანა ეგონა

საკმაოდ კარგი მოსწავლე ვიყავი, აქტიური

სიმღერის მელოდია მოვიგონე და ვღიღინებდი. ირაკლიმ რომ გაიგონა ჩემი ღიღინი, შენ აფრენო, — მითხრა და ასე შეიქმნა ეს სიმღერა. თავდაპირველად პანკურ სტილში ჩავწერეთ, მერე კი მისი ელექტროვერსია გავაკეთეთ. ამ სიმღერას ადამიანების არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, თუმცა არა მარტო ამ სიმღერას...

— **შენი ქალიშვილი ისევ ლონდონშია, ბაბუასთან?**

— კი, ნანა იქ სწავლობს და თავსაც კარგად გრძნობს. აგვისტოს ბოლოს ველოდები მის დაბრუნებას.

— **როგორ შეეგუე მის გარეშე ცხოვრებას?**

— ადამიანი ყველაფერს ეგუება. ადრე ვერ წარმოვიდგენდი, მაგრამ დღეს ირაკლის გარეშე ვცხოვრობ. დროთა განმავლობაში ყველაფერს ეჩვევა ადამიანი. დღეს ნანასთვის ბაბუასთან ცხოვრება ჯობია. გამიჭირდა, მაგრამ უკვე შევეგუე, რომ ყოველდღე ჩემ გვერდით ვერ იქნება. ეს ფოტო მან და ბაბუამ ორიოდე წლის წინ გადაიღეს... რაც შეეხება ამ საკარნავალო ფოტოს, რომელზეც მე და ნინო ჟვანია ვართ აღბეჭდილი, შარშან ლონდონში, საახალწლო კარნავალზე გადავიღეთ. ამ კარნავალზე ყველას განსაკუთრებული ფორმა ეცვა, მხოლოდ მე მივედი კოსტიუმის გარეშე, რადგან გამოცვლა ვერ მოვასწარი. ტყავის მოკლე კაბა მეცვა, რომელსაც ისედაც ხშირად ვიცვამ. დანარჩენები კი ზღაპრის პერსონაჟების ფორმაში გამოწყობილიყვნენ.

— **როგორც ჩანს, სამზარეულოში ტრიალიც გეხერხება...**

— კი, ყველაფრის მომზადება შემიძლია, ოღონდ ხასიათზე უნდა ვიყო. ერთ-ერთი ტელევიზია კულინარიული ჩართვისთვის სიუჟეტს ამზადებდა და ეს ფოტო მაშინაა გადაღებული. მახსოვს, სამზარეულოში დამხმარე ქალი ფუსფუსებდა და ყველაფერს ის ამზადებდა. კადრში კი ჩანდა, თითქოს ყველაფერს ქეთათო აკეთებდა (*იცინის*).

— **ამ ფოტოზე აივანზე ხარ, საშინაო ფორმაში...**

— ეს ფოტო ირაკლის გადაღებულია — „ზენიტით“, სახლის ფორმაში, დაუვარცხნელს ხშირად მიღებდა... ის ასე მხედავდა. არაჩვეულებრივი, სანიმუშო მამა იყო, მამა-შვილს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა.

— **როგორც ვხვდები, ფოტოებთან განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვს...**

— არა მარტო ფოტოებთან, რაც ჩემს ცხოვრებას ეხება, ყველაფერთან განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. ფოტოები ისტორიის ნაწილია, რომელიც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სხვათა შორის, ვერ ვიტან ტურისტულ ფოტოებს. შესაბამისად, არც მე ვიღებ ფოტოს ლამაზ-ლამაზ ქუჩებსა და ღირსშესანიშნავ ადგილებში. მიყვარს ფოტოები, სადაც ადამიანის განწყობილება ჩანს. ისეთი ფოტოები — ზურგს ეიფელის კოშკი რომ უმშვენებს და წინა პლანზე ადამიანია გამოჭიმული — საშინელებაა, თითქოს ადამიანი არც ჩანს...

— **ქეთათო, ოჯახის შექმნას აღარ აპირებ?**

— თუ გამოჩნდება შესაფერისი ადამიანი, გათხოვებას არ გამოვრიცხავ, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემ გვერდით არავინაა. დღეს, როცა ნამდვილი მამაკაცები ძალიან ცოტანი არიან, რთულია, სასურველი მონახო. ამასთან ერთად, გათხოვება თვითმიზანი ხომ არ უნდა იყოს! ქალს იმდენად სერიოზული ნაბიჯის გადადგმა უწევს, დიდი დაფიქრებაა საჭირო. ■

კი, ამ ფოტოზე ახალი დამეგობრებულები ვიყავით

სახლის ფორმაში, დაუვარცხნელს ხშირად მიღებდა...

ეს ფოტო ჩვენს ბოლო კონცერტზეა გადაღებული



დღემდე ისეთი ვარ, როგორც ამ ფოტოზე გამოვიყურები

ამ კარნავალზე ყველას განსაკუთრებული ფორმა ეცვა

რატომ მათხოვროობდა ონისე ონიანი ბათუმის ბულვარში

ვინაა მისი სინდის-ნამუსი?



მსახიობ ონისე ონიანს მარჯანიშვილის თეატრში პრემიერის წინ შევხვდი. ის აზიზ ნესინის პიესაში — „კონტროლიორი“ მთავარ როლს ასრულებს. „გაზის ქურებსა და მოწყობილობას შევამოწმებ და წავალ. მამაჩემიც კონტროლიორი იყო, ბიძაჩემიც, ბაბუაჩემიც; გაგეცინებათ და — ბებიაჩემიც. ჩვენ სისხლითა და ხორცით კონტროლიორები ვართ“, — ეს ჩემი რესპონდენტის გმირის სიტყვებია. ყოველთვის ხალისიანმა მსახიობმა თავის ნაკლსა თუ დადებით მხარეებზე ინტერვიუში თამამად ისაუბრა. ერთი გამორჩა მხოლოდ — გულწრფელობა. ეს ალბათ მთავარია, რომ მისი ფსიქოპორტრეტი სრულად დაგანახვოთ.

ნინო მჭედლიშვილი

— სიზარმაცე და სიჯიუტე — ეს ის თვისებებია, რომლებიც ყველაზე მძაფრადაა ჩემს ხასიათში გამოხატული. ვიწყებ რაღაცის მტკიცებას, ვგრძნობ, არ ვარ მართალი, მაგრამ ისე მინდა ჩემი აზრის ჭეშმარიტებაში დავარწმუნო მოწინააღმდეგე მხარე თუ თანამოსაუბრე, რომ ყველანაირად ვცდილობ, ჩემი გავიტანო. ზოგადად არ ვარ კონფლიქტური. ძალიან ბევრი რამ ჩემს ხასიათში არ მომწონს. მაგალითად, ძალიან დამყოლი ვარ — შეიძლება ადამიანმა რაღაც ისეთი შემომთავაზოს, რაც მე იმ წუთში არ მინდა, მაგრამ იმდენად მერიდება უარის თქმის, რომ ვთანხმდები.

— სიჯიუტე და დამყოლობა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდის?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ესეც ჩემი მერყევი ხასიათის შედეგია. ზოდიაქოთი ცეცხლოვანი ცხენი ვარ. არ შეგეშინდეთ, მაგრამ ამბობენ, რომ ამ ნიშნის მატარებელი ადამიანები სადაც შედიან, ნგრევას იწვევენ.

— გქონია მსგავსი მომენტი?

— ერთადერთი შემთხვევა შემიძლია გავიხსენო — როცა პირველი ოჯახი დამენგრა თავზე ქორწინებიდან ძალიან მალე, 9 თვეში. არ ვიცი, ეს ჩემი ხასიათის ბრალია, ჩემი ზოდიაქოს ნიშნის თუ კიდევ სხვა რამის, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. კიდევ ერთი უცნაურობა მახასიათებს — გარკვეულ ძალას ვგრძნობ; თითქოს ვიღაც დამყვება და მეხმარება. არც მკითხავი ვარ და არც წინასწარმეტყველი, მაგრამ რაღაცებს ვგრძნობ, თან ისე, რომ არ ვცდები.

— შენს დამყოლ ხასიათზე ვსაუბრობდით. მაგალითად, მაღაზიაში, ბაზარში, გამყიდველიც იოლად დაგიყოლიებს?

— ძალიან ადვილად ვხდები რეკლამის მსხვერპლი. რადგან მთავაზობს და მიქებს, მგონია, რომ კარგია ესა თუ ის პროდუქტი. მით უფრო, თუ მიცნო გამყიდველმა, შემაქო, ამაზე სულ ვიღვენთები, უარის თქმის მერიდება. ამის გამო შეიძლება ვიყიდო ჭიანი ვაშლი, გამოუსადეგარი კარტოფილი.

— სიზარმაცე ახსენე — რა გეზარება ყველაზე მეტად?

— არ მიყვარს, ორჯერ რომ მიმეორებენ ერთსა და იმავეს. მაგალითად, პურია მოსატანი — ერთხელ რომ მეტყვი, ორჯერ, სამჯერ, უკვე ვჯიუტდები და აღარ მინდა თხოვნის შესრულება. პროფესიას რაც შეეხება (ეს უფრო სტუდენტობის პერიოდს უკავშირდება), მეზარებოდა ერთი და იმავე ეტიუდის გამეორება. არ მიყვარს იმის გაკეთება, რაც ერთხელ უკვე გაკეთებული მაქვს.

— გაკვეთილის გამეორებაც გეზარებოდა სკოლაში?


ვცდილობ, გარეთ ცუდი ხასიათი, დაღლა არ შევიმჩნიო

— გამეორება კი არა, წაკითხვაც კი მეზარებოდა. დედას გეფიცები, მასწავლებლის ახსნილს ვუგდებდი ყურს და ვიმახსოვრებდი. გეოგრაფიის მასწავლებელი მეუბნებოდა, — ონიანი, ბრინჯივით ხარ დაბნეულიო.

— ოჯახურ ურთიერთობებში იოლი ასატანი ხარ?

— კარგი იქნებოდა, ეს კითხვა ჩემი ცოლისთვის, თათიასთვის დაგესვა. მას მუდმივად ერთი პასუხი აქვს — ძალიან მძიმე. ანთებული თვალებით ვუყურებ ხოლმე ამ დროს, მაგრამ საბოლოოდ მიმაჩნია, რომ მართალია. იმის გათვალისწინებით, რომ ვცდილობ, გარეთ ცუდი ხასიათი, დაღლა არ შევიმჩნიო, შინ თავს ამის უფლებას ვაძლევ. სახლში სხვანაირი ვარ — უფრო დაღლილი, ოფიციალური, ცივი; მოკლე პასუხები მაქვს კითხვებზე. თუმცა არის პერიოდი, როცა შინაც ხალისიანი ვარ და ისე მომშტერებიან, თითქოს პირველად მნახეს. არის მერე ხორხოცი და ერთი ამბავი.

— მეუღლეს სიურპრიზებს თუ უწყობ?

— სიურპრიზებს რაც შეეხება, ამის გამო ვჩხუბობთ კიდეც. მაგალითად, მან საერთოდ არ იცოდა, მანქანას რომ ვყიდულობდი. მივედი სახლში ერთ მშვენიერ დღეს და ვუთხარი, გადაიხედე ფანჯრიდან, დღეიდან მანქანა გვყავს ოჯახში-მეთქი. სულ მეუბნება, არ მიყვარს სიურპრიზები და რატომ აკეთებ ამასო?!. რატომ ვაკეთებ, იცი? იმიტომ, რომ სანამ ერთობლივ გადაწყვეტილებას მივი-

ღებთ, დაიწყება ფიქრი თვეობით. ის ძალიან დიდხანს ფიქრობს, მე უცებ ვწყვეტ ყველაფერს. მომეწონა? მორჩა, დღესვე ვიყიდი! ის შეათვალიერებს, დააკვირდება, გამოსადეგია თუ არა. ეს პროცესი ძალიან მეზარება. მეორე მანქანაც ასე ვიყიდე. პირველი გავყიდე და მეორე ვიყიდე, მოვედი და ისევ ფანჯრიდან დავანახვე. სხვათა შორის, მეუღლეც მანებივრებს სიურპრიზებით — რაღაცას ჩუმად მიყიდის და მნიშვნელოვან დღეს გამოაჩენს ხოლმე. ეს ძალიან სასიამოვნოა.

— **როგორი ხარ გაბრაზებული?**

— სვანი! თვალებიდან ნაპერწკლები კი არა, სისხლი მდის. ვყვირი, დავხტი, კედლებზეც გავდივარ.

— **ასე რას გამოჰყავხარ მდგომარეობიდან?**

— როცა არ სჯერათ ჩემი. ასეთ შემთხვევაში უწმაწურ სიტყვებსაც ვიყენებ. უცენზურო სიტყვების თქმა სხვა დროსაც მიყვარს — როცა არ ვარ გაბრაზებული. ჩემ გვერდით მყოფი ადამიანები, მამრობითი სქესის იქნებიან თუ მდედრობითის, წითლდებიან. ძალიან ახლობელი ადამიანები ამას მივაჩვიე კიდეც, ზოგთან კი არ გამომდის. მაგალითად, ზურიკო ბერიკაშვილი არის ჩემი სინდის-ნამუსი.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში ჩემ ნაცვლად წითლდება (*იცინის*).

— **შენ როდის წითლდები? როცა ცრუობ?**

— სხვათა შორის, ხშირად ვიტყუები, ოღონდ — კეთილად. ახლა შემიძლია შენ მოგატყუო: იცი, დღეს სუპერმარკეტში ვიყავი შესული და საშინელების მომსწრე გავხდი — დახლი წაიქცა და ხალხი მოიყოლა. მე კი გადავრჩი, მაგრამ... ამ ყველაფერს ისე დამაჯერებლად მოვყვები, რომ ეჭვიც არ შეგეპარება. მაგალითად, ბუხოს (თამუნა ბუხნიკაშვილს) სულ ვატყუებ. ისეთი გაოცებული თვალები აქვს ხოლმე, ყველა დასცინის — სულელო, ყველაფერი როგორ უნდა დაიჯერო, გატყუებსო. ამ ყველაფერს იმისთვის ვიგონებ, რომ გავერთო და გარშემო მყოფებიც გავართო. ახლა უკვე სახელი გამიტყდა, არავინ აღარ მიჯერებს, დავდივარ და ვიხვეწები, მომატყუებინეთ, ხალხო, რაღაც, ცოდვა ვარმეთქი. წასულია ჩემი საქმე, ახლა სიმართლესაც აღარ მიჯერებენ.

— **ალკოჰოლთან როგორ ხარ?**

— გადასარევად. საკუთარ თავს ვეძახი „კულტურულ მსმელს“. ერთხელ დავლევ, მაგრამ ისე, რომ „წონწი“ გავხდები. ნაბახუსევზე ძალიან მორიდებული და საცოდავი ვარ. ვფიქრობ, ნეტავ რა დავაშავე გუშინ, ვინმეს ხომ არ ვაწყენინე-მეთქი? ამ დროს თუ ვინმე მირეკავს, გამარჯობის ნაცვლად, „მაპატიეს“ ვეუბნები.

— **ნაბახუსევზე მეუღლე რომ მოგიყვეს, როგორ მღეროდი წინადღეს ბათუმის ბულვარზე „შავლეგოს“, დაიჯერებ?**

— ახლა გიამბობ, რა გავაკეთე შარშანწინ ბათუმში და მიხვდები, რომ ეგ ამბავი იმასთან შედარებით იოლი დასაჯერებელია. ახალ წელს მე და ჩემმა მეუღლემ ეკა ნიუარაძეს დავურეკეთ და მანქანით მოსვლა ვთხოვეთ ჩვენთან (მაშინ მანქანა არ მყავდა). ჩავასხი საწვავი და წავედით ბათუმში. იქ გველოდებოდნენ ჩვენი მეგობრები: მანანა კოზაკოვა, ლევან წულაძე, თამუნა ღალიაშვილი. საახალწლო კონცერტზევე ხელში არყის ბოთლები გვეჭირა. კონცერტის დამთავრებისას უკვე მთვრალი ვიყავი. ნამცხვარი მომინდა. შევედით კაფეში, ვჭამეთ, გამოვედით და ვხედავ, რომ ქუჩაში ვიღაც ქალი ფულს ითხოვდა. მივუჯექი გვერდით, გამოვიწოდე ორივე ხელი და ხმამაღლა დავიწყე: „დამეხმარეთ, ხალხო, მიშველეთ!“ ნახევარ საათში 24 ლარი მოვუგროვე. გამვლელ-გამომვლელი, ყველა ჩვენთან ჩერდებოდა. ჩემი მეგობრები გარშემო იდგნენ და ხორხოცებდნენ — ვერ გამომგლიჯეს იქაურობას. რაც მე იმ ქალმა მლოცა...


საკუთარ თავს ვეძახი „კულტურულ მსმელს“

— **შვილებთან ურთიერთობაში როგორი ხარ?**

— ღილე წამოიზარდა, უკვე 16 წლისაა და სერიოზული ურთიერთობა გვაქვს, კითხვა-პასუხის რეჟიმში. პატარა 9 წლის ხდება, ჩემი მოსწავლეა სკოლაში. საერთაშორისო სკოლაში დადის, სადაც სასცენო ხელოვნებას ვასწავლი. პირველად, „ბატონო ონისეთი“ რომ მომმართა, სიცილი ამივარდა. ბავშვებმა მკითხეს, რა გაცინებთო? ძლივს გამოვძვერი სიტუაციიდან.

— **უფროსმა ქალიშვილმა ერთ მშვენიერ დღეს შეყვარებულთან ერთად რომ მოგაკითხოს სახლში, როგორი იქნება შენი რეაქცია?**

— მგონი, სახლში არ მოიყვანს. თუმცა მთავარია, ის კრიტერიუმები გაითვალისწინოს ცხოვრების თანამგზავრის შერჩევისას, რაც ჩემთვის და მისთვისაც მთავარია. სხვა შემთხვევაში ფეხებს არ გავფშეკ.

— **როგორია ეს კრიტერიუმები? როგორი გინდა იყოს თქვენი მომავალი სიძე?**

— ჩემმა შვილმა იცის, რომ უწესო ადამიანს ვერ ავიტან ოჯახში. ზრდილობიანი და ნაკითხი უნდა იყოს პირველ რიგში, და კარგი ოჯახის შვილი.

— **ასეთი ჩვენს ქალაქში დიმიტრი იყო გელოვანი და...**

— (*იცინის*) მე არ მაქვს ფულზე ლაპარაკი! მთავარი კრიტერიუმი პატიოსნება და წესიერებაა ჩემთვის.

— **ტყუილის თქმა კარგად რომ გამოგდის, ეს გავარკვიეთ. როცა შენ გატყუებენ, ამაზე როგორ რეაგირებ?**

— ო-ოო, არა, არა, მაგას ვერ ავიტან!

— **მაგალითად, მეუღლემ რომ დაგირეკოს და გითხრას, რომ მეგობართან მიდის და სწორედ ამ დროს უცნობ მამაკაცთან ერთად ნახო კაფეში...**

— (*მაწყვეტინებს*) ეს არასდროს მოხდება, ზუსტად ვიცი, მაგრამ რადგან არ იშლი, დავუშვათ. ეს ღალატის ტოლფასია. ძალიან მეწყინება, მაგრამ იქ არ „ამოვსხამ“ ოფოფებს. მათ გვერდით მაგიდასთან დავჯდები ცინიკური ღიმილით და მოვუსპობ ყოველგვარ აღმაფრენას (*იცინის*).

— **ძილის წინ ბევრს ფიქრობ?**

— არა, ვალები აღარ მაქვს. ბანკის ვალები მქონდა, მაშინ მართლაც ვერ ვიძინებდი. მერე ბინა გავყიდე, ვალი გადავიხადე და ახლა მშვიდად მძინავს.

■

ცხოვრება

„იმედი მქონდა, რომ ოსები დედაჩემს მოსაკლავად არ გაიმეტებდნენ“

ომს თავისი კანონები აქვს და ამ სიტყვების ჭეშმარიტება ქართველმა საზოგადოებამ საკუთარ ტყავზე არაერთხელ გამოცადა... 2008 წლის აგვისტოს ომი, წინა ომებთან შედარებით, ყველაზე ხანმოკლე იყო, მაგრამ იმ საბედისწერო ხუთმა დღემ, არაერთი ადამიანური ტრაგედია დაგვიტოვა. მათ შორის არის ქრისტესიაშვილების ოჯახის ამბავიც:

ლალი პაპასკირი

9 აგვისტოს, გამთენიისას, დიდი ლიახვის ხეობა თითქმის დაცლილი იყო, ერედველი მამაკაცები სახლებში შემოვლითი, უსაფრთხო გზებით, სხვადასხვა ნივთის წამოსაღებად ბრუნდებოდნენ, როცა ეკლესიის კედელთან დაჩოქილი მლოცველი შეუნიშნავთ. 84 წლის ეკატერინე ქრისტესიაშვილს (რესპონდენტების თხოვნით, სახელები შეცვლილია) აკანკალებულ მარცხენა ხელში სანთელი ეჭირა, მარჯვენით კი პირჯვარს იწერდა... შეშინებულ მეზობლებს უკითხავთ, — ამ დროს აქ რა გინდა, წვერიახოზე ჩეჩნური ბატალიონი დგას და ცოტა ხანში სროლაც დაიწყება; რისი წამოღებაც შეგიძლია, წამოიღე და აქედან გაგიყვანთო... მოხუცს უარი უთქვამს, — ღმერთმა მშვიდობით გატაროთ, სოფელში ჩემი ხნის ხალხი კიდევ ბევრია. არც ერთ ომში მოხუცებს არავინ ერჩოდაო...

„იმ დღეს რუსულმა საჯარისო ნაწილებმა, მშვიდობიან მოსახლეობას ცეცხლი გაუხსნეს. ყველას თავისი გასჭირვებოდა და დედაჩემისთვის არავის ეცალა. უკვე წამოსულები ვიყავით... როგორც ჩვენ არ დაგვიჯერა, ისე არ დაუჯერა მეზობლებსაც და სახლ-კარი არ მიატოვა... რამდენიმე დღის შემდეგ, გავიგე, კაზაკებმა ერედვში ჩარჩენილი 20-მდე მოხუცი ტყვედ აიყვანეს და დახვრიტესო. იმ დღესვე ყველაფერი მივატოვე და დედის საძებნელად წავედი“, — მიყვება ერედველი ჯუმბერ ქრისტესიაშვილი, რომლის ოჯახიც ომის შემდეგ, „კარვების ქალაქში“ ცხოვრობდა...

— მოხუცის დახვრეტის ამბავი არავისთვის მითქვამს, ან რა აზრი ჰქონდა?!. ჩემი ძმა იტალიაში ცხოვრობდა და მეუღლეს ვუთხარი, დათოს (ასე ერქვა ჩემს ძმას) სასწრაფო საქმე გამოუჩნდა და შემომითვალა, რომ ახლობელი უნდა ვნახო-მეთქი. ყველანაირი საბუთი სახლში დავტოვე და ერედვისკენ გავეშურე. ხეობაში დაბადებულ-გაზრდილი ვარ და იქაური გზები კარგად ვიცი... კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ქართველებს ოსებთან ყოველდღიური ურთიერთობა გვქონდა, ჭირისა და ლხინის სუფრაზე ერთად ვისხედით და ასე მეგონა, ამ ადამიანურ ურთიერთობას პოლიტიკა ვერ შეცვლიდა. ამიტომ არც იმის მჯეროდა, რომ ოსები დედაჩემს ესროდნენ...

— დედა თქვენთან ერთად რატომ არ წამოვიდა?

— ომის წინა დღეებში, ქართულ სოფლებში ცხოვრება ჩვეულებრივად გრძელდებოდა. პანიკა 6 აგვისტოს საღამოს დაიწყო. ამიტომ 7 აგვისტოს ღამეს გადავწყვიტე, ოჯახი სამშვიდობოს გამომეყვანა... დედა კი ამბობდა, სახლ-კარს ვერ მივატოვებო, მაგრამ მანქანაში მაინც ჩავსვი. როგორც კი სოფელს გამოვცდით, გზაზე უამრავი ხალხი იყო შეჯგუფებული. ვიღაც დაჭრილი ძირს იწვა... შევჩერდი. იქ მყოფებმა მთხოვეს, — დაჭრილი გორამდე მიგვაყვანინეო. ადამიანი კვდებოდა და ხომ არ ვეტყოდი, მანქანაში ადგილი არ მაქვს-მეთქი?!. დედაჩემი მანქანიდან გადმოვიდა, — ეს ბიჭი წაიყვანე და როცა მობრუნდები, მერე გამოგყვებიო. წავიყვანე, მაგრამ გორში ისეთი ამბავი ატყდა, უკან ვეღარ მივბრუნდი... დედამ საღამოს გაჭირვებით დამირეკა, — ჩემი ხნის ხალხი ერთად ვართ. არავინ გვერჩის და არ ინერვიულოთო... ეს ჩვენი უკანასკნელი საუბარი იყო... დედას ახალგაზრდობაში ტყუპისცალი ძმა მოუკვდა, რომელსაც ლამის მთელი ცხოვრება გლოვობდა. მოკლედ, ბიძაჩემი, ცხინვალში იყო დასაფლავებული (ადრეულ წლებში ჩემი მშობლები ცხინვალში ცხოვრობდნენ). დედა პედაგოგი იყო და იქაურ სკოლაში ქართულ ენას ასწავლიდა... დევნილობის შემდეგ, ერედვში გადმოსახლდნენ და ცხოვრება თავიდან დაიწყეს. დედას ბევრი ოსი ახლობელი ჰყავდა და ყოველ რელიგიურ დღესასწაულზე, ცხინვალში, ძმის საფლავზე ჩადიოდა. ამიტომაც იქიდან წამოსვლა არ უნდოდა: დაფიცებული მაქვს, სანამ პირში სული მიდგას, მის საფლავს მოვლა-პატრონობას არ მოვაკლებ და როგორ მივატოვოო?..

— ჩახვედით ერედვში?

— დიახ... იქაურობას უკვე რუსები აკონტროლებდნენ. გზადაგზა გადამწვარი ქართული სოფლები (ნიქოზი,

აჩაბეთი) მხვდებოდა, რომლებიც განადგურებული იყო. დღისით ხან ტყეს ვაფარებდი თავს, ხანაც მიტოვებულ ხილის ბაღებში ვიმალებოდი... ერედვში დიდი რაოდენობით მძიმე ტექნიკა იყო განლაგებული. ერთი-ორგან რუსი ჯარისკაცებიც შემომხვდნენ, მაგრამ ოსურად დაველაპარაკე (მათ თავი ისე მოვაჩვენე, რომ თითქოს ისინი ოსები მეგონა). სულ „დურაკი" მეძახეს, ფორმაზე მაინც ვერ გვცნობო?!. მერე რუსულად „ავუხსენი", — ცხინვალიდან შემოსული ოსი ვარ-მეთქი. საბუთები მომთხოვეს, „გავიოცე", — აქედან 5 კილომეტრში ჩემი ქალაქია და საბუთები რად მინდა-მეთქი? გაჭრა... ჩვენი სოფელი, მთელ ხეობაში ყველაზე დიდია და ალბათ, ერედვი აგრესორებმა ამიტომაც მიიჩნიეს სტრატეგიულ ობიექტად. იქ რუსული შტაბი იყო გახსნილი. მათ რამდენჯერმე „გავუძვერი", მაგრამ ბოლოს მაინც დამაკავეს... ოსები მიხვდნენ, რომ ქართველი ვიყავი და სხვა ქართველ ტყვეებთან ერთად ვიღაცის სარდაფში შემაგდეს.

— **ტყვეებს შორის ქართველი სამხედროებიც იყვნენ?**

— დიახ, დაჭრილი ჯარისკაცებიც იყვნენ. ოსები მათ დაუნდობლად სცემდნენ. ზოგი იმდენად ცუდად იყო, რომ ბოდავდა... შესაძლოა, ქართულ არმიაში სუსტები მართლაც იყვნენ, მაგრამ გმირობას ყველას ხომ ვერ მოსთხოვ?.. ერთ ჯარისკაცს ქართველი მოხუცი ქალის ცემა უბრძანეს. მან ბრძანება არ შეასრულა, რის გამოც ადგილზე დახვრიტეს... რუსები ჩვენ მიმართ აგრესიულები არ იყვნენ, მხოლოდ ერთი-ორმა გააკრაჭუნა კბილები, — ნაბრძანები რომ არ გვქონდეს, სიამოვნებით გაგიერთიანებდით ცხვირ-პირსო. მეორე დღესვე ცხინვალში გადაგვიყვანეს და დაუნდობლად გვცემეს... ტკივილისგან გავითიშე... გონს ცხინვალის საავადმყოფოში მოვედი. მარცხენა ლავიწის ძვალი ჩამტვრეული მქონდა და ზედა კიდურებს ვერ ვგრძნობდი. ექთანებმა მითხრეს, დაბეჟილობისგან დაგიბუჟდაო... იქ 10 დღეზე მეტხანს დავყავი. ოსი ექიმებისგან გავიგე, რომ ლიახვის ქართული სოფლები მიწასთან იყო გასწორებული... ცოტა რომ გავუშინაურდი, ვიფიქრე, იქნებ დედაჩემზე რამე ჰქონდეთ გაგონილი-მეთქი და ვიკითხე, მას ხომ არავინ იცნობდა. მითხრეს, რომ ის ერთ-ერთი ექთანის შვილის მასწავლებელი ყოფილა.

— **გაუმხილეთ, მისი შვილი რომ იყავით?**

— დიახ. ერთ-ერთი მათგანი დედაჩემის ასაკის იქნებოდა. ვკითხე, — იქნებ გამიგოთ, ერედვში რა ხდება, იქ ჩარჩენილ მოხუცებს რა ბედი ეწიათ-მეთქი? ასე თქვეს, — ტყვეების გადასაცვლელად, საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები იყვნენ ჩამოსულები, მაგრამ მათ ჩამოსვლამდე რამდენიმე ქართველი დაუხვრეტიათო... რამდენიმე დღის შემდეგ, ექთანებმა ქალის ტანსაცმელი და თავსაფარი მომიტანეს და გვიან ღამით საავადმყოფოდან გამომაპარეს. წამოსვლის წინ იმ მოხუცმა ექთანმა მითხრა, — ერედვში ჩადი და დედაშენის ცხედარს უპატრონეო...

— **სიარული შეგეძლოთ?**

— სუსტად ვიყავი, მაგრამ იქ ვერ დავრჩებოდი. ცხინვალი როგორც იქნა, დავტოვე. ერედვამდე სოფელი ზონკარია. იქ მისულს „რუსთმრავლობა" დამხვდა. სოფლის ცენტრში დიდი რაოდენობით მძიმე ტექნიკა შევნიშნე... ქუჩაში სამხედროები ირეოდნენ. ღამე იყო, მაგრამ მაინც შემამჩნიეს. რამდენიმე რუსმა ჯარისკაცმა გამაჩერა, — სად მიდიხარო? — შვილს ვეძებ-მეთქი... ზოგმა უკან დაბრუნება მირჩია, ზოგმა გულიანად გაიცინა — ოსებსა და ქართველებს ჯარისკაცის მამები და დედები არ გამოგელიათო?!. იქაურობა მაინც მშვიდობიანად დავტოვე და ერედვამდე ლამის ფორთხვით მივაღწიე. ჩემი სოფელი ისე იყო შეცვლილი, ღამით კი არა, დღისით ვერ ვიცნობდით. საკუთარ სახლს ძლივს მივაგენი.

— **სახლი აღარ დაგხვდათ?**

— არა — ეზოს ღობე აქა-იქ შემორჩენოდა... რა თქმა უნდა, სოფელი დაცარიელებული იყო. კარგა ხანს ვიარე აოხრებულ ნასახლარებში, მერე კი ვიღაცის თავლას შევაფარე თავი, რათა ცოტა ხნით მაინც შემესვენა. რამდენიმე წუთში უცნობი მოხუცი დამადგა თავს; მაშინვე შიშველი ხელები დავანახვე — საშიში არ ვარ, დედის მოსაძებნად ჩამოვედი-მეთქი. მოხუცმა სახლში წამიყვანა, დამაპურა და ჭრილობები დამიმუშავა. ყოფილი სამხედრო ექიმი აღმოჩნდა... ცოტა ხანში შეიარაღებული ოსები მოცვივდნენ, მოხუცი ჩემ თვალწინ სცემეს, მე გამკოჭეს და „ვილისში" ჩამაგდეს. ერთი სიტყვით, ისევ ცხინვალში მიმაბრუნეს და კიდევ ერთხელ დაუნდობლად მცემეს. გონს ვლადიკავკაზის საავადმყოფოში მოვედი. მარჯვენა თვალი და ფეხი დაკარგული მქონდა. არ მახსოვს, იქ რამდენ ხანს ვიყავი... შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც გამოჩნდნენ და მათი ძალისხმევით, თბილისში გადმომაფრინეს.

ბინო *(ჯუმბერ ქრისტესიაშვილის მეუღლე)*

— რაც თავს გადაგვხვდა, რაღაც ბედისწერასავით იყო... ჩემი მაზლი, ოჯახთან ერთად, იტალიაში ცხოვრობდა. თბილისში ბინა დაკეტილი ჰქონდა. როგორც კი ომი დაიწყო, მაშინვე დარეკა, — ჩემს ჩამოსვლამდე, ბინის კარი შეამტვრიეთ და იქ დაბინავდითო. ასეც მოვიქეცით, რის გამოც სამართალდამცავებთან პრობლემები შეგვექმნა და მის ჩამოსვლამდე „კარვების ქალაქში" ვცხოვრობდით... როგორც კი ჩემი მეუღლე გაუჩინარდა, მივხვდი, რომ დედის მოსაძებნად იყო წასული. 21 დღე მასზე არაფერი ვიცოდი და ვიფიქრე, ალბათ მოკლეს-მეთქი. იმ პერიოდში ჩემი მაზლიც ჩამოვიდა, რომელმაც მალე გაარკვია, რომ დედამისი, დანარჩენ მოხუცებთან ერთად, ერედვში დაეხვრიტათ, ჩემი მეუღლე კი ოსებს ტყვედ ჰყავდათ აყვანილი... ჩემი მაზლი რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალ ევგენი ბორისოვს შეხვდა და დახმარება სთხოვა. რუსმა მაღალჩინოსანმა, „საქმეში გასარკვევად", დრო და სოლიდური თანხაც მოითხოვა. მისი დახმარებით, დედამთილის ცხედარი თბილისში ჩამოვასვენეთ, მეუღლეზე კი არაფერი ვიცოდი. ჩემი მაზლი ისევ გორში გაემგზავრა, საიდანაც აღარ დაბრუნებულა... ლოგინად ჩავარდნილ მამამთილს რამდენიმე დღეში, ინფარქტმა გაუმეორა და გარდაიცვალა. ეს ყველაფერი ომის დაწყებიდან ერთ თვეში მოხდა... მერე საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, — თქვენი მეუღლე ვლადიკავკაზიდან ღუდუშაურის კლინიკაში გადავიყვანეთო...

— **მაზლის შესახებ ვერაფერი შეიტყვეთ?**

— მხოლოდ ის გავარკვიეთ, რომ ბორისოვთან შეთანხმების შემდეგ, მას ოსი სეპარატისტები დაუკავშირდნენ, ძმის გათავისუფლებას დაჰპირდნენ და იქ დაიკარგა კიდეც მისი კვალი!.. ■

ფაეტონი — წყვილების საყვარელი ტრანსპორტი

ალბათ შეგინიშნავთ, ღამით თბილისის ქუჩებში ერთი მეფაეტონე დადის. თეთრ ცხენებში შებმული ფაეტონი ბევრის ყურადღებას იქცევს. ცხენები მოძრაობის წესების სრული დაცვით გადაადგილდებიან, ჩერდებიან შუქნიშანზე და ა.შ. მეფაეტონე — მამუკა კუჭაშვილი შემთხვევით გავიცანი.

თამუნა ქვინიკაძე

— პაპაჩემიც მეფაეტონე იყო. ბავშვობა კახეთში გავატარე; 3 წელია, რაც თბილისში ჩამოვედი და ამ საქმეზე ვმუშაობ.

— ცხენები კახეთიდან ჩამოიყვანე?

— არა. პაპამ ფაეტონიც და ცხენებიც დიდი ხნის წინ გაყიდა. თბილისში რომ ჩამოვედი, ცოტა ხანს მანქანების მრეცხავად ვმუშაობდი, მერე გავიცანი ერთი ქალბატონი, რომელსაც ცხენები ჰყავდა და ფაეტონიც ჰქონდა. მას ვთხოვე, ნება მოეცა, მისი ფაეტონით ქალაქში გავსულიყავი, თავიდან უარი მითხრა, — ამდენი მანქანა მოძრაობს და ქუჩაში მის ტარებას როგორ შეძლებო? მერე მაინც დავითანხმე. პირველივე დღეს ქორწილში მომიხდა წასვლა. მალე ამ საქმეს იმდენად მივეჩვიე, სხვა სამსახურზე აღარც მიფიქრია.

— ახლა ეს ფაეტონი შენია?

— არა, სხვას ეკუთვნის.

— პატრონისგან ქირაობ?

— არა. ჩემი ახლობელია და რასაც ვიშოვი, შუაზე ვუყოფ.

— შემოსავლიანი საქმეა?

— რა თქმა უნდა. 2 შვილი მყავს და სხვა სამსახური არა მაქვს, შვილებს ამით ვარჩენ. მეუღლესთან გაშორებული ვარ. უფროსი ბიჭი 7 წლის არის, უმცროსი — 5-ის. მათ მარტო ვზრდი.

— შენი კლიენტები ვინ არიან?

— ხშირ შემთხვევაში, შეყვარებული წყვილები სეირნობენ, ძალიან ბევრ ქორწილში ვარ ნამყოფი. ფაეტონი ყველაზე მეტად ნასვამ მამაკაცებს იზიდავს. ცნობილი ადამიანებიც ხშირად სარგებლობენ.

— ცნობილებში ვის გულისხმობ?

— ვერ დაგისახელებ: იქნებ მათ არ უნდათ, რომ ვთქვა.

— პოლიტიკოსებიც არიან?

— დიახ, მაღალი თანამდებობის პირებიც.

— მითხარი, — ანრი ჯოხაძის კლიპშიც ვარ გადაღებულიო.

— დიახ. ერთ დღეს ბარათაშვილის ხიდთან ვიდექი, ჩემთვის უცნობი პიროვნება მოვიდა და მითხრა, — კლიპის გადაღება მაქვს, ფაეტონი მჭირდება, შეგიძლია, მოხვიდეო? დავთანხმდი. ტელევიზიებიც ხშირად მეპატიჟებიან. ერთხელ „ნანუკას შოუში“ მიმიწვიეს, მაგრამ ცხენი დავკარგე და ვეღარ მივედი. „პროფილშიც“ ვიყავი, იმ გადაცემაში, რომელიც „ხარება და გოგიას“ ეძღვნებოდა.

— ქალაქში ცხენები ისე დადიან, მანქანებს არ უფრთხიან. თავად გამოზარდე?

— ბევრი ვიწვალე, მაგრამ საბოლოოდ მათი დამორჩილება მაინც შევძელი. შუქნიშანზე ჩვეულებრივად ვაჩერებ, ქუჩაში რამდენიმე საათითაც რომ დავტოვო, სანამ არ მივალ, ფეხს არ მოიცვლიან, მელოდებიან.

— ძალიან ჭკვიანები ყოფილან. პატრულთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— კარგი. ჩემი ფაეტონით პრობლემას არავის ვუქმნი. 3 წელია, დავდივარ, არასდროს ავარიული სიტუაცია არ შემიქმნია, არც მანქანა დამიმტვრევია.

— ნასვამ კლიენტებთან ურთიერთობა რთული არ არის?

— რა თქმა უნდა, რთულია. განსაკუთრებით ვფრთხილობ, როცა მკვეთრ მოსახვევში მიწევს შესვლა. ერთხელ ნასვამი კაცი ფაეტონიდან გადმომივარდა. ვცდილობ, ამ კატეგორიის ხალხს მოვერიდო.

ძირძველ თბილისელებს ძალიან უყვართ ფაეტონი, რაიონებიდან ჩამოსულებს — ნაკლებად

— ყველაზე მეტი კლიენტი ალბათ სადღესასწაულო დღეებში გყავს...

— და საღამოს საათებში: შეყვარებული წყვილები მოდიან და მთხოვენ, გავასეირნო. ჩემი სამუშაო დღე საღამოს 8 საათიდან იწყება. ხან რუსთაველზე, ხან საბურთალოზე დავდივარ. როგორც ტაქსის, ისე მაჩერებენ და ვემსახურები. თავზეც ხშირად დამთენებია. ჩემი ტელეფონის ნომერი უკვე ბევრმა იცის, მირეკავენ და ვაკითხავ.

— მერე ამ დროს შენს შვილებთან ვინ რჩება?

— ძიძა ავუყვანე.

— ფაეტონით მომსახურება ძვირი ღირს?

— 1 საათში 50 ლარს ვიღებ.

— ქალაქში სხვა ფაეტონიც დადის?

— დადის, მაგრამ კონკურენციას ვერ მიწევს. მე ჩემი კლიენტები მყავს.

— ცხენებს სახელები არ ჰქვიათ?

— არა, მათ მოფერებით, „კუკლებს“ ვეძახი.

— თბილისში უამრავი უცხოელია ჩამოსული, ფაეტონით არ ინტერესდებიან?

— როგორ არ ინტერესდებიან?! რამდენიმე დღის წინ თავისუფლების მოედანზე გამაჩერეს, ამერიკელები იყვნენ — 3 გოგო და 1 ბიჭი. ინგლისური არ ვიცი, მაგრამ რუსულად კარგად ვლაპარაკობ. როგორც იქნა, ერთმანეთს გავაგებინეთ, რამდენი უნდა გადაეხადათ. ეტლიდან რომ ჩავიდნენ, იმდენი დამიტოვეს, რამდენიც მეკუთვნოდა. ზოგი ძალიან ძუნწია, განსაკუთრებით — თურქები. ყველაზე მეტად რუსები და უკრაინელები ინტერესდებიან. შავკანიან გოგონებსაც ხშირად ვასეირნებ.

— შენს ფაეტონში ბუბა კიკაბიძე ხომ არ მჯდარა?

— არა. საერთოდ, ძირძველ თბილისელებს ძალიან უყვართ ფაეტონი, რაიონებიდან ჩამოსულებს — ნაკლებად.

— ზამთარში ცხენების გამოკვება ძვირი ჯდება?

— ძალიან. ქერსა და სხვა საკვებს ვყიდულობთ.

— ქალაქგარეთ გასვლაც გიწევს?

— რამდენჯერმე რუსთავსა და მცხეთაში ვიყავი. ეს საქმე მიყვარს. ღამისთევა ცოტა ძნელია, მაგრამ უწვალებლად არაფერი მოდის. ამ რეჟიმს ცხენებიც შეგუებულები არიან. საცოლშიც ხშირად ვხვდებით, მაგრამ პრობლემებს არ მიქმნიან. ■

„გთხოვთ, შემინარჩუნოთ სიცოცხლე“

რატომ ვერ გადაარჩინეს 26 წლის პატიმრის სიცოცხლე?

თეა ხურცილავა

„მოგახსენებთ: ციხის წესებიდან გამომდინარე, სერიოზული დანაშაულები მაქვს ჩადენილი (პატიმართა და ასევე ჩემი გადასახედიდან), რაც ციხის წესით, სიკვდილით „ისჯება“. პირადად მე მოვყევი საკანში ამ ყველაფერს და მთელი ციხე საქმის კურსშია. ამის გამო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ცალკე საკანში გადამიყვანეს. ახლა მარტო ვარ. თუ სხვა პატიმრებთან მომათავსებენ, ჩემს ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. გთხოვთ, დაუყოვნებლივ მიიღოთ კანონით გათვალისწინებული ზომები, რათა იზოლირებული ვიყო სხვა პატიმრებისგან და ერთკაციან საკანში მომათავსოთ. აქვე აღვნიშნავ, მომხდარის გამო არც ციხის თანამშრომლებთან და არც პატიმრებთან კარგი ურთიერთობა არ მაქვს. კონკრეტულად ვინმესთან პრეტენზია არ გამაჩნია. ყველასთან მე ვარ დამნაშავე და იმის ღირსი ვარ, რომ მთელი სასჯელი მარტოობაში გავატარო. კვლავ გთხოვთ, მიიღოთ ზომები, რათა ჩემი სიცოცხლე და ჯანმრთელობა იქნეს დაცული“, — *ამა წლის 8 აპრილით დათარიღებული ეს განცხადება, პატიმარმა — კახა თედლიაშვილმა სასჯელაღსრულების მე-6 საპყრობილის უფროსს — დავით მარგებაძეს და სახალხო დამცველს — გიორგი ტუღუშს გაუგზავნა. დახმარებას ითხოვდა. მისმა მშობლებმა და ადვოკატმაც განგაში ატეხეს. ცოტა ხნის წინ, პარლამენტის თავმჯდომარეს — დავით ბაქრაძეს, მთავარ პროკურორს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრ — ხათუნა კალმახელიძეს, იუსტიციის მინისტრს და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართვები გაუგზავნეს. ადვოკატი — თედო კობახიძე და პატიმრის მამა სათანადო ზომების მიღებას ითხოვდნენ. მასალები მისმა ადვოკატმა ჩვენც მოგვაწოდა, მაგრამ სამწუხაროდ, სტატიის გამოქვეყნებამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ 30 აპრილს, 26 წლის კახა თედლიაშვილი საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს. ოფიციალური ინფორმაციით, პატიმარმა თავი მოიკლა...*

თედლიაშვილი 2008 წელს დააკავეს და იმის მიუხედავად, რომ წარდგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავედ არ ცნობდა, სასამართლომ 13 წლითა და 6 თვით აღუკვეთა თავისუფლება. იარაღის უკანონო ტარება, ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა და ხულიგნობა ედებოდა ბრალად. მას 5 წლის ინვალიდი შვილი დარჩა, აგვისტოს ომმა მისი ოჯახიც დააზარალა და კარალეთში სახლ-კარიც დაეწვათ...

ბუნებრივია, უამრავი კითხვა არსებობს: რატომ ატეხა პატიმარმა განგაში? რატომ აცხადებდა, რომ მას პრობლემები ჰქონდა როგორც ციხის ადმინისტრაციასთან, ასევე პატიმრებთან? რაში ადანაშაულებდა საკუთარ თავს? მიიყვანეს იგი თვითმკვლელობამდე თუ სხვამ მოუსწრაფა სიცოცხლე? რატომ ვერ დაიცვეს იგი? იმედია, გამოძიება დეტალებს გაარკვევს და კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. მით უფრო, მთავარ პროკურორს — მურთაზ ზოდელავას პატიმარმა თედლიაშვილმა 18 აპრილს წერილი გაუგზავნა, სადაც ფაქტებზე დეტალურად საუბრობს. ეს წერილი მართლაც ბევრ კითხვას სცემს პასუხს და იმედია, 26 წლის ბიჭის სიკვდილის შემდეგ მაინც დასჯიან დამნაშავეებს. გთავაზობთ ფრაგმენტებს პროკურორის სახელზე გაგზავნილი წერილიდან (სტილი დაცულია):

„...ოჯახის წევრებთან პაემანზე ვიყავი, შეხვედრის დრო ამოიწურა და ციხის თანამშრომელს ვთხოვე გამოსამშვიდობებლად 2 წუთი ეცლია. ამის გამო სასტიკად მცემეს და ფეხი მომტეხეს. 1 თვე, პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ვიწექი... მაშინ არ მიჩივლია, გავჩუმდი, რადგან დამემუქრნენ. მიხვდნენ, რომ შემეშინდა, ამის შემდეგ რამდენჯერმე პროვოცირება მომიწყვეს, მაგრამ არ ავყევი... 2010 წელს ციხის თანამშრომლები საკანში ჩხრეკაზე შემოვიდნენ, ნახეს, რომ პლასტმასის ვედროში ნატურალური წვენი ესხა და იკითხეს, ვისი იყო „ბრაგა“, ვუპასუხე, რომ ნატურალური წვენი იყო და არა დამზადებული სასმელი. მათ განვუმარტე, რომ წვენის კოლოფებით ხატების კუთხე მოვაწყვე და წვენი იმიტომ მოვათავსე ვედროში. ამის შემდეგ მითხრეს, — წამოდი კარცერშიო... შემიყვანეს ოთახში, სადაც უსაფრთხოების უფროსი — ჯონი ივანიშვილი, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი — იური და კიდევ ვიღაცები დამხვდნენ. მკითხეს, თუ რატომ ვაკეთებდი ე.წ. „ბრაგას“, მათაც განვუმარტე, რისთვის მჭირდებოდა წვენის ყუთები. ამის შემდეგ დაინტერესდნენ საკითხით, რამდენი მქონდა მისჯილი. ვუპასუხე. მერე თქვეს, — 10 წელი მოგაკლესო? (*სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი შეცვალა, ბრალდებულს ერთი მუხლი მოეხსნა და სასჯელი შეუმცირა.— ავტ.*) დაიწყო ზეწოლა, — ბოზობ და იმიტომ დაგაკლეს სასჯელიო. შემდეგ მითხრეს, რომ მათთან უნდა მეთანამშრომლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასჯელს დამიმატებდნენ და პატიმრებს აჩვენებდნენ წერილებს, რომელსაც ვითომ გარეთ ვგზავნიდი ე.წ. „დაჩკაში“, ეტყოდნენ, რომ ხალხს ვაჭერინებდი და ამით კი სასჯელს ვიკლებდი. შევეპასუხე, კვლავ გამიმეორეს, რომ უნდა მეთანამშრომლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი საკნის ბიჭებს წერილებს წაუკითხავდნენ და მერე

მერკვია, ეს ჩემი დაწერილი იყო თუ სხვისი. ამასთან, უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა, ჩემი ოჯახის წევრების სახელებიც მიხსენა. შემეშინდა, მათთვის პრობლემები არ შემექმნა და თანამშრომლობაზე დავთანხმდი. მითხრეს, რომ ეს დამეწერა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი საუბარი, რომელიც ჩაწერილი ჰქონდათ, ბიჭებს მოასმენინებდნენ. შეშინებულმა, თანამშრომლობაზე განცხადება იძულებით დავწერე და საკანში დამაბრუნეს. ამის შემდეგ მამაჩემთან დავრეკე და ვთხოვე, სხვა ციხეში ჩემი გადაყვანის საკითხი გაერკვია, რადგან ჩემს თავს უბედურება ტრიალებდა... ამ დღის შემდეგ ციხის ყველა თანამშრომელი აგრესიული გახდა. ცოტა ხანში საკანში ხმა გამივრცელეს, რომ აგენტი ვიყავი და ისეთი სიტუაცია შეიქმნა, ჩემი მშობელიც კი არ დაიჯერებდა, რომ განცხადების გარდა, რეალურად, ციხის ადმინისტრაციასთან არაფერი მაკავშირებდა... შემდეგ უკვე დაუფარავად ეუბნებოდნენ პატიმრებს: „ჩვენი აგენტია და გამოაგდეთ საკნიდან“... ციხეში დარღვევა არაფერი მქონდა, ინვალიდი შვილი მყავს და პრეზიდენტის სახელზე შეწყალებაზე განცხადება დავწერე... თავს ვიკავებდი, პროვოკაციას, რომ არ ავყოლოდი. მეუბნებოდნენ, რომ ჩემი აგენტობის შესახებ ყველამ იცოდა და პატიმრები ბოლოს მომიღებდნენ. ციხის უფროსთან მივედი და ვუთხარი, რომ მათი აგენტი არ გავხდებოდი, რადგანაც ჩემი აგენ-

კახა თედლიაშვილი

ტობის შესახებ ყველა ინფორმირებული იყო და ვთხოვე, სხვა საკანში გადავეყვანე. „არ ითანამშრომლებ და შენს თავს მიხედე, არსად არ გადაგიყვან“, — მითხრა ციხის უფროსმა. მთელი ციხე გადამკიდეს, პროვოკაციებს მიწყობდნენ. ურთიერთობა ყველასთან დამეძაბა და იმ კონდიციამდე მივედი, რომ ციხის უფროსს ვუთხარი: „ოღონდ ჩემს თავს ნუ მოაკვლევინებ და თუ გინდათ, თქვენ გარდა, ყველას მტერი გავხდები და ვითანამშრომლებ-მეთქი. მან მითხრა ავსულიყავი საკანში, ბიჭებთან შევრიგებულიყავი და იქიდან მერე გამიყვანდა... მაინც არ გამიყვანეს, კიდევ კარგი ხალხი იყო იმ საკანში, თორემ, ამდენი ხანი, ცოცხალი არ ვიქნებოდი... ისევ შევხვდი ციხის უფროსს და ვთხოვე: — თუნდაც სარდაფში ჩამაგდე, ოღონდაც, საკანში ნუ მაჩერებ, რატომ გინდა ჩემი სიკვდილი-მეთქი?! ამაზე ბატონმა დავითმა მიპასუხა: თამაშს თავი დანებე, ნუ ჩივიან, შენები გააჩუმე და ჩვენთან ითანამშრომლეო. ამ საუბრის შემდეგ თვითონ მოვუყევი, საკანში რა პრობლემებსაც მიქმნიდა ციხის ადმინისტრაცია, გავედი საკანში და ციხის თანამშრომლებს „საკნელების“ წინ ვუთხარი, რომ არ ვიყავი ნორმალურ ხალხთან ცხოვრების ღირსი და ვთხოვე, მარტო გამოვეკეტეთ. ამ სიტყვების შემდეგ ძალით შემაგდეს ისევ საკანში, რადგან იცოდნენ, რომ შეიძლებოდა, რომელიმეს მოვეკალი. ციხის უფროსმა პატიმრებს უთხრა: ყველაზე გამწარებული და გაბოროტებულია, ცალკე თქვენ გიჩივით, ცალკე — ჩვენ. ოჯახები გვყავს გარეთ, მაგის აქედან გაშვება არ შეიძლება, მარტო კაცი ჩივის და გარეთ რომ გავა, რას იზამს, თან, შეწყალებას ელოდება; ცოტა ხანი არაფერი აგრძნობინოთ, თუ მაგის შეწყალების საბუთი შემოვა, პირველი ჩვენ გვეცოდინება, შეგახვედრებთ; იღლიის ქვეშ 10 ხაზი წამალი გაუკეთეთ, ჩხვლეტას იგრძნობს და მერე მკვდარს ვახტაზე გავაცილებთ... მაგის „დაბრედვაზე“ პასუხი არავის მოეთხოვებაო. როდესაც ეს გავიგე, სოციალურ თანამშრომელს რამდენჯერმე ვთხოვე, რომ განცხადებას დავწერდი და ცალკე საკანში გავეყვანეთ, მაგრამ ყური არავინ დამიგდო. ბოლოს ბრიტვა დავიდე ვენებზე და ციხის თანამშრომელს ვუთხარი: საკნიდან გამიყვანეთ, არ ვარ კარგ ხალხთან ცხოვრების ღირსი, ვიცი, რომ ჩემი მოკვლა გინდათ, ხომ ხედავთ, არ მკლავენ, მაშინ თქვენ

მომკალით... იცოდეთ, ვინც არ უნდა მომკლას, თქვენ არ დარჩებით დაუსჯელები, იმიტომ, რომ ყველაფერი თქვენი მოწყობილია-მეთქი. უსაფრთხოების და რეჟიმის უფროსებთანაც ეს სიტყვები გავიმეორე. უსაფრთხოების უფროსმა თანამშრომლებს უბრძანა, რომ მარტო ჩავეკეტეთ საკანში. მე კი მომიბრუნდა და მითხრა: — თუ გგონია, მანდ იქნები დაცული, ცდებიო... ისევ ვკითხე, — რატომ აკვლევინებდნენ ჩემს თავს? რამე საშველი დამაყენეთ და თქვენი ოჯახებისთვის ვილოცებ-მეთქი. მან მიპასუხა, ცოტა მაცადე, საშველს დაგაყენებო... ვიცი, თუ შემიწყალეს, შემახვედრებენ იმ ხალხს, ვინც გადამკიდეს და ჩემს თავს მოაკვლევინებენ. აღნიშნული განცხადების შემდეგ, ცალი ფეხი სამარეში მაქვს. შეწყალებულთა სიაში თუ მოვხვდი, ვიცი, მომკლავენ და ვიღაც უბედურს დააბრალებენ. ამ ფაქტების გახმაურებამ შესაძლოა, გადამარჩინოს და გეგმა შეცვალონ. ადრე რომ გამეხმაურებინა, საკანში პრობლემებიც არ შემექმნებოდა. არც გიჟი ვარ და არც რამე მელანდება, რასაც ვწერ ასე ხდება და ყველას გთხოვთ, შემინარჩუნოთ სიცოცხლე... ყველანაირად ცდილობენ, რომ თვითმკვლელობამდე მიმიყვანონ. ამჟამად ორკაციან საკანში ვიმყოფები, არც შემოწმება ტარდება, არც „პრაგულკაზე“ გავდივარ, რადგან მთელი ციხე გადამტერებული მყავს და ვერიდები... წელიწადი ხდება, ყოველ წამს სიკვდილს მაყურებინებენ თვალებში, ფსიქოლოგიურად შემჭამეს, ამ თვეების განმავლობაში დავბერდი, ჯანმრთელობაც შემერყა და ოჯახიც განადგურებულია ჩემზე ნერვიულობით. აღნიშნული განცხადების შემდეგ რა მოხდება, გაფიქრებაც არ მინდა. ყურადღებას არავინ მაქცევს, ჩემს წერილებს არ იღებს სოციალური სამსახური, ექიმი არ შემოდის... წამალი ვთხოვე, რადგან სახე მქონდა დაზიანებული და ასე მიპასუხეს, — უფრო კარგად ვერ გცემეს? ეგეც შენი წამალი, მეტის ღირსი ხარო. მეუბნებიან, რომ მაინც მომიწევს იმ ხალხთან შეხვედრა, ვინც მომკლავს. ვეუბნები, რომ შვილი მყავს გასაზრდელი, მაგრამ არ აინტერესებთ. მხოლოდ ის მინდა, რომ ჩემი უსაფრთხოების ზომები იქნას დაცული. თქვენი და უფლის იმედზე ვარ... უფალი გფარავდეთ, დახმარების იმედით, კახა თედლიაშვილი.“

ფაქტია, არც მთავარმა პროკურორმა მიიღო ოპერატიულად ზომები

26 წლის პატიმრის საჩივარზე და სამწუხაროდ, ის მკვდარი იპოვეს. წინადღეს კახას ადვოკატი — თედო კობახიძე შეხვდა. „მას კვირაში ერთხელ ვნახულობდი. ამბობდა, რომ ციხის ადმინისტრაცია მასზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდა, ემუქრებოდა, რომ გადაიყვანდნენ ძველ საკანში, შეაგდებდნენ პატიმრებთან და დაისჯებოდა ციხის წესებით. მუდმივად ემუქრებოდნენ და უბიძგებდნენ თვითმკვლელობისკენ. ჩვენს განცხადებებს შესაბამისი სტრუქტურებიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ბოლო დღეს დარეკა სახლში, დედას ელაპარაკა, კარგად ვარ და არ ინერვიულოთო. მეორე დღეს, 30 აპრილს, 5 საათზე შევიტყვეთ, რომ გარდაიცვალა. ამბობენ, რომ მან იმ ბინტით ჩამოიხრჩო თავი, რომელიც ხელზე ეკეთა. ციხიდან წინა საღამოს, 6 საათზე გამოვედი და თედლიაშვილს ხელზე ბინტი არ ჰქონია. იმედია, გამოძიება სიმართლეს დაადგენს. პატიმარი ისე იყო გამწარებული, რომ შეწყალებაზე განცხადება შეიტანა და ეშინოდა, ჩემი შეწყალების საბუთები რომ შემოიტანონ, მომკლავენ და აღარ მინდა, ჩავჯდები 10 წელი, ოღონდ არავინ შემეხოსო. ადამიანი, რომელიც შველას ითხოვდა, იხვეწებოდა, ნუ მომკლავთ, სიცოცხლე შემინარჩუნეთო, ყველა ინსტანცია ააწრიალა საჩივრებით, თავს არ მოიკლავდა“, — *ამბობს ადვოკატი. მას თვითმკვლელობის ვერსიის არ სჯერა. ადრე პატიმარმა სხეულიც კი დაისერა, რომ როგორმე საპყრობილეს გასცლოდა და ციხის საავადმყოფოში გადაეყვანათ, მაგრამ რადგან დაზიანებები მნიშვნელოვანი არ იყო, ის ისევ იქ დატოვეს. მოკლულის ოჯახიც დარწმუნებულია, რომ კახა თედლიაშვილს თავი არ მოუკლავს. დედის მტკიცებით, ცხედარს ძალადობის კვალი აღენიშნებოდა. სასტიკად იყო ნაცემი. ხელი მოტეხილი ჰქონდა, თვალი ჩალურჯებული, ყელზე კი დახრჩობის კვალი ეტყობოდა. ოჯახი დამნაშავეების დასჯას ითხოვს. ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარდა. ვნახოთ, რა დასკვნას დადებს ექსპერტიზა.*

საუბედუროდ, სასოწარკვეთილმა ბიჭმა განგაში ატეხა, ყველას დახმარება სთხოვა, მაგრამ სიცოცხლე ვეღარ შეინარჩუნა. იმედია, დამნაშავეები დაისჯებიან, მსგავს ფაქტებს სათანადო რეაგირება დროულად მოჰყვება და უპასუხოდ არ დარჩება ასეთი სულისშემძვრელი განცხადებები. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მიმდინარეობს გამოძიება. ■

ველოსიპედით მსოფლიოს გარშემო

„ტურნე გლობალურ დათბობას მივუძღვენით“

27 წლის ბრიტანელმა ეკოლოგმა, ეკონომისტმა და თვითნასწავლმა გრაფიკოსმა ენდრიუ ველჰმა მოგზაურობაც შეითავსა და ველოსიპედით თითქმის ნახევარი მსოფლიო შემოიარა. მას დიდი მიზნები აქვს, სურს, გლობალურ დათბობას ხელი შეუშალოს და ყველა დაარწმუნოს, რომ „უშნო“ ჯიპებს, „იაფი და მოსახერხებელი“ ველოსიპედი ბევრად სჯობს.



ლევან ჟორჟოლიანი

— ბავშვობიდანვე ცნობისმოყვარე ვიყავი და მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის სურვილი მქონდა. ყოველთვის მიტაცებდა სათავგადასავლო ლიტერატურა, განსაკუთრებით, ჟიულ ვერნის ნაწარმოებები. წარმოვიდგენდი, როგორ ვეძებდი განძს უცნობ კუნძულზე. მოწოდებით ეკოლოგი ვარ. კოლეჯში სწავლის დროს „მწვანეთა მოძრაობის“ აქტიური წევრი ვიყავი და გარემოს ვიცავდი. კოლეჯის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში, ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩავაბარე. შემდეგ, კომპიუტერული გრაფიკაც ავითვისე და მუშაობა ერთ-ერთ ფირმაში დავიწყე.

— **როდის გადაწყვიტე, ველოსიპედით გემოგზაურა?**

— ოფისში ვიჯექი, ძალიან ცხელოდა. მოვიწყინე და მეგობარს მივწერე: „ტომ, მსოფლიოს გარშემო ხომ არ გვემოგზაურა?“ საბედნიეროდ, მან გიჟად არ ჩამთვალა და წამომყვა.

ევროპის ბევრი ქვეყანა მოვიარეთ

— **რატომ მაინცდამაინც ველოსიპედი?**

— როდესაც მე და ტომმა მოგზაურობისათვის სერიოზული მზადება დავიწყეთ და მარშრუტი შევადგინეთ, მტკიცედ გადავწყვიტეთ, რომ ტურნეს გლობალურ დათბობას მივუძღვნიდით. სწორედ ამიტომ, ვმოგზაურობთ ველოსიპედებით. გლობალური დათბობის ნიშნები უკვე აშკარაა და, მიუხედავად იმისა, რომ ზოგს მხოლოდ „ჰოლივუდელი“ რეჟისორების ფანტაზიის ნაყოფი ჰგონია, ზოგსაც კი უაზრო პანიკის გამომწვევი უმნიშვნელო მიზეზი, ფაქტი ერთია: გლობალური დათბობის საფრთხე რეალურად არსებობს, ამიტომ თუ გვსურს, რომ მომავალი საერთოდ გვქონდეს, მანქანების გარკვეული ნაწილის ისეთი ტრანსპორტით ჩანაცვლებას უნდა ვეცადოთ, რომელიც ნაკლებად დააბინძურებს გარემოს.

— **როდის დაიწყო თქვენი მოგზაურობა?**

— 2007 წელს და დღემდე გრძელდება. ამ პერიოდის განმავლობაში ევროპის ბევრი ქვეყანა მოვიარეთ. ერთი წესი გვაქვს, სადაც ჩავდივართ, იქ რამდენიმე დღე ვრჩებით; მოგზაურობაც დროში ამიტომ გაიწელა.

— **ვინ გაფინანსებთ?**

— ნაწილს ჩვენი დანაზოგიდან ვფარავთ, გარკვეული თანხით ველოსიპედის მწარმოებელი კომპანია გვაფინანსებს. მოგეხსენებათ, ღამეს ყველგან კარავში ვერ გაათევ, ამიტომ ხარ-

ჯიც დიდია. მოგზაურობის დროს თან ლეპტოპი დამაქვს, ფოტოებს ვიღებ და ინტერნეტდღიურებს ვწერ, რომელსაც ბევრი ადამიანი კითხულობს და გვგულშემატკივრობს.

— რა სირთულე ახლავს თან ველოსიპედით მოგზაურობას?

— როდესაც ველოსიპედით მოგზაურობ, თავისთავად ცხადია, ბევრ ხიფათს შეიძლება გადაეყაროო ან ტრავმა მიიღო. განსაკუთრებით რთული ვითარებაა ზამთარში. ზოგჯერ ისე იღლები, რომ გინდა, ყველაფერი მიაგდო, შინ დაბრუნდე და თბილად მოკალათდე. მაგრამ მაინც წინ მივიწევთ. ერთხელ, რუმინეთის მთებში მივდიოდით, საკმაოდ ციცაბო ადგილი იყო, ველოსიპედი ვერ დავიმორჩილე და დავცურდი. საბედნიეროდ, გადავრჩი. ერთხელ, სასტუმროს ფული არ მქონდა და ქალაქის პარკში კარვის გაშლა მოვინდომე, მაგრამ პოლიციამ ამის უფლება არ მომცა. იმ ღამეს ფაქტობრივად, არ მიძინია.

— განსაკუთრებით რომელმა ქვეყანამ მოგხიბლა?

— ვერ გამოვყოფ. მოგზაურობის დროს, შეძლებისდაგვარად ყველა ქვეყნის კულტურას ვეცნობი. მომეწონა იტალია, მაკედონია. საინტერესო კულტურა აქვთ.

— რას იტყვი საქართველოზე?

— საქართველოში თურქეთიდან შემოვედით. მოვიხიბლე აჭარის ბუნებით. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთთან ახლოსაა, აბსოლუტურად განსხვავებული ბუნებაა. თბილისში ჩამოსვლამდე რამდენიმე რეგიონში ვიყავით. მოსახლეობა გაკვირვებული გვიყურებდა. ყველა გვაჩერებდა და სახლში გვეპატიჟებოდა. პრობლემა ინტერნეტთან დაკავშირებით შემექმნა. ევროპის ქალაქებში ყველგან შეგიძლია უსადენო ინტერნეტით ისარგებლო, საქართველოში კი სერიოზული დეფიციტია. გადავწყვიტეთ, თბილისში რამდენიმე დღე გავჩერებულიყავით, ამიტომ გზად ინტერნეტკაფეში შევედი და ერთ-ერთ ფორუმზე ვითხოვე, ვინმეს შევეფარებინეთ. ჩემდა გასაკვირად, ბევრი ადამიანი გამომეხმაურა. ჩამოსვლისთანავე შეგვხვდნენ და იმავე დღეს მიგვიპატიჟეს ქალაქის დასათვალიერებლად. თან მითხრეს, მცხეთაში მანქანით წავიდეთ და ტრადიციული საჭმელი — ხინკალი მივირთვათო. გულიანად გამეცინა, ვუთხარი: 10 ათასი კილომეტრი ველოსიპედით გამოვიარე და ახლა საჭმელად მანქანით უნდა წამიყვანოთ-მეთქი (*იცინის*)?

— მოდი, გლობალური დათბობის თემას დავუბრუნდეთ?

— როცა ბელგიაში ან ევროპის სხვა ქვეყანაში ხალხს ვუხსნიდი, თუ რა დიდი მნიშვნელობა, აქვს ავტომობილის ველოსიპედით ჩანაცვლებას, ყურადღებით მისმენდნენ, თბილისში კი ირონიას ვერ მალავენ.

— საინტერესოა, ვინ იტყვის უარს ჯიპზე? რამდენად წარმოგიდგენია, დილით სამსახურში ველოსიპედით მიმავალი ჰალსტუხიანი მამაკაცი ან ქალი — საღამოს კაბით?

— (*მაწყვეტინებს*) სამსახურსა და წვეულებაზე, არა, მაგრამ რატომ არ შეიძლება მეგობარს ველოსიპედით მიაკითხო სახლში? რა რაოდენობის ჯიპიც თბილისში ვნახე, არსად შემხვედრია. არადა, თბილისი ველოსიპედით სამოძრაოდ დიდებული ქალაქია. პირველ რიგში, შესაფერისი ინფრასტრუქტურა უნდა შეიქმნას, მსურველიც ნელ-ნელა გამოჩნდება.

— შენს მარშრუტში შემდეგი პუნქტი სად არის?

— სომხეთის გავლით აზერბაიჯანში ვაპირებ წასვლას, შემდეგ — მონღოლეთში. ტურნეც ალბათ იქ დასრულდება.

■

უიკ-ენდი ნიგვზიანში ანუ
გიჭმა გურულებმა ჯაუა ისწავლეს?

ნინო ჯავახიშვილი

გასულ კვირას არც მეტი, არც ნაკლები, გურიისკენ ავიღე გეზი და თავიდანვე გეტყვით, რომ გრძელი და დამღლელი გზის მიუხედავად, გურულებთან სტუმრობა ნამდვილად არ მინანია. ალბათ იკითხავთ, — რაღა მაინცდამაინც გურიაშიო? — და დიდი სიამოვნებით გიპასუხებთ, რომ გამიმართლა და აგერ უკვე 2 კვირაა, რაც გურული რძალი მყავს — ძმის ცოლი. თავის დროზე რა არგუმენტები აღარ მოიშველიეს ჩემი ძმის კეთილისმსურველებმა — რაღა გურულ ქალს ჩახუტებიხარ და რაღა ჭინჭარსო; არ გინდა, გურული ქალის ხელში ვერ გაიხარებო, მაგრამ ამაოდ. მან გარანტირებული სამოთხე არჩია ყველაფერს (თუ რას ვგულისხმობ, მოგვიანებით მიხვდებით) და „გარისკა“... გარისკვად კი თუნდაც მხოლოდ იმიტომ ღირდა, რომ ძალიან თბილი, ხალასი და იუმორით სავსე გურულების გარემოცვაში 2 დღე მხიარულად გავატარე და ახლა უკვე თქვენი განწყობილების ამაღლებაზეც ვიზრუნებ.

ჩვენი მასპინძელი გელა ქურიძე გახლდათ, საკმაოდ ენაწყლიანი და ენამოსწრებული მოსაუბრე. როდესაც სტუმრებიც შეჭიკჭიკდნენ და მასპინძლებიც, ვიფიქრე, ჩემი დროც დადგა-მეთქი და დიქტოფონიც მოვიმარჯვე.

გელა ქურიძე:

— ისეთ წლებში მომიხდა სოფლის გამგებლობა, როდესაც არ იყო არც შუქი, არც გაზი, არც ფული, არც საჭმელი და არც სასმელი. მახსოვს, 8 მარტის აღსანიშნავად მრავალშვილიანი დედები გამგეობაში დავპატიჟეთ და პატარა კონცერტის შემდეგ სუფრასთანაც მივიწვიეთ. მაგიდაზე რამდენიმე სახის სასმელი იდგა — ღვინო, არაყი, ლიმონათი და „ნაბეღლავი“. ჩემი მეგობარი, რაიონის საგადასახადო სამსახურის მაშინდელი უფროსი, დიდი იუმორის პატრონი — ალეკო ჩხარტიშვილი



მეჯდა გვერდით. წყალი მოსწყურდა და მთხოვა, იქნებ ვინმეს მოატანინოო. ღამეა, სოფელში შუქი არ არის და წყალს ვინ მოიტანდა? „გავატარე“, ვითომ ვერც გავიგე. მეორედაც მთხოვა — ვინმე გაგზავნეო. ალეკო, აგერ არის ლიმონათიც და „ნაბეღლავიც“, რომელიმე დალიე-მეთქი, — შევთავაზე. ცოტა ხანში კიდევ რომ მომთხოვა, ვუყვირე: კაცო, საიდან მოგიტანო ამ შუაღამისას წყალი-მეთქი?! ცერად შემომხედა და საქვეყნოდ შემარცხვინა: ბიჭო, მთელი სოფელი მოთხარე და ერთი ჭაი მოგეთხარა, რა იქნებოდაო?

— მართლა ასეთი ცუდი გამგებელი იყავით?

— არა, კაცო, მემასხრებოდა, თორემ რა იყო მოსათხრელი სოფელში, არც არაფერი გვქონდა... რამდენი ბატი გყავსო? — მკითხა ერთხელ ალეკომ. რამდენი და შვიდი-მეთქი. — უკვე აღარ გყავს, ერთი მატარებელმა მოგიკლაო, — მახარა. ბიჭებმა ჩემი „ნაავარიევი“ ბატი მოხარშეს და მეც დამპატიჟეს. მაშინ ერთი ლექსი მითხრა ექსპრომტად, რომელიც ასე მთავრდებოდა: „უწინ ორ ბატს არ განდობდნენ, ახლა მოგანდენ სოფელიო“... აი, ასე ხუმრობა-ხუმრობაში გადავიტანეთ უკიდურესი გაჭირვების წლები.

— ყველაზე მეტად, მაინც რის



წიგნების სერია

„ახალი ქართული ლიტერატურა“

ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრასთან“ ერთად

ყოველთვე

ერთი თანამედროვე ავტორი

ივნისის ნომერთან ერთად



წიგნი 2 - თამარი ფხაკაძე

„სამნი ძმის ქვეშ“

წიგნის ფასი 3 ლარი. (ჟურნალთან ერთად 5 ლარი.)

გამო აშაყირებენ გურულებს?

— რის და სიაბდლის გამო (*იცინიან*)... გურულს ეკითხებიან: რას ეძახიან თქვენთან სულელსო? — რას

და აბდალს, ძამაო. — ჭკვიანსო? — აჰ, მასეთი არ გვყავსო... სიტყვა „ჭკვიანს“ გურიაში არ ხმარობენ, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც გვეამაყება ჩვენი გურულობა.

— ესე იგი, ძველი ანეკდოტი, — საგიჟეთიდან გიჟი რომ გამოეპარათ ექიმებს და შეეშინდათ, გურიაში არ შეაღწიოს, თორემ მერე რაღას გავარჩევთო?! — მთლად ტყუილი არ ყოფილა, არა?

— (*იცინიან*) რაღა ტყუილია, გიჟმა გურულებმა ახლა უბრალოდ ჭკუა ისწავლეს და როგორც კი დაატყობენ, რომ გიჟდებიან, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში თავისივე ფეხით გარბიან ხოლმე სამკურნალოდ. აბა, გურულები მართლა აბდლები ხომ არ გგონიათ? ერთ ამბავს გავიხსენებ. რამდენიმე წლის წინ აღდგომისთვის ჩემმა ბიჭმა დარეკა, ვერ ჩამოვალ, სამსახურში საქმეები მაქვსო. კარგი, ბატონო-მეთქი... რას ვიზამდი? სასაფლაოზე ვიყავით გასულები, რომ კვლავ დამირეკა და მითხრა, — უკვე გზაში ვარ, მოვდივარო. გამიკვირდა და საღამოს სუფრასთან რომ დავსხედით, ვკითხე, — ასე უცებ რატომ შეცვალე გადაწყვეტილება-მეთქი? აი, რა მიამბო: „გუშინ საღამოს სუპერმარკეტში პასკა და 2 წითელი კვერცხი ვიყიდე — რომ გავიღვიძებ, ვისაუზმებ-მეთქი. დილით დავარტყი კვერცხი მაგიდაზე, არ გატყდა, დავარტყი უფრო მაგრად, მაინც არ გატყდა, ვჯეჯგვე, მაინც არა... ავიღე მეორე და ვერც მას მოვუხერხე ვერაფერი. თურმე ხის კვერცხები მიყიდია და რას გავტეხდი?! ორ კვერცხში 3 ლარი გადავიხადე, უსაუზმოდ დარჩენილს კი გული მომივიდა და სოფელში წამოსვლაც ამიტომ გადავწყვიტე“. ახლა, გინდ სიაბდლე დაარქვით ამას და გინდ — მიამიტობა... მარტო გურულს თუ დაემართებოდა ასეთი რამ...

— ახლა ის მიამბეთ, თქვენმა დამ ოთარ რამიშვილს რომ უმასპინძლა...

— ჩემი და თბილისში ცხოვრობს. ერთხელ გაიგო, ეზოში ვიღაც კითხულობდა, გურულები თუ ცხოვრობენ აქო? თურმე გააღო კარი, — ჩვენ ვართ გურულებიო, უთხრა მოულოდნელ სტუმარს (რომელიც ყველასთვის საყვარელი მომღერალი ოთარ რამიშვილი აღმოჩნდა) და ისე თვალის დახამხამებაში შეიყვანა სახლში, რომ რამიშვილმა გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო. ქმარსაც დაურეკა, სწრაფად ამოდი სახლში, სტუმარი გვყავსო და სახელდახელოდ სუფრაც გაშალა. თქვენ რომელი გურული ხართო? — ჰკითხა თურმე რამიშვილმა. — ლანჩხუთელი გურული ვარ, ლანჩხუთელიო, — უპასუხია ჩემს დას. — არა, ქალბატონო, წარმოშობით გურულებს კი არა, გვარით გურულებს ვეძებო, — ამოუღერღია მომღერალს. მოკლედ, სუფრა უკვე გაშლილი იყო და სტუმარსაც და მასპინძელსაც კარგად მოულხენიათ.

— ისე როგორ იქნება, გურული ქალის ხასიათზეც რომ არ გკითხოთ რამე? მართალია, რომ ამბობენ, — ვისაც გურული ცოლი ჰყავს, რაც უნდა დიდი ცოდვა ჰქონდეს, მაინც სამოთხეში მოხვდება, რადგან ჯოჯოხეთი უკვე გამოვლილი აქვსო? ასეთი ძნელია გურული ქალის ქმრობა?

— (*ოხრავენ*) კი, მართალია, მაგრამ გვინდა თუ არ გვინდა, მაინც კარგი უნდა ვილაპარაკოთ, სხვა რა გზა გვაქვს?! ჯოჯოხეთს ჩვენი ქალების ხელში თუ სიცოცხლეშივე გავუგებთ გემოს, სამაგიეროდ, სამოთხე ხომ გარანტირებული გვექნება? ბებიასა და ბაბუასთან დაკავშირებით გამახსენდა ერთი კარგი ამბავი. დედაჩემის მამა, არკადი აფხაზავა, კახეთში სოფელ ხაშმის სკოლის დირექტორად მუშაობდა. ახოვანი აღნაგობის იყო, კარგი მოსაუბრე გახლდათ, „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა. ამ ყველაფრის და კიდევ თავისი ენაკვიმატობის გამო შეუცვლელი თამადა იყო, სად აღარ ეპატიჟებოდნენ. რაღა დაგიმალოთ და ქალებზეც არ იყო მწყრალად, რის გამოც ბებია წყევლა-კრულვით იკლებდა. ერთხელ თურმე ნაქეიფარი მოდის და დაინახა, ეზოში კაცები ღორს კოდავენ. მისულა და უთხოვია, მაგ საწყალ ღორს რასაც მოაჭრით, მე მომეცითო. კი გაჰკვირვებიათ მისი უცნაური თხოვნა, მაგრამ უარს ვინ ეტყოდა? ჩაუწყვია ჯიბეებში და მისულა სახლში. დაუწყო ბებიამ წყევლა: უი, კიდევ მთვრალი ხარ? შენ არ გაიხარე, შენ არ მოდი სახლშიო და ასე შემდეგ... ბაბუას გაუფრთხილებია: დამანებე თავი, თორემ რაღაც უბედურებას დავატრიალებო. ბებიაჩემი მაინც არ გაჩერებულა. მაშინ კი ჯერ ერთ ჯიბეში ჩაუყვია ხელი, მერე მეორეში და იქიდან რასაც ამოიღებდა, კი მიხვდებით ყველა, პირდაპირ ბებიას ფეხებთან დაუყრია. თურმე ბებიამ ერთი კი დახედა სისხლიან ხორცის ნაჭრებს და არც მეტი, არც ნაკლები, გული წაუვიდა. ყველაზე კარგი კი იცით, რა არის? გონზე რომ მოსულა, თურმე ქმარს კი არა, საკუთარ თავს დასტიროდა: ეს რა მიყავი, არკადია, ახლა რაღა მეშველებაო?! აი, ასე „დაიკოდა“ თავი ბაბუაჩემმა ცოლის მოსარჯულებლად... მის ენამოსწრებულობაზეც მოგიყვებით. ერთ სუფრაზე 80 წლამდე მიღწეულ ოჯახის დიასახლისს ადღეგრძელებდა. სადღეგრძელოს დასასრულს უთქვამს: ქალბატონო, 100 წელი გეცოცხლოთო. — აჰ, ნენა, ძალიან ბევრიაო. — ქალბატონო, 90 წელს გეცოცხლოთო. ესეც შეუცხადებია მასპინძელს: რას ამბობ, ნენა, 90-იც ბევრიაო. მაშინ 80 წელი იცოცხლეთო... — არა, შვილო, ეგეც ბევრიაო. — ქალბატონო, არ მიგეღწიოთ ხვალ დილამდე, თუ არ დამაცდით ამ საადღეგრძელოს დამთავრებასო... ბაბუას ეს ნათქვამი შემდეგ ხალხში გავრცელდა და ანეკდოტად იქცა...

ასეთი იყო უიკ-ენდი გურიაში. იმედია, გახალისდით და გუნებაგანწყობილებაც გამოგიკეთდათ თქვენი მონა-მორჩილისა და გურულების წყალობით. მე კი ჟურნალის საშუალებით გულთბილი დახვედრისთვის კიდევ ერთხელ გადავუხდი მადლობას ნიგვზიანელ გურულებს (ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანში გახლდით) და ზაფხულამდე დავემშვიდობები მათ კიდევ უფრო უკეთესი ამბების მოლოდინში... ■

კაცებზე მონადირე გოგონები

„ჩემ გამო დაქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა“

თურმე, კაცების „სისხლისმწოველი“ გოგონები ბლომად არსებობენ და როგორც უნდა გაგიკვირდეთ, მათი უმეტესობა ადრეულ ასაკში თხოვდება; ზოგიერთი გოგო კი მთელი ცხოვრება ცდილობს, მამაკაცის გული მოინადიროს და მიზანს მიაღწიოს ანუ გათხოვდეს, შვილები იყოლიოს, მაგრამ — უშედეგოდ. ჩემი ერთ-ერთი რესპონდენტი იმასაც კი აღიარებს, რომ უამრავი ისეთი ცოდვა აქვს ჩადენილი, რომელიც ძლიერი სქესის წარმომადგენლების გამწარებასა თუ დევნას უკავშირდება. ბოლო დროს ამ ყველაფერს განიცდის და სურს, ყველაფერი მოინანიოს...

ლიკა ქაჯაია

ლია, *22 წლის:*

— მთელი ცხოვრება ბიჭებს ვამწარებდი, უამრავი ცოდვა მაქვს ჩადენილი და მინდა, აღსარება თქვენ ჩაგაბაროთ. ახლა, როცა თავად გავხდი უგულო ადამიანის მსხვერპლი, მივხვდი, რომ ცუდად ვიქცეოდი, როცა თაყვანისმცემლებს გულს ვტკენდი... 15 წლის ასაკში ერთი უბნელი ბიჭი მომეწონა და ყველაფერი გავაკეთე საიმისოდ, რომ მისთვის თავი მომეწონებინა, შემეყვარებინა; მაგრამ როგორც კი ჩემად დავიგულე, მასზე გული ამიცრუვდა და ვუთხარი: ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა, მივხვდი, რომ არ მიყვარხარ და უნდა დავშორდეთ-მეთქი. მემუდარებოდა, — ასე ნუ მომექცევი, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ურთიერთობის ინიციატორი ხომ თავად იყავიო, მაგრამ გავჯიუტდი: შემეშვი, ის არ ყოფილხარ, ვინც მეგონე-მეთქი. ახლაც თვალწინ მიდგას მისი სევდიანი სახე. სხვათა შორის, ვგრძნობ, რომ დღემდე ვუყვარვარ: მას ხშირად ვხვდები ქუჩაში და თვალს რომ მაყოლებს, გული მეკუმშება, მაგრამ თავმოყვარეობა არ მაძლევს უფლებას, დაველაპარაკო, ბოდიში მოვუხადო... ჩემი მეორე მსხვერპლი ჩემივე კლასელი გახლდათ. პირველ „ლოვესთან“ დაშორების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ გული გელასკენ მიმიწევდა. ის „ძველი ბიჭი“ გახლდათ, სიგარეტს „ექაჩებოდა“, გოგონებს ზედაც არ გვიყურებდა და მეგონა, რომ ნამდვილი მამაკაცი სწორედ მისნაირი უნდა ყოფილიყო. ვფიქრობდი: გელას გულს თუ მოვინადირებ, გოგონებს ჩემი შეშურდებათ, ყველა პატივს მცემს და უბატონოდ სიტყვასაც ვერავინ მკადრებს-მეთქი. მოკლედ, მიზანს ამ შემთხვევაშიც მივაღწიე და მართალია, ბევრი ვიწვალე, მაგრამ გელას გული დავიპყარი. როგორც კი ბიჭი „მოვღუნე“, მივხვდი, რომ მის გამო ამდენი ბრძოლა არ ღირდა; რომ გოგონებს ჩემი არ შეშურდათ; რომ გელა სულაც არ იყო ისეთი პოპულარული, როგორიც მეგონა და... მის ძმაკაცს დავუწყე „შებმა“. სულ მალე ჩვენი ამბავი გასკდა და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ გელა საუკეთესო მეგობართან ვაჩხუბე, ბოლოს კი ორივეს დავშორდი: ჩემი ღირსები არ ხართ-მეთქი...

ჩემი „ნადირობა“ ამით არ დასრულებულა, კიდევ უამრავ ადამიანს ვატკინე გული, მაგრამ ყველაზე მწარედ მახსენდება ის ამბავი, როცა უტვინომ, ბიჭის გამო უახლოეს დაქალს ვუღალატე. ნანა ჩემი მეზობელიც გახლდათ და კლასელიც. ის არაჩვეულებრივი გოგო იყო და მიუხედავად იმისა, რომ ერთი წლით უფროსი გახლდათ, ყოველთვის ყველაფერს მითმობდა. ბავშვობაში გამუდმებით ვამწარებდი, მაგრამ ჩემს თავხედობას უსიტყვოდ ითმენდა. როცა გავიზარდეთ, მივხვდი, რომ ის ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო და ვცდილობდი, მისთვის არაფერი მეწყენინებინა, მაგრამ ბოლოს ისეთი რამ გავუჩალიჩე, რამაც თვითმკვლელობა ჩაადენინა. მოკლედ, ერთ ზაფხულს ნანა დასასვენებლად ბათუმში წავიდა. იქ გაიცნო ვინმე ნიკა და ერთმანეთი შეუყვარდათ კიდეც. თბილისში დაბრუნებული ნანა თავის სიყვარულზე გატაცებით მელაპარაკებოდა, მაგრამ არ მეგონა, თუ მისი „ლოვე“ „მაგარი“ ბიჭი იქნებოდა. ერთხელ მას ნიკამ სურათი გამოუგზავნა და როცა ის ჩვენ, დაქალებსაც გვანახვა, ყველამ ერთხმად ვაღიარეთ, რომ ნიკა უსიმპათიურესი იყო. გოგონების გამომეტყველებიდან გამომდინარე მივხვდი, რომ ნანასი ბევრს შეშურდა და გონება ამმღვრა — მე ხომ მთელი ცხოვრება იმაზე ვოცნებობდი, რომ ყოველთვის ყველაზე მაგარი ვყოფილიყავი და ისეთი კაცი ჩამეგდო ხელში, ხალხი შურით გამსკდარიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩემმა „უფერულმა“ დაქალმა მაჯობა, ჰოდა, გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, პირველობა არავისთვის დამეთმო; მსურდა, ყურადღების ცენტრში მხოლოდ მე ვყოფილიყავი და დაქალს შევუჩნდი, — ნიკას დაელაპარაკე, თბილისში ჩამოვიდეს. ნუთუ, სულაც არ ენატრები? შეყვარებული ბიჭები ასე არ იქცევიან-მეთქი. ნანა ანკესზე წამოეგო, ნიკას დაურეკა და სთხოვა: თუ შეძლებ, ჩამოდი, მენატრები და თან, მსურს, ჩემი დაქალი გაგაცნოო... რამდენიმე დღის შემდეგ მის „ლოვეს“ რკინიგზის სადგურში დავხვდით. მეგობარმა თავისი შეყვარებული გამაცნო თუ არა, მისი „შებმა“ იმწამსვე დავიწყე. ნიკა რაღაცას მიხვდა და ცდილობდა, ჩემგან თავი შორს დაეჭირა, მაგრამ არ მოვეშვი და იმ დღესვე, მარტო დავიგულე თუ არა, ტუჩებში ვეძგერე. ნანამ შემოგვისწრო... ის ჩვენთან მოვიდა, „ზასაობა“ შეგვაწყვეტინა, ყველაფრისთვის მადლობა გადაგვიხადა და შინისკენ გაიქცა. ნიკამ სილა გამაწნა და ნანას დაედევნა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ჩემმა დაქალმა მის ხვეწნა-მუდარასა და ახსნა-განმარტებას ყურიც არ ათხოვა. იმ დღის შემდეგ დაქალი აღარ მინახავს. მას თურმე, ეს ამბავი არავისთვის გაუმხელია — „დაგრუზული“ შინ ჩაიკეტა და 2 დღის შემდეგ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მე კი ნიკა ზუსტად 3 წელი მოსაკლავად დამდევდა და ერთხელ ღამის გამისტუმრა კიდეც საიქიოს, მაგრამ კლასელებმა იხსნეს ჩემი სიცოცხლე... ნანას სიკვდილის შემდეგ მივხვდი, როგორი ადამიანიც ვიყავი;

მან ჩამომხსნა ნიღაბი, გამაშიშვლა და საკუთარი თავი დამანახვა. შემრცხვა, ვინანე, მაგრამ დაქალს ხომ ვეღარ გავაცოცხლებდი?! დარწმუნებული ვარ, ნანას ნიკა სხვასთან რომ ენახა, რეაქცია არ ექნებოდა, „ლოვეს“ ყველაფერს აპატიებდა, მაგრამ ჩემი, მისი დაიკოს (როგორც თავად მეძახდა) ღალატმა შეშალა ჭკუიდან... ჩემს საქციელს ვნანობ. ვიცი, არაფრის ღირსი არ ვარ, მაგრამ... ცოტა ხნის წინ მართლა შემიყვარდა ადამიანი, რომელიც ზედაც არ მიყურებს, მეტიც — გამუდმებით დამცინის და ამბობს, რომ მისი ფრჩხილის ფასადაც არ ვღირვარ. ის თითქოს სამაგიეროს მიხდის ყველა იმ ბოროტებისთვის, რაც კი ოდესმე ჩამიდენია, ჰოდა, მახსენდება ანდაზა: რასაც დასთეს, იმას მოიმკი. ახია ჩემზე: ამდენი ადამიანი რომ არ გამემწარებინა, იქნებ მეც მეპოვა ნამდვილი სიყვარული, ახლა კი ზუსტად ვიცი, რომ მარტოობისთვის ვარ განწირული...

ნანაპა, *18 წლის:*

— მართალია, ჯერ პატარა ვარ, მაგრამ რამდენიმე ბიჭის გამწარება უკვე მოვასწარი. კლასელები ვამპირას მეძახიან და ამბობენ, რომ ბიჭებს სისხლს ვწოვ, რის შემდეგაც ისინი ჩემზე შეყვარებულ მარიონეტებად იქცევიან ხოლმე. იცი, ბიჭების „შებმის“ პროცესი სიამოვნებას მანიჭებს, მაგრამ როცა მათ ჩემად დავიგულებ, მათთან ურთიერთობას ვწყვეტ.

— ისინი შენთვის უინტერესონი ხდებიან?

— კი, ასეა! იმ კაცის გვერდით ყოფნა, რომელიც ერთგული ყმასავით, გამუდმებით უკან დამდევს ან ეჭვიანობის სცენებს მიწყობს, მიძნელდება. მირჩევნია, მონადირის პოზიცია მეკავოს და თავად ვიეჭვიანო სხვაზე. მოკლედ, ზედმეტი ყურადღება მაღიზიანებს.

— როგორც თავად აღნიშნე, ბევრი ბიჭის ცოდვა გადევს. დავიჯერო, მათ შორის არ იყო ისეთი ადამიანი, რომელიც შენი გულის მონადირებას შეძლებდა?

— სულ ორჯერ ვიყავი შეყვარებული და ორივემ გამიცრუა იმედი ანუ ისინი ცუციკა ძაღლებივით გამუდმებით კუდში დამდევდნენ; მათთვის საკმარისი იყო, მეთქვა, — კლდიდან გადახტით-მეთქი, რომ თავით გადაეშვებოდნენ, შეეძლოთ, ჩემ გამო კაციც კი მოეკლათ. ერთხელ ერთს ვუთხარი: ცოლად რომ გამოგყვე, დედაშენის გვერდით ყოფნას ვერ ავიტან. თუ ის საცხოვრებლად სხვაგან გადავა და ბინას ჩვენ დაგვითმობს, ხვალვე გამოგყვები-მეთქი. იმ დეგენერატმა დამიჯერა და დედამისს ულტიმატუმი წაუყენა: ან ამ სახლიდან გადახვალ და საცხოვრებლად სოფელში წახვალ, ან სამუდამოდ დამკარგავო.

— იქნებ, მოგატყუა და სინამდვილეში, დედისთვის ასეთი რამ არ უთქვამს?

— არა, არ მოვუტყუებივარ. საცოდავმა დედამისმა დამირეკა და მითხრა: შვილო, ისეთი რა დაგიშავე, ჩემ გვერდით ცხოვრებას რომ ვერ შეძლებ? ამქვეყნად ეს ერთი შვილი მყავს და ამასაც რომ მართმევ, არ გრცხვენიაო?

— მერე, შეგრცხვა?

— რისი უნდა შემრცხვენოდა? ვუპასუხე: ქალბატონო, თქვენი შვილი გამოვცადე. ჰოდა, რადგანაც დამიჯერა და ეს გაკადრათ, ე.ი. დეგენერატია, რომელზე დაყრდნობაც არ შეიძლება-მეთქი. მერე ბოდიში მოვუხადე და მიუხედავად იმისა, რომ „ლოვე“ მიყვარდა, მას მაინც დავშორდი. არავინ თქვას: ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ უყვარდებათო! ჯერ 18 წლის ვარ და ეს გრძნობა უკვე ორჯერ გამოვცადე.

— მეორეს რის გამო დაშორდი? მასაც გამოცდა მოუწყვე?

— არა. ის ზედმეტად ყურადღებიანი, უფრო სწორად — ეჭვიანი იყო და ამიტომაც მოვიშორე თავიდან. შეყვარებულს ქუჩაში გასვლას მიკრძალავდა და ცოლად რომ გავყოლოდი, ხომ წარმოგიდგენია, რას მიზამდა?!

— როგორც ვატყობ, შეგიძლია, შარი ყველა კაცს მოსდო. საინტერესოა, კაცთა მოდგმა გძულს და ასე ამიტომაც იქცევი თუ გეშინია, რომ თავად არ იწვნინო იმედგაცრუება და შეყვარებულისგან წასვლას ამიტომაც ჩქარობ?

— არა, კაცთა მოდგმა ნამდვილად არ მძულს. უბრალოდ, არ შემხვდა ისეთი ვაჟკაცური ბუნების ბიჭი, რომელსაც ბოლომდე მივენდობოდი. აბა, ადამიანი, მშობელ დედას, ჩემი ყოფილი შეყვარებულისა არ იყო, არაფრის გამო ხელს რომ ჰკრავს და მარტოობისთვის გაწირავს, სხვას რა ხეირს დააყრის? დარწმუნებული ვარ, ოდესმე, ის არაკაცი მეც ცუდად მომექცეოდა, ვიღაც ქალის გამო მიმატოვებდა, მე კი ასეთ ცხოვრებაზე ნამდვილად არ ვოცნებობ... მინდა, გვერდით მყავდეს ისეთი მამაკაცი, რომელზე დაყრდნობაც შესაძლებელი იქნება, რომელსაც ჩემი კი არ შეეშინდება, არამედ პირიქით, მე მექნება მისი რიდი. ვფიქრობ, გათხოვილ ქალს გვერდზე გახედვის უნდა ეშინოდეს!

— ჩემი აზრით, არ გაქვს უფლება, სხვების, თუნდაც — ულირსი ადამიანების გრძნობებზე ითამაშო. სიყვარული ცოდვა არ არის, ამ გრძნობას კი ეჭვიანობაც თან სდევს. უნდა გესმოდეს, რომ სუსტი მამაკაცების გაბრიყვების გამო შესაძლოა, ოდესმე შენც დაისაჯო, სამაგიერო მოგეზღოს...

— მერწმუნე, ბრმად არავის შევიყვარებ და კაცის გამო ვენებსაც არასდროს გადავიჭრი. ვინმე თუ შემიყვარდება და ის უღირსი იქნება, თუ ჩემს მიტოვებას უსაფუძვლოდ გადაწყვეტს, მაშინ გულიდან მისი სახელის ამოშლას აუცილებლად მოვახერხებ. ჩემი რა ბრალია, თუ კაცებს მოსწონთ, როცა ბრიყვების როლში არიან?!.

მაპა, *17 წლის:*

— ჩემი მეგობარია ბიჭებზე მონადირე. ოდესღაც ის ძალიან კარგი გოგო იყო, თაყვანისმცემლებს ყავის დასალევადაც არ მიყვებოდა, აქაოდა, ვინმე ზედმეტად არ შევაწუხოო, მაგრამ ბოლო დროს ძალიან შეიცვალა — ბიჭებს ჯერ „კერავს“, მერე კი „ჭრის“.

— შენი აზრით, ასე რამ შეცვალა?

— შეყვარებული ჰყავდა — თემო მასზე 2 წლით უფროსი იყო და გვეგონა, რომ ის ნიტაზე გიჟდებოდა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ყველანი ვცდებოდით; თურმე, თემოს ნიტა არ უყვარდა, მასზე მხოლოდ კაიფობდა, მისით ერთობოდა. ჰოდა, ჩემი მეგობარი სწორედ მისმა საქციელმა გაამწარა და ერთხელაც გადაწყვიტა: რადგანაც ყველა ბიჭი ერთნაირია და ყველაში გიოს ვხედავ, ჯავრს სხვებზე ვიყრიო... ვეუბნები, რომ ცუდად იქცევა, რომ შესაძლოა, ეს ყველაფერი ძალიან ცუდად დაუბრუნდეს უკან, მაგრამ არაფრის გაგონება არ სურს.

— თუ მის მიერ დაგებულ მახეში ბიჭები იოლად ებმებიან, გამოდის, რომ ნიტა ძალიან ლამაზია...

— არა, ის ჩვეულებრივი, სხვებისგან თითქმის არაფრით გამორჩეული გოგოა, მაგრამ რაღაცნაირი შარმი აქვს, ყველაფერს იხდენს და ბიჭებთან ურთიერთობაშიც თამამია, რაც თანამედროვე, XXI საუკუნის მამაკაცებს მოსწონთ.

— ასე გგონია?

— როცა ნიტა მორცხვი იყო, მას მხოლოდ ორი თაყვანისმცემელი ჰყავდა, ახლა კი მათი რაოდენობა ბევრად მეტია; ის თითქმის ყოველდღე პაემანზე დადის, მაგრამ არ გეგონოთ, რომ სულ ერთსა და იმავე პიროვნებას ხვდება... ზოგჯერ სიტუაციას ხლართავს და პაემანს ერთდროულად ორ

თაყვანისმცემელს, ერთსა და იმავე ადგილას უნიშნავს, ეს ყველაფერი კი ცხადია, ჩხუბითა და აყალმაყალით სრულდება, რაზეც ნიტა მაგრად კაიფობს, მეტიც — ამ სანახაობის საცქერლად მეგობრებსაც გვეპატიჟება ხოლმე.

— **როგორც ვხედავ, მეგობრის საქციელი არ მოგწონს...**

— არა, არ მომწონს, მაგრამ არც მისი გამტყუნება შემიძლია — არავინ იცის (ცხადია, უფლის გარდა), მომავალში თავად როგორ მოვიქცევი. ბოლოს და ბოლოს, ცხოვრება ხომ სიურპრიზებითაა სავსე.

ძეთო, *18 წლის:*

— მამიდაჩემი მთელი ცხოვრება იმას ცდილობდა, მამაკაცი „შეეება“ და გათხოვილიყო, მაგრამ მისი ყოველი მონდომება და ბრძოლა კრახით სრულდებოდა. როგორც ამბობენ, ის ყველა სიმპათიურ მამაკაცს უპაჭუნებდა თვალს. ერთხელ თურმე, კაცს საკუთარ ქორწილშიც კი ეფიცებოდა სიყვარულს და სთხოვდა, პატარძალი მიეტოვებინა, ცოლად ის მოეყვანა, მაგრამ ყველაფერი იმით დასრულებულა, რომ ქორწილიდან „გამოუბუნძულებიათ“... საბოლოოდ, მამიდა შინაბერად დარჩა ანუ 2 კურდღლის მადევარივით დაემართა. ერთხელ ვკითხე, — საყვარელი კაცის ქორწილში რამ მიგიყვანა, თავმოყვარეობა სად დაკარგე-მეთქი? მიპასუხა: არ მიყვარდა, უბრალოდ მომწონდა და მინდოდა, მისგან ლამაზი შვილები მყოლოდაო. სასაცილოა, არა?

— **მაგრამ ალბათ, მამიდაშენს სასაცილოდ ნამდვილად არ ჰქონდა საქმე. მას გათხოვებისა და შვილების ყოლის გარდა, რაიმე სხვა მიზანი თუ ჰქონდა?**

— ამბობს: კიდევ ერთი მიზანი მქონდა — მსურდა, სამედიცინოზე ჩამებარებინა, მაგრამ ქულები დამაკლდა. ჰოდა, ვინაიდან სასურველ ფაკულტეტზე ვერ მოვხვდი, სხვაგან სწავლას ვარჩიე, უსწავლელი ვყოფილიყავიო. მაშინ თეთრი ხალათი მოდაში ყოფილა და კუდაბზიკა იმერელსაც მხოლოდ და მხოლოდ ექიმობა ნდომებია. თურმე მიზნის მისაღწევად ვიღაც ასაკოვან ლექტორსაც კი ეპრანჭებოდა. ის კაცი ლამის ჭკუიდან შეუშლია, მაგრამ მადლობა ღმერთს, საქმეში იმ ლექტორის მეგობარი ჩარეულა და მამიდაჩემისთვის სხვისი ოჯახის დანგრევის უფლება არ მიუცია... მამიდუცა ახლაც ნადირობს კაცებზე, ახალგაზრდა, ლამაზ ბიჭებს ეპრანჭება და შესაძლოა, ამ სიბერეში მაინც გამოუვიდეს რაღაც... სხვათა შორის, 20 წლის გოგოსავით გამოიყურება, თავს არაჩვეულებრივად გრძნობს.

— **იმედია, ოდესმე მიაღწევს მიზანს და გათხოვდება, შვილებიც ეყოლება...**

— მის ასაკში შვილების ყოლა შეუძლებელია, მაგრამ ქმარს კი იმედია, იშოვის. ბოლოს და ბოლოს, ქართველებს ბერბიჭებიც ხომ ბლომად გვყავს (*იცინის*). ჰოდა, თუ ნებას მომცემთ, უცოლო, 50-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცებს მივმართავ: თუ გნებავთ, დაქორწინდეთ სწორფეხება და ხავერდოვანი ხმის მქონე ქალბატონზე, თუ გსურთ, მის ალერსში მყოფმა განუტევოთ ცოდვილი სული (რადგანაც ის აუცილებლად, კოცნით გაგგუდავთ), გამოგზავნეთ თქვენ მიერ შეთხზული ლექსები (მამის ძალიან უყვარს ლექსები, გიუდება პოეზიაზე) ლიკასთან. ჩვენ ლექსებს წავიკითხავთ, მამიდასაც წავაკითხებთ და ვისი შემოქმედებაც გაგვაოცებს, მას აუცილებლად დავუკავშირდებით.

P.S. ამჯერად, გთავაზობთ თემას: ჩემი პედაგოგი. შეგიძლიათ მოგვიყვეთ იმ მასწავლებლებზე, ლექტორებზე, რომლებმაც თავი შეგაყვარეს ან პირიქით, შეგაძულეს. გაიხსენეთ მათთან დაკავშირებული საინტერესო ამბები და თემასთან დაკავშირებული სხვისი ან საკუთარი თავგადასავალი მომწერეთ ნომერზე: 8(58) 25.60.81 ან მეილზე: lika.qajaia@gmail.com. ■

„მას კარგი ოჯახი არა აქვს“

უცნობი:

„გამარჯობა. თქვენი დახმარება მჭირდება. ვარ 14 წლის. მიყვარს 20 წლის ბიჭი, რომელსაც ძალიან ვუყვარვარ. ჩვენ ერთმანეთის გარეშე ვერ ვიცოცხლებთ, მაგრამ გარდა ასაკობრივი სხვაობისა, პრობლემა ისიც არის, რომ მას კარგი ოჯახი არა აქვს და ეს ყველაფერი ჩემებმა რომ გაიგონ, არ ვიცი, რა მოხდება... გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?..“

„დედის ახირების გამო ცხოვრება დამიმახინჯდა“

გიო, *17 წლის:*

„სალამი. არ მეგონა, თუ ოდესმე მეც დაგიმესიჯებდით, რადგანაც იმ ადამიანებს, ვინც ჟურნალის მეშვეობით ითხოვდნენ რჩევას, სულელებად მივიჩნევდი, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ სულელი თავად ვარ... ჩემი გარეგნობის გამო თავს დაჩაგრულად ვგრძნობ. იცით, ბევრს „ცისფერი“ ვგონივარ, რადგანაც თურმე ქალური მანერები მაქვს, ხელებით ვლაპარაკობ და გარეგნულად საოცრად ნაზი გახლავართ — სუსტი აღნაგობითა და ლამაზი სახის ნაკვთებით დაჯილდოებული. ბიჭები დამცინიან, გოგონები კი ცდილობენ, დამიმეგობრდნენ, ჩემგან რჩევები მიიღონ, მაგრამ თუ ვინმე მომეწონება და ჩემს გრძნობებში გამოვუტყდები, ყოველთვის ასეთ პასუხს ვიღებ: საყვარელო, მისამართი შეგეშალა, მამაკაცი არა ვარო. ეს ყველაფერი კი ცხადია, გულს მტკენს. არ ვიცი, თავი ისე როგორ დავიმახინჯო, რომ უფრო მამაკაცური გავხდე. ალბათ, სახეზე ბევრი „შრამი“ რომ მქონდეს, ქალებს მოვეწონებოდი, მაგრამ არც ის ვიცი, ეს ოხერი „შრამებიც“ როგორ „ავიკიდო“, რადგან ბიჭები ჩემი ცემისგანაც თავს იკავებენ და დამცინავად ამბობენ, — ქალის ცემა რა საკადრისიაო? საკუთარი ხელით კი სახეს ვერ დავისერავ, ამდენი ვაჟკაცობაც არ მაქვს. ალბათ, მკითხავთ: კაცს ქალური მანერები როგორ ჩამოგიყალიბდაო? პატარა რომ ვიყავი, დედაჩემი კაბებს მაცმევდა, კიკინას მიკეთებდა, რადგანაც თურმე ყოველთვის ქალიშვილის ყოლაზე ოცნებობდა. მაგრამ ვინაიდან მე გავჩნდი და გარკვეული მიზეზების გამო, სხვა შვილი აღარ ეყოლებოდა, ისე მპრანჭავდა, როგორც გოგოს. ჰოდა, ეტყობა, სწორედ ამის ბრალია, რომ ძალაუნებურად ასეთი, არამამაკაცური მანერები ჩამომიყალიბდა, რასაც სიმართლე გითხრათ, თავად ვერც ვამჩნევ... ნუთუ, მხოლოდ იმიტომ უნდა დავიჩაგრო, რომ უხეში არ ვარ? მირჩიეთ, რა მოვუხერხო საკუთარ თავს? როგორ დავარწმუნო ხალხი იმაში, რომ მეც მამაკაცი ვარ და არა — გეი? ახლა მხოლოდ თქვენი დახმარების იმედი მაქვს. რჩევებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას. P.S. ჰო, დედაჩემსაც ვეღარ ვიტან. დღე არ გავა ისე, რომ არ ვუსაყვედურო, — ქალივით რატომ მზრდიდი-მეთქი. ვიცი, ამით გულს ვტკენ, მაგრამ ჩემს უბედურებაში ხომ სწორედ ისაა დამნაშავე? მისი ახირების გამო სულიც დამიმახინჯდა და ცხოვრებაც...“ ■

P.S. მაშ ასე, თუ უცნობისა და გიოს წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81 მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ. ■



სამყარო

იგავი „ორი მოვალის“ შესახებ

შორენა მერკვილაძე

ლუკას სახარებაში მოთხრობილია უფლის იგავი „ორი მოვალე“: კაცს ორი მოვალე ჰყავდა. ერთ-ერთ მათგანს მისი 500 დინარი ემართა, მეორეს — 50. ვინაიდან არაფერი ებადათ, მევალემ ორივეს მიუტევა...

ეს იგავი ყველაზე მოკლეა მაცხოვრის მიერ თქმულ იგავებს შორის, რომელიც ზნეობრივი დარიგების სახით მოსდევს უფლის ამქვეყნიური ცხოვრებისას მომხდარ ფაქტს — ცოდვილი ქალის მიერ იესო ქრისტესთვის ნელსაცხებლის ცხების ამბავს.

იგავზე საუბრისას, წმინდა მამები და კომენტატორები საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას ცოდვილ ქალსა და სიმონ ფარისეველზე, მათ ვინაობაზე. სახარების თანახმად, უფალს სამგზის სცხებენ ნელსაცხებელს. პირველი ცხების შესახებ მოგვითხრობს ლუკა მახარებელი მე-7 თავში. სწორედ ამ ამბავს მოჰყვება მაცხოვრის მიერ „ორი მოვალის“ იგავის წარმოთქმა.

როგორც ლუკა მახარებელი მოგვითხრობს, ცოდვილმა ქალმა უფალს სიმონ ფარისევლის სახლში სცხო ნელსაცხებელი, როდესაც სიმონს შინ ჰყავდა მიწვეული. ეს მოხდა იმ პერიოდში, როდესაც უფალი გალილეაში ქადაგებდა. ერთ-ერთი ქადაგებისას, ქალაქ ნაინში მკვდრეთით აღადგინა ქვრივი ქალის დედისერთა ჭაბუკი. სწორედ ამის შემდეგ მიიწვია სიმონ ფარისეველმა თავის სახლში იესო, რომელსაც წინასწარმეტყველად მიიჩნევდა. ამ დროს, მაცხოვარის ფერხთით ცოდვილი ქალი გაჩნდა, „ტიროდა, ცრემლით ულტობდა ფეხებს და ნელსაცხებელს სცხებდა“. უფალმა შეიწყნარა ცოდვილი ქალის სინანულის ცრემლები და მიმართა: „მოგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი; სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ“, მაგრამ სიმონმა უფლის ქმედება და სიტყვები სულ სხვაგვარად გაიგო, ცოდვილი ქალის იესოსთან შეხება წინასწარმეტყველის შეურაცხყოფად მიიჩნია და გაიფიქრა: „ეს რომ წინასწარმეტყველი იყოს, ხომ მიხვდებოდა, ვინც ეხება, ან რანაირი ქალი ეხება, ვინაიდან ცოდვილიაო“. გულთამხილავმა უფალმა უწყოდა, რას ფიქრობდა ფარისეველი და მას „ორი მოვალის“ იგავი უამბო. როგორც კომენტატორები განმარტავენ, მაცხოვარი მევალეში საკუთარ თავს გულისხმობდა, 500 დინარის მქონე — ე.ი. დიდი ვალის მქონე ადამიანში — ამ ცოდვილ ქალს, 50 დინარის პატრონში კი — სვიმონ ფარისეველს.

როგორც ვიცი, სახარების თანახმად, უფალი არაერთგზის ამხელს ფარისევლებს, მათ სჯულის აღსრულებისადმი მხოლოდ გარეგნულ დამოკიდებულებას. ისინი მართალია, ზედმიწევნით აღასრულებდნენ სჯულის კანონებს, მაგრამ შორს იყვნენ ღვთის ჭეშმარიტი რწმენისგან, ღვთის სიმართლისაგან. სჯულის მხოლოდ გარეგნულად აღსრულებას ადამიანი ამპარტავნებამდე მიჰყავს და უფალს აშორებს, უფალს დაშორებული კაცი კი თავისთავად კარგავს გულმოწყალებასა და საღვთო სიმართლეს. სწორედ ამგვარ სულიერ მდგომარეობაში იმყოფებოდა სვიმონ ფარისეველი — ღვთის წინაშე სიმართლე, გულმოწყალება და მოყვასის სიყვარული აკლდა, ამიტომაც გაჩნდა ეჭვი უფლის მიმართ, ხოლო ცოდვილი მოყვასის მიმართ — უმოწყალობა, ამასთან, როგორც ნეტარი თეოფილაქტე ბლუგელი იგავის განმარტებისას შენიშნავს, — თვითონ ცოდვილი, არა მხოლოდ მონანიე ცოდვილ ქალს, იესოსაც განიკითხავს, რადგან მასშიც ეჭვი შეეპარა. „ორი მოვალის“ იგავის თანახმად, უფალმა დაანახვა სიმონ ფარისეველს, რომ ამაოდ დაშვრა, რადგან ამ ცოდვილმა ქალმა იმდენი გააკეთა თავისი სინანულითა და ქმედებით, რისი მეასედიც არასოდეს უცდია და უქმნია სიმონ ფარისეველს, თავისი ამპარტავნების გამო. ცხადია, ეს ეხება ყველა მისი სულიერი მდგომარეობის მსგავსს.

იგავის თხრობის დასრულების შემდეგ, მაცხოვარი პირადად ამხელს სიმონს, როდესაც ეუბნება: „ხედავ ამ დედაკაცს? შემოვედ სახლსა შენსა, წყალი ფერხთა ჩემთა არა მეც, ხოლო ამან ცრემლითა დალტვნა ფერხნი ჩემნი და თმითა თვისითა წარხოცნა; ამბორის-ყოფაი. არა მომეც მე, ხოლო

ესე, ვინაითგან შემოვიდა, არ დაცხრების ამბორის ყოფითა ფერხთა ჩემთაითა; ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე, ხოლო ამან ნელსაცხებელი სცხო ფერხთა ჩემთა“ (ლუკა 7; 44-46) — ამით გაამპარტავნებულ მასპინძელს

ᲡᲯᲣᲚᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲣᲚᲐᲓ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲰᲧᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲣᲤᲐᲚᲡ ᲐᲨᲝᲠᲔᲑᲡ

იმაზეც მიანიშნებს, რომ მან იმ დროისათვის დამკვიდრებული სტუმართმოყვარეობის წესიც კი არ აღასრულა, თუმცა როგორც კომენტატორები ბრძანებენ, მას ყველა ეს რიტუალიც, რომ აღესრულებინა, ამ ცოდვილ ქალზე მაინც ვერ ამაღლდებოდა თავისი სულიერი მდგომარეობით. ამგვარი მხილების შემდეგ სვიმონი წესით, უნდა დაფიქრებულიყო და დაენახა, რომ მან არასწორად შეაფასა უფლის ქმედება. მისი მხილება მაგალითი უნდა იყოს თითოეული ჩვენგანისთვის.

კომენტატორები განმარტავენ, რომ დაპირისპირებულ იგავურ წყვილში უფალი სჯულის აღსრულებაში მოჩვენებითად მართალს — როგორიც არის სიმონ ფარისეველი — და ცოდვილს გულისხმობს. მოჩვენებითად მართალი სინამდვილეში, ცოდვილი ღვთის წინაშე, ყველასგან მოძულებული ცოდვილი ქალი კი, თავისი გულწრფელი სინანულითა და საკუთარი ცოდვების გამო დაღვრილი ცრემლის სანაცვლოდ, ღვთისგან წყალობას იღებს და გამართლებული რჩება მის წინაშე, ამიტომაც დგას იგი სულიერად და ზნეობრივად ფარისეველზე მაღლა.

საღვთისმეტყველო მნიშვნელობა აქვს უფლის ფერხთა თმით შემშრალებასაც: ამგვარი ქმედებით, ცოდვილმა ქალმა თავმდაბლობა და საღმრთო მოშურნეობა გამოხატა, რითაც დაგვანახვა, როგორი უნდა იყოს ცოდვათა გამო ჩვენი სინანული და ვის უნდა მივმართოთ ხსნისთვის. ერთ-ერთი კომენტატორი ცოდვილი დედაკაცის მიმართ ბრძანებს: „მადლობა შენ, ყოვლადნეტარო ცოდვილო ქალო; შენ მიუთითე ამ ცოდვილ კაცობრიობას იმ მეტად უხიფათო ადგილზე, სადაც ყოველ გულწრფელად მონანიეს შეწყნარება ელის. ეს ადგილია — იესოს ფერხნი! აქ, ამ ფერხთაგან ახლოს, არავინ სძულთ, არავის განიკითხავენ, არავის განაგდებენ... და დაუხანებლად გაუწვდიან ხელს, რომ ძირს დაცემული ფეხზე წამოაყენონ... მხოლოდ და მხოლოდ ფარისეველური სულიერების მქონე ვერ დაიხსნის თავს საკუთარი ამპარტავნებისგან“... ამდენად, თუკი თმით მაცხოვრის ფერხთა შემშრალება ცოდვილი ქალის მიერ საკუთარი უღირსების აღიარება და თავმდაბლობის გამოხატულებაა, ფერხნი უფლისა იმ წმინდა წიაღზე მიგვანიშნებს, სადაც ცოდვათაგან დაცემულის წიაღში დაბრუნება იწყება.

500 დინარისა და 50 დინარის დაპირისპირებითა და შეფარდებით, უფალი თვით სვიმონ ფარისეველის შეხედულებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც მიიჩნევს, რომ ცოდვილი ქალი გაცილებით მეტად ცოდვილია, ვიდრე თვითონ. წმინდა მამები ამ იგავურ თქმასთან დაკავშირებული მსჯელობისას ბრძანებენ: „მართლაც, ცოდვილი ქალის 500 დინარი და სიმონ ფარისეველის 50 დინარი იმ თანაფარდობას გამოხატავს, რაც სინამდვილეში მხოლოდ სიმონის შეხედულებებისა და დამოკიდებულების ანაბეჭდია.

ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲚᲘᲡ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲣᲤᲐᲚᲘ ᲒᲕᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲒᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲡ — ᲜᲣ ᲒᲐᲜᲕᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ ᲛᲝᲧᲕᲐᲡᲡ! „ᲝᲠᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲘᲒᲐᲕᲡ ᲣᲤᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ: „ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲗ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲐᲩᲜᲓᲐᲗ, ᲝᲠᲗᲐᲕᲔᲡ ᲛᲘᲣᲤᲔᲕᲐ“-Ო — Ე.Ი. ᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ, ᲝᲠᲘᲕᲔᲡ ᲛᲘᲣᲤᲔᲕᲐ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐᲝ. ᲐᲛ ᲘᲒᲐᲕᲣᲠᲘ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲣᲤᲐᲚᲘ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲛᲘᲒᲕᲐᲜᲘᲨᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲪᲝᲪᲕᲗᲐᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲡᲧᲘᲓᲕᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲪᲝᲪᲕᲗᲐᲗᲐ ᲨᲔᲜᲓᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘᲐ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲪᲘᲠᲔ ᲪᲝᲪᲕᲗᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ, ᲗᲣ — ᲓᲘᲓᲘ.

„ᲝᲠᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲘᲒᲐᲕᲘᲡ ᲗᲮᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲘᲔᲡᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲡᲘᲛᲝᲜ ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲔᲚᲡ: ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘ, ᲐᲛ ᲝᲠ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲕᲘᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲠᲔᲑᲡ ᲛᲔᲕᲐᲚᲔᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲝᲠᲘᲕᲔᲡ ᲛᲘᲣᲤᲔᲕᲔᲑᲡᲝ? — ᲛᲐᲜ ᲙᲘ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ: „ᲛᲔ ᲔᲒᲠᲔ ᲕᲒᲝᲜᲔᲑ, ᲕᲘᲗᲐᲠᲛᲔᲓ ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪᲐ — ᲘᲒᲘ ᲣᲤᲠᲝᲘᲡᲘ ᲛᲘᲣᲤᲔᲕᲐ“. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲘᲒᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲛᲐᲠᲢᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ, ᲐᲛ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ ᲣᲤᲐᲚᲛᲐ ᲡᲘᲛᲝᲜ ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲔᲚᲘ ᲐᲘᲫᲣᲚᲐ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲔᲚᲘᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲔᲪᲝᲓᲔᲑᲔᲑᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲪᲝᲓᲕᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ — ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲛᲝᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲕ — ᲗᲐᲕᲐᲓ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ: ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲘᲒᲘ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲪ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲐ ᲪᲓᲝᲛᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲐᲠᲐ ᲛᲔᲡᲘᲐᲓ, ᲛᲮᲡᲜᲔᲚᲐᲓ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲐᲓ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲙᲘ ᲨᲔᲔᲞᲐᲠᲐ ᲔᲭᲕᲘ... ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲩᲐᲡ, ᲡᲘᲛᲝᲜᲛᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲤᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲝᲜᲐᲜᲘᲔ ᲪᲝᲓᲕᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲘᲡᲛᲘᲔᲠᲛᲐ ᲨᲔᲜᲓᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲑᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲪ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲘ. ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲒᲕᲐᲣᲬᲧᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲚᲣᲙᲐᲡ ᲡᲐᲰᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲛᲝᲐᲧᲝᲚᲐ ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲐᲠᲛᲐ „ᲝᲠᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲘᲒᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲨᲔᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲣᲠᲗᲝᲜ, ᲡᲘᲛᲝᲜ ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲔᲚᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲡᲔᲜᲘᲗ — ᲙᲔᲗᲠᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲓᲐ; ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲓᲐ ᲙᲣᲠᲜᲔᲑᲐᲪ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲡᲘᲛᲝᲜ ᲙᲔᲗᲠᲝᲕᲜᲐᲓᲐᲪ ᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲗᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲙᲝᲖ ᲛᲐᲮᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ. ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ, ᲯᲒᲕᲐᲠᲪᲛᲐᲛᲓᲔ ᲝᲠᲘ ᲓᲦᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲣᲤᲐᲚᲘ ᲛᲔᲝ-

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲒᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲛᲐᲠᲢᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ, ᲐᲛ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ ᲣᲤᲐᲚᲛᲐ ᲡᲘᲛᲝᲜ ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲔᲚᲘ ᲐᲘᲫᲣᲚᲐ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲔᲚᲘᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲔᲪᲝᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲚᲘᲡ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲣᲤᲐᲚᲘ ᲒᲕᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲒᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲡ — ᲜᲣ ᲒᲐᲜᲕᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ ᲛᲝᲧᲕᲐᲡᲡ! „ᲝᲠᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲘᲒᲐᲕᲡ ᲣᲤᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ: „ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲗ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲐᲩᲜᲓᲐᲗ, ᲝᲠᲗᲐᲕᲔᲡ ᲛᲘᲣᲤᲔᲕᲐ“-Ო — Ე.Ი. ᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ, ᲝᲠᲘᲕᲔᲡ ᲛᲘᲣᲤᲔᲕᲐ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐᲝ. ᲐᲛ ᲘᲒᲐᲕᲣᲠᲘ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲣᲤᲐᲚᲘ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲛᲘᲒᲕᲐᲜᲘᲨᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲪᲝᲪᲕᲗᲐᲗᲐ �გᲐᲛᲝᲡᲧᲘᲓᲕᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲪᲝᲪᲕᲗᲐᲗᲐ ᲨᲔᲜᲓᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘᲐ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲪᲘᲠᲔ ᲪᲝᲪᲕᲗᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ, ᲗᲣ — ᲓᲘᲓᲘ.

„ᲝᲠᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲘᲒᲐᲕᲘᲡ ᲗᲮᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲘᲔᲡᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲡᲘᲛᲝᲜ ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲔᲚᲡ: ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘ, ᲐᲛ ᲝᲠ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲕᲘᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲠᲔᲑᲡ ᲛᲔᲕᲐᲚᲔᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲝᲠᲘᲕᲔᲡ ᲛᲘᲣᲤᲔᲕᲔᲑᲡᲝ? — ᲛᲐᲜ ᲙᲘ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ: „ᲛᲔ ᲠᲔᲓ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲙᲔᲗᲠᲝᲕᲜᲐᲓ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚ ᲡᲘᲛᲝᲜᲡ ᲑᲔᲗᲐᲜᲘᲐᲨᲘ, ᲛᲐᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲡᲔ ᲛᲘᲘᲦᲝ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲛᲮᲡᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ. ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲤᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ, ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲐᲓᲛᲘ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ ᲛᲘᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲓ, ᲡᲘᲛᲝᲜᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲘ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲘᲙᲣᲠᲜᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝ ᲬᲐᲠᲬᲧᲛᲔᲓᲘᲡᲒᲐᲜᲐᲪ ᲘᲮᲡᲜᲐ ᲗᲐᲕᲘ. ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝᲗ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲛᲐᲗᲔ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲘᲡ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘ, ᲛᲐᲗᲔᲪ ᲛᲔᲖᲕᲔᲠᲔ, ᲛᲔᲑᲐᲟᲔ — ᲪᲝᲪᲕᲗᲐᲗᲐ ᲘᲧᲝ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲗᲔ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲘ ᲛᲐᲗᲔ ᲛᲔᲖᲕᲔᲠᲔᲓᲐᲪ. ᲖᲔᲓᲬᲝᲓᲔᲑᲐᲜᲘ — „ᲛᲔᲖᲕᲔᲠᲔ“, ᲗᲣᲒᲘᲜᲓ „ᲙᲔᲗᲠᲝᲕᲜᲘ“ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲐᲗ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲕᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ, ᲠᲐ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲐ ᲛᲐᲗ — ᲪᲝᲪᲕᲗᲘᲚᲔᲑᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲗᲐᲜ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ ᲛᲘᲐᲮᲚᲔᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲡᲕᲚᲐᲛ.

■

„ერთი პერიოდი ხატვა ისე მინდოდა, როგორც წყალი მოგწყურებიათ“

მისი ნახატების პირველი გამოფენა მაშინ მოეწყო, როცა 5 წლის იყო. რასაც მაშინ ბავშვური ფანტაზიით ხატავდა, დღემდე შენახული აქვს. რომ წამოიზარდა, ფიზიკამ გაიტაცა, ამ დარგში არაერთი კვლევა ჩაატარა, სერიოზული მიღწევებიც ჰქონდა, მაგრამ მოგვიანებით ხატვის სურვილმა გადასძალა. ფუნჯს აქტიურად აფხაზეთის ომის (სადაც მძიმედ დაიჭრა) შემდეგ მოჰკიდა ხელი. დღემდე უკვე 15 პერსონალური გამოფენა აქვს მოწყობილი, ამჟამად მის კოლექციაში 600-მდე ფერწერული ტილო ინახება. წელს კი მხატვარი ირაკლი ავალიშვილი რუსთაველის საზოგადოებამ სახელმწიფო პრემიაზე წარადგინა. ინტერვიუს ჩასაწერად შინ, აივანზე მოწყობილ სახელოსნოში ვეწვივ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონი ირაკლი მრავალშვილიანი ოჯახის თავია — 1 ქალიშვილი და 5 ვაჟი ჰყავს.

თამუნა კვინიკაძე

— როგორია თქვენი მოლოდინი — სახელმწიფო პრემიის მფლობელი გახდებით?

— პრემიაზე 7 ადგილზე 25 კაცი ვართ წარდგენილნი, აქედან 4 — მხატვრობაში. მოხარული ვიქნები, თუ ამ პრემიას მომანიჭებენ. ყველაფერი 26 მაისს გადაწყდება.

— ხატვის ნიჭით ბავშვობიდანვე გამოირჩეოდით, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ, სამხატვრო აკადემიაში არ ჩააბარეთ, რატომ?

— სამხატვრო აკადემიის მოსამზადებელ კურსებზე დავდიოდი. იქ გავიცანი ირაკლი ფარჯიანი და დავმეგობრდით. მერე რატომღაც, სამხატვრო აკადემიის ნაცვლად, უნივერსიტეტში ბიოფიზიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. ამ მეცნიერებამ გამიტაცა. 4 წლის შემდეგ, შემთხვევით ქუჩაში ირაკლი შემხვდა, მეცნიერს დამსგავსებიხარო, — გამეხუმრა და სამხატვრო აკადემიაში წამიყვანა, მეოთხეკურსელებთან ერთად დავჯექი და ხატეო. უჩა ჯაფარიძის ჯგუფში მიმიყვანა, როგორც მოხალისე. იქ ზუსტად 20 დღე გავატარე. ჩემთვის მხატვრობა ისეთივე საინტერესო იყო, როგორიც მეცნიერება. ამ 2 სფეროში „გავიჭედე“, რომელი მიმართულებით გამეგრძელებინა მუშაობა, ველარ გავიგე. ბოლოს მაინც მეცნიერულმა ინტერესმა გადაძალა. ირაკლიმ ჩემზე ხელი ჩაიქნია.

— ხატვა აქტიურად რა პერიოდიდან დაიწყეთ?

— 1995 წლიდან, მაგრამ მანამდე 5-6 სერიოზული ნამუშევარი მქონდა.

— თქვენ აფხაზეთის ომში დაიჭერით. ამ ფაქტმა საბოლოოდ შეგიბრუნათ მხატვრობისკენ.

— ეს ძალიან ტრაგიკული პერიოდი იყო. ამ თემაზე დეტალურად ლაპარაკი არ მინდა. რომ არა ეს ჭრილობა, ალბათ მხატვრობას არ დავუბრუნდებოდი: სამეცნიერო ნაშრომებზე აქტიურად ვმუშაობდი. დაჭრიდან 2 კვირაში ამერიკიდან მოწვევა მომივიდა, ნიუ-იორკში კონფერენციაზე სიტყვით უნდა გამოვსულიყავი;

ტრანსპორტირებისა და იქ ცხოვრების ხარჯებს თავად ფარავდნენ. იმ დროს ზუგდიდის რეანიმაციაში ვიწექი, გადავრჩებოდი თუ არა, არავინ იცოდა. მოკლედ რომ გითხრათ, ვიზიტი ჩამეშალა, ეს შანსი ვერ გამოვიყენე. მეორე ოპერაცია დაჭრიდან 9 თვის შემდეგ გამიკეთეს. სანამ საავადმყოფოში დამაწვენდნენ, ერთი ტილო დავხატე და ექიმს ვაჩუქე. ხატვამ გამიტაცა.

— მხოლოდ ფერწერაში მუშაობთ, გრაფიკაში ბედი არ გიცდიათ?

— გრაფიკული ნამუშევრებიც მაქვს. გია ბულაძემ მითხრა, პეიზაჟს გენიალურად ხატავ, მაგრამ ფიგურას — ვერაო. ფიგურის დახატვას სწავლა უნდა, ყველაზე რთულია, საამისოდ, სკოლა უნდა გაიარო.

— როდის მიდიხართ პალიტრასთან? ხატვის განწყობილებას რა გიქმნით?

— ერთი პერიოდი ხატვა ისე მინდოდა, როგორც წყალი მოგწყურებიათ. ყოფილა შემთხვევა ტილოზე მუშაობა დამიწყია და 5 საათში დამიმთავრებია.

— ყველაზე კარგად რომელ ჟანრში მუშაობისას გრძნობთ თავს?

— პეიზაჟის. ის უნდა აკეთო, რაც კარგად გამოგდის.

— თქვენზე რომელმა მხატვარმა მოახდინა გავლენა?

— ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე მხატვრის გავლენის ქვეშ ვარ მოქცეული. ახალგაზრდობაში ლეონარდო და ვინჩი მომწონდა. ვფიქრობ, რომ მე უფრო დიდი მეცნიერი ვარ, ვიდრე — მხატვარი.

— თქვენს შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი „ტყუპს“ უკავია. მიამბეთ, როგორ შექმენით იგი. როგორც ვხვდები, ამერიკაში მომხდარ ცნობილ ტრაგედიას მიუძღვენით.

— რა თქმა უნდა. სანამ ეს ტრაგედია მოხდებოდა, ბავშვები საახალწლოდ კანცელარიაში მიიწვიეს. ბუნებრივია, მე წავიყვანე. იქ ნანახმა ილუმინაციებმა ჩემზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ დავბრუნდი, იმავე ღამეს დავხატე. გარკვეული დროის შემდეგ ჩემი ახლობელი ამერიკაში წავიდა. ცნობილი ტერაქტი ახალი მომხდარი იყო. მასთან სატელეფონო საუბარი მქონდა. ჩემს შემოქმედებასაც შევეხეთ. რაზე მუშაობო? — მკითხა და თავადვე მომაწოდა იდეა, ტყუპი დამეხატა. ეს ნახატი ავიღე, შემოვაბრუნე და ილუმინაციებს დაბლა ტყუპი ცათამბჯენი მივუხატე. ტილო ძალიან ბევრ ვინმეს მოსწონს, ამერიკის საელჩოშიც იყო გამოფენილი.

— თქვენს ნახატებში ცისფერი ჭარბობს. საერთოდ ნათელ ფერებში ხატავთ...

— სწორად აღნიშნეთ. ცისფერი ადრე უფრო მიყვარდა, მაგრამ კრიტიკოსებს ცხელი და თბილი ფერები უფრო მოსწონთ.

— როგორც ვიცი, თქვენი ნახატები საზღვარგარეთ კერძო კოლექციონერებთანაც ინახება, არა?

— დიახ, ჩემი ტილოები ფინეთში, ავსტრალიაში, გერმანიაში, ინგლისში, შვეიცარიასა და ამერიკაში ინახება. ერთი ჩემი ნახატი სანდრა რულოვსმაც შეიძინა.

— მხატვრობა ის პროფესიაა, რომლითაც შეიძლება, ოჯახი არჩინო?

— ნახატებით არ შეიძლება, სტაბილური შემოსავალი გქონდეს.

— 6 შვილის მამა ბრძანდებით. შვილებზეც მიამბეთ.

— უფროსი — გოგონა 25 წლის არის; 5 ბიჭი მყავს, უმცროსი 15 წლის არის. 4 წელია, რაც მეუღლე გარდამეცვალა, მარიამ ახვლედიანი; პროფესიით მხატვარი არ იყო, მაგრამ ეს ტილო მას ეკუთვნის. ხატვის ნიჭი ბიჭებსაც აქვთ. ვნახოთ, როგორ განავითარებენ.

— სანამ ინტერვიუსთვის წამოვიდოდი, თქვენ შესახებ ინფორმაცია მოვიძიე. მამათქვენის ნათლია ვაჟა-ფშაველა ყოფილა.

— დიახ. პაპაჩემი — ივანე ავალიშვილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი და ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიის მმართველიც გახლდათ (მანამდე მაღაზიას იაკობ გოგებაშვილი განაგებდა). ვახტანგ რაზიკაშვილის წიგნში „მამაჩემი ვაჟა-ფშაველა“ შესულია პაპაჩემის მოგონება. იქ უწერია, — როცა მაღაზიის მართვა-გამგეობა მომანდვეს, ვაჟას უფრო დავუახლოვდი და ნათელ-მირონი გავხდიო.

— მამათქვენი ნათლიას როგორ იხსენებდა?

— ვაჟა სოფლიდან რომ ჩამოდიოდა, ჩვენთან ვერაზე, კალანდაძის 15-ში ჩერდებოდა და ღამესაც ათევდაო. მამაჩემისთვის სახელი „პიროსი“ ვაჟა-ფშაველას პიროს ბრეთელის (ასურელი მამის) პატივსაცემად დაურქმევია. მამა ქარელის რაიონის სოფელ ბრეთში იყო დაბადებული. ერთხელ მითხრა, — ვაჟას ტყაპუჭების სუნი ახლაც მომდისო. მისმა ნათქვამმა შემძრა. სამწუხაროდ, მამა ისე გარდაიცვალა, მისი მოგონებების ჩაწერა ვერ მოვახერხე. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲜᲘᲚᲘ ᲗᲘᲛᲣᲠ ᲘᲕᲐᲜᲘᲫᲔ

1. „ჩამოხრჩობილის სახლი“ პოლ სეზანის დახატულია.

2. ქალაქი მინსკი მდინარე სვისლოჩის ნაპირებზეა განლაგებული.

3. სასმელი წყალი დედამიწაზე დაახლოებით 3 მილიარდი წლისაა.

4. შამილმა თავის იმამატში ადათური სამართალი შარიათით შეცვალა.

5. ბერე ბოსკი, ბერე არდანპონი, კიპერის თესლნერგი და ლეკური გულაბი — მსხლის ჯიშებია.

6. ზვიგენი ერთადერთი ცხოველია, რომელიც ძლიერი იმუნიტეტის წყალობით არასდროს ავადდება.

7. მსოფლიოში დარჩენილი 1600 გიგანტური პანდიდან 1400 ჩინეთის პროვინცია პიჩუანში ბინადრობს.

8. ცნობილი დეტექტივი ალან პინკერტონი განგრენით გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც ტროტუარზე წაიქცა და ენა მოიკვნიტა.

9. ამერიკელებს ჯილდოდ 50 მილიონი დოლარი ჰქონდათ დაწესებული ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც მათ ბინ ლადენის ადგილსამყოფელს შეატყობინებდა.

10. ძველ რომში მამის მკვლელობისათვის დამნაშავეს ხელებს უკვანძავდნენ, გველთან, ძაღლთან, მამალთან და მაიმუნთან ერთად ტომარაში სვამდნენ, ტომარას თავს უკრავდნენ და წყალში აგდებდნენ.

11. სამამულო ომის დროს ჯარისკაცები არას დაგიდევდნენ ჭრილობას, თუკი ძვალი არ იყო დამსხვრეული და სასიცოცხლო ორგანოები არ იყო დაზიანებული. ასეთი გამოთქმაც კი არსებობდა: „ბილი ბი კოსტი ცელი, ა მიასო ნარასტიოტ“.

12. ექვსი წლის განმავლობაში, რაც ალასკაზე ოქროს ციებ-ცხელება გრძელდებოდა, ქალაქ დოუსონის მიდამოებში 100 მილიონი დოლარის ღირებულების ოქრო იქნა მოპოვებული.

13. „კამილა მონეს პორტრეტი“ კლოდ მონემ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ შექმნა. „მე პირველ რიგში, მხატვარი ვიყავი და მხოლოდ ამის შემდეგ — ქმარი“, — ტიროდა დაქვრივებული ფერმწერი.

14. თავშესაფრის (მაგ., მეჩეთის ან უცხო ქვეყნის საელჩოს) ხელშეუხებლობის ძველ ადათზე დაფუძნებულ ტრადიციას ირანში ბესთი ჰქვია. ხელისუფლებას არ შეუძლია, ძალით გამოიყვანოს ასეთ ადგილას თავშეფარებული დევნილი.

15. „ადნაუდი ია ლეტელ ვ ხაბაროვსკ. მენია რაზბუდილა სტიუარდესა სა სლავამი, ნე პაჟალეეტე, პასმატრიტე, კაკ სპიტ

MP4-12C-i „მაკლარენისგან“

ბრიტანულმა ავტომწარმოებელმა — McLaren Automotive მოდელის — MP4-12C შესახებ დეტალური ინფორმაცია და ოფიციალური ფოტომასალა გაავრცელა. მანქანა GT3-ის კატეგორიის რბოლებში, FIA GT-ის მსოფლიო ჩემპიონატსა და ლე-მანის სერიაში საასპარეზოდაა შექმნილი. კომპანია „მაკლარენი“ სარბოლო ავტომობილის შექმნაზე CRS Racing-ის გუნდთან ერთად მუშაობდა, რომელსაც ლე-მანში, GT-ის საერთაშორისო და ბრიტანულ შეჯიბრებებზე გამოსვლების გამოცდილება აქვს. ეს კომპანია აგრეთვე ორ საჯირიბოს ფლობს, რომლებიც დიდ ბრიტანეთში Formula Renault-სა და GP3 Series-ის მონაწილეობენ. მანქანის დებიუტი Blancpain Endurance Series-ის შეჯიბრების დროს შედგება. მაისის ბოლოს „მაკლარენი“ ესპანეთში ნავარას ტრეკზე გავა, ხოლო აგვისტოში — ფრანგულ მანი-კურში. ოქტომბერში კი ბოლიდი ბრიტანულ სილვერსტოუნზე გამოჩნდება. შემდეგ სიახლეს 24-საათიან რბოლაში გამოცდიან. წელს McLaren MP4-12C-თი იასპარეზებს ოლივერ ტერვი, რომელიც ადრე 2 სია-ში მონაწილეობდა. ამ მანქანის საჭეს მიუჯდება ასევე „ფორმულა რენო 3.5“-ის ჩემპიონი ალვარო პარენტე. სიახლე 3,8-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი, 500 ცხძ. სიმძლავრის ე.წ. ტვინ-ტურბო ძრავათი (სამოქალაქო MP4-12C-ის მოტორი 600 ცხძ-ს ავითარებს), ფირმა Ricardo-სთან ერთობლივად შექმნილი სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი სეკვენტა-

ლური კოლოფით აღიჭურვება. გარდა ამისა, ახალ „მაკლარენს“ მოდერნიზებული საწვავი აპარატურა, გაუმჯობესებული გამომშვებ-შემშვები და გაგრილების სისტემები ექნება. დაკომპლექტებულია Akebono-ს სამუხრუჭე მექანიზმები, 378 მმ-იანი წინა ღერძზე, ხოლო უკანაზე — 355 მმ-იანი დისკებით. 2012 წლის სეზონისთვის კომპანია „მაკლარენი“ სარბოლო MP4-12C-ის 20 ეგზემპლარის აგებას აპირებს. ამდენივე მანქანის გამოშვება იგეგმება 2013 და 2014 წლებისთვისაც. ადრე გავრცელებული ცნობით, ახალი ავტომობილით „მაკლარენი“ წინამორბედი სარბოლო მანქანის წარმატების გამეორებას იმედოვნებს, რომელიც ლეგენდარული სუპერავტო 1-ის ბაზაზე იყო აგებული. „ლე-მანის 24 საათიან რბოლაში“ პირველივე მონაწილეობისას სწორედ ამ ავტომ გაიმარჯვა.

■

BMW-ს ახალი სედანი

ერთ-ერთმა ინტერნეტგამოცემამ განახლებული სედანის — BMW 7-სერიის არაოფიციალური ფოტოები გაავრცელა. ავტომობილი კამუფლაჟის

გარეშე ტესტირებისას აღბეჭდეს ფირზე. დაფარული მხოლოდ ფარებია, რომლებსაც რესტაილირებულ მანქანაზე შუქდიოდური სექციები ექნება. გარდა ამისა, ოპციის სახით სავარაუდოდ, კლიენტებს მთლიანად შუქდიოდურ სისტემას შესთავაზებენ. ფლაგმანი სედანი BMW ასევე მოდერნიზებული ბამპერებითა და ახალი დიზაინის საბორბლე დისკებითაც აღიჭურვება. განახლებული „შვიდიანი“ უფრო მძლავრი ძრავებით დაკომპლექტდება. მაგალითად, 740i ვერსიაზე 3-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი ძრავა არა 326, არამედ 350 ცხძ-ს განავითარებს, ხოლო 750i მოდიფიკაციაზე 8-ცილინდრიანი, 4,4-ლიტრიანი აგრეგატის სიმძლავრე 407-დან 450 ცხ.ძ-მდე გაიზრდება. წინასწარი ინფორმაციით, რესტაილირებული BMW 7-Series-ის დებიუტი 2012 წლის აპრილში პეკინის მოტორშოუზე შედგება.

■

ამერიკაში „ტოიოტას“ რეიტინგი დაეცა

მარკეტინგულმა კომპანიამ Prophet-მა 2010 წლის მონაცემები გამოაქვეყნა აშშ-ში მოქმედ ბრენდებთან დაკავშირებით. რეიტინგში 150 ყველაზე პოპულარული კომპანია მოხვდა. ამ მასალის თანახმად, კომპანია „ტოიოტა“, რომელიც 2009 წელს ყველაზე ავტორიტეტულ ავტომწარმოებლებს შორის პირველ ადგილს იკავებდა, მეექვსე ადგილამდე დაქვეითდა. ამასთან, იაპონური ბრენდის რეიტინგი (100-ბალიანი სკალის მიხედვით) 75,5-დან 51,3-მდე დაეცა. საერთო რეიტინგში ბრენდმა 139-ე ადგილი დაიკავა (შარშან — მე-18). ამერიკელთათვის ყველაზე პატივსაცემ საავტომობილო კომპანიად „ჰონდა“ იქცა (72,8 ბალი, საერთო ჩამონათვალში — 30-ე ადგილი). გარდა ამისა, რეპუტაციის რეიტინგში მოხვდნენ: BMW (72 ბალი, 34-ე ადგილი), „ნისანი“ (68,8 ბალი, 55-ე ადგილი), „ფოლკსვაგენი“ (68,6 ბალი, 56-ე ადგილი), „ფორდი“ (67,8 ბალი, მე-60 ადგილი) და „ჯენერალ მოტორსი“ (63,5 ბალი, 83-ე ადგილი). რეპუტაციის რეიტინგი 4900 ამერიკელის გამოკითხვის შედეგად შეადგინეს, რომლებსაც ბრენდების ავტორიტეტის შეფასება 100-ბალიანი სისტემით სთხოვეს. ჩამონათვალი 500 კომპანიისგან შედგებოდა. ისინი ეკონომიკის 18 სექტორში მუშაობენ. 2010 წელს ყველაზე ავტორიტეტულ ბრენდად საკვების მწარმოებელი Kraif Foods (81,3 ბალი) იქცა. გარდა ამისა, ყველაზე პატივსაცემი კომპანიების რიგში მოხვდნენ: „სონი“, „უოლტ დისნეი“, „კოკა-კოლა“, „ნესტლე“ და „ეპლი“.

Cayman S-ის სპეციალური მოდიფიკაცია

კომპანია „პორშემ“ სპორტავტოს — Cayman S სპეციალური მოდიფიკაცია წარმოადგინა, რომელსაც Black Edition

ჰქვია. ავტომობილის ინტერიერი და ექსტერიერი მთლიანად შავ ფერშია გადაწყვეტილი, ხოლო ძრავა 10 ცხძით უფრო მეტ სიმძლავრეს ავითარებს, ვიდრე სტანდარტული მანქანა. განსაკუთრებული ვერსია შეზღუდული ტირაჟით — სულ 500 ცალად გამოვა. სპორტავტო 3,4-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი, 330 ცხძიანი ძრავათია აღჭურვილი, რომელიც სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი კოლოფით ან 7-დიაპაზონიანი რობოტიზებული ტრანსმისიით მუშაობს. პირველ შემთხვევაში, 100 კმ/სთ სიჩქარეს სიახლე 5,1 წამში განავითარებს, ხოლო მეორე შემთხვევაში — 4,8 წამში. შავი „პორშე კაიმა ესის“ მაქსიმალური სიჩქარე, გადაცემათა მექანიკური კოლოფით, 277 კმ/სთ-ია, ხოლო „რობოტით“ — 275 კმ/სთ. სალონისა და ექსტერიერის განახლების გარდა, ამ მანქანას წინა ღერძზე 235/35, ხოლო უკანაზე — 265/35 ზომის საბურავებიანი 19-დუიმიანი R მოდიფიკაციის საბორბლე დისკები დაუყენეს. ევროპულ ბაზარზე სიახლის გაყიდვა 2012 წლის ივლისში აიღებს სტარტს. ავტომობილის მინიმალური ფასი 67.807 ევრო იქნება. აღსანიშნავია, რომ კომპანია „პორშემ“ მოდელებისთვის — 911 და Boxter S — ანალოგიური შავი ვერსიები უკვე გამოუშვა. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქეთევანი ოქაკ ივანიძე

პასაჟირ. ტოლკო რუსკი ჩელოვეკ ვ სამალიოტე მოუეტ სპატ ნა კრესლე ნა ჟივატე. ვი პრედსტავლიაეტე, სკოლკო პივა ონ ვიპილ, შტო ევო ვიპუკლასტ სავპალა ს ეტოი ვიპუკლასტიუ“, — ჰყვებოდა მიხაილ ზადორნოვი.

16. ერთხელ ჯეკ დენიელს სეიფის კომბინაცია დაავიწყდა და გამწარებულმა იმდენი ურტყა რკინის დაკეტილ კარს წიხლი, რომ ფეხის თითი მოიტეხა. რამდენიმე წლის შემდეგ ცნობილი ვისკის შემქმნელს თავისი უგუნური ქმედების გამო მიღებული ჭრილობა გაუმიზეზდა და სისხლის მოწამვლით გარდაიცვალა.

17. კავალერია უკანასკნელად მეორე მსოფლიო ომში იქნა გამოყენებული. მონღოლთა ორიათასიანმა მხედრობამ გერმანელთა ქვეით დივიზიაზე მიიტანა იერიში. შედეგი მონღოლთათვის სავალალო იყო, გერმანელებმა ისე დახოცეს უკლებლივ ყველა მათგანი, რომ თავად არაფერი დაშავებიათ.

18. „მე, მართალია, ბევრი მსხვერპლი ვითხოვე, მაგრამ ბევრი აქედან — ჟამთა და გარემოებათა მსხვერპლია... მე რომ მოვკვდები, ჩემო სარდლებო, თქვენ ერთიმეორეს დაჭამთ, ჩემს სამარეს კი ნაგავს დააყრიან, მაგრამ იმავე ჟამთა ქარიშხალი მას გადახვეტს და გამოჩნდება ჩემი საქმე, ღირსი ბრძენთა გაოცებისა“, — უთქვამს ერთხელ ალექსანდრე მაკედონელს.

19. აფრიკის სანაპიროზე ჯარით გადასხდომის დროს ხომალდიდან გადმოსულმა კეისარმა წაიბორძიკა და დაეცა. მხედართმთავრის გარემოცვაში ჩურჩული ატყდა, კეისრის დაცემა მათ ცუდ ნიშნად მიიღეს. პასუხად კეისარმა ორივე ხელით ჩაბღუჯა მიწა და შესძახა: „შენ ჩემს ხელთა ხარ, აფრიკავ!“

20. ნაცისტურ გერმანიაში ნობელის პრემიის მიღება მას შემდეგ აიკრძალა, რაც 1935 წელს იგი ფაშიზმის მოწინააღმდეგეს, კარლ ფონ ოსეცკის მიანიჭეს. გერმანელი მეცნიერები — მაქს ფონ ლაუე და ჯეიმს ფრანკი იძულებული გახდნენ, თავიანთი ოქროს მედლები ნილს ბორისათვის მიებარებინათ შესანახად. როცა 1940 წელს გერმანელებმა კოპენჰაგენი აიღეს, ნილს ბორის თხოვნით, ქიმიკოსმა ჰევეშიმ ეს მედლები ეგრეთ წოდებულ „სამეფო არაყში“, კონცენტრირებულ აზოტმჟავასა და მარილმჟავას ნაზავში გახსნა და ომის დამთავრებამდე ინახავდა. ომის შემდეგ ჰევეშიმ ხსნარიდან ოქროს ექსტრაგირება მოახდინა და შვედეთის მეცნიერებათა აკადემიას გაუგზავნა. მათ ამ ოქროდან ხელმეორედ ჩამოასხეს მედლები და კვლავ ლაუესა და ფრანკს გადასცეს.

ვახო კანდელაკის ადგილი ახალ „ოჯახში“

მწერლობაში გამორჩეულად საყვარელი ჟანრი არა აქვს. არ უყვარს ფანტასტიკა, მისტიკა. მისი საყვარელი ავტორები — ჩეხოვი და პუშკინი არიან. ქართველი მწერლებიდან ოთარ ჭილაძეს ასახელებს და დასძენს, — „საქართველოში ის, როგორც პროზაიკოსი უფროა აღიარებული, ვიდრე როგორც პოეტი, არადა, მისი ლექსები არანაკლებ საინტერესოა“. „ერუდიტში“ ამჯერად, მსახიობ ვახო კანდელაკს გამოვცდით.

„ვიღიმი მაშინაც, როცა სულ არ მეღიმება“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— წიგნებს როგორ „დაუმეგობრდი“?

— ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც კარგი წიგნის ფასი იცოდნენ, ვხედავდი, როგორ კითხულობდნენ — მამა, დედა, ბებია, მამიდა. იმ პრობლემებით სავსე პერიოდში, რომელსაც 90-იანი წლები ერქვა, წიგნის კითხვით იქცევდნენ თავს. სიმართლე გითხრა, პატარა რომ ვიყავი, წიგნის მიმართ აგრესიაც მქონდა: ვაპროტესტებდი, — არავინ ყურადღებას არ მაქცევს, ყველა წიგნს კითხულობს-მეთქი (*იცინის*). დედაჩემი — ია თუხარელი პროფესიით თეატრმცოდნე იყო, ლიტერატურა მან შემაყვარა. ჯერ მითოლოგიით დავინტერესდი, შემდეგ სათავგადასავლო ლიტერატურამ გამიტაცა და ასე „შევაბიჯე“ წიგნის სამყაროში. „საიდუმლო კუნძული“ დღემდე ჩემს უსაყვარლეს წიგნად რჩება. კიდევ ჯერომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ მიყვარს.

— რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდი?

— როცა მარკ ტვენის კითხვა დავიწყე, მინდოდა, ტომ სოიერის მეგობარი ვყოფილიყავი. მასთან და ჰეკლბერი ფინთან ახლაც სიამოვნებით ვიმეგობრებდი.

— საკუთარ თავს როგორ დაახასიათებ?

— საკუთარ თავზე ლაპარაკი ძნელია. ვცდილობ, ჩემი პრობლემები არავის მოვახვიო თავს, ყველას ღიმილით ვხვდები, ვიღიმი მაშინაც, როცა სულ არ მეღიმება.

— „მზესუმზირებში“ თავს როგორ გრძნობ?

— კარგად. თავიდან ცოტათი ვნერვიულობდი: ახალ ოჯახში მოვედი, სადაც ჩემი ადგილი უნდა დამემკვიდრებინა. ხომ იცი, ზოგს სუფრის თავში უწევს დაჯდომა, ზოგს — ბოლოში, ზოგი — თამადაა... სანამ ადგილს ვიპოვიდი, ცოტათი გამიჭირდა.

— რა ადგილი იპოვე?

— ცენტრში ვარ (*იცინის*). ჩვენთან თბილი და მეგობრული გარემოა.

— მსოფლიოს გარშემო მოგზაურობაზე გიოცნებია?

— ძალიან მინდა, ჩემს მეუღლესთან ერთად მოვიარო მთელი მსოფლიო. ევროპული და ეგზოტიკური ქვეყნები თანაბრად მიზიდავს.

— 1972 წელს ერთმა ახალგაზრდა ინდუსმა მისწერა ჯონ ლენონს, რომ იგი დედამიწის გარშემო მოგზაურობაზე ოცნებობდა, მაგრამ ფული არ ჰქონდა და სთხოვდა, მისთვის საჭირო თანხა გამოეგზავნა. ლენონმა მისწერა: „დაკავდი მედიტაციით და შეძლებ ნახო მთელი მსოფლიო შენს წარმოსახვაში“. 1995 წელს იმ ახალგაზრდამ ოცნება მაინც აისრულა. როგორ იშოვა მან ფული?

— მართლა მედიტაციით ხომ არ დაკავდებოდა. (*ფიქრობს*) მინიშნება მითხარი, გთხოვ.

— ფული ლენონის წყალობით იშოვა; როგორ — ეს შენ გამოიცანი.

— მივხვდი, წერილი გაყიდა, არა?

— რა თქმა უნდა. იოჰან სებასტიან ბახს, როგორც კომპოზიტორს, ყველა იცნობს. ის არა მხოლოდ ქმნიდა მუსიკას, არამედ კარგი შემსრულებელიც იყო, მაგრამ არანაკლებ განთქმული იყო სხვა სფეროში. თავისი გატაცების შესახებ წიგნიც კი დაწერა, რომელიც ბევრ რომანისტსა და დრამატურგს თავისი გმირების ასეთივე გატაცების აღწერაში დაეხმარა. რითი იყო ბახი გატაცებული?

— ამის შესახებ არაფერი მსმენია.

— ბანქოს თამაშით. ამ ადამიანს კი ბანქოს სიყვარულმა გამოაგონებინა ისეთი რამ, რისი ქამის დროსაც შეიძლება, ბანქოც ითამაშო და ხელიც არ დაგესვაროს. დასახელე მისი გვარი.

— ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებ.

— სენდვიჩი. ფეხბურთში კარგად ერკვევი?

— ნორმალურად.

— რომელ გუნდს გულშემატკივრობ?

— საქართველოს ნაკრებს. სხვა ნაკლებად მაინტერესებს.

— 1966 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისში არგენტინისა და ინგლისის ნაკრები გუნდების შეხვედრის დროს ინციდენტი მოხდა. გერმანელმა მსაჯმა ერთ-ერთ ფეხბურთელს მოსთხოვა, მოედანი დაეტოვებინა. ფეხბურთელი მოედნიდან არ გავიდა, რადგან გერმანული ენა არ იცოდა და მსაჯის ნათქვამი ვერ გაიგო. ამის შემდეგ ფეხბურთში ახალი წესები გაჩნდა. რა სახლეზეა ლაპარაკი?

— ალბათ ამ დღის შემდეგ დაიწყეს წითელი და ყვითელი ბარათების გამოყენება.

— დიახ. მითხარი, მითოლოგია მიყვარსო. შემდეგი კითხვა ძველბერძნული მითოლოგიიდან არის: ქალღმერთ

თემიდას რომელი ქალღმერთი შეესაბამება რომაულ მითოლოგიაში?

— იუსტიცია.

— **ის ცხელ გარემოში ბინადრობს, მაგრამ სიცოცხლისუნარიანია გაყინვის შემდეგაც. მეცნიერებმა მის ორგანიზმში ყველაზე საშიში ბაქტერია და ვირუსი შეიყვანეს, მაგრამ მასზე არ იმოქმედა.**

— (*მაწყვეტინებს*) ვხვდები, რაზეც არის ლაპარაკი.

— **მაშინ მიპასუხე.**

— რომ არ შევცდე, კითხვა დაასრულე.

— **ის ცოცხალი რჩება და მოძრაობს რადიოაქტიური დასხივებისას, რომელიც 130-ჯერ აღემატება ადამიანის სასიკვდილო დოზას. მიუხედავად ყველაფრისა, არსებობს ლეგენდა, რომ ხიფათის დროს ის საკუთარი შხამით იკლავს თავს.**

— ეს არის მორიელი, არა?

— **გამოიცანი. ეს დაავადება, უამრავ ადამიანთან ერთად, იულიუს კეისარს, ალექსანდრე მაკედონელს და ნაპოლეონსაც აწუხებდა. რომელ დაავადებაზეა ლაპარაკი?**

— მგონი, ეპილეფსიაზე, ხომ არ ვცდები?

— **არა. სოციოლოგია — ეს არის მეცნიერება საზოგადოების შესახებ, ასტროლოგია — მეცნიერება ვარსკვლავების შესახებ, ზოოლოგია — მეცნიერება ცხოველების შესახებ; როგორ გამოითქმის ძველბერძნულად მეცნიერება ქალების შესახებ?**

— არ ვიცი.

— **მედიცინის ერთ-ერთი დარგია.**

— გინეკოლოგია ხომ არა?

— **რა თქმა უნდა. სამხრეთ ინგლისის რომელ ქალაქში გაიმართა პირველად 1873 წელს თამაში ბადმინტონში?**

— არ ვიცი.

— **რაგბის პირველი თამაში სად ჩატარდა?**

— ქალაქ რაგბიში.

— **ბადმინტონიც ქალაქ ბადმინტონში ჩატარდა.**

— ვაა! რა საინტერესოა. დღეს რამდენი რამ გავიგე.

— **ამ ძაღლის ჯიში სად გაჩნდა, უცნობია; ვარაუდობენ, რომ მისი სამშობლო იყო ინდოეთი, საიდანაც შემდეგ საბერძნეთში, იუგოსლავიაში, ვენეციის ყურეში მოხვდა. დიდი ხნის მანძილზე ეს ჯიში ნაკლებად პოპულარული იყო. მის მიმართ ინტერესი 1960 წელს, დისნეის მულტფილმის გამოსვლის შემდეგ გაჩნდა. დასახელე ამ ძაღლის ჯიში.**

— დისნეის მულტფილმში გამოჩნდა? (*ფიქრობს*) ა! ჭრელი ძაღლი რომ არის? მგონი, დალმატინელი ჰქვია.

— **ნამდვილად ასეა. „იმდენად მარტოსული გახლდათ, იმდენად თავისებური და განსხვავებული, მასთან დაახლოება და გაშინაურება, მისი გაცნობა და შეცნობა შეუძლებელი იყო. ჩაუწერია კიდეც: „თქვენ რომ გგონივართ, ის არ ვარო“, — ვკითხულობთ ვასტანგ ჯავახაძის ერთ-ერთ წიგნში. რომელ პოეტს ეძღვნება იგი?**

— გალაკტიონ ტაბიძეს.

— **ვის ეკუთვნის სიმღერა ქართული ანიმაციური ფილმიდან „სოფლის მაშენებლები“?**

— ალექსანდრე ბასილაიას.

— **რომელ სისხლძარღვებში მიედინება სისხლი ყველაზე ნელა?**

— კაპილარებში.

— **მსოფლიოში პირველი ფრთიანი გამონათქვამების კრებული გამოიცა 1864 წელს გერმანელი მეცნიერის ბიუხმანის მიერ. რომელი ფრთიანი გამონათქვამის ავტორია თავად ეს ავტორი?**

— არ ვიცი.

— **„ფრთიანი გამონათქვამი“. რა ჰქვია ლომის შვილს?**

— ბოკვერი.

— **სკოლაში ყველაზე კარგად რომელ საგნებს სწავლობდი?**

— ფრიადოსანი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მასწავლებლები ამბობდნენ, რა კარგი ბავშვიაო. ტექნიკური საგნები არ მიყვარდა, ისე ინტერესიანი ბავშვი ვიყავი: როცა მანქანას მაჩუქებდნენ, ვშლიდი, რადგან ერთი სული მქონდა, მენახა, შიგნით რა ხდებოდა.

— **ბიჭს ჰყავს იმდენივე და, რამდენიც ძმა, ხოლო მის დას — ორჯერ ნაკლები და ჰყავს, ვიდრე ძმა. რამდენი და და რამდენი ძმაა მათ ოჯახში?**

— ორნი არიან.

— **ეგ როგორ დაიანგარიშე?**

— სისულელე ვთქვი, არა? გთხოვ, კითხვა გამიმეორე. (*გამეორების შემდეგ*) არ ვიცი, ძალიან ჩახლართული გამოცანაა.

— **მათ ოჯახში 3 და და 4 ძმაა. რამდენ ტყვიას იტევს ნაგანის სისტემის პისტოლეტის დოლი?**

— იმდენს, რამდენი და-ძმაც არის ანუ 7-ს.

— **რა ჰქვია ჰემინგუეის მოთხრობის — „მოხუცი და ზღვა“ მთავარ გმირს?**

— სანტიაგო.

— **ცნობილია, რომ ეგვიპტელები კაკასიელ ტყვეებს გვარდიის შესავსებად ყიდულობდნენ. დროთა განმავლობაში ისინი იმდენად გაძლიერდნენ, რომ ეგვიპტის მმართველ ძალად გადაიქცნენ. რა ერქვათ მათ?**

— მამლუქები.

— **„ცოდნა ანთებულ სანთელს ჰგავს; ერთის სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცოცხლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგან ერთის მაგიერ, ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპს“. ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?**

— ძალიან მეცნობა, მაგრამ ავტორს ვერ ვიხსენებ.

— **ილია ჭავჭავაძე. — რა ერქვა თამარ მეფის დედას?**

— ვერ გიპასუხებ.

— **ბურდუსანი. ვინ არის რეჟისორი ფილმისა „სამსახურებრივი რომანი“?**

— ელდარ რიაზანოვი.

— **„მეც წავალ, ოლონდ ცოტაც მადროვეთ, ბარემ შევავსო ბოლო ფურცელიც და ამოვწურო ეს სიმარტოვე, ეს ფორიაქ ამოუსნელი. გაუფასურდა, ჩაბარდა წარსულს, რითაც დროს ვკლავდი და თავს ვირთობდი. მე კი სხვაგვარად ცხოვრება არ მსურს — კარგად იყავით. მადლობთ. მშვიდობით“. ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?**

— ოთარ ჭილაძე და ძალიან მაგარია.

— **ამერიკელები ამაყობენ იმით, რომ მათ არც ერთ პრეზიდენტს ეს გარეგნული ნაკლი არ ჰქონდა. რას გულისხმობენ ისინი?**

— არ ვიცი.

— **არ იყვნენ მელოტები.**

— მართლა? ამას არ დავკვირვებივარ.

— **ეს ინგლისელი პოეტი 1824 წელს სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. იგი სიცოცხლის ბოლო წლებში საბერძნეთის დამოუკიდებლობისთვის ომში აქტიურად მონაწილეობდა. სიკვდილის წინ ბოდვისას წარმოთქვა — „საბრალო საბერძნეთი“. დასახელე ეს პოეტი.**

— ბაირონი.

— **რა დრო სჭირდება დედამიწას მზის გარშემო ერთი სრული ბრუნის გასაკეთებლად?**

— 1 წელი.

— **უფრო ზუსტად, 365 დღე და 6 საათი.**

— ამ კითხვაზე პასუხი არ ჩამეთვალა?

— **ჩაგეთვალა. დაბოლოს: დასრულე ბუასტის ცნობილი გამონათქვამი: „ეძებეთ ისეთი ადამიანები, ვისთანაც საუბარი კარგი წიგნის ტოლფასია და ეძებეთ წიგნები, რომელთა წაკითხვა უტოლდებოდეს...“**

— ადამიანებთან ურთიერთობას.

— **„...უტოლდებოდეს ბრძენთან გასაუბრებას“.** ■

ფაქტები დიეტის წინააღმდეგ

გაზაფხულზე ქალბატონები განსაკუთრებით აქტიურად იწყებენ გარეგნობაზე ზრუნვას და გულმოდგინედ ეძებენ „სწრაფმოქმედი“ დიეტების რეცეპტებს. ამ დროს კი ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ მათ უარყოფით მხარეებზე.

◆ ასიდან მხოლოდ 5 ადამიანი ინარჩუნებს წონას ერთი წლის განმავლობაში;

◆ არც ერთი დიეტა არ იძლევა ხანგრძლივი და მყარი შედეგის გარანტიას;

◆ დიეტების უმეტესობა ცხიმებს კი არ წვავს, წყალს გამოდევნის ორგანიზმიდან; ან უფრო უარესი — წვავს ცილებს, მათ შორის, კუნთოვან ქსოვილს. თუ მორიგი მოდური დიეტით — „10 კგ-ის დაკლება 10 დღეში“ — ისარგებლებთ, იცოდეთ, რომ ყველაფერს, რაც დაკარგეთ, აუცილებლად მე-11 დღეს აინაზღაურებთ. წმინდა ფიზიოლოგიური მიზეზის გამო, ადამიანის ორგანიზმს არ შეუძლია, დღე-ღამეში 1 კგ ცხიმი დაკარგოს (ეს ხდება მხოლოდ ძალიან საშიში და მძიმე დაავადების დროს). სრული შიმშილობის დროს, ორგანიზმი საკუთარ რეზერვებს ხარჯავს, ის დღეში 250 გ ცხიმს კარგავს, ე.ი. — თვეში, არა უმეტეს 7-8 კგ-ისა. თუმცა, სინამდვილეში, ეს რიცხვი კიდევ უფრო ნაკლებია იმის გამო, რომ მეოთხე დღეს, ორგანიზმი ენერგოხარჯვის შემცირებას იწყებს;

◆ თუ ხშირად ხართ დიეტაზე, ფრთხილად იყავით — ცელულიტი არ გაგიჩნდეთ. მეცნიერებმა აღმოაჩინეს დამოკიდებულება წონის ხშირ დაკლებასა და ბარძაყებზე უხეში კანის, ე.წ. „ფორთოხლის ქერქის“ გაჩენას შორის;

◆ თუ არ შეგიძლიათ ფუნთუშებსა და მაკარონზე უარის თქმა, ამისთვის საკუთარ თავს ნუ გათათხავთ, პირიქით — უარიც კი არ თქვათ მათზე. ოღონდ გახსოვდეთ: თუ წონის შენარჩუნება გსურთ, ამ პროდუქტებთან ერთად, ცხიმის მოხმარებაც მინიმუმამდე შეამცირეთ;

◆ თუმცა, საერთოდ, ცხიმის გარეშე არსებობაც შეუძლებელია: ორგანიზმს ქოლესტერინი ესაჭიროება და ამასთან ვერაფერს გახდებით. თუ გადაწყვეტთ, რაციონიდან ცხიმი ამოიღოთ, მოემზადეთ უარესისთვის: ღვიძლის ცხიმოვანი დისტროფია, ნაღვლის დაგროვება და სხვა უსიამოვნებები არ აგცდებათ. ამიტომ, უბრალოდ, დაიცავით ზომიერება და ნაღების ან ქონის ნაცვლად, უპირატესობა მცენარეულ ზეთს მიანიჭეთ;

◆ ბოლო დროს გავრცელებული აზრის მიხედვით, ნელ-ნელა ჭამა წონაში დაკლებას უწყობს ხელს. თუმცა ცოტა ხნის წინ, ინგლისელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ საკვების მიღების სისწრაფე ზედმეტი კილოგრამების დაგროვებაზე გავლენას სულაც არ ახდენს. როგორც აღმოჩნდა, იმ სიჩქარით უნდა ჭამოთ, რასაც თქვენი ორგანიზმი მიეჩვია და ითხოვს, ვინაიდან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ჩვეულებრივზე ნელა ჭამონ, უფრო მეტს მიირთმევენ. ■

როგორი „ჩოლკა“ მოგიხდებათ...

„ჩოლკა“ საუკეთესო საშუალებაა მობეზრებული ვარცხნილობის გამოსაცოცხლებლად. საერთოდ, ძნელია შესაფერისი „ჩოლკის“ შერჩევა. მაგრამ თუ ჩვენს რჩევებს გაითვალისწინებთ, ეს პროცესი ასე რთულად აღარ მოგეჩვენებათ. უპირველეს ყოვლისა, უნდა დაუკვირდეთ თქვენს პროპორციებს: სახის ოვალს, შუბლის სიმაღლეს, ცხვირის სიგრძეს, თმის სისქეს და წარბების ფორმას.

• გრძელ სახეს უხდება წარბების ხაზის დამფარავი „ჩოლკა“. სასურველია, ის იყოს რაც შეიძლება სქელი.

• კვადრატული ფორმის სახეს კი გამოხშირული „ჩოლკა“ დაამშვენებს, რაც სახის ნაკვთებს დაარბილებს. ამ დროს თქვენი ერთგვარი კოზირია „მაღალი“ ვარცხნილობა — არ დაგავიწყდეთ რამდენიმე კულულის გვერდებზე ჩამოყრა.

• მრგვალი სახის პატრონებმა აუცილებლად ირიბი, ბოლოებჩამოწეწილი „ჩოლკა“ ატარეთ; არამც და არამც არ მოგიხდებათ სწორი, სქელი „ჩოლკა“.

• მაღალი შუბლის პატრონებისთვის სქელი, სწორი „ჩოლკაა“ ზედგამოჭრილი, რომელიც წარბების დონეზე იქნება შეკრეჭილი. არასოდეს შეიჭრათ უფრო მოკლედ, რადგან ეს მაღალ შუბლს კიდევ უფრო გამოკვეთს.

• ვისაც დაბალი შუბლი აქვს, მისთვის ზედგამოჭრილია ღრმა, თითქმის კეფიდან დაწყებული სწორი „ჩოლკა“.

• განიერი ყბების მქონე მანდილოსნებმა უნდა ატარონ განიერი, გრძელი, თითქმის ყბებამდე ჩამოშვებული ჩოლკა და გვერდებზე — გრძელი კულულები.

წესები, რომელიც გამოგადგებათ „ჩოლკის“ შეჭრისას:

• შეიჭერით „ჩოლკა“ აუცილებლად სველ თმაზე, ასე ხაზი უფრო სწორი გამოგივათ.

• სიგრძის გაზომვისას გახსოვდეთ — თმა როცა გაშრება, ერთი-ორი სანტიმეტრით მაღლა აიწევს. ■

ჰარმონია ურთიერთობებში....

სასიყვარულო ურთიერთობაში ჰარმონიას რომ მიაღწიოთ:

1. უნდა გჯეროდეთ თქვენი პარტნიორის;
2. პატივი ეცით მის სურვილებს, მაგრამ არც საკუთარი დაივიწყოთ;
3. უნდა შეგეძლოთ მისი ყურადღებით მოსმენა;
4. გამოავლინეთ მის მიმართ მზრუნველობა;
5. გამოიჩინეთ ინტერესი მისი გატაცებების მიმართ, იქნებ ეს თქვენთვისაც საინტერესო აღმოჩნდეს;
6. სიყვარული არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ საქციელითაც გამოხატეთ;
7. ისწავლეთ არა მხოლოდ „მიღება“, არამედ „გაცემაც“;
8. არასდროს გამოცადოთ მისი ერთგულება, თორემ შემდეგ სანანებელი გაგიხდებათ;
9. არ მოუწყოთ ნებისმიერ წვრილმანზე სკანდალი;
10. არ დაუსვათ სულელური შეკითხვები და არც ისეთი — რომლებზე პასუხის მოსმენაც თავადვე არ გსურთ;
11. არ მოუყვეთ თქვენს ყოფილ რომანებზე;
12. არ ესაუბროთ საკუთარ ნაკლოვანებებზე;
13. შეეცადეთ დაუთმოთ მაქსიმალურად ბევრი დრო;
14. არასდროს უსაყვედუროთ, თუკი გარკვეული მიზეზების გამო, თვითონ სათანადო დროს ვერ გითმობთ;
15. იყავით გულწრფელი მასთან.
16. არ გამოამჟღავნოთ ეჭვიანობის გრძნობა (ის ძირითადად უმნიშვნელო ფაქტორებითაა გამოწვეული);
17. გამოიჩინეთ მოთმინება. ■

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიშვილმა

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

რატომ გვტკივა მუცელი

მუცლის არეში ხანგრძლივი, გამწვავებებითა და რემისიებით მიმდინარე ტკივილი მუცლის ღრუს ორგანოთა სხვადასხვა ქრონიკულ დაავადებას ახასიათებს. რასაკვირველია, ზუსტი მიზეზის დადგენა და სწორი დიაგნოზის დასმა (რაც შედეგიანი მკურნალობის დანიშვნის უპირველესი წინა პირობაა) სპეციალური გამოკვლევებით ხდება, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა ადგილას ან დღის რომელ მონაკვეთში აღმოცენდება ტკივილი, როგორი ხასიათისაა, უკავშირდება თუ არა საკვების მიღებას და ა.შ., შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომელ დაავადებასთან გვაქვს საქმე.

მუცლის არეში ტკივილი ახასიათებს ქრონიკულ სნეულებებს: გასტრიტს, ქოლეცისტიტს, პანკრეატიტს, ენტერიტსა და კოლიტს, ასევე — ჭიებით ინვაზიას, ოოფორიტს (საკვერცხეების ქრონიკულ ანთებას), პერიოდულ დაავადებას, თუმცა ისინი სისტემურ პათოლოგიათა ჯგუფს მიეკუთვნება და ამ დროს პროცესში მუცლის ღრუს ორგანოებთან ერთად სხვებიც არის ჩართული.

ტკივილი და ქრონიკული გასტრიტი

ქრონიკული გასტრიტი კუჭის ლორწოვანი გარსის ქრონიკული ანთებაა, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში, ჰელიკობაქტერია იწვევს, მაგრამ მნიშვნელოვან როლს თამაშობს არარეგულარული კვება, ცხარე, მჟავე, უხარისხო საკვები, ალკოჰოლის ჭარბად მოხმარება, ნიკოტინი, ზოგიერთი წამალი (ანთების საწინააღმდეგო სტეროიდები, ასპირინი და სხვა).

ქრონიკული გასტრიტის დროს ტკივილი ძირითადად, ეპიგასტრიუმის არეში (ჭიპის ზემოთა მიდამო) ლოკალიზდება და ყრუა. თუ გასტრიტი გაძლიერებული ან ნორმალური სეკრეციით მიმდინარეობს (მჟავიანობა ნორმალურია ან მომატებული), ტკივილი ჭამის შემდეგ პირველივე საათის ან 2-3 საათის შემდეგ, ღამით ან დილით უზმოზე წარმოიშობა. თან სდევს: გულძმარვა, წვის, სიმძიმის, შებერვის შეგრძნება, იშვიათად — პირღებინებაც. კვების რეჟიმის დარღვევისას, მწარე, მლაშე, ცხარე საკვების, კონცენტრირებული ბულიონის (ხორცის ნახარშის), შემწვარი ან მსუქანი ხორცის, შაშხის, სპირტიანი სასმელებისა და თამბაქოს გავლენით, ეს სიმპტომები უფრო ინტენსიურია. ტკივილს აყუჩებს საჭმლის მცირე ულუფა, „ბორჯომის“, „ნაბეღლავის“, „ლიკანის“ ან სოდიანი წყლის მიღება. ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა კარგია. ხელით გასინჯვისას მტკივნეულია მთელი ჭიპის ზემოთა მიდამო.

სეკრეციული უკმარისობით (მჟავიანობის მეტ-ნაკლები დაქვეითებით) მიმდინარე გასტრიტის დროს ყრუ ტკივილი (ასევე მუცლის სისავსის შეგრძნება) ჭამის დაწყებისთანავე ვითარდება და ეპიგასტრიუმის არეში ლოკალიზდება. ავადმყოფები უჩივიან უმადობას (საკვების მცირე ულუფაც კი სიმაძღრის შეგრძნებას იწვევს), პირში უსიამოვნო გემოს, საერთო სისუსტეს, ადვილად დაღლას, კიდურების დაბუჟებას, ჭიანჭველების ცოცვის შეგრძნებას, მცივანობას, თმის ცვენას. ზოგს გულისრევა და პირღებინებაც აწუხებს. კანი ფერმკრთალია, მშრალი, ფრჩხილები — ადვილად მტვრევადი. ტკივილს აძლიერებს და ახშირებს კვების რეჟიმის დარღვევა, მოუვლელი კბილები, სპირტიანი სასმელები და თამბაქო.

რჩევა:

კუჭის დაბალი მჟავიანობით გამოწვეული გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტის დროს:

1 ს/კ საღი მრავალძარღვას ფოთოლი კარგად დაფშვენით და ჩაყ-

არეთ 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალში; დადგით 15 წუთით და სვით თითო ს/კ ნაყენი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

მაღალი მუავიანობის დროს: აიღეთ 15-15 გ შავბალახა, კოთხუჯის ფესვები, ჭაობის ბერულა, კრაზანა, პიტნა; დაასხით 1,5 ლიტრი წყალი, ადუღეთ 5 წთ, დატოვეთ 2 სთ, გაწურეთ, დაუმატეთ ვაჟინი (ე.წ. სიროფი) გემოვნებით. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 2-3-ჯერ დღეში.

(ორივე რეცეპტი ამოღებულია თამარ მამაცაშვილის წიგნიდან „კარაბადინი“)

ქრონიკული ქოლეცისტიტი

ქოლეცისტიტი ნაღვლის ბუშტის ანთებაა, რომელიც უმეტესად, ნაღველკენჭოვან დაავადებას სდევს თან. ზოგჯერ ის წლობით უსიმპტომოდ მიმდინარეობს, მაგრამ ავადმყოფთა უმრავლესობას აქვს ყრუ ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშ ან ეპიგასტრიუმის მიდამოში (ჭიპს ზემოთა არე), რომელიც მარჯვენა ბეჭისკენ გადაეცემა. ამას თან სდევს დისპეფსიური მოვლენები — უმადობა, გულისრევა, მეტეორიზმი, შეკრულობა. ავადმყოფი წონას იკლებს. კვების რეჟიმის დარღვევისას ტკივილი ძლიერდება.

რჩევა:

კვება საჭიროა დღეში ოთხჯერ. უნდა შეიზღუდოს: ცხოველური ცხიმი, კვერცხი, მწვავე, მუავე, მლაშე კერძები, შემწვარი, მსუქანი ხორცი, დაკონსერვებული და შებოლილი საკვები, სპირტიანი სასმელები.

ქრონიკული პანკრეატიტი

ქრონიკული პანკრეატიტი კუჭუკანა ჯირკვლის — პანკრეასის ანთებაა. ის ხშირად ერწყმის ქრონიკულ ქოლეცისტიტს. მისი მთავარი სიმპტომია ტკივილი, რომელიც ძირითადად იგრძნობა მარცხენა გვერდში, შეიძლება ჰქონდეს სარტყლისებური ხასიათი. ხშირად ტკივილის შეტევა აღმოცენდება ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების ფონზე, განსაკუთრებით — თუ ალკოჰოლი დაბალხარისხიანია და დიდი რაოდენობით ტოქსიკურ მინარევებს შეიცავს. თუმცა ასეთი შეტევების პროვოცირება შეუძლია ცხიმიანი და ცხარე საკვების ჭარბ მოხმარებასაც. ტკივილი ძლიერია, დიფუზური, თუმცა ხელით გასინჯვისას მუცელი მტკივნეული არ არის. ტკივილის შეგრძნება ზოგჯერ რამდენიმე საათს გასტანს, ზოგჯერ — რამდენიმე დღეც, რასაც ხანგრძლივი შესვენება მოსდევს. რაც უფრო ვითარდება დაავადება, მით უფრო ინტენსიური ხდება ტკივილი და რემისიის პერიოდებიც მოკლდება.

ქრონიკულ პანკრეატიტს თან სდევს დისპეფსიური მოვლენები: ნაწლავთა გახშირებული მოქმედება (4-6-ჯერ დღეში), უხვი, ფაფისებრი, მონაცრისფრო, მყრალი, ცხიმით მდიდარი განავალი, უმადობა, წონის კლება, გულისრევა, მუცლის შებერვა.

ისევე, როგორც კუჭ-ნაწლავის თითქმის ყველა ქრონიკული დაავადების, ქრონიკული პანკრეატიტის დროსაც ტკივილის შეტევას იწვევს ან ამძაფრებს კვების რეჟიმის დარღვევა.

რჩევა:

მნიშვნელოვანია დიეტა, რაც გულისხმობს: ცხიმების, ცილების შეზღუდვას, თერმულად კარგად დამუშავებული, ადვილად მოსანელებელი საკვების მიღებას, ალკოჰოლური სასმელებისა და მძიმე ფიზიკური შრომისგან თავის შეკავებას.

რეცეპტი:

აიღეთ 3-3 ს/კ კამის თესლი და პიტნა, 2-2 ს/კ კუნელი და უკვდავა და 1 ს/კ გვირილა; აურიეთ ერთმანეთში; მიღებული ნარევის 2 ს/კ ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 1,5 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დაახურეთ თავსახური და დადგით მდუღარე წყლის ორთქლზე 15 წთ-ით; გადმოდგით, შეაგრილეთ და გადაწურეთ. მიიღეთ 0,5 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამიდან 1 სთ-ის შემდეგ (რეცეპტი ამოღებულია თამარ მამაცაშვილის წიგნიდან „კარაბადინი“.)

ქრონიკული ენტერიტი

ქრონიკული ენტერიტი — წვრილი ნაწლავის ქრონიკული ანთება ზოგჯერ მწვავე ენტერიტის ნიადაგზე ვითარდება, ზოგჯერ კი თავიდანვე ქრონიკულად მიმდინარეობს. დაავადებას მწვავე ინფექცია (შიგელოზი, სალმონელოზი, მუცლის ტიფი), პარაზიტებით დასნებოვნება (ლამბლიოზი, ამებიაზი, ჭიებით ინვაზია), კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე ოპერაციული ჩარევა იწვევს.

ქრონიკული ენტერიტის დროს ავადმყოფს აწუხებს ჭიპის ქვემოთ მარცხენა არეში ყრუ ტკივილი, რომელიც კუჭის მოქმედებამდე ძლიერდება, ხოლო ნაწლავების დაცლის შემდეგ ცხრება. ავადმყოფი ასევე უჩივის: მუცლის შებერილობას, სიმძიმის შეგრძნებას, ფაღარათს — დილაობით (უხვი ფაფისებრი ან თხიერი, მოყვითალო-მოყავისფრო, მცირედი ლორწოს შემცველი განავლით). ენა შელესილია, ვიტამინების ნაკლებობისას — წითელი, დახეთქილი, დაწყლულებული. ნაწლავის შეწოვითი ფუნქცია დარღვეულია, რის გამოც ვითარდება ძლიერი სისუსტე, სიგამხდრე, რკინადეფიციტური და 12-დეფიციტური ანემია, პოლიავიტამინოზი (სხვადასხვა ვიტამინის ერთდროული ნაკლებობა), ცილების ნაკლებობა, რომელიც შეშუპებას იწვევს.

რჩევა:

რაციონში უნდა შეიზღუდოს: პურეული, ტკბილეული, უმი ბოსტნეული და ხილი. ნებადართულია მჭლე, კარგად დაკეპილი ხორცის კერძები, ბულიონი, საქონლის ღვიძლი, მოხარშული თევზი, ახალამოყვანილი ყველი, ხაჭო, ცოტაოდენი კარაქი, კვერცხი. სუფრის მარილი არ იზღუდება. საკვები კარგად უნდა იყოს დამუშავებული, რათა ორგანიზმს მონელება არ გაუჭირდეს. აკრძალულია კონსერვები, შებოლილი პროდუქტი.

ქრონიკული კოლიტი

კოლიტი მსხვილ ნაწლავში მიმდინარე ანთებითი პროცესია. ქრონიკული კოლიტი ბაქტერიული დიზენტერიის, ამებიაზის, ლამბლიოზის, კვებითი ტოქსიკოინფექციის (საკვებით მოწამვლის) ნია-

დაგზე ვითარდება და ხშირად თავიდანვე ქრონიკულად მიმდინარეობს.

ავადმყოფს აწუხებს ყრუ ან მოვლითი ტკივილი მუცელში, ყურყური, მუცლის შებერილობა. დეფეკაციის შემდეგ ეს სიმპტომები დროებით ცხრება. ხელით გასინჯვის დროს მტკივნეულია მსხვილი ნაწლავის საპროექციო არე, სადაც არცთუ იშვიათად, მომკვრივო, ელასტიკური, მოძრავი და მტკივნეული ზონის სახით ისინჯება ნაწლავის ესა თუ ის მონაკვეთი.

დაავადებისთვის დამახასიათებელია ყაბზობისა და ფაღარათის მონაცვლეობა. შეკრულობას, რომელიც კვირების, თვეების მანძილზე გრძელდება, რაიმე მიზეზით (დიეტის დარღვევის, გაცივების, ემოციური გადაძაბვის გამო) დროდადრო ცვლის რამდენიმედღიანი ფაღარათი (უხვი განავლის გამოყოფა დილაობით), რომელსაც თან სდევს ტენეზმი — მოტყუების შეგრძნება და ცრუჭინთვა. განავალს მოჰყვება ლორწო, რომელშიც შეიძლება, ალისფერი სისხლიც ერიოს.

იმისდა მიხედვით, მსხვილი ნაწლავის რომელ სეგმენტშია ანთებითი პროცესი, ტკივილი ლოკალიზდება ჭიპის ქვედა არეში ან მარჯვნივ, ან მარცხნივ და წელისა და საზარდულისაკენ გადაეცემა, ან ჭიპის ზედა არეში, ანდა მუცლის მარცხენა ნახევარში და წელისა და მარცხენა ბარძაყისკენ გადადის.

რჩევა:

დაავადებას ამძიმებს უხეში საკვები, ნახშირწყლებით მდიდარი, ვიტამინებით ღარიბი რაციონი, არასრულყოფილი ღეჭვა, საფაღარათო საშუალებებისა და ოყნის ხშირი გამოყენება, ჭიებით ინვაზია.

ნაწლავთა დისბაქტერიოზი

დისბაქტერიოზი ნაწლავთა ნორმალური მიკროფლორის დარღვევაა და რომელიმე დაავადების სიმპტომს წარმოადგენს. მავნე ბაქტერიების გამრავლებას ხელს უწყობს: ნაწლავების მოტორული ფუნქციის დარღვევა, ქრონიკული პანკრეატიტი, კუჭის რეზექციის (ამოკვეთის) შემდგომი მდგომარეობა, ნაწლავებში წარმოქმნილი შეხორცებები, ნაწლავთა კიბო, შაქრიანი დიაბეტი. მიზეზად შეიძლება იქცეს ანტიბიოტიკების ხანგრძლივად, დიდი დოზებით და არასაჭიროებისამებრ მიღებაც.

დისბაქტერიოზს ახასიათებს მუცლის ყრუში დიფუზური ტკივილი და შებერილობა. გარდა ამისა, უჩივიან ნაწლავთა გახშირებულ მოქმედებას ცხიმოვანი მასით (სტეპტორსა). სიმპტომებს შორისაა: უმადობა, წონაში დაკლება.

რჩევა:

განკურნებისთვის, გარდა სპეციფიკური მკურნალობისა, აუცილებელია სრულფასოვანი კვება და ვიტამინებით (უმთავრესად — ჯგუფის), ცილებით, ცხიმებით, ნახშირწყლებით დაბალანსებული რაციონი.

ქრონიკული ოოფორიტი ანუ საკვერცხეების ანთება

საკვერცხეებში ქრონიკულად მიმდინარე ანთებით პროცესს ქრონიკული ოოფორიტი ჰქვია.

ტკივილი საკვერცხეების საპროექციო არეში, იმის მიხედვით, თუ სად მიმდინარეობს პროცესი — ცალ ან ორივე მხარეს ლოკალიზდება. ყრუ შეგრძნებაა, ხოლო გაცივებისა და ატმოსფეროს ტენიანობის მომატებისას — ძლიერდება.

აუცილებელია მიზეზის დადგენა და შესაბამისი მკურნალობა

პერიოდული დაავადება

ეს თანდაყოლილი, მორეციდივე დაავადებაა. მისი მიზეზი უცნობია, თუმცა დადასტურებულია, რომ უმთავრესად სომხებს, ებრაელებს, არაბებს, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში მცხოვრებ ხალხებს ემართებათ, უფრო ხშირად — მამაკაცებს. მას „ოჯახურ ცხელებასაც“ უწოდებენ.

ამ დროს ანთებითი პროცესი სხვადასხვა სისტემას მოიცავს. პერიტონეუმში (მუცლის ფარი) ვითარდება არასპეციფიკური ანთებითი ცვლილებები, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს შეხორცებები და გაუვალობა. ავადმყოფთა 95%-ს აღენიშნება მუცლის ტკივილი და პერიტონიტის ნიშნები. ტკივილი რომელიმე კვადრატში იწყება და თანდათან მთელ მუცელზე ვრცელდება. ვითარდება გულისრევა, პირღებინება; ხელით გასინჯვისას მუცელი ძალზე მტკივნეულია. ტკივილი გადაეცემა გულმკერდს, ბეჭებს, ვითარდება ანთებითი პროცესის ნიშნები ფილტვებში, სახსრებში, გულში, ზოგჯერ კანზე ჩნდება წითელი ლაქოვანი გამონაყარი. ტკივილს წინ უძღვის შემცივნება, ტემპერატურის 40 გრადუსამდე მომატება.

დიაგნოზს ანამნეზისა და კლინიკური მონაცემების გათვალისწინებით სვამენ. არის შემთხვევები, როცა დაავადება მწვავე აპენდიციტში, ქოლეცისტიტში ან ნაწლავთა გაუვალობაში ერევათ და ქირურგიულ ოპერაციასაც კი ატარებენ.

მკურნალობა ამა თუ იმ სიმპტომის მოხსნას ისახავს მიზნად.

■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.



საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებული დაუსაქმებელი არქიტექტორები

ამ ცოტა ხნის წინ, სამხატვრო აკადემიის დიდ საგამოფენო დარბაზში არქიტექტურის ფაკულტეტის მაგისტრანტების ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. გამოფენაზე 35-მდე საკურსო და სადიპლომო პროექტი იყო წარმოდგენილი, მათ შორის — „ამერიკაში, Bridgetown-ის ხიდის რეკონსტრუქცია“, „მთვარეზე კოსმონავტების დასახლება“ (NASA-ს კონკურსისთვის შექმნილი ნამუშევარი), „ეკონ-პატრულის და სამაშველო სამსახურის სამუშაო ბაზა“...

სპეციალობას — განათება და ფერი არქიტექტურულ დიზაინში თბილისის სამხატვრო აკადემიის და გერმანიის აკადემიის პროფესორი — ბატონი თემურ ჯორჯაძე ხელმძღვანელობს. 2000 წელს, გერმანელ არქიტექტორ რუდოლფ ჰოლინერთან ერთად, მან დააარსა ფაკულტეტი — ბუნებრივი და ხელოვნური განათება არქიტექტურაში. მიღებული გამოცდილების საფუძველზე ბატონმა თემურმა ახალი სპეციალობა — განათება და ფერი არქიტექტურულ დიზაინში შექმნა, რომელიც უკვე მესამე წელია, რაც თბილისის სამხატვრო აკადემიაში ისწავლება. მას მსოფლიოში ანალოგი არა აქვს.

ეთო ყორღანაშვილი

თემურ ჯორჯაძე:

— პირველი სერიოზული გამოფენა მოვაწყვეთ. ჩვენი მუშაობის შედეგი გვაინტერესებდა. გამოფენაზე იმ სტუდენტების ნამუშევრებიც წარმოვადგინეთ, ვინც საბაკალავრო კურსს წელს ამთავრებენ და მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას ჩვენთან აპირებენ. ისინი ცდილობენ, მაგისტრანტებს მიჰბაძონ და საკმაოდ საინტერესო ნამუშევრები შექმნან.

— ნამუშევრების თემა რა იყო?

— ვფიქრობდი, რომ ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე აქტუალურ, საჭირო თემებზე გვემუშავა, მაგალითად — სადგურებზე (რკინიგზის, ავტო, პატარა აეროპორტებზე). ასევე, რელიგიური თემა გვქონდა: შეეძლოთ, სამუშაოდ ეკლესია, სინაგოგა, ბუდისტური ტაძარი აერჩიათ. წლების განმავლობაში, საწარმოო არქიტექტურის სფეროშიც არაფერი ისწავლებოდა. გამოფენაზე იმ ქარხნების, ფაბრიკების პროექტებიც წარმოვადგინეთ, რომლებიც ქვეყანას სჭირდება (ღვინის, კონიაკის, ჩაის, შოკოლადის ქარხანა). მეოთხე სემესტრისათვის სტუდენტებს ვთხოვე, ნამუშევრები წამყვანი საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსებისათვის შეექმნათ, რომლებშიც 100-200 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. კარგი შედეგები მივიღეთ.

— შეგიძლიათ, გამორჩეულად კარგი ნამუშევრები დაგვისახელოთ?

— სოფო სილაგაძემ და მარიტა რურუამ ლონგ-აილენდის პროექტზე იმუშავეს; ლელა ტაბატაძემ — ტაივანის მუსიკალურ-გასართობ ცენტრზე, რომელმაც შარშან გრან-პრი აიღო. კიდევ ბევრი საინტერესო ნამუშევარია, მაგალითად — „მთვარეზე კოსმონავტების დასახლება“.

— ამ პროექტის განხორციელება შესაძლებელია?

— ეს იმ სახელმწიფოზეა დამოკიდებული, ვინც კონკურსს აცხადებს. ვნახოთ, რა იქნება...

— გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებში წარმოდგენილი იყო, თუ როგორი შეიძლება იყოს ლურჯი მონასტერი, ახალი ეკლესია დიდ დიღომში. ამ პროექტებით საქართველოში არ დაინტერესებულან?

— მართლმადიდებლური ნაგებობის სპეციფიკა ბევრ აკრძალვას ითვალისწინებს. ამ ნორმების დაცვით განვსაზღვრავდით — რა შეიძლება, ახალი გაკეთდეს. ძალიან საინტერესო შედეგი მივიღეთ. გამოფენაზე მამაოებიც იყვნენ, მათგან ლოცვა-კურთხევა მივიღეთ... პროექტების ამონაბეჭდი პრეზიდენტსაც გადავეცი. ყველაზე პასიური — ქალაქის მერიაა; ალბათ დრო სჭირდება, რომ დაინტერესდეს.

— ბატონო თემურ, თქვენთან სწავლის პროცესი რამდენად რთულია?

— სტუდენტების უმრავლესობა მუშაობს. ისინი პედაგოგებთან მოლაპარაკებული არიან. ლექციის ჩასატარებლად ყველასათვის ხელსაყრელ დროს ვარჩევთ — პედაგოგისთვისაც და სტუდენტისთვისაც. აკადემიის ხელმძღვანელობა ხელს გვიწყობს. შაბათ-კვირას ქალაქგარეთაც გავდივართ.

— რა მიზნით?

— ლექციები იკითხება. ქალბატონი ასმათ ოქროპირიძე სტუდენტებს სინათლისა და ფერის სიმბოლიკას (საკულტო ნაგებობებში) ასწავლის. ამას წინათ მცხეთაში, მერე კახეთში ვიყავით. ძეგლების სანახავად ქალაქგარეთ გასვლას კიდევ ვგეგმავთ.

— მკაცრი ხელმძღვანელი ხართ?

— სიმკაცრე მათთან საჭირო არ არის. მაგისტრანტების გარდა, ლექციებს სხვებიც ესწრებიან — ივანე ჯავახიშვილის სახელობის და ტექნიკური უნივერსიტეტებიდან...

სოფო სილაგაძე:

— გამოფენაზე მაგისტრატურის საკურსო და სადიპლომო ნამუშევრები წარმოვადგინე. რადგან სადიპლომო ნამუშევარს ვაკეთებდით, გადავწყვიტეთ, ბარემ საერთაშორისო კონკურსშიც მიგვეღო მონაწილეობა. „ააშენე უკეთესი გარეუბანი“ — ასე ერქვა კონკურსს, რომელშიც ვმონაწილეობდი. 158 „დაუნთაუნიდან“ ერთ-ერთი უნდა აგვერჩია და მასზე გვემუშავა. სარეკრეაციო ცენტრი შევქმენი. მასში მონორელსია, რომელიც ადამიანებს ერთმანეთთან დაახლოებაში ეხმარება. შენობაში ყველაფერი გავაერთიანე, რაც ადამიანს ახა-

ლისებს, ბუნებასთან აახლოებს...

— **როგორც ბატონმა თემურმა აღნიშნა, ხშირად სტუმრობთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, ნაგებობას ათვალიერებთ, სწავლობთ... უცხოეთის პროექტზე მუშაობისას როგორ იყო საქმე?**

— თავიდან თითქოს შევშინდი — მე და მარიტა (რომელიც სხვა „დაუნთაუნზე“ მუშაობდა) რთულ საქმეს შევეჭიდეთ, მაგრამ ინტერნეტის საშუალებით, ყველანაირი ინფორმაცია მოვიპოვეთ და შევისწავლეთ.

— **შენს პროექტს განახორციელებენ?**

— კონკურსს რამდენიმე ფინალისტი ჰყავს. საბოლოო გამარჯვებული ჯერჯერობით არ აურჩევიათ. შეიძლება, ფინალისტებს შორის კიდევ დამატებითი კონკურსი ჩატარდეს. გამარჯვებულებს შორის რომ მოვხვდი, ძალიან გამიხარდა — ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო...

ლელა ტაბატაძე:

— ბაკალავრიატი თეატრის სცენოგრაფიის განხრით დავამთავრე. თანდათან არქიტექტურას, განათებას ძალიან ჩავუღრმავდი. მერე გავიგე, რომ არსებობდა ახალი ფაკულტეტი — ფერი და განათება არქიტექტურულ დიზაინში. დავინტერესდი. გამოცდები ჩავაბარე... ბატონი თემური ბევრ დამატებით პროექტს მაძლევდა, რომ სწავლაში ჩემს მეგობრებს დავწეოდი. ჩემი მეგობრების მადლობელი ვარ: ყოველთვის სტიმულს მაძლევდნენ. შესაბამისად, არ დავკომპლექსდი, პირიქით — „გავიხსენი“...

— **ამ გამოფენაზე რამდენი პროექტი წარმოადგინე?**

— 3-4. მათ შორის — სადიპლომო ნამუშევარი, რომელიც საერთაშორისო კონკურსზე იყო გაგზავნილი. ეს გახლავთ მუსიკალურ-გასართობი ცენტრი ტაივანში: მაქსიმალურად ვეცადე, რომ ზღვის ხედები „ამეთვისებინა“, არქიტექტურა სადა ყოფილიყო. აქცენტი განათებაზე, „ვიზუალ-შოუებზე“ გავაკეთე.

— **ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც გსურდა თუ შენს ნამუშევარში ბატონმა თემურმა კორექტივები შეიტანა?**

— ბატონი თემო საშუალებას გვაძლევს, ჩვენი ფანტაზია მაქსიმალურად „გავშალოთ“: რჩევას გვაძლევს, ოღონდ — საკუთარ აზრს თავზე არ გვახვევს, სწორ გზაზე გვაყენებს.

— **საქართველოსთვის რაიმე პროექტზე თუ გიმუშავიათ?**

მარიტა რურუა:

— რეალურზე — არა. საკურსო ნამუშევრები გამიკეთებია, მაგალითად — „საღებავების ქარხანა“, რომელიც მაგისტრატურის პირველ კურსზე შევქმენი.

— **სამუშაოდ საღებავების ქარხანა რატომ აირჩიე?**

— თემა „ქარხანა“ იყო. ჩემ მიერ არჩეულმა პროექტმა საშუალება მომცა, ფერისა და განათების მხრივ, საინტერესო გადაწყვეტილება მიმეღო. არქიტექტურაზე, ლანდშაფტის დიზაინზე, განათებაზე, გრაფიკულ დიზაინზე — ყველა ამ პუნქტზე ვიმუშავე.

— **მაინტერესებს, ზოგადად, თბილისში არსებულ ნაგებობებს ახალგაზრდა არქიტექტორები როგორ აფასებთ?**

— სტილის შეუსაბამობაა (ფერი, ურბანული განლაგება, მასშტაბი); ნაგებობა მსოფლიოში არსებულ სტანდარტებს ხშირად არ პასუხობს...

— **საქართველოში ახალ პროექტებზე სამუშაოდ ხშირად იწვევენ უცხოელ არქიტექტორებს. არქიტექტურის საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებული ქართველები აქ დასაქმებულები ხართ?**

სოფო:

— მუდმივი სამსახური არ გვაქვს, რაც ჩვენთვის ძალიან საწყენია. საქართველოში ასეთი ტენდენციაა — გავლენიანი ნაცნობი თუ არ გყავს, სამსახურს ვერ იშოვი. ეს ფაქტი ჩვენზე ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს. ბოლო 2 წლის განმავლობაში ბევრი ვისწავლეთ. იმ დონის ცოდნა ნამდვილად გვაქვს, რომ სტაბილური სამსახური გვქონდეს.

ლელა:

— როცა გვიმსჯელია, თვითრეალიზაციისათვის რა გვეღონა, ერთერთ გზად, საზღვარგარეთ გამგზავრება გვესახებოდა. ცხოვრებას ვარდისფერი სათვალით არ ვუყურებთ და არ გვგონია, რომ ჩვენს პროექტებზე იქ გადაირევიან. უბრალოდ, საზღვარგარეთ დამკვეთის და არქიტექტორის დაბალანსებული ურთიერთობაა. კანონი გვიცავს, რომ იდეა არ მოგვპარონ, საქართველოში კი ბევრჯერ ჩვენი ან ჩვენი მეგობრების იდეა ოდნავ სხვანაირად განუხორციელებიათ. ამისგან დაცულები არ ვართ...

■


შოკოლადის ფაბრიკა

მუსიკალური ცენტრი ტაივანში


სავაჭრო ცენტრი

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

უსიყვარულოდ

უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის ჯამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ ჯრთება
სასიხარულოდ....
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.
მაგრამ სულ სხვაა სიყვარული
უკანასკნელი,
როგორც ყვავილი შემოდგომის
ხშირად პირველს სჯობს,
იგი არ უხმობს ქარიშხლიან
უმიზნო ვნებებს,
არც ყმაწვილურ ჟინს, არც ველურ ხმებს
იგი არ უხმობს...
და შემოდგომის სიცივეში
ველად გაზრდილი,
ის გაზაფხულის ნაზ ყვავილებს
სულაც არა ჰგავს...
სიოს მაგივრად ქარიშხალი
ეალერსება
და ვნების ნაცვლად უხმო ალერსს
გარემოუცავს.
და ჭკნება, ჭკნება სიყვარული
უკანასკნელი,
ჭკნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ
უსიხარულოდ.
და არ არსებობს ქვეყანაზე
თვით უკვდავება,
თვით უკვდავებაც არ არსებობს
უსიყვარულოდ!

გალაკტიონ ტაბიძე

სახსოვარი

◆ „ყოველ ფრინველს თავისი ბუდე უყვარს, მხოლოდ ბაყაყისთვის სულ ერთია, რომელ ჭაობში მოხვდება“.

ნიკო ლორთქიფანიძე

◆ „მშობლიური ენის და წიგნის უარყოფა თავისი თავის უარყოფაა, თავისი თავის გათახსირება“.

იაკობ გოგებაშვილი

◆ „შაჭირვებულა სოფელი, ძებნა სჭირდება ბადლისა: ვაი, რომ ცუდი ბევრია, პოვნა ძნელია კარგისა!“

ვაჟა-ფშაველა

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

კ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-52, 2010 — №1-19, 2011

კურთხეულისშვილი (ძვ. და საუბ.) — დალოცვილი, მადლიანი ადამიანი.

კურკანტელი — ეკალღიჭისა და კუნელის ნაყოფის სახელწოდება (იმერეთსა და გურიაში).

კურკური — 1. ჩუმი ლაპარაკი, ჩურჩული; 2. გადატ. (საუბ.) ტკბილად, ალერსით ხმადაბლა ლაპარაკი მოარშიყეთა. არშიყობა; 3. ქათმის ხმიანობა, როცა წიწილებს უხმობს.

კუროსთავი — სარეველა მცენარე.

კურსივი ლათ. — შრიფტი, რომელშიც ასოები მარჯვნივ არის დახრილი და ხელით ნაწერს მოგვაგონებს.

კურტაკი — მოკლე ზედა ტანსაცმელი.

კურტანი — 1. ტვირთის საზიდავი კეხი (სახედრისა); 2. (ძვ.) საზურგე, ადამიანის მიერ ზურგით ტვირთის საზიდავად.

კურტუმი — ფრინველის სხეულის ბოლო, ცხიმოვანი ნაწილი.

კურცხალი — მსხვილი ცრემლი.

კურძვალი — ძაღლების მწვრთნელი, მეძებრის მომვლელი (ძველად — მებატონის მეურნეობაში — გურიასა და იმერეთში).

კუსკუსებს — მოუსვენრად არის, წრიალებს.

კუსპარა (საუბ.) — დაბალი, პატარა ტანის მოძრავი ადამიანი.

კუტი — 1. ადამიანი, რომელსაც ფეხები არ ემორჩილება, სიარული არ შეუძლია, საპყარი; 2. თონეში ჩავარდნილი და ნაკვერჩხლებზე გამომცხვარი პური.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მორიგანი

ეჩხდილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა" №48-52, 2010 - №1-19, 2011

მარი ჯაფარიძე

რუსი ჟურნალისტის მკვლელობის საქმის გამოძიება ფაქტობრივად, ადგილიდან არ იძვროდა, რადგან როგორც კი რაიმე ხელმოსაჭიდს ვნახავდი, მაშინვე ათასგვარ ბარიერს ვაწყდებოდი. ოლეგს ელექტრონულ ფოსტაზე შენახული ჰქონდა ფოტომასალა, რომლის მეშვეობითაც ბევრი რამის გარკვევა შეიძლებოდა. ფოტოებზე ტვირთი, კერძოდ — ტომრები იყო აღბეჭდილი. თვით ტვირთი გარედან თითქოს ეჭვს არ იწვევდა — წესით, მეორადი ტანსაცმელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც ჩანს, სხვა, უფრო საინტერესო რამ იყო მათში დამალული.

ოლეგის მიმოწერიდან ჩანდა, რომ ტვირთი მდებარეობას შეიცვლიდა თუ არა, ის ვიღაცას ამის შესახებ ინფორმაციას ანვდიდა.

ნებისმიერი ბოროტმოქმედი, მით უმეტეს, მკვლელი კვალს უეჭველად ტოვებს. მაგრამ წინასწარ განზრახული და შეკვეთილი მკვლელობა ყველაზე რთულად გასახსნელია. მით უფრო, თუ გვამს მკვლელობის ადგილიდან სხვაგან გადაიტანენ.

როგორც ჩანს, ბოროტმოქმედი ამ შემთხვევაშიც ასე მოიქცა. საინტერესო ის იყო, რატომ არ შეეშინდა დანაშაულის ჩამდენს, რომ ვინმე დაინახავდა, როდესაც გვამის სახლში მიტანას შეეცდებოდა? მოწმეებს რატომ არ მოერიდა?.. ეს ის კითხვები იყო, რომელზე პასუხიც რაღაც-რაღაცებს ნათელს მოჰფენდა.

ლაშას ამასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება ჰქონდა, რაც სიმართლესთან ახლოს იყო: მკვლელს რაღაც კონკრეტული მიზანი ამოძრავებდა, თან, იმის გარანტია ჰქონდა, რომ ამას ვერავინ გაიგებდა.

გადავწყვიტე, ისევ მეზობლები დამეკითხა. ეზოში რამდენიმე ქალი იყო შეკრებილი. მათკენ მიმავალი, უცხო ადამიანი რომ დაინახეს, შეიშმუშნენ და გაჩუმდნენ. ახლოს მივედი, გავეცანი.

— მერამდენე გამომძიებელი მოდის — რა ამბავია?! — ისე ამოიროიროხა გალეულმა ქალმა, რომ გაოცებულმა შევხედე — ამხელა ხმა საიდან ამოსდიოდა ამ ერთი ციდა ქალს, ვერ გავიგე.

— სხვებიც იყვნენ?

— ამ დილასაც იყვნენ ვიღაცები, გამოგვკითხეს ამბები და წავიდნენ. სხვათა შორის, თქვენზე რომ ვუთხარი, — გუშინ აქ ქალი და კაცი იყვნენ, ლუქი გახსნეს და ბინაში შევიდნენ, მერე ჩვენც დაგვკითხეს-მეთქი, — არ ესიამოვნათ. არავის დაელაპარაკოთ, ჩვენ გარდაო, მითხრეს.

— თქვენ რა იცით, რომ გუშინ ვიყავი მოსული? — მართლა გამიკვირდა, რადგან ამ ქალს პირველად ვხედავდი. — თქვენ არ დაგლაპარაკებივართ.

— მე ისიც ვიცი, ჩრდილოეთ პოლუსზე რა ხდება, ასე კი ნუ მიყურებთ: რაც ზევით ვარ, 10 იმდენი მიწის ქვევით ვარ!

— ჰოდა, მაშინ სწორედ თქვენ მჭირდებით, ქალბატონო, — ხელკავი გამოვდე და გვერდზე გავიყვანე. ასეთი ადამიანების ფსიქოლოგია კარგად ვიცი: ყველაფერი აინტერესებთ და თუ ვინმემ საიდუმლო გაუმხილა, თავი ამაყად უჭირავთ — აქაოდა, მე ისეთი რაღაც მითხრეს, რისი მოსმენაც სხვებისთვის არ შეიძლებაო. მათი საყვარელი ფრაზებია: „მე დანამდვილებით ვიცი", „კი ვიცი, მაგრამ ვერ გეტყვით"...

ჰოდა, ახლა სწორედ ისე მივუდექი, რომ საშუალება მისცემოდა, დანარჩენ მეზობლებთან შედარებით უპირატესობა ეგრძნო და ჩემთვის ყველაფერიც დაეფქვა. საუბრის დაწყება დამასწრო:

— ვის უნდა მოეკლა, არ იცით?

— ეგ რომ ვიცოდეთ, როგორ ფიქრობთ, აქ მოვიდოდი? დამნაშავეს დავიჭერდი.

— მაინც რატომ მოკლეს? — არ მეშვებოდა.

— იმიტომ მოკლეს, რომ თურმე ვალი ჰქონია, არ უხდიდა მოვალეს და შური იძიეს.

— უი, რას ამბობ?! — ლოყაში ხელი იტკიცა ქალმა. — არადა, მეგონა, რომ ფული არ აკლდა.

— რატომ გეგონათ? — გამიხარდა, როგორც იქნა, საჭირო თემაზე რომ გადავიდა.

— კარგად იცვამდა, საჭმელი მისთვის რესტორნიდან მოჰქონდათ ხოლმე, სულ ტაქსით დადიოდა; თუ რომელიმე მეზობელი ფულს სთხოვდა, უარს არ ეუბნებოდა. ერთი სიტყვით, უფულობისა მაგას არაფერი ეტყობოდა.

— პირველად ვინ გაიგო, რომ მოკლული იყო? პოლიციას ვინ შეატყობინა?

— ეგ არ ვიცი. რაც ეგ ამბავი მოხდა, იმის მერე სულ მაგას ვკითხულობ, მაგრამ არავინ იცის, ვინ, როდის და რა ვითარებაში აღმოაჩინა ოლეგი.

— მეზობლებმა როგორ გაიგეთ?

— მე პირადად, კარის მეზობელმა მითხრა, პოლიციაა მოსული და ამბობენ, ოლეგი მკვდარი უნახავთ სახლშიო. მოკლული ეზოში ჩამოუსვენებიათ და პოლიციის მანქანაში მოუთავსებიათ, რომ პროზექტურაში გადაესვენებინათ, მაგრამ ამ დროს პოლიციელების შეფი მოსულა და ერთი ამბავი აუტეხავს, — ვინ გაბედა გვამის გადაადგილება, სანამ სურათებს არ გადავიღებთ შემთხვევის ადგილზეო?! ჰოდა, ისევ უკან მოაბრუნეს. მეზობლები კი დაგვშალეს, ახლოს არ გვაკარებდნენ შემთხვევის ადგილს.

— თქვენ მაინც გაიგებდით რამეს, — მის ლაპარაკზე მეცინებოდა, თავს ვერ ვიკავებდი.

— აბა, რა უნდა გამეგო?! ერთი ის თქვეს, რომ გვამი იმავე პოზაში დააწვინეს, როგორშიც უნახავთ, შემდეგ კარი დაკეტეს და ის პოლიციელები წავიდნენ. რამდენიმე საათის შემდეგ სხვები მოვიდნენ, „მიგალკებით". ესენი უფრო მეტნი იყვნენ.

დასასრული იხ. გვ. 67

დასაწყისი იხ „გზა“ №19

რუსუდან ბერიძე

თავი II

თედო

იონა იოსებიძის ყოფილი შეგირდი — თედო იარაჯული ორმოცს მიტანებული პირხმელი მამაკაცი აღმოჩნდა. ის გამომძიებლებთან ზუსტად დათქმულ დროს გამოცხადდა და როგორც კი ორდენიძისა და მისი თანაშემწის გაკვირვებული მზერა დაიჭირა, მაშინვე დაიწყო:

— შეგირდობისთვის ცოტა ბებერი გეჩვენებით, ხომ?

— აბა, როგორ გითხრათ?.. — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა ანდრომ.

— სულაც არა, — საუბარში ჩაერთო ორდენიძეც, — სწავლა სიბერემდეო, ნათქვამია.

— მართალს ბრძანებთ, — დაეთანხმა გამომძიებელს იარაჯული, — მაგრამ ახალი პროფესიით ჩემს ასე გვიან დაინტერესებას ბევრად პროზაული მიზეზი აქვს, რომელიც ალბათ ნაკლებად დაგაინტერესებთ.

— ჯერ რამდენიმე უფრო მნიშვნელოვან კითხვას დაგისვამთ და მერე ვნახოთ, — ჩვენების ჩასაწერად მოემზადა ლეკიშვილი.

— მოიცა, ანდრო, — შეაჩერა თანაშემწე ორდენიძემ და შემდეგ ისევ იარაჯულს მიუბრუნდა: — გამოძიებისთვის ყველა დეტალი მნიშვნელოვანია, ბატონო თედო. ასე რომ, ნუ დაიზარებთ და გვიამბეთ, როგორ მოხვდით იოსებიძესთან?

— კარგი, — თავი დაუქნია იარაჯულმა, — როგორც ინებებთ...

ლეკიშვილის მობილური ტელეფონი აწკრიალდა. ნაცნობი ნომერი ჩანდა.

— შეფ, უნდა დაგტოვოთ, — სასწრაფოდ ფეხზე წამოდგა ანდრო, — კრიმინალისტებმა ცეცხლი შეინთეს.

— ჰოდა, მიხედე. ჩვენ კი უშენოდაც არ დავიკარგებით. ხომ ასეა, ბატონო თედო?

— ალბათ, — მხრები აიჩეჩა იარაჯულმა.

— მაშინ ყურადღებით გისმენთ, — ორდენიძე სმენად იქცა.

— სანამ ბედი იონას გადამყრიდა, — უხალისოდ დაიწყო თხრობა იოსებიძის ყოფილმა შეგირდმა, — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შემავალი ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმატებული მეცნიერი მუშაკი ვიყავი და კოლეგები წარმატებებს მიწინასწარმეტყველებდნენ.

— კონკრეტულად რომელ სფეროში მოღვაწეობდით? — დაინტერესდა ორდენიძე.

— სამთოელი ვარ.

— საინტერესო პროფესია გქონიათ.

— დიახ, არ ვუჩიოდი, მაგრამ ალბათ მოგეხსენებათ, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მეცნიერებათა აკადემიას და ქართულ მეცნიერებას რაც დაემართა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, რეფორმას ჩემი ინსტიტუტი და, რა თქმა უნდა, ჩემი კარიერაც შეეწირა. არადა, მთელი ცხოვრება წიგნების კირკიტის მეტი არაფერი მიკეთებია. დასაოჯახებლადაც კი ვერ მოვიცალე და უეცრად, პირდაპირ ქუჩაში აღმოვჩნდი: აღარც სამსახური, აღარც მომავალი, აღარც რაიმე დანაზოგი... მალე ბედმა ესეც არ მაკმარა და ჯერ მამა გარდამეცვალა ინფარქტით, მერე კი დედაჩემი ჩავარდა ლოგინად. სხვა რაღა გზა მქონდა: მეცნიერებაზე ფიქრს შევეშვი და სხვა საქმის ძებნა დავიწყე. არანაირ სამუშაოს არ ვთაკილობდი: ბოთლებს ვაგროვებდი და ვაბარებდი, ხილისა და ბოსტნეულის ყუთებს ვტვირთავდი, ბაზრობებზე ხაჭაპურსა და ღვეზელს დავატარებდი და ვინ იცის, კიდევ რას არ ვაკეთებდი?! ყველა ეს საქმე დროებითი იყო და „გროშებს“ მიხდიდნენ, მაგრამ ვერსად ვივარგე, რადგან დიდად არც ფიზიკური ძალა მომდევდა და არც ფხიანი და მოქნილი გახლდით.

— ნაცნობი სურათია, — სევდიანად გაეღიმა ორდენიძეს, — მაშინ ბევრი ჩემი ახლობელიც ასეთ მძიმე დღეში იყო ჩავარდნილი და ზოგი საბოლოოდ გატყდა კიდეც.

— ალბათ მეც ასე დამემართებოდა, დედაჩემი რომ არ მომშველებოდა. საწყალი ქალი ჯერ მამაჩემის ნაჩუქარ ძვირფას სამკაულებს შეელია და გასაყიდად გამატანა, მერე კი მეტ-ნაკლებად ღირებული სხვა ნივთებიც ნელ-ნელა გავზიდე ოჯახიდან.

— ნივთებს სად ყიდდით?

— მშრალ ხიდზე. პროფესორების ბაზრობას რომ ეძახიან... იონაც იქ ვნახე პირველად. მაშინ ჯერ კიდევ შეეძლო ხელჯოხის დახმარებით სიარული. თუმცა ჩემი ყურადღება იმდენად მის ბეჩავ გარეგნობას არ მიუპყრია, რამდენადაც იმ მოწიწებას, რომლითაც ბაზრობაზე ხვდებოდნენ. ერთხელაც, გვერდით მდგარ ერთ ჩემს ძველ კოლეგას ვკითხე, ეს კაცი ვინ არის-მეთქი? იონა მეძველმანეს როგორ არ იცნობო, — გაუკვირდა.

— მაინც რით იყო ასე ცნობილი?

— პირველ რიგში იმით, რომ არასდროს არავის ევაჭრებოდა. ნივთი თუ მოეწონებოდა, დასახელებულ თანხას იხდიდა.

— ბევრი ფული ჰქონდა?

— უფულობას არ უჩიოდა, მაგრამ როგორც მივხვდი, მაინც თვითონ რჩებოდა მოგებული. ბაზრობაზე შეძენილ ნივთს ხელს შეავლებდა და შემდეგ უფრო ძვირად ყიდდა.

— საინტერესოა...

— ნამდვილად. იონას ხელში გამოვლილი ნივთი წარსულიდან გამოყოლილ იდუმალებას ხომ აუცილებლად ინარჩუნებდა და კიდევ რაღაც ისეთ ახალ სხივს იძენდა, რომ მყიდველს განსაკუთრებით იზიდავდა და ხიბლავდა.

— თქვენ რით მოხიბლეთ ასეთი საინტერესო ოსტატი, რომ შეგირდად აგიყვანათ?

— არაფრით.

— ???

— როგორც შემდეგ მითხრა, — პირველად რომ მოგკარი თვალი, ისეთი სასოწარკვეთილი გამომეტყველება გქონდა, გვერდი ვერაფრით აგიარეო. იმ დღეს ჩემი მეზობლების ოჯახებში შეგროვებული ათასნაირი წვრილმანი მქონდა გასაყიდად გატანილი. იონამ მათ ზერელედ მოავლო თვალი და მითხრა: აკრიბე შენი „ხარახურა“ და წამომყევი, დამხმარედ უნდა აგიყვანოო. ერთი კი წამოვიკნავლე, თქვენი ხელობისა არაფერი გამეგე-

ბა-მეთქი, მაგრამ ყველაფერს გასწავლიო, უკანმოუხედავად მესროლა და გზა განაგრძო. დღესაც არ ვიცი, რატომ დავემორჩილე, მაგრამ მაშინვე ყველაფერი წამოვკრიბე და აჩრდილივით ავედევნე. მას შემდეგ აღარც მოვცილებივარ, სანამ...

— კარგად გიხდიდათ?

— იმაზე ბევრად მეტს, ვიდრე მშრალ ხიდზე დგომით ვაკოწიწებდი. ბევრ შავ სამუშაოს კი მავალებდა, მაგრამ ხელობაც კარგად მასწავლა.

— მაშ, რატომ წამოხვედით მისგან?

— ჩემი პროფესიით ვიშოვე სამსახური.

— გაგმართლებიათ.

— ძალიან. მალე, პარალელურად, ტექნიკურ უნივერსიტეტშიც წავიკითხავ ლექციებს.

— მაშინ მთლად მოსალოცად გქონიათ საქმე. იოსებიძე ბოლოს როდის ნახეთ?

— ზუსტად არ მახსოვს. ალბათ, დაახლოებით ერთი კვირის წინ.

— სად?

— შინ მივაკითხე. ბოლო ხელფასი მომცა.

— რამე უცნაურობა ხომ არ შეგიმჩნევიათ?

— რას გულისხმობთ?

— იქნებ დათრგუნვილი იყო ან რაღაცის გამო შფოთავდა?

— პირიქით, მშვიდი და გაწონასწორებული ჩანდა. უცნაური კი ყოველთვის იყო.

— მართლა?

— დიახ. ნაირ-ნაირ ამბავს თხზავდა. ძველებური ნივთების მისტიკური დანიშნულების სჯეროდა.

— უფრო კონკრეტულად?

— დედისგან რაღაც ძველებური ყელსაბამი დარჩა, რომელსაც რამდენიმე ნაწილი — თვლიანი მოგრძო ფირფიტები აკლდა და მათ ყველგან ეძებდა. მეუბნებოდა, ყველა ფირფიტას რომ ვიპოვი, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი სასწაული მოხდებაო.

— რას გულისხმობდა?

— არ მიკითხავს, რადგან ვიცოდი — რისი თქმაც არ უნდოდა, გაზითაც ვერ ამოაგლეჯდი.

— იპოვა ის ფირფიტები?

— მისგან რომ წამოვედი, ოთხი უკვე ნაპოვნი ჰქონდა და მეხუთეს ეძებდა.

— მშრალ ხიდზე აღმოაჩინა?

— არა. შინ მიუტანეს ვიღაც კლიენტებმა.

— შემთხვევით, რომელიმე მათგანს ხომ არ იცნობთ?

— პირადად — არა, მაგრამ იონა ყველაფერს: ვინ რა ნივთი და როდის მიუტანა, დაწვრილებით ინიშნავდა და თუ ის რვეული არ დაკარგულა, შეგიძლიათ, ნახოთ.

— არ დაკარგულა, ოღონდ — რვეული კი არა, რვეულები. იოსებიძის მაგიდის უჯრაში 2 რვეული აღმოვაჩინეთ.

— ალბათ, პირველი ბოლომდე შეავსო და ახალი სიების რვეული გახსნა.

— არა, მეორე მისი დღიურია.

— მართლა?! — შეცბა იარაჯული.

— არ იცოდით, დღიურს რომ წერდა?

— არა, არ ვიცოდი... თუ საიდუმლო არაა, მაინც რას წერს?

— თქვენს მოსვლამდე სულ ცოტა ხნით ადრე შემომიტანეს და ჯერ მხოლოდ თვალის გადავლება მოვასწარი, მაგრამ რადგან იოსებიძე ასეთი ფანტაზიორი იყო, რამე საინტერესოს აუცილებლად წავაწყდები, — თვალები ეშმაკურად მოწკურა გამომძიებელმა, — ახლა ის მითხარით, მოკლული სახლში დიდ თანხას ან ძვირფას ნივთებს ხომ არ ინახავდა?

— დიდი ფული იონას არასდროს ჰქონია, მაგრამ რაც ჰქონდა, სახარჯოს გარდა, ყოველთვის ბანკში შეჰქონდა. ნივთებს რაც შეეხება, მისი სახლი მართლაც უამრავი ძველებური და ძალიან საინტერესო ნივთით იყო სავსე, მაგრამ ძვირფასისა რა მოგახსენოთ. თუმცა დღეს სიძველეებიც ხომ ფასობს? მაგალითად, მახსოვს, ერთხელ, შესაკეთებლად ძველებური დამბაჩა მოგვიტანეს, რომელშიც მის პატრონს ვიღაც უცხოელი ცოლ-ქმარი რამდენიმე ათას ევროსაც კი სთავაზობდა.

— შეაკეთეთ?

— კი. ლულა ჰქონდა გაღუნული და გავუსწორეთ, მაგრამ მერე, დაბარებულ დროს, პატრონი აღარ გამოჩნდა და იონასგან რომ წამოვედი, დამბაჩა ჯერ კიდევ მასთან იყო, რაც აშფოთებდა.

— რატომ? გასამრჯელოს აღება ეჩქარებოდა?

— არა, ზოგ კლიენტს თვეობითაც კი უნახავდა შესაკეთებლად მიბარებულ ნივთს. უბრალოდ, იარაღს ვერ იტანდა. წელიწადში ერთხელ თავისით ისვრისო, ბურტყუნებდა.

— როგორც ჩანს, გული უგრძნობდა, რომ ტყვიით დაიღუპებოდა.

— ალბათ, — დამწუხრებული გამომეტყველება მიიღო იარაჯულმა, — მებრალება. კარგი ადამიანი იყო, გულისხმიერი.

— ისე, იმ დამბაჩიდან სროლა შეიძლებოდა თუ უბრალოდ სიძველის ნიმუში იყო?

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, მაგრამ ლულის გასწორების შემდეგ ეს პრობლემა ალბათ აღარ იქნებოდა. დამბაჩას ხომ ტყვიები და ყველა სხვა „აღკაზმულობაც“ ჰქონდა.

— საინტერესო ნივთი ყოფილა.

— დიახ. თან, ლამაზად იყო მოჩუქურთმებული და ასეთსავე მოჩუქურთმებულ ყუთში იდო. იონას ვეხუმრებოდი, ერთხელაც ყუთიდან თავისით რომ ისკუპოს და გაისროლოს, სად დავემალოთ-მეთქი?

— როგორ ფიქრობთ, მაინც ვის უნდა მოეკლა იოსებიძე? კონკრეტულად ხომ არავისზე გაქვთ ეჭვი?

— აბა, რა გითხრათ? — მხრები აიჩეჩა მამაკაცმა. — კონკრეტულად ამას ვერავისზე ვიტყვი, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ვინმე ახლობელი უნდა იყოს, რადგან იონა შუაღამისას უცხოს კარს არ გაუღებდა.

— თქვენც თავის ახლობლად მიგიჩნევდათ? — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა თედოს ორდენიძემ.

— დიახ, — წარბიც კი არ შეუხრია, ისე დაეთანხმა გამომძიებელს იარაჯული, — მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, რომ მკვლელი მოტივის გარეშე არ არსებობს, მე მოტივი არ მქონდა.

— ამას გამოძიება დაადგენს, — საუბრის დასრულების ნიშნად, ორდენიძე ფეხზე წამოდგა.

— დიახ, რა თქმა უნდა... — იარაჯულიც წასასვლელად მოემზადა.

— პოლიციაში რატომ დარეკეთ?

— კანონმორჩილი მოქალაქე ვარ

და იმიტომ, — იარაჯულს გაეღიმა.

— ვნახოთ, ვნახოთ... — ხმადაბლა ჩაილაპარაკა შეფიქრიანებულმა გამომძიებელმა...

ლალი

— ჰა, როგორი დასაწყისია? — როგორც იქნა, კომპიუტერის ეკრანს თვალი მოაცილა თემომ და მის პირდაპირ სავარძელში მოხერხებულად მოკალათებულ ლალის განაჩენის მომლოდინე მზერა მიაპყრო.

— აბა, როგორ გითხრა?.. — ვნებიანად გაიზმორა გოგონა. — თევზაობის ეპიზოდმა საოცრად მომხიბლა. იცი, იმ ტბაში რა დიდი სიამოვნებით გავცურავდი?!. ისე, ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ეს საქმე, თევზაობას ვგულისხმობ, ასე გიყვარდა.

— ეს საქმე კი არა, თავშესაქცევია, — დაუზუსტა თემომ.

— ერთხელ მეც რომ წაგეყვანე თავის შესაქცევად, ვითომ რა მოხდებოდა?

— თევზაობა ქალის საქმე არ არის.

— აკი თავშესაქცევიაო? და საერთოდ, სად გაგონილა ქალების ასეთი დისკრიმინაცია?! გაიხედე გარეთ, რომელი საუკუნეა?

— თოვას აპირებს და ტბაზე ბანაობა არ შეიძლება, — გაეღიმა თემოს, — ტბასა და ქალზე გამახსენდა: არის ერთი ფილმი, სადაც 3 გამოცდილი და ერთი ახალბედა მეთევზე მთაში, ერთ ულამაზეს ტბაზე ავლენ სათევზაოდ. როცა ბლომად თევზს დაიჭერენ და ბუნების სილამაზითაც დატკბებიან, ახალბედა მეთევზე დანარჩენებს ეტყვის, მეორედ აქ აუცილებლად ჩემს გოგოსთან ერთად ამოვალო. ყველაზე გამოცდილი კი იცი, რას უპასუხებს?

— რას?

— აქაურობა ასეთი იმის წყალობითაა, რომ ჯერ არც ერთ ქალს არ დაუდგამს ფეხიო.

— ბოროტი მეთევზე! — გაღიზიანდა ლალი.

— ცოტა ხანში მეთევზეები ტბაში ახალგაზრდა ქალის გვამს აღმოაჩენენ და მათი გაჭირვებაც ამის შემდეგ დაიწყება. მოკლედ, ახალბედას გარდა, ყველა მაგრად დაისჯება.

— ალალი და უსაყვედურო. ისე, შენს რომანში თუ არის „სისხლი“ და „გვამები“?

— არა. ეს უფრო სახალისო ამბავი იქნება. დროში მოგზაურობა, ეგვიპტელ ფარაონებთან „ხმალაობა“ და რამე...

— ამდენ სიგიჟეს ნეტავ, როგორ იგონებ?

— კარგი კონსულტანტი მყავს.

— მართლა?! ვინ?

— იონა მეძველმანე.

— ეგ ვინ ოხერია?

— ოხერი კი არა, განათლებული და თავისი საქმის პროფესიონალია.

— რა ხელობის კაცია?

— ძველებურ ნივთებს უკეთებს რესტავრაციას. მეძველმანეც ამიტომ შეარქვეს. საუკუნეებგამოვლილი ნებისმიერი ნივთისთვის შეუძლია ახალი სულის შთაბერვა.

— შთაბერვა არა, კიდევ ის... — ხელი დაუდევრად აუქნია ვაჟს ლალიმ, — ვერ ვიტან ასეთ მაღალფარდოვან გამოთქმებს.

— ასეა და რა ვქნა?!

— როგორც ჩანს, შენც რაღაც ამის მსგავსი შთაგბერა, — აკისკისდა გოგონა.

— იონამ ისტორიის სიყვარული გამიღვიძა.

— მაგას ეშველება. მთავარია, რამე მთლად მოურჩენელი არ შეგეყაროს, — კისკისს აგრძელებდა ლალი.

— შენ ხუმრობ, მაგრამ იცი, რომ ეგვიპტეში ქართველები, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში გამოჩენილან და იქ კულტურისა და სახელმწიფოებრიობის საფუძვლებიც შეუტანიათ?

— აბა, რა... რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!

— მართლა, მართლა. მეცნიერულადაა დადგენილი, რომ 2 უმთავრესი ღმერთი, რომელთაგან ერთმა ლამის მთელი ძველეგვიპტური ინტელექტუალური სამყარო შექმნა, მეორემ კი ადგილობრივები ველურ ცხოვრებასა და კაციჭამიობას გადააჩვია, ხვნა-თესვა, ვენახის გაშენება, სპილენძისა და ოქროს მოპოვება და დამუშავება ასწავლა, ეგვიპტეში ქართველური სამყაროდან არიან შესულები?

— მერე ამ ყველაფერზე რატომ არ დაწერე?

— რომანი? კარგი, რა, დღეს ასეთ რომანს ვინ წაიკითხავს?!

— ჰოდა, ამიტომაც გააშარჟე, ხომ, ყველაფერი?

— კი არ გავაშარჟე, გავახალისე. ჩემი გმირი ძველ ეგვიპტეში მოხვედრის შემდეგ რა ხათაბალაში აღარ გაეხვევა!.. ბოლოს ყველა მის წინააღმდეგ შეკრავს პირს, მაგრამ სიტუაციიდან მაინც გამოძვრება.

— და დედამიწასაც გადაარჩენს, ხომ?

— აბა, რა, — გაეღიმა თემოს, — ასე რომ არ მომხდარიყო, ახლა მე და შენ აქ როგორ ვისხდებოდით?

— მასხარა ხარ, — ჟურნალების მაგიდიდან სიგარეტის კოლოფი აიღო ლალიმ და ერთი ღერი ამოაძვრინა: — არ მომიკიდებ?

— ხომ იცი, არ მიყვარს, ქალი რომ ეწევა? — უხალისოდ დასწვდა სანთებელას თემო.

— ზოგადად ქალი თუ კონკრეტულად მე? — სიგარეტი გემრიელად მოქაჩა ლალიმ და კვამლი რგოლებად გამოუშვა...

— განსაკუთრებით — შენ.

— უაზრო ახირებები არ მიყვარს.

— ვერ გავიგე!..

— ხომ იცი, რომ მთელი ცხოვრება ვეწევი და რადგან შენ დაანებე თავი, მეც აუცილებლად უნდა მოგბაძო?

— მობაძვა არაფერ შუაშია. უბრალოდ, შენს ჯანმრთელობაზე ვზრუნავ.

— გმადლობ. მაგრამ მოდი, რა, ისევ შენს რომანს ან თუნდაც იმ შენს ოქროსხელება იონას დავუბრუნდეთ.

— იონას ხელიდან გამოსული ერთი ნივთიც რომ განახვა, მასზე ასე ირონიულად აღარ ილაპარაკებდი. მშრალ ხიდზე ტაციაობაა მის ნახელავზე.

— მერედა, ამისთანა საინტერესო ადამიანზე ერთხელ ჩვენს ჟურნალში რატომ არაფერი დაწერე?

— გგონია, არ ვცადე? მაგრამ რამდენჯერაც ინტერვიუს ჩაწერა შევთავაზე, იმდენჯერ ცივი უარი მტკიცა. არ გეწყინოს, მაგრამ ჟურნალისტებს და ბუზებს ერთნაირად ვერ ვიტანო.

— ისე, ხანდახან, მართლა ვგავართ, ხომ იცი, აბეზარ ბუზებს, — გადაიკისკისა ლალიმ.

— იონამ მარტო აბეზარი კი არა, უსარგებლოებიც გვიწოდა.

— უყურე შენ! — დოინჯი შემოიყარა გოგონამ. — ნამეტანი მოსვლია.

— ჰოდა, ჩვენი ასე აუგად მოხსენიების გამო, მთლად რომ გადავრეულიყავი, პირობა მომცა, მწერლობას თუ გადაწყვეტ, უამრავ საინტერესო ამბავს მოგიყვებიო და მიყვება კიდეც.

— მართლა საინტერესო ვინმე უნდა იყოს ეგ შენი იონა. გარეგნულადაც მაგარი ტიპია?

— არა, საშინელი ხეიბარია.

— ხუმრობ, ხომ?

— არა. კუზიანია და ყავარჯნებით დადის.

— საწყალი, — თავი დანანებით გადააქნია ლალიმ, — დაუჩაგრავს ბუნებას. ცოლ-შვილი ჰყავს?

— არა.

— მეც გკითხე, რა. ასეთს რომელი ქალი წაჰყვებოდა?

— არც მთლად მასეა საქმე, — თვალები ეშმაკურად მოწკურა თემომ, — იცი, რა მაგარ ქალს უყვარდა ახალგაზრდობაში?

— მერე?

— არ მოიყვანა.

— კარგი, ერთი!

— მერე ის ქალი გათხოვდა, ბავშვიც გააჩინა, მაგრამ ქმარს გაშორდა. ამბობენ, დღემდე იონა უყვარსო...

— რას გეტყვი, იცი?.. ამ კაცზე აუცილებლად უნდა დაწერო.

— არ დამთანხმდება. შენ თვითონ რაზე წერ ამ ნომერში?

— მეე? — მხრები აიჩეჩა ლალიმ. — აბა, თქვენისთანა „დიდ ტილოებზე“ მომუშავე ოსტატთან სად მოვალ?!

— ირონია გასაგებია, მაგრამ მაინც რაზე წერ?

— ქართულ სინამდვილეში კლიშეების ნგრევაზე...

— ოჰო!..

— უფრო სწორად კი იმაზე, რომ რასაც დღეს ვიღაც-ვიღაცები კლიშეების ნგრევას ეძახიან და ამით თავსაც დიდად იწონებენ, სინამდვილეში უბრალოდ „ზემოდან“ ნებადართული და ზოგჯერ კარგად დაფინანსებული ქმედებაა.

— რთულ თემას შეჭიდებიხარ.

— არა უშავს, მოვერევი.

— მერე რედაქტორი? ვითომ გაბედავს ასეთი რამის დაბეჭდვას?

— თუ ვერ გაბედავს, თავში ქვა უხლია, — ხელი არხეინად აიქნია ლალიმ, — მაშინვე „ანტაგონისტში“ მივარბენინებ.

— სწორადაც მოიქცევი. იქ ნაღდად დაგიბეჭდავენ.

— კარგი, — სავარძლიდან წამოდგა გოგონა, — წავედი ახლა, თორემ დამაღამდება.

— მოიცა! — მაშინვე მასთან გაჩნდა თემო, — ჩემთან მარტო რომანის წასაკითხად კი არ დაგპატიჟე.

— აბა, რისთვის?

— კარგად იცი, რისთვისაც, — გოგონა თავისკენ მიიზიდა სხიერელმა და ტუჩებში კოცნა დაუპირა, მაგრამ ლალიმ თავი გვერდზე წაიღო.

— რა იყო? სულ ოდნავ მაინც არ გინდივარ?

— ნუ დაიწყე, რა, თავიდან, — ვაჟის მკლავებიდან თავი სწრაფად გაითავისუფლა გოგონამ, — ხომ იცი, რომ იმას, რასაც ჩემგან ითხოვ, მარტო ნდომა არ ჰყოფნის, ყოველ შემთხვევაში — ჩემთვის. ამ საკითხში ძველმოდური ვარ.

— ერთი კოცნა მაინც გამოიმეტე, — ვაჭრობაზე გადავიდა სხიერელი.

— კარგი, — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია ლალიმ, — დახუჭე თვალები.

— იცოდე, არ მომატყუო.

— არ მოგატყუებ.

თემომ თვალები დახუჭა. ლალიმ კი თავი ორივე ხელით დაუჭირა, ცხვირის წვერზე ნაზად ეამბორა და ოთახიდან გავარდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



დასაწყისი იხ „გზა“ №2-19

ზურა წელში გასწორდა და, როგორც კი ნუკი მოუახლოვდა, მხრებში ხელები ჩაავლო და შეაჩერა.

— შენ რომელი ყვავილი გიყვარს? — ჰკითხა.

ნუკი დაიბნა. მოულოდნელ შეკითხვას არ ელოდა. თვალები აატრიალა და წამით ჩაფიქრდა.

— ყველა, — უპასუხა ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ.

— მაინც, მაინც? — არ მოეშვა მამაკაცი, ბორჯომის ბოთლი ჩამოართვა და გვერდით მოისვა.

— იცი? მეცხრე კლასში რომ ვიყავი, მეზობლის გოგოები ხშირად ავდიოდით ჯვარზე, — დაიწყო გოგონამ, — ფეხით ავუყვებოდით აღმართს და თან ბუნებას ვათვალიერებდით. საოცარი შეგრძნება იყო. ამხელა გზაზე მივდიოდით და არ ვიღლებოდით. ერთხელ, მახსოვს, ზამთარი იყო, შუა თებერვალი. თოვლი იდო. ჯვარზე ასვლა გადავწყვიტეთ მე და ერთმა ჩემმა კლასელმა. გვაინტერესებდა, როგორი სანახავი იყო მონასტრის თოვლიანი შემოგარენი. თან ველაპარაკებოდი მარის, თან, აქეთ-იქით ვიყურებოდი. უეცრად ფერდობზე, ჩემი ყურადღება რაღაც ვარდისფერმა წერტილმა მიიპყრო, თოვლზე რომ მოჩანდა. საუბარი შევწყვიტე და გზიდან გადავუხვიე. გაუკვალავ თოვლს ჩემი ნაფეხურები დააჩნდა. ახლოს მივედი და ჩავიმუხლე. თოვლიდან პაწაწკინტელა ყვავილს ამოეყო თავი. თოვლი გადავხვეტე და რას ვხედავ! ერთ ადგილზე წრიულად უამრავი ასეთი ყვავილი ყვაოდა. არ ვიცოდი, რა ერქვა. ია და ყოჩივარდა რომ არ იყო, მივხვდი. რამდენიმე ძირი ამოვთხარე და შინ წამოვიღე. ბიცოლაჩემმა მაშინვე შეიცხადა, ეს ნაგავი რად გინდოდა, რომ მოგიტანიაო. გავოცდი, ვერ მივხვდი, რა დავაშავე. ბიძაჩემმა თვალი ჩამიკრა, მაგას არ უსმინოო, გამომართვა ყვავილები და ბაღში დარგო.

— ბიძია, რა ყვავილია ეს? — შევეკითხე, როცა მათ მიწას უტკეპნიდა გარშემო და მის გვერდით ჩავიცუცქე.

— ეს, ჩემო ნუკი, ენძელაა. არ იცი, ენძელა?

— მართლა? ენძელა როგორ არ ვიცი, მაგრამ ასეთი თუ იყო, წარმოდგენა არ მქონდა.

— ჰო, ეგ გაზაფხულის მახარობელი ყვავილია, ყველაზე ადრე მოდის, იასა და ყოჩივარდაზე ადრეც. ხანდახან შეიძლება შუა იანვარშიც კი ამოიწვეროს. ამიტომაც შეარქვეს ნაადრევი ენძელები. თან ჩვენში ბევრი არ იცის. უფრო სამხრეთისკენ ყვავის. აღმოსავლეთში უფრო თეთრი ფერის ენძელა იცის. ჩვენ მას ყორნისპწკალას ვეძახით, — ამიხსნა ბიძაჩემმა.

— რა ადრე აყვავებულა! — რაღაცნაირად აღტყინებული ვიყავი.

— ჰო, ამან ეგრე იცის. როგორც კი ჰაერში გაზაფხულის სურნელი დატრიალდება, ეგრევე ამოყოფს მიწიდან თავს, არც თოვლი უშლის ხელს და არც ყინვა.

თუმცა ხუტას დარგული ძირები მალევე გახმა, რატომღაც, ვეღარ იხარა. ბიძაჩემი ხუმრობდა მოგვიანებით — თამარას თვალი ეცა, შეაშინა ყვავილებიო...

მას შემდეგ ენძელა განსაკუთრებულად შემიყვარდა. შემდეგ წელს მარტო ავედი იმ ფერდობზე, თებერვლის ერთ სუსხიან დღეს და ვიპოვე ის ადგილი. ენძელები დავკრიფე და უკან გამოვბრუნდი. გზად ვინც შემხვდებოდა, ყველა მეკითხებოდა, საიდან ეგ ყვავილებიო და მეც იდუმალი ღიმილით ვპასუხობდი, მაჩუქეს-მეთქი. ვითომ ბიჭმა მაჩუქა, ისეთ სახეს ვიღებდი...

— აჰა... — გაიღიმა ზურამ. — ესე იგი, შენ იშვიათად მოსაპოვებელი ყვავილები გყვარებია... თან ისეთი, ზამთარში რომ იწყებს აყვავებას... თან ბიჭისგან ნაჩუქარი... გემოვნებაც ამას ჰქვია.

— ეს, უბრალოდ, ისე დაემთხვა, თორემ... ყველა ყვავილი მიყვარს... ყვავილი ყვავილია...

— მაგრამ სულ სხვაა ენძელები, თან პირველები... — გარითმა ზურამ და თვალმოჭუტულმა ეშმაკურად გახედა, — კარგი, დავიძინოთ ახლა. აღარ მინდა შენი კოცნა, გადავიფიქრე. წავალ, ბორჯომს ჩავეხუტები, — თქვა და წამოდგა.

ნუკიც ადგა. ზურამ თითები აათამაშა დამშვიდობების ნიშნად და საძინებლისკენ გაემართა.

ახალი წლის წინა დღეები იდგა. ნუკის ბიძა ჩამოუვიდა სტუმრად. ხუტამ ძმისშვილს სოფლის ნობათი ჩამოუტანა. მოხარშული დედალი, ხაჭაპურები, ყველი, ჩურჩხელები, ღვინო, გოზინაყი, კაკალი, ჩირი... შენ მარტომ რა უნდა გააკეთო, ბარემ გამზადებული მოგართვიო, თან, ბევრი ეფერა... ცრემლიც კი მოადგა თვალზე.

— ბიცოლამ რაო, ამდენი რამე რომ წამოიღე? იცის კი? — ვერ მოითმინა გოგონამ და მორიდებით შეხედა.

— იცის რომელია! თავისი ხელით არ გავაკეთებინე ყველაფერი?! აბა, ერთი ხმა ამოეღო! ზედმეტად გაუვიდათ მაგათ! რაც მეტს დაუთმობ, მით უფრო გასხდებიან თავზე ორივე დედა-შვილი! ახლა ცოტა მოლბნენ. რაც შენ წამოხვედი, მერე მიხვდნენ, რომ ძალიან მიქარეს. ვიფიქრე, ახალ წლის დღესასწაულზე ბავშვს ჩვენთან წავიყვან-მეთქი, მაგრამ ზურამ მითხრა, არ წამოვაო და... მეც აქეთ ჩამოგიტანე. ისე, თუ წამოხვალ, გელოდებიან, რომ იცოდე, ერთიც და მეორეც... სულ ნუ აიღებ ჩვენზე ხელს, შვილო. ვიცი, ხეირიანად ვერ მოგაქციე ყურადღება და მთლად მამობა ვერ გაგიწიე, მაგრამ...

— რას ამბობ, ბიძია, მეორედ არ გამაგონო ეგ. შენ რაც გამიკეთე, საკმარისია. არაფერი დაგიკლია ჩემთვის.

— ბარემ კი დაგაკელი, მაგრამ რა ვქნა. უფულობას რა ვუთხარი... ან ამათ ხელში რა ფული გაგიძლებს ადამიანს, ვეშაპებივით პირდაფჩენილე-

ბი მომჩერებიან, საიდან რა წამღლიტონ, არ იციან, მეშინია ხანდახან, თავიც არ წამაჭამონ-მეთქი, — გაიხუმრა ხუტამ.

— დარჩები დღეს?

— არა, რას დავრჩები. ბაზარში გავივლი და უნდა დავბრუნდე, იქაც მილიონი საქმე მაქვს. ხომ იცი, საახალწლო სამზადისია, მივეხმარო უნდა... იმ კვირაში მაქსიც ჩამოდის და...

— მართლა? რა კარგია, გაიხარებს ეკა.

— გაიხარებს, ჰო. სულ ცხვირპირი ჩამოსტირის. ისიც ვერ ითმენს იქ მარტო. ჩამოვალ და წავიყვანო, აუჩემებია. ასე აღარ შემიძლიაო.

— ძნელია, ჰო.

— ერთი ზურას შემახვედრე, შენი ჭირიმე, ისე არ გამიშვა აქედან, სირცხვილია. მაგისთვისაც გამომატანა ძღვენი ჩემმა ქალმა და... — გასძახა ხუტამ გვერდითა ოთახში მოფუსფუსე ძმისშვილს.

— ახლავე დავურეკავ, — თქვა ნუკიმ, რომელიც ჩანთაში ეკასთვის გამზადებულ საჩუქრებს ალაგებდა.

— ეს რა არის? რა ჩამიდე მაგაში, გაფიცებ, ყველაფერს, უკან ხომ არ მატან ჩემს ხორაგს? — ახედა ხუტამ თავზე წამომდგარ გოგონას.

— არა, ამას ეკასთვის გატან. ჩემი შეკერილი რაღაცებია, იმედია, მოეწონება, მაგის გემოვნებით შევარჩიე.

— მოგცლია, რაღა! ჭინჭების მეტი რა აქვს, ვეღარ აუდის ყიდვას დედამისი! კიდევ ეგ უნდა? შენ თვითონ მოიხმარე, ან გაყიდე, ან ვინმეს აჩუქე...

— ვიცი, რასაც ვაკეთებ, შენ მიუტანე და თუ არ მოეწონება, თვითონ აჩუქოს ვინმეს. დიდი არაფერია.

— დაურეკე იმ ბიჭს?

— დავურეკე და ჩემთან ამოდითო, გვეპატიჟება. გამოივლის ახლა მანქანით და წაგვიყვანს.

— არ მინდა მისი შეწუხება, კაცო! იქიდან ხომ ვიცი, ისე არ გამომიშვებს, დამალევინებს, შევრჩები, მერე ბაზარში შევლაც დამიგვიანდება.

— მე გავყვები ბაზარშიო, მითხრა და მერე სახლშიც წავიყვანო, მცხეთაში.

ხუტამ თავიდან შორს დაიჭირა, არ მინდა, ჩემი გულისთვის ასე შევაწუხო ის ადამიანიო, მაგრამ მერე გაუხარდა კიდეც, რომ ავტობუსით არ მოუწევდა ჩაქჩაქი და ზურას მოლოდინში სიგარეტი გააბოლა...

31 დეკემბერს ზურამ ნუკის სამკერვალოში გაუარა და თავისთან მიიწვია, ჩემებთან ერთად შევხვდეთ ახალ წელსო. ნუკის ცოტა არ იყოს, ეუხერხულა, მაგრამ უარიც ვერ უთხრა. არადა, ნელიკოსთანაც იყო დაპატიჟებული, თან — მეკვლედ. ეს რომ ზურამ გაიგო, გაუხარდა კიდეც, ჯერ ნელისთან წადი და მოგვიანებით შემოგვიერთდი, ბარემ ჩვენი მეკვლეც შენ იქნებიო.

— არ ვიცი, როგორი ფეხი მაქვს, — დაიმორცხვა.

— შენ არ შეიძლება, ცუდი ფეხი გქონდეს... დარწმუნებული ვარ, კარგი მეკვლე იქნები, ბარაქიანი, — გაეხუმრა ზურა და თვალებით მიეალერსა.

— კარგი, გავბედავ მაშინ, — გაიღიმა გოგონამ და სთხოვა, მისამართი ჩამაწერინეო. მამაკაცმა ჩააწერინა, თან გააფრთხილა, ცოტა ძნელი მისაგნებია და თუ რამეა, დამირეკეო.

ზურა კარისკენ დაიძრა და სანამ გავიდოდა, უეცრად მოტრიალდა.

— ჩვენ ძველებურად მეგობრები ვართ? — მოულოდნელად ჰკითხა.

— ჰო, რა თქმა უნდა.

— მენდობი?

— გენდობი... ბოლომდე.

— მაშინ წმინდა მეგობრულად... — თქვა მამაკაცმა და სწრაფად, მსუბუქად აკოცა.

ნუკის სითბო ჩაეღვარა სხეულში. ამ ბოლო დღეებში სრულიად სხვა გრძნობით განიმსჭვალა მის მიმართ. თითქოს სხვა მხრიდან დაინახა, თითქოს სხვა ზურა აღმოაჩინა მასში... იმასაც გრძნობდა, რომ ერთად (ორივენი) კარგად გრძნობდნენ თავს. რაც უფრო ეცნობოდა მამაკაცს, მით მეტ საერთოს (თანაც სასიამოვნოს) პოულობდა მასთან. ორივე მხიარული იყო, კარგი იუმორის გრძნობით დაჯილდოებული. გემოვნებაც კი ერთნაირი ჰქონდათ. დიდი ხანია, ნუკიმ ეს შენიშნა. ჯერ მარტო მისი ბინა... ზუსტად ისეთ ფერებში აქვს მოწყობილი, მას რომ მოსწონს. იქნებ ერთმანეთისთვის არიან შექმნილნი და ვერ აცნობიერებენ ამას? ან იქნებ ზურა აცნობიერებს და ნუკი ვერა? ხომ არ სჯობს, იფიქროს ამაზე — პირველ ხანებში ხომ ფიქრობდა — მანამ, სანამ გია გამოჩნდებოდა? ფაქტია, გიასგან ხეირი არ არის და სავარაუდოდ, არც იქნება. მან თავისი სურვილი (ხორციელი) აისრულა და მორჩა, გაქრა. ამის გამო ცხოვრებაზე ხელს ხომ არ ჩაიქნევს? ვის არ მოსვლია შეცდომა? მით უმეტეს, ზურა ბავშვობიდან მოსწონდა, შეფარვით ყოველთვის ეტრფოდა. გია კი... ერთი ნაძირალაა (უდავოდ) და მეტი არაფერი. ჯანდაბამდის გზა ჰქონია თავისი „სიხ-ებით“ და „სიცოცხლე-სიხარულებით“. ასეთი ლექსიკონით რომ დაუწყო ლაპარაკი, მაშინ უნდა მიმხვდარიყო, ვისთანაც ჰქონდა საქმე. ახლა უკვე გვიანაა „თითზე კბენანი“. ზურა კი სულ სხვაა. განათლებული, ინტელექტით სავსე, ზრდასრული ადამიანი. თან აშკარაა, მოიწევს ნუკისკენ. როგორ უჭირს ხოლმე თავის შეკავება, როცა ერთად არიან. თანაც, სულაც არ არის მისთვის უსიამოვნო მისი შეხება. უსიამოვნო კი არა... მაინც არ ღირს აჩქარება. ასე არ შეიძლება. არ უნდა ისე გამოვიდეს, თითქოს მისგან რაღაც სარგებელს მოელის. გულსაც უნდა დაეკითხოს და გონებასაც, მხოლოდ ფიზიკური ლტოლვა არ წყვეტს საქმეს. ეჰ... ცოტა აღრე რომ ეფიქრა ამაზე, იქნებ აეცდინა თავიდან გიასთან დაშვებული შეცდომა. რა ცუდია, რომ გამოუცდელია, თანაც ამ ასაკში... ეს ყველაფერი იმის ბრალია, ჩაკეტილი ცხოვრება რომ ჰქონდა და არასდროს

ყოფილა დამოუკიდებელი. როგორც კი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი გადადგა, მაშინვე შეცდომა (გულის მომკვლელი თან) დაუშვა. მორჩა! მეტჯერ აღარ აქვს შეცდომის უფლება. ყველა ნაბიჯი უნდა აწონ-დაწონოს.

და... კიდევ ერთხელ ჩაფიქრდა...

ნელიკოსთან უმარავი სტუმარი დახვდა, რამდენიმე თავიანთი ჯგუფელიც, მათ შორის. გაუხარდა მათი დანახვა. პირველის 10 წუთი იყო, ნელისთან რომ მივიდა. როგორც კი დაქალმა კარი გაუღო, ეგრევე შეყარა კანფეტები და ასე ტკბილად დამიბერდითო, შესძახა. რაც კი სანოვაგე ჩამოუტანა ბიძამისმა, თითქმის ყველაფერი ნელისთან გაზიდა, შეეშინდა, არ გამიფუჭდესო. თამარას გამომცხვარმა ხაჭაპურებმა დიდი მოწონება დაიმსახურა მის მეგობრებში.

ცოტა შამპანური დალია. სასმელმა შუბლი გაუხურა და გაათამამა. ძალიან მოუნდა, ნელისთან გიაზე ჩამოეგდო საუბარი. როგორც კი დრო იხელთა, სამზარეულოში მოფუსფუსე (ყავას ადუღებდა) მეგობარს გვერდით დაუდგა და საჭირო (თან — მტკივნეული) შეკითხვა დაუსვა.

— გია რატომ არ დაპატიჟე?

— ვინ გია? აა! იმას აქ რა უნდა, მე ახლობლებს დავუძახე. თან მგონი, თბილისში არ არის.

— და სად არის?

ნელიმ გაოცებულმა შეხედა.

— შენ რატომ დაინტერესდი ასე ძალიან? შემთხვევით, ხომ არ მოგწონს?

ნუკის ისედაც აწითლებული ღაწვები უფრო აუწითლდა.

— მერე ეგ დანაშაულია? — უკან არ დაიხია.

— მოგკლავ, იცოდე, ახლოს არ გაიკარო, თორემ! — მკაცრად გამოუვიდა ნელის.

— რატომ, ასეთი საშიშია?

— საშიში კი არა, მატყუარაა, გაიგე? მილიონი ქალი ჰყავს გაცურებული. მაგის მოტყუებული გოგოების სია რომ ჩამოწერო, 48-გვერდიანი რვეული არ გეყოფა. გასაგებია? შეეშვი მაგ კაცს, კარგს არაფერს მოგიტანს მაგასთან ურთიერთობა. რაო, შენც ხომ არ დაგაბოლა?

— არა, რა სისულელეა, — თვალი აარიდა ნუკიმ, — უბრალოდ, ისე ვიკითხე. რომ მომწონს, ამას არც ვმალავ.

— თუ დამიჯერებ, გააკეთე, რასაც გეუბნები და თუ არ დამიჯერებ, შენი საქმისა შენ იცი, მე ჩემი მითქვამს და... — უკმაყოფილოდ გაისმა ნელიკოს ხმა.

ნუკიმ პასუხი არ გასცა. ყავის ფინჯნები ლანგარზე დააწყო და სასტუმრო ოთახში უსიტყვოდ გაიტანა. დაქალმა ეჭვით სავსე მზერა გააყოლა მიმავალს...

დააგვიანდა ზურას მშობლებთან გასვლა. უკვე 2 საათი ხდებოდა. ცოტა არ იყოს, ეუხერხულა ამ დროს მისდგომოდა მისთვის ჯერ კიდევ უცხო (ზურას გარდა) ადამიანებს და გადაიფიქრა. ზურას დაურეკა, ახალი წელი მიულოცა და უთხრა, ვეღარ მოვახერხე გოგოებისგან თავის დაღწევა და აღარ დამელოდოთო. მამაკაცი გაბრაზებული ჩანდა. ალბათ არ ელოდა, ნუკი თუ არაფრად ჩააგდებდა მის მოპატიჟებას.

— გვიან ნამდვილად არის. მამაჩემისთვის გადაღლა არ შეიძლება და დაწვა უკვე. არადა, გელოდნენ ორივენი.

„სამივენი“, — შეუსწორა გუნებაში ნუკიმ.

— ვწუხვარ, მაგრამ არაფრით არ გამომიშვეს. ჩემი ჯგუფელები იყვნენ და... დიდი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს.

— მესმის, — ყრუდ უპასუხა მამაკაცმა.

— კარგი მაშინ, ღამე მშვიდობისა და კიდევ ერთხელ მაპატიე...

— თუ გინდა, ჩემთან ამოდი, შინ ვაპირებ გასვლას, თუ არ გეძინება. იქ მაინც...

— არა, ზურა, გვიანაა უკვე. წავალ, დავიძინებ.

— ხვალ?

— ხვალ შეიძლება. ამოვალ.

— კარგი, დაგელოდები. ალბათ საღამოს, არა?

— როგორც იტყვი.

— საღამოს ჯობია, ასე, შვიდისთვის, — დააკონკრეტა მამაკაცმა და თავადაც დაემშვიდობა.

როგორი იმედი ჰქონდა, რომ გია ახალ წელს მაინც მოულოცავდა. ეს იმედიც გაუცრუვდა. რა უნამუსო ყოფილა! ერთი მესიჯი დაენანა? ნეტავ, სად დადის? თბილისში არ არისო... სად და ვისთან ერთად შეხვდა ახალ წელს? ეს აზრი ტანჯავდა. ცდილობდა, გონებიდან ამოეგდო წარამარა მასზე ფიქრი, მაგრამ ვერ ახერხებდა. თუმცა, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ნაკლებად განიცდიდა ტკივილს.

საღამოს ნამცხვრები იყიდა და ზურას აადგა. უზარმაზარი ნაძვის ხის დანახვამ სახე გაუნათა. არ მოელოდა.

— რა ლამაზია! — აღფრთოვანებულმა შესძახა. სულ გადაავიწყდა, ახალი წელი მიელოცა მამაკაცისთვის.

— შევეცადე! — გაუღიმა ზურამ, გაბრაზება აღარ ეტყობოდა.

— შენები აქ არიან?

— არა, მე ვიყავი მათთან, ერთი საათია, მოვედი.

— ნამცხვრები მოვიტანე...

— რად გინდოდა, ყველაფერი მაქვს. ცოტა-ცოტა... რას დალევ? შამპანურს? კონიაკს?

— შამპანური არ გამაგონო! ვერ ვიტან! — ისე შეიცხადა, თითქოს წუხელ წვეთი არ დაელიოს.

— მაშინ კონიაკი... კარგი კონიაკია, მოგეწონება... ეს კიდევ შენ! — დააყოლა ზურამ და ნაძვის ხის ქვეშ დადებულ ლამაზ შეხვეულ ყუთს დაავლო ხელი.

— ეს რა არის?

— ეს შენი საჩუქარია. იმ დილით რომ გამეპარე და არ წაიღე... თუმცა, ერთი მხრივ, კარგიც კი ქენი. ახლა ორმაგად ჩამეთვლება საჩუქარში. სუნამოა.

— დიდი მადლობა... ძალიან ყურადღებიანი ხარ... თუმცა, რა გასაკვირია, ამერიკული „სკოლა“ გაქვს გავლილი, — გაიცინა.

— ჰო, მცხეთურს აშკარად სჯობია, — არ დაუთმო მამაკაცმა.

— შენთვის არავის არასდროს უთქვამს, რომ საშინელი იუმორის გრძნობა გაქვს? — თვალები მოწკურა ნუკიმ და უკმაყოფილო მზერით გახედა.

— ამის მისახვედრად თავადაც უნდა გქონდეს ადამიანს იუმორის გრძნობა, — გაუღიმა ზურამ და მხარზე გადახვია ხელი.

— თათულის ამბავი ხომ არაფერი იცი? — მღელვარების დასაფარავად იკითხა გოგონამ.

— წუხელ დარეკა, მომილოცა. სოფელში ვარო. ერთ კვირაში ჩამოვალო. მერიაში იწყებს მუშაობას თურმე.

— მართლა? რა კარგია!

— შენთვის არ დაურეკავს?

— არა.

— ალბათ ვერ მოახერხა. ხაზები ისე იყო გადატვირთული, ჩემთანაც ძლივს დარეკა.

„ჩემთანაც“... ცოტა არ იყოს, უსიამოვნოდ მოხვდა ნუკის ყურში, მაგრამ არ შეიმჩნია. არც თვითონ გამოუდვია თავი, რომ დაერეკა ყოფილი პარტნიორისთვის და მიელოცა. წესით, ასე არ უნდა მოქცეულიყო. თამარას და ეკას რომ მიულოცა, თათულიმ რა დააშავა? მათზე არანაკლები ამაგი ჰქონდა თათულის მასზე. სხვა თუ არაფერი, უფასოდ დაუთმო ბინა, ქირის ფულსაც კი არ ახდევინებს. უმადურობაა მისი მხრიდან და სხვა არაფერი.

— ისე, მე მაინც უნდა დამერეკა,

ცუდად გამომივიდა, — გულდაწყვეტილმა გახედა ზურას.

— უნდა დაგერეკა... არც ახლაა გვიან, ისე...

გოგონა დაფაცურდა. მობილური ამოიღო ჩანთიდან და დარეკა. თათულიმ კარგა ხანს ალოდინა, თუმცა ბოლოს მაინც უპასუხა. ნუკიმ მიულოცა ახალი წელი და მოიკითხა, ოღონდ არ უთხრა, ზურასთან რომ იყო. რატომღაც, ასე ამჯობინა.

— მომიკითხე ჩვენი საერთო მეგობარი, — თითქოს ირონიულად გამოუვიდა თათულის.

— რომელი მეგობარი? — არ შეიმჩნია ნუკიმ.

— რომელთანაც ხარ, — ხმამაღლა გაიცინა ქალმა.

— ჰო... მოვიკითხავ, — შეცვლილი ხმით უპასუხა გოგონამ და ზურას გახედა.

— ჩემგანაც მოიკითხე, — შეაშველა მამაკაცმა.

ნუკიმ თათულის ზურას მოკითხვა გადასცა და დაემშვიდობა. მობილური ჩანთაში ჩააბრუნა და ტახტზე ჩამოჯდა. სახე მოღუშოდა.

— რატომ მოიწყინე? — ზურა გვერდით მიუჯდა და მხრით შეეხო.

— რა ვიცი... ისე.

— ისე მოწყენა არ ხდება... რამე გაწუხებს? მითხარი.

— არა, არაფერი.

— თათულიმ გაწყენინა?

— არა, რას ამბობ!

— აბა? შენმა თაყვანისმცემელმა?

— არც იმან, — კიდევ უფრო მოექუფრა სახე.

— არ მომწონხარ ასეთი, — ზურა წინ გადაიხარა და ქვემოდან ახედა მის დასევდიანებულ თვალებს.

— დავლიოთ, ახალი წელია, ბოლოს და ბოლოს, — ნაძალადევად გაიღიმა გოგონამ და წამოხტა, — სად გავშალო სუფრა?

— სუფრა გაშლილია და გველოდება... სამზარეულოში, — მამაკაცი უკან მიჰყვა, — ჰო, მართლა, შენი ძმა როგორ არის? დაგირეკა?

— წუხელ შუაღამისას დამირეკა... მერე დედაჩემიც მელაპარაკა...

— მერე? როგორ შეხვდი?

— რა ვიცი... ჩვეულებრივად.

— რას განიცდი მის მიმართ? მაინტერესებს.

ორივენი მიუსხდნენ გაშლილ სუფრას.

— რამდენი რამე გქონია... ტყუილად მომიტანია ნამცხვარი, — გაიცინა ნუკიმ.

— ჰოდა, როგორც მოიტანე, ისე წაიღე უკან.

— გაგიჟდი? არც იფიქრო! — იუკადრისა, — რას განვიცდი? არც არაფერს, რომ იცოდე. არც მიყვარს და არც მძულს... როგორც ახალგაცნობილი უცხო ადამიანი, ისეა ჩემთვის. რატიზე უფრო ვფიქრობ და მიყვარს კიდეც. ის კი... ის ჯერ კიდევ ვიღაცაა ჩემთვის.

— ბუნებრივია... თუმცა, მგონია, რომ შეგიყვარდება. მთავარია, არ გაწყვიტო მასთან ურთიერთობა. მოდი, დავლიოთ, ცოტას გავხურდებით. გაგვიმარჯოს, ნუკი, კიდევ ერთხელ გილოცავ ახალ წელს, ბედნიერი წელი გვქონოდეს შენც და მეც.

— ორივეს, — დაეთანხმა გოგონა და ჭიქა მიუჭახუნა, — მეც გილოცავ.

დალიეს. ნუკის პირველსავე ჭიქაზე ღაწვები შეეფაკლა და თვალები აუბრჭყვიალდა.

— ძალიან ლამაზი ხარ, — თქვა მოულოდნელად ზურამ.

გოგონამ დაიმორცხვა. ჟრუანტელმა (მერედა, როგორ სასიამოვნოდ) დაუარა სხეულში.

— ლამაზი კი არადა...

— არ გიხდება თავმდაბლობა, — გაიცინა მამაკაცმა, — შენც იცი, რომ ასეა.

— მთავარი სილამაზე სულაც არ არის, — თვალები დახარა ნუკიმ.

— ცდები. სწორედ რომ სილამაზეა მთავარი, თუმცა არა მხოლოდ გარეგნული. პირველ რიგში, სულის. ეს კი არ გაკლია.

— არც — შენ.

— მართლა? ესე იგი, რაღაცით ვგავართ ერთმანეთს. მგონი, ეს კარგია, არა? რას იტყვი?

— ალბათ კარგია, — ნუკი მიხვდა, რომ მათი საუბარი ფლირტში გადადიოდა.

— შენ იცი, რისი თქმაც მინდა. პატარა აღარ ხარ უკვე.

გოგონამ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ზურამ ხელით ანიშნა, მაცალეო და გააგრძელა.

— მე არ გაჩქარებ. არსად გვეჩქარება. არც — შენ და არც — მე. ვიფიქროთ. ვცადოთ. თუ საჭიროა, ვიბრძოლოთ, თუ რამედ გვიღირს ეს ბრძოლა და ისე მივიღოთ გადაწყვეტილება. გამოგვივა? ხომ კარგი, თუ არა და, გზა ფართოა, არავინ გვიჭერს და არავინ არაფერს გვაძალებს.

ნუკიმ ამოიოხრა.

— ხომ ხვდები, ჩემთვის როგორი ძნელია ასეთ თემაზე ლაპარაკი? ვხვდები, რომ შენთვისაც ძნელია. თუ ვინმე მესამე არ დგას ჩვენ შორის, მაშინ ვცადოთ. თუ სხვა არაფერი, კარგი მეგობრებად ხომ მაინც დავრჩებით...

— ჰო, — სხვა ვერაფერი თქვა ნუკიმ.

— და ამაღამ აქ დარჩები... ამაზეც ჰო უნდა მითხრა. ახლა შენი გაცილების თავი არ მაქვს. დავლიე უკვე და ჯარიმის აკიდების სურვილი არ მაქვს.

— დავრჩები, — არც უცდია გოგონას უარის თქმა.

ერთხანს კიდევ ილაპარაკეს. ცოტა დალიეს, იცინეს, იმხიარულეს... ზურა კმაყოფილი იყო... ნუკიც...

იმ ღამეს, თავის ოთახში განმარტოებული ზურა ფიქრობდა ქალზე, რომელიც იქვე, ახლოს (უკვე მერამდენედ), მისსავე ბინაში, მეორე ოთახში იწვა. სძინავს თუ ღვიძავს? რაზე (თუ ვისზე) ფიქრობს, ნეტავ? შეუყვარდება კი ზურა? რამდენი ხანია, ასე არ ჩაღრმავებია თავის ცხოვრებას (პირადს), თავის ოცნებებს, მიზნებს, განცდებს... „ოხ, ნუკი, ნუკი... რა გიყო? როგორ მოგაბრუნო ჩემკენ?“ აქამდე მის ცხოვრებაში ახლობელი ადამიანები იკავებდნენ დიდ ადგილს — დედა, მამა, რამდენიმე მეგობარი და ერთი-ორი თანამშრომელი... ახლა კი უეცრად ნუკი შემოიჭრა... და, რატომღაც, ზურას უკვე ვეღარ წარმოედგინა თავისი ხვალინდელი დღე მის გარეშე, მით უმეტეს — პირადი ცხოვრება...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

თავისუფალი თემა

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა. მივესალმები „გზის“ მკითხველს და აქვე საუკეთესო კვირას ვუსურვებ. თავს არ შეგაწყენთ, რადგან საკმაოდ ბევრი და კარგი ამბავი მაქვს თქვენგან მიღებული და ისედაც არ მეყო ადგილი, რომ ყველა დამებეჭდა. მხოლოდ 2 ადამიანს მინდა მივმართო: ზურა (თვითონ მიხვდება, რომელი ზურაცაა), ნუ ცდილობ, გავლენის ქვეშ მომაქციო და შენს ჭკუაზე მატარო... მჯერა, კარგად იცნობ ადამიანის ფსიქოლოგიას, მაგრამ ჰიპნოზს ყველა არ ემორჩილება. ასე რომ, თუ კიდევ ერთხელ გადახედავ შენს გამოგზავნილ მესიჯებს, მიხვდები, ამას რატომ გეუბნები... ჩემი და ჟურნალის „ერთგული მკითხველობა“ ვერ გიშველის, თუ ჩემი უფლებები გამოვიყენე და შენი ყველა მესიჯი „გზაში“ გამოვაქვეყნე... არადა, არ მინდა ამის გაკეთება... და მეორე მგზავნელს, ქაჯების დედოფალს მინდა ვუთხრა, რომ სამწუხაროდ, მის მესიჯებს ვერ ვბეჭდავ, რადგან ტექსტის ნაცვლად რატომღაც მხოლოდ გაურკვეველი იეროგლიფები მოვიდა. როგორც იტყვიან, ტექნიკური მიზეზების გამო, ამ „გზავნილებში“ ვერაფრით გაგახარე... ახლა კი ვნახოთ, რა გამოვიდა თქვენი თავისუფალი თემიდან.

შემთხვევა

„აფორიაქებული შევიდა საკლასო ოთახში. ბავშვებისკენ არც გაუხედავს, ისე დასწვდა ცარცს და დაფაზე კოხტა ასოების გამოყვანას შეუდგა. გული ეკუმშებოდა და ბავშვებიც თითქოს გრძნობდნენ აღმზრდელის განწყობილებას ან იქნებ კიდეც იცოდნენ სკოლაში მომხდარი უმსგავსობის შესახებ და უტყვად თანაუგრძნობდნენ მასწავლებლის განცდებს. დაფას ცარცით დაეყრდნო და დაბალი ხმით ჩაილაპარაკა:

— დღეს ვწერთ თავისუფალ თემას სათაურით — „თოვლის თეთრო ფანტელებო, რატომ დაიგვიანეთ“.

ხელი ჩვრით გაიწმინდა, ფანჯარასთან დადგა და ერთ წერტილს მიაშტერდა. კლასისკენ გახედვა არ უნდოდა — იცოდა, ბავშვები უმალ შენიშნავდნენ მის მწვანე თვალებში აკიაფებულ ცრემლებს და მათი შემხედვარე, გრძნობებს ვეღარც თვითონ მოთოკავდა. უსიამო ფიქრების მოცილება უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. თვალწინ წარმოუდგა სამსწავლებლოში გათამაშებული სცენა, შეძრწუნებული კოლეგები და ფიზკულტურის მასწავლებლის ტუჩებიდან წამსკდარი სისხლი. ჯიუტად ჩაესმოდა დირექტორის მკაცრი და გამყინავი ხმა, როცა იგი ფიზკულტურის მასწავლებელს მიმართავდა:

— ბატონო ნოდარ, ნუთუ თქვენთვის ახალია, რომ მოზარდის სული მეტად სათუთი მოსაპყრობია. ნუთუ თქვენ, ჩვენი რამდენიმეწლიანი თანამშრომლობის პერიოდში ვერ გაიაზრეთ ჩემი არაერთგზის თხოვნა, მუდარა და გნებავთ ბრძანება, რომ მოზარდ თაობასთან უნდა ვიყოთ მაქსიმალურად დელიკატურნი და მათი სიტყვიერი (არა თუ ფიზიკური) შეურაცხყოფა პროფესიული დანაშაულია...

დირექტორი კიდევ ბევრი და ბრტყელ-ბრტყელი ფრაზის გადმოფრქვევას აპირებდა, მაგრამ უეცრად, წერით გართულ მანდატურს — ოცდახუთიოდე წლის გოგონას მოჰკრა თვალი. სინამდვილეში კი მანდატურისკენ მის გვერდით მჯდომმა, წვრილთვალებიანმა მამაკაცმა მიახედა და ისეთი ტონით, რომელიც შეპასუხებას იმთავითვე გამორიცხავდა, განაცხადა:

— ჩვენ კაცები ვართ და კაცურად გავერკვევით...

— არაკაცი, — კბილებში გამოცრა ნოდარმა, მაგრამ იქ მსხდომებმა ეს სიტყვები — ვერ, მე კი მაინც მგონია, არ გაიგონეს.

დირექტორმა სრული თანხმობის ნიშნად ხელები გაშალა, — აქაოდა, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო. ამ ჟესტიკულაციაში კი შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა ცუდად შეფარული ლიქნი და პირფერობა. მამაკაცის მრავალმნიშვნელოვან გამოხედვაზე მანდატურმაც უმალ შეწყვიტა წერა, თუმცა რაც დაწერა, საკმარისზე მეტი იყო, გონიერმა ადამიანმა, მკითხველო ჩემო, შესაბამისი დასკვნა რომ გამოიტანოს.

„მესამე გაკვეთილის დასრულებას აღარაფერი უკლდა, როცა დერეფანში გავედი და ფანჯრიდან გადავიხედე. ამერიკულ ფილმებში თუ მინახავს ასეთი სცენა: ვიღაც ბრგე, მეტად წვრილთვალება მამაკაცს სპორტულებში გამოწყობილი, ჩვენი ფიზმომზადების პედაგოგი ნოდარი, მიწაზე დაეგდო, ხელებს უგრეხდა და ხელბორკილის დადებას ცდილობდა. თვალებს არ დავუჯერე და რაცია მოვიმარჯვე, რომ ბიჭები გამეფრთხილებინა. ამასობაში ნოდარი ხელიდან დაუსხლტა უცნობს, მაგრამ ამ უკანასკნელმა მოულოდნელად იარაღი დააძრო, ჯერ ტარით თავში ჩაარტყა, შემდეგ კი ლულა პირდაპირ პირში ჩასჩარა.

— მასწავლებელი ხარ თუ ძველი ბიჭი, შე დედა... — დაღრიალებდა დუუმორეული. — იქნებ ქურდული გიჭირავს, შე სირო... შენნაირები „შპონკის“ ქვეშ მყავს... შენ ვინ მიგდიხარ... აქვე გაგასალებ, შე თესლო...

მასწავლებელი ტალახში ისე იყო ამოგანგლული, რომ სახე არ უჩანდა. მან ცალი ხელი გაითავისუფლა, მოძალადეს მაჯაში სწვდა, იარაღი გააწევინა და ჩასისხლიანებული ტუჩებით ამოღერღა:

— თუ არ მესროლო, შენი დედა... — დასრულება ვერ მოასწრო, ისე გადავარდა უკან, დარტყმისგან.

მოშორებით უფროსკლასელი ბიჭები მიჭაჭულიყვნენ ფანჯარას და ირონიული ღრეჭით უხამს კომენტარებს აკეთებდნენ. ასეთებს საერთოდ ახვრებს უწოდებენ, მაგრამ მე ყველას რეგვენს ვუწოდებდი ერთის გარდა: სწორედ ის ერთი იყო ახვარი და დანარჩენები — მას აყოლილი რეგვენები. აღმოჩნდა, რომ ბიჭები ფიზკულტურის გაკვეთილზე ბოროტად ხუმრობდნენ, რაზეც ნოდარა „ავარდა“ და შეიგინა — ამის დედა ვატირე, ან წყნარად ისხედით, ან გაბრძანდით სპორტდარბაზიდანო. ახვარი და რეგვენების ჯგუფი აიფოფრნენ, მასწავლებელზე გაიწიეს კიდეც, აქაოდა ჩვენს უფლებებს რატომ ლახავო? საერთაშორისო კონვენციებს საერთოდ არ კითხულობ თუ საქართველოს ხელისუფლების კურსს არ უჭერ მხარსო?! ახლა მანდატურთან ერთად გავარჩიოთო, ერთს უთქვამს. მეორემ — დირექტორთან ავიდეთ და იქ „ვიბაზრო-

თო“. ამ ახვარს კი „გადამწყვეტი ხმის უფლებით“ განუცხადებია, ჩაშვება „გრეხი“ არაა, მაგრამ ნოდარას ჭკუა მაინც უნდა ვასწავლოთო და თავის ძალოვან (და არა ძალოსან) მამიკოს დაურეკა. იმანაც არ დაახანა, სკოლაში გაცოფებული მოვარდა და ჭკუის სასწავლებელი, „სადამსჯელო სპეცოპერაციაც“ წარმატებით ჩაატარა“...

ჩანაწერი აქ წყდება, მაგრამ დირექტორის კაბინეტიდან მაინც გამოჟონა შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა. დირექტორმა დიდსულოვნად განაცხადა:

— ჩვენი აღსაზრდელის პატივცემული მშობლის დაჟინებული თხოვნით, მე არ დავაყენებ ფიზმომზადების პედაგოგის, ბატონი ნოდარის სკოლაში დარჩენა-არდარჩენის საკითხს. ამავდროულად მიმაჩნია, რომ ადგილი ჰქონდა სამწუხარო გაუგებრობას და არა — მოუგვარებელ კონფლიქტს.

ამ სიტყვებზე მშობელი მძიმედ წამოდგა და ნოდარს მეგობრულად მხარზე ხელი გადახვია.

ნოდარმა ზიზღით მოიშორა მოძალადე მშობლის მიერ შერიგების ნიშნად გამოწვდილი მარჯვენა და გესლიანი ღიმილით ჩაილაპარაკა:

— ნუ ნერვიულობთ, თქვენს კარიერულ წინსვლას ჩემგან საფრთხე არ დაემუქრება... ჩემთვის ჩაშვება დღემდე „გრეხია“...

ძნელი მისახვედრი არ იყო, ვისი მისამართით ითქვა ეს სიტყვები, თუმცა ნოდარის ფრაზას ორი ადრესატი ჰყავდა. მეტი სიტყვა აღარ უთქვამს, უხმოდ დატოვა კაბინეტი და სკოლაში რამდენიმე დღეს აღარც გამოჩენილა — იმ დღემდე მაინც, სანამ ახვარს სხვა სკოლაში გადაიყვანდნენ...

სკოლაში ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. ბავშვებმა დაწერეს თავისუფალი თემა — „თოვლის თეთრო ფანტელებო, რატომ დაიგვიანეთ“. მასწავლებელმა რამდენიმე რვეულს ზერელედ გადაავლო თვალი...

ანამარია წერს:

„თოვლის თეთრო ფანტელებო, რატომ დაიგვიანეთ? არ იცით, რომ დაგვიანების გულისთვის მანდატური გაგიბრაზდებათ?!. თან, თქვენ აქ რომ ყოფილიყავით, ნოდარი მასწავლებელი ტალახში არ ამოითხვრებოდა და რბილადაც დაეცემოდა... მერე ჩვენც ვიგუნდავებდით“...

ლუკა: „...თოვლის თეთრო ფანტელებო, რატომ დროზე არ მოხვედით, რომ ნოდარი მასწავლებელს ბევრი გუნდა გაეკეთებინა და ცუდი ბიძიასათვის ესროლა. მერე ჩვენი კლასის ბიჭებიც დავეხმარებოდით. მერე კი ყველა ერთად ვიციგავებდით“...

საბა: „...ეეჰ, თოვლის ფანტელებო, ზამთარი ილევა და თქვენ ერთი კარგი საქმეც არ გაგიკეთებიათ. არც გვაგუნდავეთ და არც გვასრიალეთ... რომ მოსულიყავით, ბევრი-ბევრი, სახურავზე დაგროვდებოდით და იქიდან დაებერტყებოდით თავზე პისტოლეტიან ძიას და მერე ნოდარი მასწავლებელთან ერთად ვიგუნდავებდით... მამაჩემსაც აქვს იარაღი, მაგრამ სულ სახლში აქვს“...

კესარია: „...თოვლის თეთრო ფანტელებო, თქვენ დროზე და ბევრი რომ მოსულიყავით, მაშინ კეთილი თოვლის კაციც მოვიდოდა და ერთი კარგად მიტყეპავდა იმ ბიძიას... აღარ დააგვიანოთ და ყველას გადაეცით, რომ ნოდარი მასწავლებელი ძალიან გვიყვარს“...

თვალები დაებინდა, აუწყლიანდა და ასოებს ვეღარ არჩევდა, თუმცა თვალის მოწშენდა აზრადაც არ მოსდიოდა და



რვეულებს ცრემლებით ნამავდა. უეცრად, შვებით ამოისუნთქა... მიხვდა, მის შრომას ფუჭად არ ჩაევლო, ბავშვებში კაცთმოყვარეობა გაეღვივებინა. ვიღაცას გუნებაში ნიშნი მოუგო და სახეზე ის ულამაზესი ღიმი გადაიფინა, რუსმა რომ შეარქვა ულიბკა“.

დაგვიანებული შეხვედრა

„ლიზი 15 წლის იყო, როცა მურმანი გაიცნო. მურმანი კი 21-ის გახლდათ. ბიჭი დიდ ყურადღებას იჩენდა ლიზის მიმართ. გოგონას ეს არ გამოჰპარვია, მაგრამ არ იმჩნევდა — თავს ბავშვად მიიჩნევდა და ამ ყველაფერს არასერიოზულად აღიქვამდა. მეგობრები ეუბნებოდნენ, მურმანს მოსწონხარო, ლიზი კი ამაზე ძალიან ბრაზდებოდა. მერე მურმანი სადღაც გაუჩინარდა. რაც დრო გადიოდა, ლიზი უფრო მეტს ფიქრობდა მასზე. ასე გავიდა 4 წელი. ლიზი უკვე 19-ის იყო. ერთხელ ქუჩაში შემთხვევით შეხვდა მურმანს. ერთმანეთი თბილად მოიკითხეს. შემდეგ ბიჭმა შეპარვით ჰკითხა: ასეთი კარგი გოგო ხარ და რატომ არ თხოვდები, შეყვარებული არ გყავსო? არა, არ მყავს და არც გათხოვება მეჩქარებაო, უთხრა ლიზიმ. მაშინ მე გაგირიგებ ერთ კარგ ბიჭს, ჩემი ძმაკაცია, შენზე 6 წლით უფროსია, კარგი ბიჭიაო! — მოჰყვა „ძმაკაცის“ ქებას მურმანი. ლიზიმ გადაიკისკისა და უთხრა: აბა შენ იცი, შენი იმედი მაქვსო. „მე არ გეხუმრები, ლიზი“, — უთხრა მან. ლიზი მოუბრუნდა და მიუგო: პირდაპირ მითხარი, რა გინდა, რა შორიდან მივლიო?! — ლიზი, მე შენ მართლა მიყვარხარ, შენს ოჯახს კარგად ვიცნობ, ამიტომ მინდა, დედაშენს დაველაპარაკო და შენი ხელი ვთხოვო, თუ წინააღმდეგი არ ხარო. ლიზი დაიბნა და მხოლოდ ეს უთხრა: მაპატიე, მაგრამ ჯერ გათხოვებას არ ვაპირებ და არ მსურს ამაზე საუბარი, თორემ გამარჯობასაც აღარ გეტყვიო. გულში კი მურმანის მიმართ გრძნობა უკვე შეჰპაროდა. ასე დაშორდნენ ერთმანეთს. მას შემდეგ გავიდა კიდევ რამდენიმე წელი. ლიზიმ აღარაფერი იცოდა მურმანის შესახებ. ერთ დღეს, ქუჩაში კვლავ შეხვდა მურმანს, რომელსაც ხელში პატარა გოგონა ეჭირა და გვერდით ახალგაზრდა, ფეხმძიმე ქალი მოსდევდა. ლიზის ჯერ მისი და ეგონა. მურმანი მიესალმა და უთხრა: გაიცანი, ლიზი, ეს ჩემი მეუღლეა, ეს კი ჩემი მატრაკვეცა გოგოო, — ბავშვზე მიანიშნა. ლიზიმ ნაძალადევად გაუღიმა და მალე გულდაწყვეტილი დაემშვიდობა. გავიდა დრო და ლიზიც გათხოვდა, მაგრამ არ გაუმართლა, რადგან მეუღლემ ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია. ბევრს ნანობდა ლიზი, მაგრამ უკვე ვეღარაფერს შეცვლიდა. ერთ დღეს კი ლიზიმ შემზარავი ამბავი გაიგო: მურმანი ტუბერკულოზით გარდაიცვალა და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. ლიზის ძალიან ატკინა გული მურმანის გარდაცვალებამ. თვითონ კი დღესაც აგრძელებს ცხოვრებას შვილებთან ერთად, დესპოტი მეუღლის გვერდით. სევდიანი ქალი“.

უსამართლო ბრალდება

„ჩემი მეგობარი შეყვარებულს დაშორდა. გიოსთან არ ვიყავი ახლოს, პირიქით — არც კი მომწონდა. ამ ზაფხულს ერთად მოვხვდით ბათუმში. დავმეგობრდით; როგორც ძმას, ისე ვუყურებდი. მასაც ძალიან შევუყვარდი. ეს მარომ (ჩემმა დაქალმა) გაიგო და ძალიან გაბრაზდა. როცა თბილისში დავბრუნდით, მარი ვნახე და მოვუყევი ყველაფერს. ვუთხარი, კარგი ბავშვი ყოფილამეთქი. ჩვეულებრივ მიიღო ყველაფერი, არც არაფერი ყოფილა ამ ამბავში არაჩვეულებრივი. ერთ დღეს გიო მირეკავს, სასწრაფოდ უნდა გნახოო. მეც შევხვდი, მოვიკითხე. მოკითხვაზე პასუხიც არ გამცა, ჩხუბი დამიწყო — შენ ვინ ყოფილხარ, ჩემზე რაებს ლაპარაკობ, მე სულ სხვანაირი მეგონეო. ვერაფერი გავიგე, დავიბენი, ცრემლები წამომივიდა. გიო კი არ ჩუმდებოდა; მითხრა, — შენი დანახვა აღარ მინდაო. ბოლოს, როგორც იქნა, გამაგებინა, რაც ხდებოდა: მარი მისულა და უკითხავს, ჩემს დაქალთან

რა გქონდა? შენთან მართლა იწვაო? ლამის გული წამივიდა, ვერაფრით დავუმტკიცე, რომ მართალი ვიყავი. ძალიან განვიცადე, დეპრესიაში ჩავვარდი... გარეთ არ გავდიოდი. ჩემს ერთ მეგობარს ვუთხარი, დიდი ხნის შემდეგ. რომ გაიგო, გაგიჟდა, აქამდე რატომ არ მითხარიო?! გიოსთან მივიდა და ყველაფერი ათქმევინა, რადგან ჩემგან წესიერად ვერაფერი გაიგო. ბექამ გიო დაარწმუნა ჩემს სიმართლეში... მოვიდა და ბოდიში მომიხადა... რა ვქნა... გულში არაფრის ჩადება არ შემიძლია, გიოს ვაპატიე და ახლაც ვმეგობრობთ. მარის კი ზედ აღარავინ უყურებს. პირველად გწერთ და ძალიან ვნერვიულობ. ძალიან მიყვარხართ ყველანი. ჯერ გაიცანით ადამიანი, მერე ენდეთ და იმეგობრეთ. ტაკსონ“.

ერთი დღე

„სანამ ეს გზავნილი დასრულებულ სახეს მიიღებდა, ქვემოთ მოთხრობილი ამბავი ერთი კვირა ჩემი მეგობრების საუბრის მთავარ თემას წარმოადგენდა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მე და ჩემი სამი საუკეთესო მეგობარი დავნაძლევდით, ვისი ერთი დღე უფრო მრავალფეროვანი იქნებოდა. გადაწყვიტეთ, მომავალი 24 საათის განმავლობაში მომხდარი საინტერესო მოვლენები ფურცელზე გადაგვეტანა და 1 დღის შემდეგ, გამარჯვებული შოკოლადით დაგვჯილდოებინა. ამ უწყინარი, გულის გადასაყოლებლად დადებული სანაძლეოს მოგებამ ისე გამახარა, თითქმის მთელი თელავი ასკინკილათი შემოვიარე ამხელა კაცმა.

ბევრს აღარ გავაგრძელებ და შევეცდები, მოკლედ აღგიწეროთ, ჩემი ერთი ჩვეულებრივი (რამდენად ჩვეულებრივია, თავად განსაჯეთ) დღე. დილის 8 საათზე, „ბუდილნიკი“ „მეტალიკის“ ჩემი საყვარელი სიმღერით მაღვიძებს (უფრო სწორად, გაღვიძებას ცდილობს). ცხრის ნახევარზე მე ისევ მძინავს! ცხრა საათზე, მეტალიკა არ ვიცი, მაგრამ ბებიაჩემი კი შემოდის 2 დიდი „მეტალით“ (ტაფით) ხელში, ერთმანეთს მთელი ძალით ურახუნებს და ყვირის: „გოოოოოოოოოონგი!“... მდუღარე, ცხელ-ცხელ ყავას ვსვამ და „მარშრუტკაში“ აზრზე მოსულს, წიგნი მიჭირავს ხელში. მასწავლებელთან მივდივარ და გაკვეთილის გადამეორებას ვცდილობ. ტრანსპორტში, რომელშიც ჩემ გარდა თითქმის არავინ ზის, ერთი ვულგარული გარეგნობის ქალი ამოდის; მიიწიეო, მეუბნება და ყურში „ნაუშნიკებს“ იყრის. მე სუნთქვა მეკვრება! მოულოდნელად, ის თვალებს ხუჭავს, საჩვენებელ თითს ტუჩებზე იდებს და საკუთარ თითს ლოკავს. შემდეგ ნიკაპზე, ყელზე, მოშიშვლებულ მკერდზე ისვამს და ასე გრძელდება 5 წუთის განმავლობაში. — მაპატიე, პატარავ, — ღიმილით მეუბნება ჩასვლის დროს და თვალს მიკრავს. მე მიხარია! მიხარია, მაგრამ რა, ვერ ვხვდები. „მარშრუტკიდან“ ჩასული, პრესის ჯიხურს ვუახლოვდები და მოხუცი გამყიდველს ამაყად ვეუბნები: „სექსი დიდ ქალაქში“ მინდა, პაპა... — კაი, კაცო, — მიღიმის პაპა. წიგნს ვყიდულობ, მე და მოხუცი გულწრფელ ღიმილს ვჩუქნით ერთმანეთს და გზას ვაგრძელებ. სუპერმარკეტ „ზინასთან“ ახალი განცხადება გაუკრავთ: „მოზვერთან სქესობრივი აქტი, ახლა უკვე 10 ლარი. იკითხეთ აზორი“. გულიანად ვიცინი და უკვე მასწავლებელთან ვარ. 2-საათიანი გაკვეთილის 2/3 საატესტატო გამოცდების მოახლოებასა და მასზე წუწუნში გადის. დარჩენილი დროც მალე მირბის და წინ თავისუფალი 3 საათი მაქვს.

— გიო, თუ გცალია, რადიოში მოდი, საქმე მაქვს, — ტელეფონში მესმის ჩემი უფროსის ხმა და მეც ბუზღუნ-ბუზღუნით მივდივარ სამსახურისკენ. ერთ-ერთ ქუჩაზე ხანძარი გაჩნდა და კომენტარის ჩასაწერად გამამწესეს. მუღამზე მოვდივარ. — დიახ, მე ვნახე, როგორ გაჩნდა ხანძარი, — მიღიმის მზესუმზირის გამყიდველი და მიყვება, როგორ იმშობიარა 2 დღის წინ ამ სახლის მკვიდრმა, როგორ გადაქაჩა დიასახლისი დედამთილი ამ ცხოვრების სიმუხთლემ საზღვარგარეთ და როგორი მოსიყვარულე მამაა, დამწვარი „ბაითის“ პატრონი. ვსაუბრობთ ყველაფერზე, გარდა ხანძრისა და მეც, ცხელ-ცხელი ახალი ამბებით „შეიარაღებული“, ისევ რადიოში ვბრუნდები. სანამ მეორე მასწავლებელთან წასვლის დრო მოვა, 2 საათი მაქვს წინ. გეზს ჩემი მეგობრის, ნინოს სახლისკენ ვიღებ და 15 წუთში უკვე მის ჭიშკართან ვარ ატუზული. კარს უცხო ტიპი მიღებს და სახლში ისე მეპატიჟება, თითქოს მასპინძელი თავად იყოს (თეთრი, ქართველი კაცისათვის არადამახასიათებელი საათი, ყურში გარჭობილი ორ-ორი საყურე და ძალიან გამოტკუცული შარვალი მაშინვე მომხვდა თვალში). — გაიცანი, ეს ჩემი მეგობარია, ავთო, — ოთახიდან გამოდის ნინუშკი და მეხუტება. — ავთო კი არა, ავთუნა, — უსწორებს ყმაწვილი. მერე ისევ გამოცდებზე ვწუწუნებთ, ერთმანეთის ამბებს ვკითხულობთ და კონსენსუსს ვაღწევთ: დღეს მასთან ვრჩები (აქ უკვე სანაძლეოს მოგებაზე ვფიქრობ). სახლიდან სამის ნახევარზე გამოვდივარ, 10 წუთის განმავლობაში, ჩემს IPON-ს ვუყურებ ვიტრინაში, მერე ისევ ავტობუსში ვჯდები და „მასწისკენ“ ჰერი-ჰეერი...

— ბებო, ბებო, რეზინის ტაფა არსებობს? — ინტერესდება პატარა გოგონა და ბებიას შეჰყურებს (მძღოლი ხურდას რეზინის პატარა ჯამში ყრიდა).

— კი, შვილო, — მოკლედ უჭრის მოხუცი და პირში ხაჭაპურს სტენის.

— როგორი შტერი ხარ, ბებ, რეზინის ტაფა ცეცხლზე ხომ დადნება? — კისკისით პასუხობს პატარა და ჩემს გაღიმებასაც ახერხებს...

უნარების გაკვეთილზე საინტერესო არაფერი ხდება. მერე მაკარონის, უგემურ, ავარიაში მოყოლილი მანქანასავით გაბრტყელებულ ხაჭაპურს ვჭამ და გამოქლიავებული სიფათით მივდივარ ჩემს მეგობართან.

ავთო (მაპატიეთ — ავთუნა) იქვე ზის, ტელეფონშია შემძვრალი და ფრჩხილებს ნერვიულად იკვნეტს. უეცრად, მოწყენილ გამომეტყველებას, ენით აუწერელი სიხარული ცვლის და მეგობარს რაღაცას ეჩურჩულება. ის ჩათში გაცნობილ ბიჭს უნდა შეხვდეს და მე მისი დაცვა ვარ (თან მივყვები მის დაქალთან ერთად, რა თქმა უნდა) — რა იცი, რა რჯულის კაცი (ჰმ) შეხვდებაო, — ღელავს ნინო.

თელავში, ჩოხელის სტადიონთან პატარა, „ვენესუელური ისტორია“ იხლართება. ავთუნა მანქანაში ჯდება, ნინო ტირის. ავტომობილი, რომელშიც სიყვარულს მოწყურებული ყმაწვილი ჩახტა, გიორგის ეკუთვნის. გიორგი ნინოს შეყვარებულია! სახლში დაბრუნებული, კმაყოფილი მზეჭაბუკი ხედავს, რომ მისი ტანსაცმელი და პირადი მოხმარების ნივთები ვიღაცას ფანჯრიდან უსვრია. — იცი, EIFORIA გამიტეხე, — ამოიკვნესა სასოწარკვეთილმა ავთუშკამ და გაცეცხლებული კიბეზე ჩამოჯდა.

მე 3 კილო დავიკელი, იმდენი ვიცინე.

ავთო გარეთ ათენებს. მე — უსაფრთხო და ბედნიერი ვარ. სანამ დავიძინებ, სოციალურ ქსელებზე შევდივარ, ვათვალიერებ ახალ ფოტოებს, არ ვიშურებ კომენტარებს და დღევანდელი დღით კმაყოფილი საწოლისკენ მივდივარ. ღამე ტელეფონი რეკავს. მარიამია, ქალი ეგზოტიკა მირეკავს! იცი, ჩემი სასიყვარულო ამბავი მინდა მოგიყვე, ექსკლუზიურად, „გზისთვის“, — მეუბნება თავისი საყვარელი, მიამიტი ხმით და იწყებს: „ერთმანეთი საერთო მეგობრის წრეში გავიცანით, ვერ გეტყვით, რომ ერთი ნახვით შეგვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ სიმპათია გაჩნდა. ნიკამ ჩემი ტელეფონის ნომერი გაიგო და შემეხმიანა. მე გამიხარდა. თანდათან მივხვდი, რომ ჩემში შეძლებულ გოგოს ხედავდა. მანქანა და ფული იზიდავდა და არა — მე. ერთ დღეს მომწერა, თბილისში უნდა წავიდე და მანქანა მათხოვეო“.

მარიამს უყვარდა და ენდო!

სამი დღის მერე ნიკა მეგობარ გოგოსთან გაჩნდა, ავტოში ბენზინიც ჩაასხმევინა და დაადგა თბილისისკენ მიმავალ გზას. „ეგზოტიკა“ უკან გაჰყვა. ბიჭი ქობულეთში, რესტორანთან გაჩერდა. ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა გადაკოცნა, წელზე ხელი მოხვია და გაღიმებულები, საკუთარ ოთახში შევიდნენ. მოტყუებულ ქალს სისხლი მოაწვა. უნდოდა, სკანდალი მოეწყო, მაგრამ თავი შეიკავა, მოაჯდა თავის მანქანას და ბათუმში დაბრუნდა. ასეა თუ ისე, ეს ამბავიც HAPPY END-ით დასრულდა და მეც კმაყოფილების განცდა დამეუ-

ყურადღება! **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

ფლა. საუბრის დამთავრებამდე, ქალმა ეგზოტიკამ თავისი ჰორმონების მბრძანებელი მიწოდა და ტელეფონი გამითიშა.

გიჟივით გამეცინა და მიმეძინა.

მეორე დილით, სალონ „მიმოზასთან“ შეეხვდი ჩემს სამ მეგობარს და შოკოლადებით დატვირთული გავუდექი სახლისკენ მიმავალ გზას... არა, არც ისე ჩვეულებრივად ვცხოვრობ, როგორც მეგონა... რუისპირი (GREEN)“.

დაკოჟრილი ხელები

„ახლა ჩემს თავისუფალ თემას გიგზავნით და სიმართლე გითხრათ, არ მაქვს იმედი, რომ გამოქვეყნდება. „გზავნილების“ ერთგული მკითხველი, გზავნილების ერთგულ მწერლად გადავიქცევი.

გათენდა. დილის რიჟრაჟზე ისმოდა ტკბილი და საამური ჩიტების გალობა. მზე სახეს მითბობდა. ჩემს ბებერ ხელებს აღარ შეეძლოთ შრომა, მათ ისედაც ბევრი უშრომიათ. თუმცა ხელში მაინც ნამგალი მეჭირა და ჩემს მოყვანილ პურს ვმკიდი. გრძელ, ოქროსფერ ღეროს გვირგვინად ედგა პურის თავთავი. ეჰ, რამდენ ასეთ თავთავს გაუვლია ჩემს ხელებში, რამდენი მიშრომია, რამდენი კაცი დამიპურებია, რამდენ კაცს დავულოცივარ, მაგრამ დღეს მაინც მარტოდმარტო ვარ დარჩენილი, უადამიანოდ. ღმერთი არასდროს მტოვებს, არ მწირავს, თორემ აქამდე ცოცხალი არ ვიქნებოდი. თხუთმეტი წლისა ვიყავი, მარტო რომ დავრჩი. ობლობაში გავიზარდე. დედ-მამა ომში დავკარგე. ერთი პატარა ქოხისა და გაცვეთილი გუთნის მეტი არაფერი მებადა. აბა, რა უნდა მექნა? მოვკიდე ხელი გუთანს და დავიწყე მიწის დამუშავება. პური მომყავდა. პიროფლიანი ვხნავდი და ვთესავდი ამოდენა პურის მარცვალს. ამ დალოცვილ მიწას ბევრი რამ შესძლებია. გულით ვშრომობდი და ისიც გულიან მოსავალს მაძლევდა. იმდენი მაინც მქონდა, რომ ჩემი ცოლი და ორი შვილი მერჩინა. დღენიადაგ ვშრომობდი, ცოლ-შვილს ცივ ნიავს არ ვაკარებდი, მაგრამ დღეს მაინც მარტო ვარ. ვიცი, რომ ისინი კარგად არიან. ქალაქში ბინა ვუყიდე და მას შემდეგ ჩემკენ აღარ გამოუხედავთ. ცოლმაც მიმატოვა და შვილებმაც. მათ ჩემს თავს ქალაქელი მეგობრები არჩიეს. ვერ გაგიზრდია, ჯაბანავ, შენი შვილები, ვერა. ყოველთვის მათ სიტყვას იგებდი, არაფერს აკლებდი, ძალით ასწავლიდი, მაგრამ რაც იყავ, იმად დარჩი. მიგატოვეს... ძაღლივით მიგაგდეს, შენი წარდგენა ეთაკილებოდათ, ესირცხვილებოდათ სოფლელი მამა და სოფლელი ქმარი. დღეს შენ ოთხმოცი წლის გახდი, ჯაბანავ, და არავის ახსოვხარ. თუმცა რა გასაკვირია? 12 წელია, არ გახსენებიხარ და ახლა გაახსენდები? შენ ყველაფერს მათთვის ცდილობდი, მათთვის შრომობდი, მათ გვერდით იდექი, მაგრამ შენი შვილები შენი წინააღმდეგნი იყვნენ. მარტო დაგტოვეს, ცოლი წაგართვეს, აღარ ახსოვხარ შენს ცოლ-შვილს.

ეპოქა თავისას შვრება. ვულკანში ლავის თუხთუხი, მისი ხმაურობა მოგაგონებთ მამებისა და შვილების ბრძოლას. განსხვავებული აზრები, განსხვავებული შეხედულებები, განსხვავებული მსჯელობა ხელჩართულ ბრძოლას ემსგავსებოდა, წითელ ლავაში იხრუკებოდა. ასე მარტო ჯაბანა როდი იყო, მის დღეში ბევრი სხვაც ჩავარდნილა, ბევრი მშობელი მიუტოვებიათ შვილებს, ვერცხლსა და კარგ ცხოვრებაზე გაუცვლიათ, მაგრამ არ გახსენებიათ, ვის პურზე იყვნენ გაზრდილნი. უძღები შვილი თავქარიანი და ამბიციური პიროვნებაა, რომელსაც თავის თავზე მეტად არავინ ადარდებს. იგი სხვის აზრს არ ითვალისწინებს, ყოველთვის ვიღაცის საწინააღმდეგოს აკეთებს და ფიქრობს, რომ ის ყოველთვის მართალია.

მშობელი, გამზრდელი დედ-მამა, შვილის დაბადებისთანავე ფიქრობს მის მომავალზე. არც ერთი მშობელი არ შემედავება იმაში, რომ შვილისათვის კარგის მეტი რამე გაეკეთებინოს და მის სწავლა-განათლებასა და მომავალზე არ ეფიქროს, მაგრამ ხედავს კი ამას უძღები შვილი? აფასებს იგი მშობლის ამაგს? ახსოვს მშობლის გასაჭირი? ამ კითხვაზე პასუხია — არა! სანამ შვილს მშობლის თავთავი არ გამოელევა და მას მიწას არ მიაბარებს, თავის შეცდომებს ვერ ხვდება. განა შენი მშობელი მამა წიგნებს არ ყიდულობდა? განა შენს დედ-მამას არ უნდოდა, განათლებული ყოფილიყავი? განა მამაშენს შენთვის საჭმელი არ მოჰქონდა და ტანისამოსს არ ყიდულობდა? გციოდა თუ გწყუროდა? მზრუნველობა გაკლდა? თუ ეს ყველაფერი გქონდა, მაშინ რატომ არის მამაშენი მარტოდმარტო დარჩენილი ერთ მიყრუებულ სოფელში? რატომ უნდა ფიქრობდეს იგი სხვის შემწეობაზე, როდესაც შენ შეგიძლია, მამაშენი შენთან ამყოფო, მოიკითხო ან მოინახულო მაინც. ერთხელაც არ გაგხსენებია? ქუჩაში მოხუცი კაცი მაინც არ შეგხვედრია, რომელიც მამაშენს მოგაგონებდა? დედას თუ ჰპატრონობ, მამაშენმა რა დაგიშავა? შრომა სირცხვილი არ არის... საწყალი ჯაბანა, ამდენი უშრომია, შვილები გზაზე დაუყენებია და დღეს იგი მიტოვებულია არა მხოლოდ შვილებისგან, არამედ ცოლისგანაც, რომელიც შვილებთან ერთად ცხოვრობს ქალაქში და სოფლისკენ გახედვაც კი არ უნდა. ვაი, შენ, საწყალო ჯაბანავ, მარტოდმარტო ხარ, გარიყული ცხოვრებისგან. ახალმა ეპოქამ გადაგიარა... ცხოვრებაა ასეთი სასტიკი და დაუნდობელი. მამებისა და შვილების ბრძოლა ადამის დროიდან იწყება და მათ შორის გამარჯვებული ჯერაც არ გამოვლენილა და არც არასდროს გამოვლინდება.

თქვენი ერთგული მკითხველი და ამიერიდან მწერალი, შოკოლადის ბიჭუნა“. ■

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „დაგვიანებული შურისძიება“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com

დასაწყისი იხ. გვ. 55

— პირველად რამდენი პოლიციელი იყო?

— 3.

— რა მანქანით იყვნენ? — ეჭვი გამიჩნდა, რომ ამ ქალის მიერ მოყოლილ ამბავში რაღაც „ისე ვერ იყო“.

— თეთრი, დიდი მანქანით იყვნენ, უკან ღია საბარგული რომ აქვს. ნომრებზე „პოლიცია“ ეწერა.

— პიკაპით?

— ჰო, მგონი, მასე ჰქვია.

— პოლიციის ფორმები ეცვათ?

— არა, შავი ქურთუკები ეცვათ.

— მანქანის ნომერი ხომ არ დაგინახავთ?

— ხომ გითხარი, ნომრების მაგივრად, „პოლიცია“ ეწერა-მეთქი?!.

— კიდევ რაიმე საყურადღებო ხომ არ დაგინახავთ, ქალბატონო?

— ის დავინახე, რომ პოლიციელები ერთმანეთს ყურში ეჩურჩულებოდნენ; თუ ჩხუბობდნენ, მარტო მაშინ უყვიროდნენ ერთმანეთს.

— რაზე ჩხუბობდნენ?

— უფროსი ეჩხუბებოდა ხელქვეითებს, — ნუ ზოზინობთ, გაინძერითო! ისიც გამიკვირდა, ოლეგის სახლიდან რაღაცები რომ ჩამოიტანეს — კომპიუტერი, ვიდეოკამერა და ერთი დიდი ჩემოდანი. ნივთმტკიცებებიაო, მეზობლებს უთხრეს, მანქანაში ჩაალაგეს და წავიდნენ.

— ოლეგთან სახლში ვინმე მოდიოდა ხოლმე?

— ბევრნი მოდიოდნენ, მაგრამ ერთი ქართველი გოგონა ყველაზე ხშირად სტუმრობდა. ღამითაც რჩებოდა ხოლმე, — ბოლო სიტყვები ჩურჩულით მითხრა.

— შეგიძლიათ, ის გოგო აღწეროთ?

— კი, შემიძლია, მაგრამ რად გინდა ჩემი აღწერილი — აგერ ცხოვრობს, რამდენიმე კორპუსის იქით; მარეხი ჰქვია და შეგიძლიათ, ნახოთ.

— წეღან რომ თქვით, ბევრი გამომძიებელი მოდისო, შეგიძლიათ, მითხრათ, რას გეკითხებოდნენ დანარჩენები?

— რასაც თქვენ მეკითხებით, იმას მეკითხებოდნენ ისინიც. ერთნაირები ხართ ყველა — ირბენთ, ირბენთ და ბოლოს, მკვლელს მაინც ვერ იპოვით.

ამ ქალის ლაპარაკი ნერვებს მიშლიდა, მაგრამ სხვა გზა მაინც არ მქონდა, ბოლომდე მოვუსმინე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„განწირულ ბიჭებს ცრუიმედებს ნუ მისცემ“

„ეს უწყინარი გართობა ბევრ პრობლემას შეგიქმნის...“

„გზის“ №18-ში დაიბეჭდა 21 წლის უცნობის მესიჯი. იგი გვწერდა: „როცა ბიჭი მომეწონება, ვაქტიურობ მანამ, ვიდრე არ გავიცნობ, მერე ვცდილობ, თავი შევაყვარო, მაგრამ უკვე „დაკერილი“ ბიჭი ჩემთვის უინტერესო ხდება; მაღიზიანებს მისი ზარები და მესიჯები, „პაკლონიკის“ მიმართ საოცრად აგრესიული ვხდები. მოკლედ, ასეთი საქციელით უკვე ბევრს ვატკინე გული... გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ ვაიძულო საკუთარი თავი, რომ მსგავსი რაღაცები აღარ გავაკეთო?“

ლიკა ქაჯაია

გრუზინკა:

„შენ რჩევა კი არ უნდა მოგცენ, არამედ გემრიელად უნდა მიგტყეპონ. მინდა, ვინმე მაგარმა ბიჭმა „დაგკეროს“ და მერე ჩვარივით მიგაგდოს. ჰოდა, იქნებ ამის მერე მაინც მოხვიდე გონს. გოგო ხარ თუ ქაჯი?..“

ფლამინგო:

„შენი „ესემესის“ წაკითხვის შემდეგ ცოტათი ამოვისუნთქე, რადგანაც აქამდე მეგონა, რომ ამქვეყნად ასეთი გულცივი მხოლოდ მე ვიყავი. მოკლედ, მგზავნელების რჩევებს შენთან ერთად, დიდი ამბით ველოდები. შენი არ იყოს, უკვე „დაკერილ“ ბიჭებთან ურთიერთობა მეც მწყინდება, ისინი ჩემთვის უინტერესონი ხდებიან, მე კი თვალთმაქცობასა და თამაშს მირჩევნია, დავშორდე; თანაც ვიცი, რომ ურთიერთობის გაგრძელების შემთხვევაში, ადამიანს გულს ტყეილით უფრო ვატკენ. მოკლედ, ჯერ არავინ მყვარებია და თავს არც არავის შეყვარებას ვაიძულებ. გენაცვალე, გულს ვერაფერს უბრძანებ. გირჩევ, შენს პრინცს დაელოდო, ის აუცილებლად გამოჩნდება. წარმატებები!“

უცნობი:

„ნაცნობი სიტუაციაა. ასე, ბავშვურად მეც ვერთობოდი, მაგრამ ერთხელაც, მათ ადგილას საკუთარი თავი წარმოვიდგინე და გამაჟრიალა. ჰოდა, მას შემდეგ ეგეთებს შევეშვი, იმას დაველოდე, რომელიც ჩემში ინტერესს გამოიწვევდა და დღეს არაჩვეულებრივი ადამიანის საცოლე ვარ. კარგად დაფიქრდი, შენ ხომ პატარა აღარ ხარ. იცოდე, ძალიან ცუდად იქცევი. აბა, წარმატებები, უფალი გფარავდეს!“

სვანის ასული:

„როგორც ჩანს, ძალიან აზარტული ხარ. ჰოდა, შესაძლოა, მომავალში ამან სხვა ფორმით იჩინოს თავი და ბევრი პრობლემა შეგიქმნას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი სავარაუდოდ, გარეგნობის წყალობით მიზანს ადვილად აღწევ და სხვის გრძნობებზე თამაში არ გიძნელდება, მაგრამ შესაძლოა, ერთხელაც თავად შეგიყვარდეს ვინმე მიუწვდომელი, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ ან ვერ თანაგიგრძნობს და გულს გატკენს... რადგანაც რჩევა გვკითხე, ე.ი. სინდისი გაწუხებს და იმედია, მალე შეიცვლები. იცოდე, თუ ასე განაგრძობ, შეიძლება, მარტო დარჩე ან რომელიმე უარყოფილი თაყვანისმცემლის რისხვა დაგატყდეს თავს“.

ლიფსო:

„მაგარი საცემი ხარ, რა. გამოდის, ბიჭებზე კაიფობ, არა? აუ, ოდესმე მეც რომ შემხვდე, იცოდე, თმით გითრევ“.

ნიკოლო:

„შენი დიაგნოზი ასეთია — ეგოიზმი გაწუხებს! თუ ასე გაგრძელება აღარ გსურს, შეეცადე, სხვა ადამიანების გრძნობებზეც იფიქრო და კიდევ, იმ „პაკლოებს“, რომლებიც წინასწარვე იცი, რომ შენგან განწირულები არიან, ცრუიმედებს ნუ მისცემ. P.S. სიმართლე გითხრა, მეც იგივე მჭირს და მსიამოვნებს კიდეც, როცა ჩემგან იმედგაცრუებულთა არმიას კიდევ ერთი მსხვერპლი ემატება“.

უცნობი:

„რა სისულელე მოროშე? ბევრს ატკინე გული, ამას თავადაც ხვდები, მაგრამ მაინც სტკენ? აბა, ჩვენ რა უნდა გირჩიოთ? თავად უნდა მიხვდე და შეიგნო, რომ მსგავსი რაღაცების გაკეთება არ შეიძლება. მაგრად გავბრაზდი: საკუთარ დანაშაულს აცნობიერებ და მაინც იმავეს აკეთებ?“

სალო გუსა:

„ჩემო კარგო, ადრე ბიჭები მეც მეხვეწებოდნენ, მაგრამ ახლა „მას“ თავად ვეხვეწები, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, ამას აზრი აღარ აქვს, ის აღარასდროს დამიბრუნდება. გირჩევ, ვიდრე რაიმეს მოიმოქმედებ, შედეგზე დაფიქრდე, ყველაფერი წინასწარ გააანალიზო, თორემ შესაძლოა, შენც ჩემსავით დაგემართოს“.

უცნობი:

„მგონი, არც ისე პატარა ხარ, რომ მსგავს სიტუაციებში თავი ვერ მოთოკო. აჯობებს, დროზე დასერიოზულდე, თორემ ერთი შეხედვით ეს უწყინარი გართობა მომავალში ბევრ პრობლემას შეგიქმნის და შესაძლოა, ნამდვილი სიყვარულიც დაგაკარგვინოს“.

ტიდოტიდო:

„დავბრუნდიიი... მინდა, უცნობის მესიჯს გამოვეხმაურო: შენ ვერა ხარ, ხომ? მიდი, რა, თავს მიხედე. იცოდე, ასე ოჯახს ვერასდროს შექმნი. ტიტუ, დარჩი გაუთხოვარი...“

ჩუმა:

„ჩემო კარგო, ბიჭების „დაკერვას“ უნდა შეეშვა. შენ გგონია, ამით რაიმე მოგემატება? იქნებ საკუთარ თავს უმტკიცებ, რომ მაგარი ხარ? გირჩევ, შენი ხუშტურების გამო სხვებს გული არ ატკინო. თუ სურვილი გექნება, ამ ნომერზე: 8(95) 60.27.35 დამიკავშირდი“.

ლუნა:

„შენი მესიჯის კითხვისას მეგონა, ჩემი ნათესავის აზრებს ვკითხულობდი. სიმართლე გითხრა, იმ გოგოს საქციელი საშინლად მაღიზიანებს: ბიჭი რომ მოეწონება, მისი ყურადღების მისაპყრობად ყველაფერს აკეთებს, მაგრამ თავისად დაიგულებს თუ არა, ისიც შენსავით იქცევა და „ენაგლება“... ჩემო კარგო, ძალიან ცუდი თვისება გაქვს და კარგი იქნება, თუ გამოსწორებას შეეცდები. იცოდე, ოდესმე შესაძლოა, შენც ასე მოგექცნენ და ჭკუას ამის შემდეგ მაინც ისწავლი. P.S. მჯერა, როცა ვინმე ნამდვილად შეგიყვარდება, აუცილებლად შეიცვლები, სიყვარულს ყველაფრის დამარცხება შეუძლია!“

მაპივ:

„ოოო, მძიმე შემთხვევაა :)). ყველაფერი შენზეა დამოკიდებული, ჩვენ ვერაფრით დაგეხმარებით... აუ, ისე, შენი მართლა არ მესმის: თუ იცი, რომ ამა თუ იმ ბიჭთან ურთიერთობა მაინც ცუდად დასრულდება, რაღას აქტიურობ და წვალობ — იმისთვის, რომ გაიცნო, თავი შეაყვარო? ეტყობა, ეს პროცესი სიამოვნებას განიჭებს. იმედია, მალე შეხვდები ისეთ ადამიანს, ვინც სერიოზულად დაგაინტერესებს და ამის მერე მაინც აღარ მოიქცევი ასე. აბა, შენ იცი, გაძლებას გისურვებ!“ ■

„ეგ ლექტორი კი არა, გარყვნილი კაცი ყოფილა“

„პედაგოგი მას ყოველთვის წინა მერხთან სვამდა...“

„გზის“ №18-ში დაიბეჭდა 777-ის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ თავისი გარეგნობის გამო იჩაგრება. „ლამაზი არა ვარ, თუმცა ამას ნაკლებად განვიცდი. ღმერთის მადლობელი ვარ იმისთვისაც, რომ ისეთი შემქმნა, როგორიც გახლავართ, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ამის გამო ბევრ პრობლემას ვაწყდები. სამწუხაროდ, ბევრი მამაკაცი ლექტორი სტუდენტ გოგონებს გარეგნობის მიხედვით აფასებს და მერწმუნეთ, საოცრად არასასიამოვნოა, როცა ვიღაც გაგრძნობინებს, რომ რაღაც ნაკლი გაქვს და ამის გამო სხვებზე ნაკლები ქულა გეკუთვნის, უმაღლესი შეფასების ღირსი არა ხარ... მოკლედ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე...“



ნიკოლო:

„ასე მშვიდად როგორ ხარ? შენს ადგილას არნახულ სკანდალს მოვაწყობდი და იმ შენს პედოფილ ლექტორს სახალხოდ გავთათხავდი. ეს ამბავი როგორმე უნდა გაახმაურო. ჯგუფელები აიყოლიე და მის წინააღმდეგ ხელმოწერები შეაგროვე, საქმეში დეკანი, რექტორი ჩარიე. მოკლედ, ამ უმსგავსობის აღსაკვეთად ყველაფერი უნდა გააკეთო! წარმატებები!“

ნიკა:

„მამაშენს უთხარი, ის კაცი როგორ იქცევა და იმედია, ცხვირ-პირს ამოუნაყავს. აბა, ვის გაუგონია, ლექტორი სტუდენტს გარეგნობის მიხედვით აფასებდეს?! შენ გაქვს უფლება, რექტორთან საჩივრით შეხვიდე. იმედია, ის მიხედავს უღირს ლექტორს და მას სამსახურიდან დაითხოვს...“

ბასუნა:

„მსგავს სიტუაციაში ბევრია. ჯგუფში სამი დაქალი ვიყავით. შეუხედავები ნამდვილად არ გახლდით, მაგრამ ლექტორები ნიჭს კი არა, გოგონების თავხედურ საქციელს უფრო აფასებდნენ, იწონებდნენ. თუმცა ჩვენ ამის გამო არ დავბოღმილვართ. ჰოდა, გულწრფელი საუბრითა და კარგი სწავლით ყურადღების ცენტრში მოვექეცით. შენი ლექტორები თავიანთ უაზრო საქციელს მალე ინანებენ. მთავარია, თავად არ დაკომპლექსდე. წარმატებებს გისურვებ!“

ნათია კალმახი:

„ისეთ ლექტორებს, რომლებიც გოგონებს გარეგნობის მიხედვით აფასებენ, მაგრად ვაწამებდი. საყვარელო, შენ არ ინერვიულო. იცოდე, გარეგნობა მთავარი სულაც არაა. გკოცნი“.

LIPSO:

„ჩემი აზრით, მშობლებს უნდა უთხრა, თუ როგორ გექცევიან ლექტორები და მერწმუნე, ისინი ამ პრობლემის გადაჭრაში აუცილებლად დაგეხმარებიან“.

უცნობი (ათენიდან):

„გამარჯობა. ეგ ლექტორი კი არა, ვიღაც გარყვნილი კაცი იქნება. უფ, საქართველოში განათლების მხრივ როგორი დონე ყოფილა! თქვენი პრეზიდენტი ცარიელი ტაქსივით წინ და უკან რომ დარბის, არ სჯობია, სწავლა-განათლებას მიხედოს?..“

ქვრივი:

„ჰოდა, შენც პირში უთხარი: გრძელი ფეხების ყურებას სჯობია, ჩათვლას ვინ როგორ ჩაგაბარებს და დაწერს, ის აკონტროლო-თქო; თუ არა და, ეგ ამბავი დირექციის ყურამდე უნდა მიიტანო...“

გადარეული:

„შენ სიმართლეს ამბობ — ლექტორებს ლამაზი გოგონები ესიმპათიურებათ და ხშირად, მათ გარეგნობის მიხედვით აფასებენ. ჯგუფში ერთი ლამაზმანი გვყავდა. ერთ-ერთი ლექტორი მას ყოველთვის წინა მერხთან სვამდა, თავადაც იქვე ჩამოუჯდებოდა ხოლმე და ლექციის კითხვის ნაცვლად, სოფოს ელაპარაკებოდა...“

სვანის ასული:

„შენი მესმის. ცუდია, როცა გჩაგრავენ, მით უმეტეს, გარეგნობის გამო. ალბათ იმიჯს რადიკალურად ვერ შეიცვლი, მაგრამ ხომ შეგიძლია, ცოტა მეტად გაიპრანჭო? არ მესმის, ლექტორს ინტელექტუალ სტუდენტთან ურთიერთობასა და მუშაობას ლამაზი, მაგრამ უტვინო გოგოს მოსმენა როგორ უნდა ერჩივნოს? ეს გააპროტესტე, თავი არავის დაჩაგვრინო. იმედია, მდგომარეობა გამოსწორდება“.

ფლამინგო:

„შენი კარგად მესმის, რადგან სამწუხაროდ, მეც მყავდა მასწავლებელი (როგორც უნდა გაგიკვირდეს, ის ქალი იყო), რომელიც მოსწავლეებს გარეგნობის მიხედვით აფასებდა. ვიცი, ეს გულსატკენია, მაგრამ ვერაფერს გირჩევ გარდა იმისა, რომ ბეჯითი უნდა იყო და ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს ჰგავდე. გარეგნული ნაკლი ცოდვა არ არის და სანერვიულოც არაფერი გაქვს. მერწმუნე, ყველა ერთნაირი ნამდვილად არაა. პირადად მე, ერთ-ერთ ლექტორს გამორჩეულად ვუყვარდი, მაგრამ — არა გარეგნობის გამო; თუმცა კურსელები მაინც მაწვალებდნენ, — რაღაც ხდებაო. იცი, როცა ლექტორი შემოდის და მას არ უსმენ, ლექციას აცდენ და ჩათვლაზეც ვერაფერს წერ, ვერანაირი სილამაზე ვერ გიშველის...“

მაპივ:

„აუ, შენ ლექტორი ეძახე და ნახე, რა. მისთვის შენს გარეგნობას რა მნიშვნელობა აქვს? შეგიძლია, იმ კაცს ყველაფერი პირში მიახალო და საკუთარი საქციელის გამო პასუხიც მოსთხოვო; თუ შენს თავში დარწმუნებული ხარ, ამის გაკეთება არ გაგიჭირდება. მიდი, ყველას დაუმტკიცე, რომ ლამაზი გოგონები არაფრით გჯობნიან და რომ გარეგნობას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. აბა, შენ იცი და შენმა გამბედაობამ! P.S. ყველა კაცშია ეს ცუდი თვისება და ჩვენ ვერაფერს შევცვლით. ისე, სტუდენტი რომ ვიქნები, ე.ი. მაღალი ქულები გარანტირებული მაქვს? :) ეს ისე...“

ლუნა:

„გამარჯობა. შენი მესმის და რომ შემეძლოს, მაგ შენს ლექტორ მამაკაცებს სამსახურიდან დავითხოვდი, გაღიმებულებს დავტოვებდი. სამწუხაროდ, ეს არ შემიძლია და ამიტომაც, მხოლოდ იმას გირჩევ, რომ თუ ოდესმე რომელიმე ლექტორი დაბალ ქულას უსამართლოდ დაგიწერს, მას პასუხი მოსთხოვე, უთხარი, აგიხსნას, თუ რატომ მოიქცა ასე, — შენ ამის უფლება გაქვს! აბა, შენ იცი, გკოცნი“.

გრუზინკა:

„ყველა გოგოს თავისებური შარმი აქვს. შეეცადე, ბუნებისგან ბოძებული მომხიბვლელობა შენც გამოიყენო ან ისეთი სტილი აირჩიო, რომელიც მამაკაც ლექტორებს მოაჯადოებს და გული აღარ დაგწყდება. წარმატებები!“

■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. დავიღალე მარტოობით. ვარ 36 წლის, გაუთხოვარი. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს სერიოზული ადამიანი.

2. მარი, ედელვაისი ვარ და გთხოვ, ჩემი ნომერი ან გამოაქვეყნე, ან კიდევ გაცნობაში (ქალებში) დამწერე, რომ დამიკავშირდეს დიკი ანგელი. გელოდები. ედელვაისი.

3. ვარ 22 წლის, დასაქმებული. გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ ადამიანს, 23-29 წლამდე. დანარჩენი უფლის ნებაა... არასერიოზულებმა არ შემაწუხოთ.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

4. გავიცნობ 25 წლის ბიჭს. გამომეხმაურეთ. დარინა.

5. გავიცნობ ბიჭს. ვარ თბილისელი, 19 წლის. სალი. მომწერეთ.

6. გავიცნობ 44 წლამდე მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 37 წლის.

7. ვარ 36 წლის, გაუთხოვარი. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს სერიოზული ადამიანი.

7. მინდა, სერიოზული ოჯახის შექმნისთვის გავიცნო მამაკაცი. გახლავართ ირმა, 27 წლის. არასერიოზულები ნუ გამომეხმაურებით. ვარ პროფესით ექთანი.

მამაკაცები

8. გავიცნობ ქუთაისელ გოგოს, 32 წლამდე. დავეხმარები ფინანსურად.

9. ვეხმიანები „გზის“ მე-18 ნომრის მე-2 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი ან მიაწოდოთ ჩემი.

10. გავიცნობ 35 წლამდე გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 31 წლის, ცოლს გაშორებული.

11. ვარ გენიალური პოეტი. გავიცნობ მხოლოდ ულამაზეს გოგოს, 25 წლამდე, დიდი რომანტიკისთვის.

12. ვარ გენიალური პოეტი, 25 წლის, ჭაბუკი. გამომეხმაუროს მხოლოდ ულამაზესი გოგო, 25 წლამდე, დიდი რომანტიკისთვის.

13. გავიცნობ 30 წლამდე გოგოს ან ქალს, ოღონდ ქუთაისელს და მომხიბვლელს.

14. ვარ 45 წლის, სიმპათიური მამაკაცი. ვეძებ მანდილოსანს, 35-50 წლამდე. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ. ვარ თბილისელი. გელოდებით, არ ინანებთ.

15. ვეხმაურები 1-ელ ნომერს. ვარ 27 წლის და ოჯახის შექმნის მიზნით თქვენი გაცნობა მინდა. „გზა“ №4.

16. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრობ გოგოს. გიო24.

17. გავიცნობ სოფლელ მანდილოსანს, სასურველია, აღმოსავლეთ საქართველოდან, რომელსაც ნამდვილად სურს ჰქონდეს ოჯახი და ჰყავდეს შვილი. ვარ 40 წლის, ცოლს გაცილებული. გოჩა.

18. ვეხმაურები 1-ელ ნომერს. ვარ 27 წლის და ოჯახის შექმნის მიზნით თქვენი გაცნობა მინდა. „გზა“ №4.

19. გავიცნობ სოფლელ მანდილოსანს, რომელსაც სურს ოჯახის შექმნა. ვარ 42 წლის, შრომისმოყვარე. ვახო.

სხვადასხვა

• პატარავ, დედას სიხარულო, 27-ში გნახავთ. საბაც მოგვყავს. თუ ხელი არაფერმა შეგვიშალა, დილითვე შემოვალთ. თუ არა და — მოგვიანებით. საბა დიდი ამბით ემზადება, რომ მამას სამსახურში წავიდეს. გვენატრები ყველას. ახალი არაფერია, დე, ისევ ისე გვენატრები და გვიყვარხარ. ერთი სული მაქვს, როდის გნახავ. გკოცნი, გეფერები. დედა.

• პაწი, მამიკო, ძალიან მენატრები. იმედია, მალე მოვახერხებთ შენს ნახვას. ძალიან მენატრები. ახლა საზაფხულო არდადეგები გვექნება და ხშირად გნახავ. მიყვარხარ.

• კასკუ, ძალიან მინდა მეძინოს, ვიღაცამ გამაღვიძოს და ეს ყველაფერი სიზმარი აღმოჩნდეს. ჩვენი სიყვარული ამ გამოცდასაც გაუძლებს, ოღონდ თავს მიხედე და არ გატყდე. შენით ვსუნთქავ, ჩემი დარდი შენ ხარ და ვიცი, შენს

გულში რაც ხდება, მაგრამ უნდა გაუძლო. ღვთის სასწაულის იმედი მაქვს. მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად. ლიკუნა.

• ძალიან ბევრს გკოცნიან დედა და ბავშვები. ჭკუაზე არ არიან, ისეთი გახარებულები არიან, რომ გნახეს. რა ქნან? მამას სულელი გოგონები არიან. გეხუტები გულში. ბითააა.

• ბავშვებო, არ ვიცი, საიდან დავიწყო. :) უბრალოდ, თქვენი გაცნობა მინდა, თუ მიმიღებთ, რა თქმა უნდა. :) ბუბუ.

• კუნკულა, გოგოს გაცნობა გინდა? რა, ნაცნობები დაგელია? აქ რას ეძებ? :) CRAZY, ოდნოში გეძებდი და ბევრი ნიკი ამომიგდო. ლი23, გეხუტე გულში. ვმეგობრობთ, აბა რა! :) უწუწური.

• კასკუ, ყველა მაგრად ვართ და შენი მაგრად ყოფნაც ჰაერივით გვჭირდება. იცოდე, შენ რომ გატეხილი გნახო, ჩემს თავს ვერასდროს ვაპატიებ, რომ ასეთი უსუსური ვარ. ვერაფერში დაგეხმარე. გეხვეწები, წესიერად ჭამე, ბევრს ნუ ეწევი და თავს გაუფრთხილდი. საერთოდ, წინ მთელი ცხოვრებაა და იმ ცხოვრებისთვის უნდა ვივარგოთ. ყველაფერი უფლის ნებაა. უფალმა გაგაძლიეროს, ჩემო სიცოცხლევ, მიყვარხარ და მენატრები, სიტყვებით რომ ვერ გადმოგცემ ისე. გკოცნი, გეხუტები გულში. შენი ქეთი.

• სიყვარულმა დაგღალა, ლექსის წერა გასწავლა, თავში ცოტა ტვინი გქონდა, ისიც გამოგაცალა. ლიპსო.

• მოვიკითხავ ტირიფი73-ს და ფლამინგოს. ნურავის ეწყინება, მაგრამ დღესდღეობით სწორედ ამ ორი ადამიანის მრავალფეროვანი დიალოგით თბება ჟურნალი „გზა“. ჰოლმსი.

• მუკი, რა მაგარია, 23-ში შენთან ვართ, დავწერეთ უკვე განცხადება და 23 დაგვინიშნეს. ძლივს, რა! ნიაკო უკვე წუთებს ითვლის. ხომ იცი, როგორც იცის. 12 დღე როდის გავა... მიკაი.

• რომ შემიყვარო, უნდა გაკოცო, მე რომ გაკოცო, სილას გამარტყამ, სილას გამარტყამ, სიფათს მიგინგრევ... ისე მიგბეგვავ, გრძნობას დაკარგავ. ლიპსო.

• ქიქი, ძალიან მოქმედებს ჩემზე ყველაფერი. ცხოვრებაში ასე ცუდად არ ვყოფილვარ. შენს თავს მიხედე, ახლა მაინც დაიწყე ნორმალური ცხოვრება, მე დაგეხმარები ყველაფერში.

• აუ, ძალიან მინდა რუისპირის ნომერი ან SKYPE-ის ნიკი. პირველად გწერთ და არ ვიცი, სად რას ვწერ. :)

• „გზა“ №17-ში იყო გამოქვეყნებული ნ.მ. როკკის წერილი. თუ თანახმა იქნება, ნომერი დამიტოვოს და გავიცნობ... ძალიან მგავს, ოღონდ მე მეგობრები მყავს. ანი.

• მუკი, ახლა წერილის დაწერა შეგიძლია და მე ცალკე დამიწერე, ნიაკოს და ნიკას ცალკე ფურცელზე. ელოდებიან ძაან და მეც ველოდები და მენატრები ძალიან, პაწიკო. მიკაი.

• იკა, წლებმა არ შეგაშინოს, შეწყალებას გავაკეთებ. ჯერ შენს გადაყვანაზე ვზრუნავთ, ბუდუ გვეხმარება. შეიძლება, ეს რომ წაიკითხო, უკვე გადაყვანილი იყო. აბა, შენ იცი.

• დედიკო, რომ იცოდე, როგორ მენატრები. შენი მონატრება რომ მომეძალება, შენს ტანსაცმელს ვეფერები. ყველას ძალიან ენატრები. ლუკა ქუჩაში გაეკიდა ვიღაცას, ჩემი ძმააო.

• ზევსი, როგორ ხარ, ჩემო სიხარულო? ძალიან, ძალიან გვენატრები. თავს გაუფრთხილდი, 24-ში გნახავთ. არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება. გკოცნით ბევრს. უფალი გფარავდეს.

• ლაკვასტ, 30 აპრილი მეც შენთან ერთად მიხაროდა, ქაჯების დედოფალი გავიცანი, ზუსტად მაშინ. ატარექსია, აბა, შენ იცი! :) ნაცნობებს მოვიკითხავ. გეხუტეთ გულში. WANDERER.

• SKILLET, გაგეცნობი. კუნკულა.

• მე ამ ღამეში დავეძებ ვარსკვლავს, ვარსკვლავს, რომელიც მუდამ თან მახლავს, მფარველობს მიცავს და გზას მინათებს, იმ გზას, რომელსაც შენკენ მოვყავარ. ლალუკა.

• „გზა“ ძალიან მომწონს, ძალიან გთხოვთ, მიმიღეთ. ახალი ვარ.

• ლაკვასტ, ძალიან მიყვარხარ და გაფასებ. მეამაყება შენთან ურთიერთობა, რადგან ძალიან კარგი ხარ. ჩემი უსაყვარლესი დაია ხარ, ჩემი გულის მალამო. ძალიან მომენატრეოოო... ფლამინგო.

• ატარექსია, მეც მქონდა და რა თქმა უნდა, ახლაც მაქვს შენი გაცნობის სურვილი. არსად დავკარგულვარ, აქვე ვარ და შემეხმიანე, ვიმეგობროთ, კაი? გაკოცე. ფლამინგო.

• გაიხარე, სალო, ძალიან გამიხარდა შენი ჩვენთან დაბრუნება. პირიქით, მადლობა, ისეთი კარგი და საინტერესო თამადობისათვის, თბილი და კარგი ადამიანი ხარ. ფლამინგო.

• ჩემო საყვარელო ნანი დუმბაძევ, როგორ მახალისებს და გულს მითბობს თქვენი თითოეული გზავნილის წაკითხვა „გზაში“. დიდი მადლობა, ამისთვის. უფალი გფარავდეთ. ფლამინგო.

• ნეტავ „გზა“ და „გზავნილები“ რომ არ იყოს და არ ყოფილიყო, მე „გზისა“ და მგზავნელების გარეშე რა მეშველებოდა? არა, მე გაფიქრებაც კი არ მინდა და თქვენი არ ვიცი. ფლამინგო.

• ჩემი ბოთე ძამიკოს გზავნილები მომენატრა „გზაშიო“... უყვარხარ შენს კვატუნია დაიასოოო. :) გაიხარეეეე... ფლამინგო.

• მოვიკითხავ „გზიდან“ გადაკარგულებს — ოლეგარიოს, კუტრინას, აზიელს, 9717-ს, ჭრიჭის, გიუპოეტას. დაბრუნდით, რა, ძალიან მოგვენატრეთ... ფლამინგო.

• მინდა იცოდე, რომ ვერ შევძელი შენი დავიწყება, ისევ ისე უსაზღვრო სიყვარულით მიყვარხარ, რომა, და ძალიან მინდა შენ გვერდით ყოფნა. მჭირდება. მიყვარხარ!

• გულმა არ მომითმინა, რომ არ მომეწერა. ჩემო ფლამი, უზომოდ მიყვარხართ. კუტრი, ძმა ხარ, გეხუტე თბილ გულში. ლაკვასტ, მომენატრე, დაიკო და კლეოპატრაზე მაბოდებს. ედელვაისი.

• წუხელ არ დამეძინა და „გზავნილების“ კითხვა დავიწყე, იქნებ დავიძინომეთქი. ამ ბავშვებს საიდან მოსდით ასეთი აზრები, მიკვირს. ალბათ მოვხუცდი უკვე. პენსიონერი.

• უწუწურო, ახლა რომ სპირტს ვსვამ, იმ სპირტივით ცხარე ხარ. მე გადღეგრძელებ და შენ თამამად გამლანძღე ხოლმე. კუნკულა.

• არც მე მეგონა, ბრაგა თუ ფინალში ითამაშებდა, მაგრამ ფულბურთში ყველაფერი ხდება. ტალკერ, ხომ გითხარი, კეთილი გოგო ხარ-თქო? კუნკულა.

• გეთანხმები, ატარექსია, მაგრამ მაშინ მართლა გული დამწყდა, რომ აღარ გამოჩნდი. ჯ. ხავი.

• 3კ198გი, ნინომ თქვა, გიამ დარეკა და განადგურებული ხმა ჰქონდაო. თავს მიხედე და არაფერზე ინერვიულო. ჩვენ როგორმე გავძლებთ და მოვუვლით პრობლემებს. თეა.

• 3კ.198გი, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ასე თუ მომიწევდა შენთვის ხმის მოწვდენა. საშინელებაა. ღმერთს ვთხოვ, მალე დამიბრუნოს შენი თავი. მიყვარხარ. შენი თეა.

• 3კ.198გი, ძალიან მენატრები. მე არა მიშავს, ძალიან ძნელია უშენობა, მაგრამ სხვა რა გზაა, ვუძლებ. იმედით ვარ, რომ რაღაც სასწაული მოხდება. შენი თეა.

• კასკუ, ყველაფერზე მეტად მინდა, რომ ჩვენთან იყო და ისევ ისეთი ბედნიერები ვიყოთ. კუს, გთხოვ, გული არ გაიტეხო, ძალიან მალე მორჩება ეს კოშმარი და დაგვიბრუნდები. ოღონდაც გაუძელი ამ ყველაფერს კაცურად. მე ძალიან ვცდილობ, მაგრად ვიდგე, მაგრამ ძალიან ძნელია უშენობა. შენი სითბო მომენატრა. დედა და ბავშვები კარგად არიან. ძალიან, ძალიან მიყვარხარ, მალე გავაფრენ ალბათ. თვალს რომ შეგავლებ ხოლმე, მიხარია. ჩემო სუნთქვავ და არსებობავ, უთვალავს გკოცნი და გეხუტები. შენი ლიკუნა.

• ჰოოდა, მოგწერ მგზავნელების შეფეთების ამბავს: როგორც იქნა, დადგა სანატრელი დღე და ფლამინგო დედაქალაქს ეწვია. დავთქვით დრო. ადგილზე მისულს თვალები დამაწყდა ნინოს ძებნით, ეს ჩემი ჩასაყლაპი კი მომეპარა და თვალებზე ამაფარა ხელი, აბა, ვინ ვარო. იმას აღარ აღვწერ, კინაღამ რომ შემოგვეჭყლიტა ერთმანეთი. რამდენიმესაათიანი ქაქანისა და სურათების გადაღების შემდეგ დავიშალეთ იმ პირობით, რომ მეორე დღეს ლაკვასტთან წავიდოდით. მეორე დღეს, მარშრუტკაში მსხდომნი, თქვენი მონა-

მორჩილნი, ფლამინგო და ფიფქია თან ქაქანებდნენ, თან შარტავას ძეგლს ათვალიერებდნენ. ადგილზე მისულთ, ლაკვასტი და სალო შეგვეგებნენ. ცოტა ხანში ქაჯეთიც შემოგვიერთდა, გავაჩაღეთ სადღეგრძელოები. მე, მაშასადამე და რადგანაც, ჭიქანახევრიანი ვარ, მალე დავთვერი და იქვე, სავარძელში ჩამთვლიმა (გათხლეშილი და სასირცხვილო სურათი ოდნოში მაქვს). იყო უამრავი ლამაზი სადღეგრძელო მარისი, მგზავნელების, სიყვარულის. იმ ღამეს ლაკვასტთან დავრჩით. ამ ულამაზესი ორი დღისთვის მადლობა შენ, მარი; მადლობა ნათის და გიოს. სერია მეორე: რამდენიმე დღის შემდეგ ისმის ზარი ჩემს ტელეფონზე. კუტრინამ, — ჩამოვედი და მნახეთო. დავიმხეთ თავზე მარჯანიშვილის მეტრო და დავაწყვეთ გეგმები. მარ, შენთან გვინდოდა მოსვლა, მაგრამ ველარ გავბედეთ. მეორე დღეს სოფიმ გადაგვაგდო, სამსახურში ვარო; ქაჯეთმა, ჯერ არ მცალიაო. ჰოოდა, მე და კუტრინამ დავლაშქრეთ მთელი თბილისი. ვაიმეე, ამდენი არასოდეს მილაპარაკია, რაც იმ დღეს ვილაპარაკე. საღამოს ქეთიც მოვიდა. ბევრი ვიხალისეთ. კუტრიიინ, გახსოვს, საქანელებზე რომ ვქანაობდით? ისიც ხომ გახსოვს, ერთი საათი რომ დამდევდი გასაწუწად და ბოლოს მაინც რომ გამწუწე. ჩამოხვალ და ნახავ შენ. ჩვენ გამო მატარებელზე კინაღამ რომ დაგაგვიანდა. აუ, მაარ, ლამის ვიტირე, გიო რომ გავაცილეთ. მაგარი იყო მგზავნელთა შეფეთება. მიყვარხართ ყველა. ფიფქია.

• აუუ, ვკითხულობ იდუმალი ქალის მესიჯს და გაოცებული ვარ. ფლამი, ლაკვასტ, სალო, ქაჯეთ, ჩვენ ასე არასოდეს დაგვემართება. მიყვარხართ, გიჟებო და ყოველთვის ასე იქნება. ფიფქია.

• ტყუილები არ შემიძლია, ბავშვი არ მომიშორებია და არც მოვიშორებ, მაგრამ მონობით დავიღალე. რა ხდება ჩემს თავს? ზური, დამიბრუნდი, გთხოვ. მიყვარხარ. ზურას კნეინა.

• კუსასო, ცხელი წყალი გამოივლე და მერე მახსენე რა, მე რასაც ვწერ, სიმართლეა და მეორედ აღარ მახსენო „გზაში“, გასაგებია? ასე რომ, დაწყნარდი, წნევა აგიწევს. ზურას კნეინა.

• მარი რთველიაშვილო, მაგრად მიყვარხარ, ძალიან მალე სულ ერთად ვიქნებით, იმედია, მალე გახდები 18-ის. მარ, შენ ხარ, ვისაც მართლა ვუყვარვარ, ჩემი გიჟი ხარ. დიკი ანგელი.

• ცხოვრებისგან მიიღე მთავარი — სიყვარული ადამიანებისა და ნურასდროს ატკენ გულს სხვას. გიყვარდეს და აფასებდე ადამიანებს, ეს არის ცხოვრების მთავარი აზრი და მიზანი!.. სალო.

• ფლამიიი... დიდი მადლობა, ჩემო კარგო, ასეთი სითბოსთვის. უსაყვარლესი ხარ და ღმერთმა მოგმადლოს ხორციელი ჯანმრთელობა და სულიერი გაბრწყინება. ძალიან მიყვარხარ. სალო.

• ღამის ქალაქი... ღამის ქუჩები... ყვავილის სურნელი, არეული ნაგვის სურნელში... ღამის ზარები, მაცნობებელი შუაღამის... ქუჩაში მხოლოდ ერთი ასული, მიმჯდარი კუთხეში და ცრემლები, ქვითინი, მაუწყებელი ტკივილის, განცდა შეცდომის, გამოუსწორებელი შეცდომის... მდინარის ხმაური... გოგონას ცრემლის ხმა არ ისმის... გამოსავალი... თითქოს ჩამოდნა, ჩამოიღვენთა... გულმა გონება ვერ გააკონტროლა, ვერ ხედავდა ვერავის და ვერაფერს... მაგრამ სიყვარული ვერ გაიფურჩქნა, ვერ მიიღო მეორე ადამიანისგან იგივე... იტანჯებოდა, სტკიოდა და განიცდიდა... ნეტავ, რატომ? რისთვის? თითქოს ღმერთს ჰყვედრიდა ამის გამო!.. ღმერთო, რისთვის მსჯი? მე ხომ ის მიყვარს? მაგრამ მას მთავარი დაავიწყდა... ჰკრეს ხელი, რადგანაც თვითონ ჰკრა ერთ დროს სხვას... თურმე რა სუსტი ყოფილა, სუსტი, ფაქიზი... ყველას ეგონა, მის ხორციელ სიძლიერეს გული ვერაფერს უზამდა, მაგრამ... მაგრამ ერთხელაც გული აუფანცქალდა, სული შეეკუმშა, გონება გაექცა და მიხვდა, რომ უყვარდა, ძალიან უყვარდა...

• გამარჯობა, მარი, ძალიან მინდა ლელა წურწუმიას გაცნობა და იქნებ დამეხმარო, გთხოვ, მიეცი ჩემი ნომერი ლელას, თორემ თავს მოვიკლავ. ძალიან მიყვარს, გთხოვ. თამუნა დალაქიშვილი.

• საღამო მშვიდობის, მარი. როგორც შენი ყურადღებით მახარებ, ღმერთმა მუდამ გახარებული გატაროს, ჩემო სიხარულო. მიყვარხარ და მეყვარები. დიდი სიყვარულით, შენი კიბორჩხალა.

• სახლიდან მაგდებს დედაჩემი, — განათხოვარი სახლში არ მინდაო. ღმერთი არ გწამს, ზურა? გთხოვ, რამე ქენი, თავს მოვიკლავ მალე, ღმერთს ვფიცავარ. შენი კნეინა.

• ვეძებ ჩემს ძმას, იგი დაიბადა 2007 წლის 15 ივნისს, ღუდუშაურში. ველოდებოდით ტყუპს, მაგრამ — 1 დაიბადაო. მეორე ალბათ გაყიდეს. ძალიან გთხოვთ, დამირეკოთ, ორივენი ბიჭები არიან, ნუთუ ასეთი უგულოები ხართ ექიმებიც და ჩემი ძმის მყიდველიც? მანახვეთ თუნდაც ერთხელ, ძალიან მაინტერესებს როგორია, მინდა ვნახო, მოვეფერო. ჩემი ძმა მაჩვენეთ, გთხოვთ, თორემ მე ვალდებული ვარ, ღუდუშაურის ყველა ექიმს ვუჩივლო, ამ გაყიდვის გამო. საკუთარ თავზე პასუხს არ ვაგებ. ვინც მასზე რამე იცის, შემეხმიანეთ. მეშინია, ნაწილები ხომ არ გაუყიდეს, ვიტანჯები მის გამო. წინასწარ მადლობა. უფალი გფარავდეთ. სალომე.

• ნიიკოოლოო, შენ წერ, უბრალოდ, ძალიან რთულად. :-) თუმცა, ეს სულაც არ ანაღვლებს ნაომს. :)) კიბორჩხალას კი ვეტყვი, რომ ძალიან დიდ პატივს ვცემ და უჯიგრესია. :-) ნაომი.

• მაპი3, ჩემო კარგო, ვფიქრობ, პოეზიაში კარგად ვერ ერკვევი. ან გრიშაშვილის ლექსები წაკითხული თუ გაქვს? მის ლექსებშიც ჭარბობს, „ეროტიკა“ (პორნოპოეზია აქ სრულიად ზედმეტია), მაგრამ მისი ლექსებისთვის წუნი არავის დაუდვია. არავის ეგონოს, გრიშაშვილს ვუტოლებდე თავს. გატყობ, ჩემი ლექსების ერთგული მკითხველი ხარ. მე მხოლოდ ერთი რამ ვერ გავიგე, თუ ასე არ გხიბლავს და უაზრობად გეჩვენება ჩემი ლექსები, რატომ კითხულობ? სრული უფლება გაქვს, ჩემს ლექსს გადაახტე და სხვისი მესიჯი წაიკითხო. ლუნა.

• იდუმალო ქალო, მე შენ ძალიან გაფასებ და გული მწყდება, ჩემი ქცევა ცუდად რომ მიიღე. შენ ხომ დაიცავი მეგობარი? მეც ანალოგიურად მოვიქეცი. შენი მესიჯიდან კარგად მივხვდი, მოხუცში ვისაც გულისხმობდი და მაგიტომ მოგწერე, რომ ის მამუკა არ იყო. ლუნა.

• მადლობა, ქვრივო, მოკითხვისთვის, კარგად ვარ... მართლა, რა ვერ მოვახერხეთ ეს გაცნობა? :-) შენ როგორ გრძნობ თავს? P.S. ამ კვირას დავიჩაგრე, SMS არ დამიბეჭდეს. ბუცა.

• ძნელად მოსაძებნია მასზე ადამიანური ურთიერთობა, რომელიც დედაშვილს აკავშირებს. უაღრესად უნიკალური არსება — დედა ხომ თავისი უნიკალური ქმნილების, შვილის გამო ცხოვრობს. სწორედ ამ კონკრეტულ მამაკაცს უყვარდება ეს კონკრეტული ქალი, შეუდარებელი, შეუცვლელი, ერთადერთი... მათი ქცევა, მათი ერთმანეთისათვის დამოკიდებულება, პიროვნებათაშორისი ურთიერთობის ძალზე ნათელი მაგალითია. აქვე შევნიშნოთ, შეყვარებული წყვილი ყველაზე ხშირად საუბრითაა დაკავებული. რა თქმა უნდა, სასიყვარულო ალერსსაც ეძლევა, თუმცა, ესეც საუბრის გაგრძელებაა, ოღონდ, — სხვა ფორმით. ამას დაზუსტება აღარ სჭირდება. სიყვარული, რომელსაც მზერა და ალერსი ასულდგმულებს, უფრო მეტად ცოცხლდება საუბრით, დაუსრულებელი დიალოგით. სიყვარული მგალობელი ფრინველივით სტვენს და ჭიკჭიკებს, სიყვარული მჭევრმეტყველია, ის ბუნებითაა გამორჩეულად მდუმარე. ეს უაღრესად ინდივიდუალური ქმედება, რომელსაც ორივე მონაწილე მთელ თავის პიროვნულ სიღრმეს ახმარს. ეს უწყვეტი გრძნობა, სიყვარული, შუამავლად მეტყველებას ირჩევს. ლაპარაკი გარკვეული ენის გამოყენებას ნიშნავს, თუმცა, შეყვარებულებს არ შეუქმნიათ იგი. ენა, რომელზეც მიჯნურები საუბრობენ, მათთან ერთად არსებობდა. ყველა მიჯნურს სურს რაღაცის თქმა, ბევრს გამოთქმა, მაგრამ სინამდვილეში ეს სურვილი მხოლოდ ერთს ნიშნავს — გიამბოს საკუთარ ცხოვრებაზე, თითოეულის განუმეორებლად ინდივიდუალურ ყოფაზე... ადამიანთა ცხოვრება თავიდან ბოლომდე რადიკალური მეტყველებაა. დავამატებ, რომ სიყვარული ორი მარტოობის, გაცვლა-გამოცვლის, ორი იდუმალი შინაგანი სამყაროს შერწყმის ცდაა და თუ ის წარმატებით დასრულდა, ორი ნაკადი გაერთიანდება... აი, რატომ ეუბნებიან შეყვარებულები ერთმანეთს „ჩემო სიყვარულო“ ან სხვა, მაგდაგვარ სიტყვებს, მაგრამ ერთ-

მანეთისგან უნდა გავარჩიოთ, რის თქმას ლამობენ ამ სიტყვების მეშვეობით და ის, რასაც ამბობენ. ის, რისი თქმაც შეყვარებულებს სურთ, ერთურთისადმი რომ განიცდიან, ის გრძნობაა ჭეშმარიტი, აღმვსები, მათი პიროვნული სიღრმიდან გამომდინარე, მათ მიერ განცდილი და გაუცნაურებული... ბევრმა შეყვარებულმა შეუმცდარად იცის, რომ გრძნობათა გაცვლისას მთავარია, ამგვარ (სიყვარულო, საყვარელო და ა.შ.) ან ანალოგიური სიტყვათა დართვა, მაგრამ ისინი ვერ ხვდებიან, რად ჰქვია მათ გრძნობას სიყვარული, რად გამოიხატვის ბგერათა სწორად ამგვარი თანამიმდევრობით და არა სხვაგვარად... სურვილშიც, გრძნობაშიც, გამოუტყდნენ სატრფოს და გამოთქმის დროს ანუ გარკვეული ბგერათაწარმოებაში კავშირის დანახვა შეუძლებელია... და თუ მიჯნურები ამ ბგერათშეთანხმებას ირჩევენ, მხოლოდ იმიტომ, რომ სმენიათ: შეყვარებულები ასე იქცევიან და არა სხვა რომელიმე მიზეზის გამო, რაზეც მიგვითითებს სიტყვა სიყვარული... ლაკვასტი.

• თქვენთვის არ უთქვამთ ქალბატონო, რომ ჰგავხართ აპრილს? რომ გაზაფხულმა ღია რძისფერ ნისლში გარჩიათ, კარგა ხანია, მყვირალობა დაიწყო მთაში და ამიტომაც შვლებიანი კაბა გაცვიათ; არც ის არ უთქვამთ, თუ ნებას დამრთავთ, მე ვიქნები თქვენი აპრილი. კიდევ ერთხელ მადლობა, პროზის საგანძურისთვის და იმედია, ახალ პროექტსაც ავუწყობ ფეხს. მოგვიანებით მოვიკითხავ ბარამბოს. ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც მაფასებს, ვახსოვარ და ტკბილ სიტყვებს არ იშურებს ჩემთვის. თან სრულიად გულწრფელად. სვანის ასული.

• პრივეტ, სიხარულო, მიყვარხარ. კრინტოზა.

• ფლამინგო, სიგიჟემდე უყვარხარ დაიკოს. ჩვენი დროც მოვა, დაი, და მერე შემომეჭყლიტები. მიყვარხარ გულში. კლეოპატრა.

• ისევ ოცნებას დავარქმევდი მე ამ სიშორეს, მაგრამ რატომღაც, მემეტება კვლავ მონატრება, წამწამებმა სულ ახალი ცრემლი იპოვეს, თვალებში კი დაიკარგა ძველი ნათება. დაიღალა სული ისევ მარტოობისგან, ფანჯარაზე მზის სხივები აღარ კიაფობს, ალბათ ერთხელ გავგიჟდები და შენ მოგიტან, ყველა სიტყვას, გრძნობებზე კი ვეღარ გიამბობ. ალბათ სევდას დავარქმევდი მე ამ შეგრძნებას, მაგრამ მაინც მემატება ისევ ტკივილი, შენი მზერა მე როდესაც შემეფეთება, დავახვედრო უნდა ვითომ ღაღი ღიმილი. ისევ ოცნებას დავარქმევდი მე ამ სიშორეს, მაგრამ ესაა მონატრების სევდის ტკივილი, შენზე ფიქრი ცხოვრებიდან ვერ მოვიშორე, გესმის ჩემი განწირული გულის კივილი.

• ქართველებს საქეიფოდ განსაკუთრებული დრო, ადგილი და გარემო რომ არ გვჭირდება, ხომ ვიცით? გამიგია და მინახავს, მდინარის თუ ზღვის პირას, მანქანის კაპოტზე და ა.შ... გაშლილი სუფრა და მოქეიფე ხალხი (ძირითათად კაცები), მაგრამ ჩემი სუპერთანამშრომლებ-სასტავი პირდაპირ მარშუტკაში ვსვამთ. 28-ში ჩემი ხათათოს იუბილეც ეგრე აღვნიშნეთ.

• ჯიგარი ხარ, ტო. „გზაში“ ხან დაკარგულ რაიმეს ვიპოვი, ხან თვითონ რამე დამეკარგება, გული სულ გზაში ძებნას უნდება და რომ ვიპოვო, რასაც ვეძებ, გზა/ც/ დასრულდება.

• ჩემმა მეზობელმა კაბა დაკარგა. ქალი 1 კვირა ეძებდა დაკარგულ კაბას, მაგრამ ვერ პოულობდა. 1 კვირის შემდეგ აბანოში შევიდა დასაბანად და ის კაბა ზედ ეცვა.

• გამარჯობა, მარი და მგზავნელებო, როგორ ხართ? ჩემი ამბავი თემას საერთოდ არ შეესაბამება, მაგრამ მაინც გწერ, მარ, და იმედია, დამიბეჭდავ. :-) ახლა ვფიქრობდი, მალე ჩემი დაბადების დღე მოდის და წელს მაინც გადავიხდი-მეთქი. მინდა, ისეთი იუბილე გადავიხადო, რომ არასდროს დამავიწყდეს, მაგრამ პრობლემა იცით, რა არის? მეგობრები არ მყავს და ვინ დავპატიჟო? ალბათ ჩემშია პრობლემა, არავის რომ არ ესმის ჩემი, ალბათ ჩემი ბრალია, მაგრამ რა ვქნა, თუ სხვებივით არ ვაზროვნებ? მე ჩემი შეხედულებები მაქვს ცხოვრებაში. იმედია, არავინ მიწყენს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ რაიონში (სოფელში) გაზრდილი ბავშვები მართლაც გოიმები არიან! არა, სვეტსკობაზე კი არ ვდებ თავს, მაგრამ მათგან რადიკალურად განვსხვავდები და მიჭირს მათ გვერდით ცხოვრება. დახეული ჯინსით რომ გაიჩითები და პირღიები მოგაშტერდებიან, ბიჭები გადაჭრილ ადგილებში რომ გიყურებენ, იქნებ რამე გამოუჩნდეს და დავინახოთო, გოგონები ამრეზით რომ გადაულაპარაკებენ ერთმანეთს, აშკარად ბოზიაო, მათსავით ჩხეიძეს რომ არ უსმენ და როკი გევასება და გიჟად ჩაგთვლიან, გოიმები არიან, აბა რა არიან? კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია, მაგრამ შორს წაგვიყვანს. P.S. მინდა, ისეთი მეგობრები მყავდეს, ვინც ჩემნაირად იაზროვნებენ, ერთად გავერთობით და ვიგიჟებთ; ვისაც კიდია ხალხის აზრი და აკეთებს იმას, რაც უსწორდება! (ნუ, ცუდ რამეებს არ ვგულისხმობ). მალიშა.

• მარიამულო, როგორ მენატრებიი, მადლობა სითბოსთვის... მიხარია, რომ მოგეწონა „გზავნილები“. მეც ძალიან მომეწონა, კარგი ამბები იყო. გაკოცე. მიყვარხარ. ახლა კმის ველაპარაკე... გამათბო. იცი, რა საყვარელი და თბილია? ჩემი ფერიაა. ვგიჟდები ჩემს კამიზე. შენი ლუნა.

• არ გიხდება, არ გიხდება ღიმილი, არც ჩუმი და არც ხმამაღლა სიცილი, ახლა უნდა სევდიანად ტიროდე, შენი ცრემლი გზას უნათებს იცოდე... რა გაცინებს, სირცხვილია, გაჩუმდი, ხალხი ლამის შეიშალოს ჭკუიდან, უდარაჯე სატრფოს საფლავს ერთგულად და ღალატი ამოიგდე გულიდან. რა გაცინებს, თუკი სატრფოს მისტირი, რად იღიმი, თუ სევდა გაქვს მწუხარე, თითქოს კიდეც დაგენანა მიწისთვის, გულში ისევ სისხლი გიჩქეფს, მქუხარე... რა გაცინებს, თუ ქალი ხარ, მითხარი, რად ამბობ, რომ წარსულია უბრალოდ, თუკი სატრფო გულში გყავდა, გიყვარდა, მისი ჩრდილი როგორ გაქრა უკვალოდ? ვერ გავიგე, რა გაცინებს, ან რად ტირი, თავს დაგატყდა, უეცარი სევდა, ჭირი, სხვისმა მზერამ ასე როგორ წაგახდინა, მისმა წასვლამ ცრემლიც რომ არ გადინა? მე არ ვიცი, გულში რა გაქვს, ვხედავ მხოლოდ, წასულ წარსულს, შენს სახეზე, მწარე ღიმილს და სხვის სატრფოს, ღმერთთან ასულს. ლუნა.

• ეს ხალხი იმდენს იზამს, რომ წიგნებს „გზასთან“ ერთად ვეღარ ვიყიდით. რა ამბავია 6 ლარი? მეგონა, რედაქცია წიგნის ფასს არ გაზრდიდა.

• გამარჯობა, მარი, ლუნას გაცნობა მინდა. ლუნა, თუ სურვილი გექნება, შემეხმიანე. სურამელი ვარ და სიამოვნებით გაგიცნობდი. მ.გ.

• მარი, ნაომი და მარია ერთი და იგივე ადამიანიაა. აი, თავხედობის დონე. გავიგე, ხალხო, ვააახ! და გეფიცებით, არ ვტყუი!!!

• მარ, როგორ ხარ, ჩემო პრინცესა? მისტერს ვეჭორავე და ნაომის ერთგვარი პორტრეტი დაგვესახა. ვერ ვიტან ამ ფულზე დახამებულ თოჯინებს, რაა. გველი. :-)

• მააარ, რათ არ დამიბეჭდე? :) ფლამის კარგი ფეხი ჰქონდა, უნდა აღვნიშნო, მის მერე ლაკვასტი, სალო, სოფი19 და კუტრინააა, ვაიმე, რა საყვარლები და ჩასაყლაპები ხართ, თქვენ გენაცვალოთ თქვენი ქაჯების დედოფალი. :) კუტრინ, მაგარი დღე იყო, 5 მაისი, არა? იმ ლობიანის გემო ჩამრჩააააა. ასფალტზე დაწერილ „ჩვენ გვიყვარს „გზა“-ს ხომ ვერაფერი შეედრება. კუტრი, იცი, როგორ დავიგრუზეთ მე და ფიფქია? მატარებელი რომ დაიძრა? ბენდენა არავის აჩუქო. ფლამი და ლაკვასტ, მენატრებიიით. ქაჯების დედოფალი.

• მობრძანდი ლილუ, „გზის“ კარი ყველა კარგი ადამიანისთვის ღიაა, მერე რა, რომ ლტოლვილი ხარ? ეს ხომ სენი არაა? კეთილი იყოს შენი მობრძანება... ბუცა.

• სონა, ბატონები რახან გყავს, ცუდად ვარო, არ უნდა თქვა, არაა ეგ ცუდად ყოფნა, პატივი ეცი და მალე წაბრძანდებიან, გფარავდეს უფალი. ბუცა.

• მონატრება მაწუხებს, მომენატრა განმუხურის ზღვა და იქაურობა, იქაური ხალხი, ჰაერი და იქაური სუნი, ძალიან დიდი ხანია არ ვყოფილვარ და მენატრება მაგრად. :-(ბუცა.

• მონასტრის ბიჭი გამახსენდა, ნეტავ სადაა და რატომ აღარ ჩანს? :-(P.S. რაღაც აცივდა და რატომ ნეტავ? ჰა?

• აქ კლარას გოგო რომელია?

• მააარ, მისტერი მიყვარს და კიდეევ შენ. მეტი არც არავინ, აქ — ოღონდ.

• თვით სულელს მივმართავ: მერე რა, თუ არავინ გეხმაურება, აქ ადგილი უნდა დაიმკვიდრო, იმდენი უნდა ქნა, რომ შეგამჩნიონ, აუს ძახილით არაფერი გამოვა. ბუცა.

• დიკი ანგელ, კარგა ხანია, გაკვირდები და შენი გაცნობა მომინდა ახლოს, თან მკითხაობ კიდეც და რას იტყვი, ვიმეგობროთ? გირჩევ, ღმერთს მიენდე, ილოცე და ყველაფერი კარგად იქნება. მთავარია გწამდეს და გჯეროდეს, ღმერთი არ გაგწირავს. გფარავდეს უფალი. ბუცა.

• გამარჯობა, მარი, თქვენი ჟურნალის ფანი ვარ, მით უმეტეს — „გზავნილების“. ძალიან მიყვარს. მე გორის რაიონიდან გწერ, ძალიან მახალისებს თქვენი ჟურნალი. თამუნა დალაქიშვილი.

• ძველად ახალგაზრდებს ცხოვრება არ ანებივრებდა. შესაბამისად, ყველანაირი სიახლე უკვირდათ. ახლა კი გასაკვირი ისაა, ადამიანი რამემ რომ გააოცოს და გააკვირვოს. მოგეხსენებათ, ძველად ტექნიკაც არ იყო ისეთ დონეზე განვითარებული, როგორც ახლაა. მაშინ, კინოს სარეკლამო აფიშებს ხელით წერდნენ. ჰოდა, ერთ დღესაც, ერთ-ერთი სოფლის კინოთეატრში ფილმს აჩვენებდნენ. სარეკლამო აფიშის დაწერა კი გივის დაავალეს. გივის, შეეშალა და „მომღერალი ქალების“ ნაცვლად „მეომარი ქალები“ დაუწერია. სოფლის ახალგაზრდობა, განსაკუთრებით — ბიჭები, აღფრთოვანებულები იყვნენ თურმე, ნეტავ ეს „მეომარი ქალები“, რა უნდა იყოსო. დადგა ნანატრი წუთები და მთელი სოფლის გოგო-ბიჭები კინოთეატრში „შეხიზნულან“. სცენაზე ათიოდე ქალი გამოსულა და პირი რომ დაუღიათ, მთელი ერთი საათი აღარ გაჩერებულან. ბიჭები შეწუხებულან და საყვედური უთქვამთ, სად არიან მეომარი ქალებიო? ჯუბომ (ვინც გივის სარეკლამო „პლაკატის“ მომზადება დაავალა) რაღაც იეჭვა და გივის ბრაზმორეულმა ჰკითხა: ბიჭო, „პლაკატზე“ რა დააწერეო? რაც მითხარი, ის დავაწერეო, უთხრა გივიმ. ჯუბოს თვალები შუბლზე აუვიდა და გივის მთელი ძალით უთავაზა თავში. თან უსაყვედურა: — შე შობელძაღლო, წერა-კითხვას ახლა სწავლობო? შერცხვა, მარა რა შერცხვა გივის?! მაგრამ სირცხვილს ვინღა დაეძებდა? ბიჭებს რომ გადახედა, ყველას მუშტი ჰქონდა მოღერებული. ისე გაიპარა საბრალო, უკან აღარ მოუხედავს. მაგრამ სად დაემალებოდა მასზე გაცოფებულ და გაბრაზებულ ბიჭებს? თავში „ურეტრეტებდა“ იმ შეჩვენებული, მომღერალი ქალების წყალობით და არც ბიჭებმა დააკლეს.

• პოლიციასაც შიშისგან, ვეღარ ამოეღო ხმა-კრინტი, თვით იყო ყოვლის გამგები, შიშის დამცემი ბანდიტი. ქვრივმა რა იცის, თუ მისი შვილი — ანატოლი რა დღეშია, მარად მისი ლოდინით, მოთქმა და გოდებაშია. ეზო-მიდამოს მოევლო, გლოვისა შავი არშია, არ სტვენს მის ბაღში ბულბული და არც ტროლა — ცაშია. ჭასთან მივიდა გიჟივით, უღონოდ შიგ ჩაიხედა, ანარეკლს თავის სახისას, აღიქვამს შვილის სახედა. შიგ ჭაში შვილი ელანდა, წინ წადგა, ისევ ჩახედა, ზე მისი შვილი უცქერის, ტკბილმოღიმარი სახითა და როს მოვიდა გონზედა, ხელი წაივლო თმაშია, არვინ არ ჰყავდა ნუგეშად, არც დაბლა და არც ცაშია. ვეღარ გაუძლო ტანჯვასა, თავი დაიხრჩო ჭაშია, მანამდე შვილის სიცოცხლე, ღმერთს შეავედრა ცაშია. მუჭ-მუჭად მიწა აიღეს, კუბოს აკურთხეს ცრემლებად, დამარხეს, მერე წავიდნენ, ცალ-ცალკე, ზოგიც ჯგუფებად. საყდარზე შემომსხდარიყვნენ, მტრედები გუნდებ-გუნდებად, ზოგნი კი ახალ საფლავსა, დასტრიალებდნენ ღრუბლებად. ისევ დგას მთაზე საყდარი, ძველი ამბების მთხრობელად, ისევ ჯვრები და საფლავნი, გულის სევდისა მფლობელად, საბრალო ნინას საფლავი, გადაქცეულა ტყე-ველად, ვარდი არავის დაურგავს, არვინ ჩანს იმის მომვლელად. აი, ვიღაცა ბილიკსა, დაბლიდან მაღლა მიჰყვება, მისი უძლური მკლავები, პატარა გოგოს ეყრდნობა. არ ძალუძს მოხუცს აღმასვლა, მიჩოჩავს სვენებ-სვენებით, იცის, რომ ისიც სულ მალე, იმ მიწას ჩაესვენება. უკვე ჩამოდგა ბინდბუნდი, ძლივს მოჩანს მთას საყდარია, წამოუბერა ნიავმა, ფოთლები არივ-დარია. შორსა ისმოდა საბრალო, გოგოს ქვითინი მწარია, დედის საფლავსა აფრქვია, ობოლმა ცრემლის ღვარია. დედის საფლავი ეგონა, ნუგეშად შესაფარია, დედის საფლავსა ეკვროდა, ხალხისგან განაწყარია. აფრქვევდა ცრემლსა საბრალო, ვით მარგალიტის ღვარია, ოჰ, ვინღა იცის ობლისა, ცრემლები რარიგ მწარეა. არა მყავს ქვეყნად მფარველი, არც და, არც დედა, არც ძმაო, მოთქვამს 7 წლის გოგონა, სად ხარ, მიშველე, მამაო. ჩასძახის საფლავის ქვასა, ობლობამ გამამწარაო, უცნობ მამასა მოუხმობს, მოდი, სადა ხარ, მამაო. ნუ გინდა ნურცა სიმდიდრე, ნურც უთვალავი ფულები, თვალუწვდენელი სამეფო, ზურმუხტით დარახტულები. ინატრე მშვიდი ცხოვრება, უყვედრი-უორგულები, ტკბილი ტრფობა და ალერსი, უსყიდველ-უმადურები. თორემ ცხოვრებამ ერთხელაც, კარი თუ გადაგიკეტა, ოხრად დაგრჩება სიმდიდრე და შენი ავლა-დიდება. მერე ეშმაკიც ვერ გიხსნის, ციხეში თუ გამოგკეტა, მაშინ დახურე, ძმობილო, შენი ცხოვრების ანკეტა. ამას ფიქრობდა ტუსაღი, ციხეში გამოკეტილი, წინათ ლაღი და ძლიერი, ამჟამად ბორკილგაყრილი. მას კუნთმაგარი მკლავები, ჰქონდა უძლურად დაყრილი, დამდნარი, ფერმილეული, იწვა ვითარცა აჩრდილი. ლამაზ სახეს უჩრდილავდა შავი თმა და შავი წვერი, ხანდახან დაიყვირებდა, როგორც ხანჯლით დანაჭერი. ირგვლივ იყო სიბინძურე, ნესტიანი კედელ-ჭერი, გულსაკლავად გაისმოდა, ბორკილების ჟღარაჟღური. ხსნას არსითგან მოელოდა, დაჰკეტოდა ყველა კარი, რადგან სიკვდილს უქადიდა, ყველა მისი ნასაქმარი. ის არ იყო ვინმეს მამა, არცა ძმა და არცა ქმარი, ბანდიტების მეფე იყო, დაუმდგარი მინდვრის ქარი. იყო ხუნდით შებორკილი, ბედისაგან დანაქოლი, როგორც ლომი შებორკილი, უძლეველი ანატოლი, ცხოვრება მას გულს უკლავდა, აჩრდილივით განაქოლი, არ გააჩნდა ქვეყანაზე, მშობელი და გულის ტოლი. მოდი, მნახე, დედა-შვილი, საკანს მჯდომი დასევდილი, მოდი, დედა, შემიბრალე, უმოწყალოდ დასეტყვილი; რად აჰყევი ცდუნებასა, რად დამღუპე შენი შვილი, რად არ მოხვედი ჭკუაზე, ქალურ ვნებისგან შეშლილი. ამ დროს იღება კარები, ხმაურითა და ჟღერითა, თავს სწევს ბანდიტთა ბელადი, მძიმე ბორკილის ჟღერითა. შემოდის 10 ბადრაგი, სახე ჯალათის ფერითა, გაგვიძეხიო, ანიშნეს, წინ მაუზერის შვერითა. წამოდგა მძიმედ ტუსაღი, მორჩილი მომდგარ ბედისა, ჩაიბუტბუტა, ძაღლებო, ჰოი ღმერთს, თქვენი დედისა, თუ გადაგირჩით ცოცხალი, თვალნი გიტიროთ დედისა, თუმც არსაიდან არ მოჩანს, ვარსკვლავი ჩემი ბედისა. შუა დგას დიდი მაგიდა, ირგვლივ შავმუქი სკამებით, მარჯვნივ ზის ბრალისმდებელი, უელავს სათვალეები. პირდაპირ უზის ტუსაღი, ვერსაით გასაპარები, თავზე ადგია ბადრაგი, ჯალათის დასადარები. იღება გვერდით კარები, შემოდის მოსამართლეო, ხალხი ადგება, შეხვდება, წესია სამართლისაო. შემდეგ ირკვევენ, ვინა თქვა, ვინ ტყვილი, ვინ — სიმართლეო, იმათ წინაშე ბიჭი ხარ და თავი გაიმართლეო. წამოდგა ბრალისმდებელი, წიგნი აიღო სქელიო, გადაფურცლა და მოუთხრო, ხალხს მან საქმენი ძნელიო. ეს არის ავაზაკიო და ბნელი საქმის მქნელიო, ურიცხვი ხალხის მძარცველი, ქალის ნამუსის მხდელიო. ვერ აპატიებს კანონი, რაც ქნა და განიზრახაო, მრავალი ქალის მანდილი, შელახა, გაბახაო. ამისგან უარესს ველოდეთ, თუ კვლავ მზე დაინახაო, თუ არ მოვსპეთ და მოვცელეთ, დროზე არ დაიმარხაო. სიტყვა მისცეს მის დამცველსა, სთქვი, რით დაიცავ მაგასო; ადგა თვალები მიაპყრო, მღვდელს, ეშმაკების მამასო: ცოდვა და მონანიება, ქრისტე ღაღადებს ამასო, მიუტევეთო, ხომ უთქვამს, აბრამს, ყოველის მამასო. ამ სიტყვებს ხალხი აღუდგა, მოისმა წამოძახილი, დაჯექ! დაეგდე! გააგდეთ! ზოგმაც იშიშვლა მახვილი. ბრბო განა ვის განიკითხავს, უზნეო, გონებმიხდილი, ამის შემყურე დამცველი, დაეშვა სასომიხდილი. მოსამართლე და მსაჯული, განმსჯელი, სამართლიანი, წამოდგა, დარბაზს მიაპყრო, ნიანგის თვალი წყლიანი და მერე ტუსაღს მიმართა, სიტყვები მან გესლიანი, სათვალეს იქით მოჩანდა, მხეცური ხედვა, მთლიანი. უკანასკნელად გვითხარი, რითღა იმართლებ თავსაო, რისთვის დაადექ თავიდან, ამ უკუღმართულ გზასაო, წამოდგა ბორკილგაყრილი, ჰგავს მიუვალსა მთასაო, გადატყორცნილსა მორევში, შორს, უნაპირო ზღვასაო. მე თქვენ წინაშე

მსაჯულნო, როდის ვიმართლებ თავსაო, ბევრი გავძარცვე, მოვკალი, ბევრიც გავლიე ზღვასაო. ბევრსაც ავხადე ნამუსი, ცოდვა ვასმინე ცასაო, არა გთხოვთ პატიებასა, არ შვენის პატიმარსაო. ეს თქვა და სკამზე დაეშვა, დახარა შავი თვალები, აუბობოქრდა გულმკერდში, მას შორეული ალები. ამოიოხრა, დედაო, სადა ხარ, გენაცვალები, მაწვდინე დედის ნუგეში, გულზე მალამოდ ნადები. გავლიე ყრმობის დღენი და ჩამიტყდა კიბის მალები, მიახლოვდება სიკვდილი, ელვაზე უფრო მალეო. რისთვის გასვარე წუმპეში შენი თმა-გიშრის ღალები, რისთვის გამძარცვე სულიერ, რად დამიბნელე თვალები. ამ ფიქრში იყო ტუსაღი, ბოლო წუთების გამტანად, მოსამართლე კი გავიდა სასჯელის გამოსატანად. ცოტა ხნის მერე დაბრუნდა, სულთამხუთავად, სატანად, დახვრეტა მოგისაჯეთო, თქვა ძალის დაუტანავად. ამ დროს გაიღო მტვრევითა, რკინის კარები და რაზა, შემოხტა 5 ვაჟკაცი, ვით მოშვილდული ავაზა. ერთმა იშიშვლა მახვილი, ბრალმდებელს დაუთავაზა, მეორემ მოსამართლესა, ხმლის ვადა გადაარაზა. 2 კი ედგა დარბაზსა, მაუზერმოღერებულნი, სუყველამ ხმა ჩაიკმინდა, მანამდე ამბოხებული. სუყველას შიშმა წაართვა სული, გონება და გული, იქით მსაჯული ფართხალებს, როგორც მახეში გაბმული. ზოგმა უშველა წერასა, გადაამტვრია ფანჯარა, ბადრაგი პატიმარისა, ყველა უსულოდ დაეცა. ერთი პატიმარს მიეჭრა, ძლიერი მკლავებჯავარა, გაიტაცეს და წავიდნენ, ვერვინ აღუდგა წინაო. მოკამკამე ზღვის ტალღებზე, გემი ნელა ირწეოდა, ჩამავალი მზის სხივები, მის აფრებად იბნეოდა. მონავარდე თოლიები, მის გარშემო ირეოდა, და ჩართული ძრავასაგან, ნელა-ნელა ირწეოდა. წავიდა გემი მეკობრე, საყვირითა და დაფითა, მიჰყავდა ხალხი კაზმული, მუზარადით და ხმალითა. ანატოლს მისცეს სამოსი, ნაქარგი ოქროს ძაფითა, გამოაწყვეს და შეამკეს, ძვირფასი ბრილიანტითა. და ანატოლი მათ შორის, იჯდა ღიმდაუფარავი, მათი მეუფე, მძარცველი, შიშისმზარავი. მათ შეეძინათ ძარცვითა, სიმდიდრე გაუფლანგავი, არ დარჩათ იმათ სიმდიდრე, ქვეყნად ჯერ მოუპარავი. კოხტად მორთული დარბაზი, ნაშუქი მრავალ ჭაღითა, ნაჩუქურთმევი კარ-ფანჯრით, მოვარაყებულ თაღითა. სავსეა ღამაზმანების სურნელოვანი სუნითა, თეთრი კაბების შრიალით, სიცილ-კისკისით ლაღითა. ფიქრში წასული ვაჟკაცი, მოაჯირს გადმომდგარია, ცხოვრებას დაუმჩნევია, შუბლზე ნაოჭის ღარია. თუმც არ აკლია იერი, ფირუზ-ვარსკვლავის დარია, განმარტოებით დამდგარა, ვით მუხა ნამეხარია. შორს გატყორცნილა იმისი, აზრი, გული და გონება; ძნელია ახლა იმისთვის წარსულის კვლავ მოგონება. თუმც ახლა მისი სიმდიდრე, ზღვის ქვიშას შეეწონება, რად უნდა ოქროს ზოდები, თუ გული არ ემონება. შემოტრიალდა, შევიდა, განვლო მორთული დარბაზი, იხილა წყვილთა ცეკვა და ქალები, ღამაზ-ღამაზი. ყელი-ყელზე მოღერილი, ადამის ეშხით ნაკაზმი, ზოგი სატრფოსთან ჩაკრული, ალვასთან, ვით უსურვაზი. მივიდა, მოსვა სასმისი, კამკამა, როგორც ღალია, 3 სასმისით შემთბარმა, დარბაზს მოავლო თვალია. ყველა წყვილ-წყვილად ცეკვავდა, კრთოდა ალმასთა თვალია, კედელთან მარტო მდგომარე, შენიშნა ერთი ქალია. მისმა დანახვამ წაუღო გული, გონება და სული, ზღაპარში თუ წაეკითხა, ამგვარად ზეკისის ასული. ემოსა თეთრი სამოსი და თავსა რიდე სპარსული, თვალებში მიღვართქაფობდა, უბედურების სასრული. მომშვილდა ქალმა წარბები, თითქოს საომრად შეჰყარა და თვალთა სხივის ჩანჩქერი, დარბაზში მიმოატარა. იღვროდა იმის თვალებით, ტრფიალის წყარო ანკარა, შეხედა მარტო მჯდომარეს, ღიმილი მიმოაყარა. ადგა უცნობი მივიდა, ქალის წინ თავი დახარა, გააგოგმანა დარბაზში, ვით გედი ბროლ-ყელ-ყარყარა. მერე ჩურჩული გაუბა, გულს საფარველი აჰყარა, პირველი სიტყვა — მიყვარხარ, მერცხლის ჭიკჭიკით ახარა. ვაჟმა უთხრა, მიბოძნია შენთვის ქმრობის მე ქამარი, გულმა მაშინ შემიტია, როს შენ გნახე მოღიმარი. შენ რა გქვია, გამაგონე ეგ ხმა, მიყვარხარ, შენს შესაყვარად, თავი არ დამინანია, შენ დამავიწყე ყოველი, რაც მიგლოვ და მინანია. შეგასხა მარგალიტები, ბროლიბადახში-ლალია, თუნდ მთხოვე, გული გაჩუქო, შენთვის არ დამინანია. ტკბილი, ვითა ქნარი, შენზე ფიქრით მეოცნებე, მე შენი ვარ აწ თამარი. მე შორიდან გამეგონა, სახელი და შენი ქება, ვაჟკაცობა, ანატოლი, შენი სანთლად მემუქება, მომაშუქე ეგ ღიმილი, თუ არა გსურს გაჩუქება და ქალური ჩემი გრძნობა, მხოლოდ შენთვის მეჩუქება. გადაიხადა ქორწილი, შესაფერ-შესადარები, მიმოაფინა ხალებით, იატაკ-კარებ-ფანჯრები. პატარძალს შვენის სიტურფე, ვარსკვლავის დასადარები, ყურს უჩურჩულა ნეფემა, სიტყვები შესაყვარები. მიმოიყარა მაყარი, დაღლილი დიდი ლხენითა, თამარს დაუგეს საწოლი, ფარჩით და აბრეშუმითა. ტახტი ნათალი წითელ ხით, მოჭედილ სარკე-მინითა, ტახტზე დევს ღამის პერანგი, ოქროს ნაქარგი უბითა. მსახურმა ფარჩა გახადა, შეახსნა საქმრო ქამარი, გახადა კოხტა პერანგი, დატოვა კორსაჟამარი, ჩააცვა ღამის პერანგი, გადაუსახა პირჯვარი, და ჩააწვინა ლოგინში, ქმრის მომლოდინე თამარი. და გაინაბა ლოგინში, როგორც მინდორში მწყერია, ასე მთრთოლარედ, ძლიერად, ჯერ გულს არ დაუძგერია. თრთის როგორც ვერხვის ფოთოლი, როგორც დამფრთხალი ფერია, სპეტაკ საწოლზე მწოლარე, ვით გაბადრული მთვარეა. ბუნებას გადაუცია მისთვის ძვირფასი, რაც კია, და ნახატია კალმითა, როგორც რემბრანდტის ხატია. დასრულებული მთლიანად, ჯერ 19 წლის არც კია, ბუნებამ ვერ გაიმეტა, მისთვის უბრალო მანკია. ოთახისკენ მიდის წყნარად, მშვენიერი ანატოლი, გულისძგერით ელოდება იქ მწოლარე მისი ცოლი. მოხდენილი, მიმზიდველი, დილის ცისკრის შესადარი, დაივიწყა მწარე სევდა, გულში ობლად ჩანაყოლი. წყნარად შეაღო კარები, მორცხვად და დიდის რიდითა, იდგა ოთახში სურნელი, ქალური, კიდით-კიდითა. ბედმა დაბნედვა-ალება, დაუწყო მას გიზგიზითა, ერთხანს უცქერდა მწოლარეს, მორთულს მარმაშის რიდითა. მოეხვია ბროლის წელსა, ვითა სურო უსურვაზი, ქალი მიჰყვა, მოეხვია, როგორც სარო, ალვა ნაზი. შეუერთეს ვნება, გრძნობა, სული, გული და ყავაზი, ყველა ასო და ნაწილი, სიყვარულის დასარაზი. და მიესვენნენ ერთურთსა, დამცხრალნი ნდობა-ვნებითა, ქალი ეხვევა, უკოცნის, ყელ-კისერს, ნება-ნებითა, შემოასალტა მკლავები...



გილოცავ!

• ანუკა ჩხაიძეს: გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო ღამაზო ფერიავ, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და ღამაზ სიცოცხლეს გისურვებთ. გკოცნით, მარი და მანანა ბებო.

• გიორგი ჩუთლაშვილს, ნანატრ შვილიშვილს, ვულოცავთ 11 მაისს — დაბადების დღეს. მრავალ დაბადების დღეს დაესწარი, შენს ღამაზ მშობლებთან ერთად. უფალი გფარავდეს. ნიაზი ბებია.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ტაიმ-აუტი

ყველაზე ჭკვიანი



უილიამ ჯეიმს სიდისი 1898 წლის 1-ელ აპრილს დაიბადა. მამამისი, ბორის სიდისი ჰარვარდის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის კურსს კითხულობდა. იმ პერიოდის ამერიკაში საუკეთესო ფსიქიატრი და ფსიქოლოგი იყო. დედა ექიმი ჰყავდა (ბოსტონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული), მაგრამ შვილის გაჩენის შემდეგ ქალმა კარიერაზე უარი თქვა. მშობლებს სურდათ, მათი ვაჟი განათლებული ადამიანი ყოფილიყო და ყველანაირად ხელს უწყობდნენ. უილიამისთვის განათლების საკუთარი სისტემა შექმნეს. 18 თვის ბიჭი „ნიუიორკ ტაიმსს“ კითხულობდა. 4 წლისამ ორიგინალში წაიკითხა ჰომეროსის პოემები, 6 წლისა — ათეისტი გახდა. 8 წლამდე 4 წიგნი ჰქონდა დაწერილი. 1 წლით ადრე ჰარვარდის უნივერსიტეტში ანატომიის გამოცდა ჩააბარა და ერთ-ერთი წიგნი ანატომიაზე დაწერა. ამავე ასაკში სრულყოფილად ფლობდა 8 უცხო ენას. მას ყველაზე მაღალი (250-დან 300-მდე) IQ ჰქონდა. 11 წლისა ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ამერიკის ისტორიას, ფსიქოლოგიასა და ასტრონომიას სწავლობდა. 16 წლისამ უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა. სამგზავრო ბილეთებს აგროვებდა და ფრანკ ფალუპას ფსევდონიმით სარკინიგზო სამგზავრო ბილეთებზე ტრაქტატი დაწერა. 1930 წელს მუდმივი კალენდარი (ნაკიანი წლების გათვალისწინებით) შექმნა. ერთი ვერსიის თანახმად — 40, ხოლო მეორის თანახმად 200 ენა იცოდა. ლათინურ და ძველბერძნულ ენებზე დაყრდნობით, ერთი საკუთარი (Vendergood) ენაც შექმნა. სიდიანი ქალებთან და ჟურნალისტებთან ურთიერთობას გაურბოდა; რიგით ბუღალტრად მუშაობდა და როგორც კი მის ნიჭს აღმოაჩენდნენ, სამუშაო ადგილს ტოვებდა. დედამიწის ყველაზე ჭკვიანი ადამიანი 1944 წელს, 46 წლის ასაკში ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა. ■

ადამიანთა ზოოპარკი





XIX საუკუნის ბოლოს, ევროპისა და ამერიკის მრავალ ქალაქში პოპულარული გასართობი ადგილი იყო „ადამიანთა ზოოპარკი“. მას „ეთნოგრაფიულ ექსპოზიციას“, „ადამიანთა გამოფენასა“ და „შავკანიანთა სოფელსაც“ ეძახდნენ. ზოოპარკს წელიწადში 200-300 ათასი დამთვალიერებელი ჰყავდა. 1889 წელს პარიზში, „შავკანიანთა სოფელი“ 28 მლნ ადამიანმა დაათვალიერა. ევროპაში პირველი ინდიელები კოლუმბმა ჩაიყვანა. მას შემდეგ უცხო ტომთა მიმართ ევროპელების ინტერესის დასაკმაყოფილებლად, მოგზაურებს სხვადასხვა ქვეყნის (ძირითადად აფრიკისა და აზიის) წარმომადგენლები ჩაჰყავდათ ევროპაში. 1881 წელს ზოოპარკისთვის Kawesqar-ის ტომის 5 წევრი მოიტაცეს. ერთი წლის შემდეგ ხუთივე დარდისგან გარდაიცვალა. აფრიკელებს, როგორც წესი, ვოლიერებში მაიმუნებთან ერთად ამყოფებდნენ, რათა მნახველებისთვის დაემტკიცებინათ, რომ ადამიანი მაიმუნის შთამომავალია. ■

სათაყვანებელი ცხოველები

• ძველ ჩინელებს 4 საკულტო ცხოველი ჰყავდათ: ვეფხვი, კუ, დრაკონი და ფენიქსი.

• ძველი ეგვიპტელები თითქმის ყველა ცხოველს ეთაყვანებოდნენ. იქ დღესაც არის შემორჩენილი მათთვის სათაყვანებელი — ნიანგის, ცხვრისა და იბისის სამარხები.

• ინდოელების „წმინდა“ ცხოველი ძროხაა. ბომბეის აეროპორტში საფრენი ხაზიდან ძროხების გასარეკად მაგნიტოფონში ჩაწერილი ვეფხვის ღრიალს იყენებენ.

• ძველი ბერძნები კუს ქალღმერთ აფროდიტეს მეგზურად მიიჩნევდნენ. კუ აგრეთვე დიასახლისების სიმბოლო იყო.

• ხვლიკი ტაიტელთათვის პატივსაცემი არსებაა, მაორებისთვის კი — ბოროტი სული.

• „წმინდა“ კატების ტაძარი იაპონიის ქალაქ კაგოსიმაშია.

• ტაილანდელები იშვიათი სახეობის, თეთრ სპილოს ეთაყვანებიან.

• ბურკინა ფასოელთათვის (ქვეყანა დასავლეთ აფრიკაში) საკულტო ცხოველი ნიანგია. ქალები ნიანგებით სავსე მდინარეში სარეცხს რეცხავენ და ბავშვებს აბანავებენ, მაგრამ ცხოველი ხალხს არ ერჩის. ბურკინაფასოელები ნიანგებს ყოველდღე ქათმის ხორცით კვებავენ. სხვათა შორის, ნიანგს ეგვიპტელებიც ეთაყვანებოდნენ და მათ მუმიებსაც აკეთებდნენ. ■

თემატური წიგნები
ჟურნალ „ოჯახის მკურნალთან“ ერთად
19 მაისიდან
წიგნი №4

სერიის მომდევნო თემები:
№5 ყველაფერი სტენოკარდიისა და ინფარქტის შესახებ
№6 ყველაფერი ჰეპატიტების შესახებ
№7 ყველაფერი ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების შესახებ

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. ვის ეკუთვნის გამოთქმა: „დიდი მთავრობა ცუდი მთავრობაა“?

2. რისი ჯიშია „ბუდეშური“?

3. რომელი ქვეყნის მკვიდრი მოსახლენი არიან მაორები?

4. როგორ მოზვერს ეძახიან „ხამუშიანს“?

5. დაასახელეთ ყველაზე ქარიანი კონტინენტი.

6. „საქართველოში, მხარეში, სადაც/ მგელს არ აგდებენ, ხანდახან ძაღლად/ საქართველოში, და არა სხვაგან/ ის — ერთადერთი დგას შურზე მაღლა“. ვის შესახებ წერდა ამას მუხრან მაჭავარიანი?

7. ლოს-ანჯელესში სეირნობის დროს ტურისტებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე უჩნდებათ „დეჟავიუს“ შეგრძნება. რა არის ამის მიზეზი?

8. რა არის „დაფიონი“?

9. როგორ ცხენს ეძახიან „ბატატურას“?

10. რა ჰქვია ლომების ოჯახს?

11. გეგმის მიხედვით 1945 წლის 9 აგვისტოს ამერიკელებს მეორე ატომური ბომბი ქალაქ კოკურაში უნდა ჩამოეგდოთ. რამ შეუშალა მათ ხელი?

12. 1914-1920 წლებში ნობელის პრემია ძირითადად სკანდინავიელ მწერლებს გადაეცემოდათ. რატომ?

13. ნარკოტიკი ნესკალინი 1970 წელს აკრძალეს. დაასახელეთ ფრანგი მწერალი, რომელიც სისტემატურად მოიხმარდა ამ ძლიერ ჰალუცინოგენს?



***

ბუზი თავის შვილებს მძინარე კაცის მელოტ თავზე ასეირნებს და ოხრავს დანანებით:

— ეჰ!.. აქ, ახლა თქვენ რომ დაცოცავთ, ერთ დროს გაუვალი ტყე იყო.

***

დედა-შვილი ზოოპარკში:

— ლომის გალიაში ხელი არ შეყო, რწყილები არ ჰყავდეს.

***

— გუშინ მიხო და მიტო ისეთი მთვრალები იყვნენ, რომ ერთის „მაიკა“ მეორეს ჰქონდა შარვალში ჩატანებული.

***

— საოცარია, მაგრამ ფაქტია: თავში, გულსა და უკანალში ერთი და იგივე სისხლი მოძრაობს.

***

ორ კაცს ავტოავარიისთვის ასამართლებენ, მათ სატვირთო მანქანით ზაპოროჟეცს გადაუარეს. მოსამართლე:

— როგორც საქმის ვითარებიდან ჩანს, თქვენ საპირისპირო მხარეს მოძრავ ავტომობილს გადაუარეთ, გასრისეთ და რამდენიმე ათეული მეტრი უკანა საბურავზე აკრული ათრიეთ...

სატვირთო მანქანის მძღოლი თავის მეწყვილეს მიუბრუნდა:

— ხომ გეუბნებოდი მანქანაა-მეთქი, შენ კი დაიჩემე „ტაშტია, ტაშტიო!“.

***

— კიდევ ვერაფერი დაიჭირე?! — საყვედურობს თევზაობიდან დაბრუნებულ ქმარს ცოლი.

— როგორ არა, უზარმაზარი ლოქო დავიჭირე.

— მერე სადაა?

— სადღაც დაცურავს ჩემს ანკესთან ერთად.

***

ერთი მძარცველი მეორეს:

— ძმურად, ფული მასესხე, რა!..

— რამდენი ხნით?

— აი, დაიკეტება ბანკი და ხვალ დილით პროცენტით გაგისტუმრებ!..

***

კლასში შედის სკოლის დირექტორი:

— ბავშვებო, ნუ ხმაურობთ, თორემ მანდატურს გაეღვიძება და თქვენც დაგერხევათ და — მეც.

***

— შენზე მითხრეს, ცოლს ეყრებაო.

— ჰო, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებ.

— ნამუსმა შეგაწუხა, არა?

— არა, რა ნამუსმა!.. უბრალოდ ისე გასუქდა, რომ ნიშნობის ბეჭედს ველარ იხსნის და ახალ ცოლს რა ეშმაკი წამოვაცვა თითზე?!

***

ბიჭი გოგონას ეკითხება:

— გოგონი, თქვენ სად ცხოვრობთ?

— მეორე სადარბაზოში.

— ჰმ... მე კი მეგონა, ბინა გქონდათ...

***

— მამი, საპირველსექტემბროდ ფეხსაცმელს მიყიდი?

— მა რას ვიზამ, შე შობელძაღლო, მა ჩვენი ჟიგულივით კუნძებზე ხომ არ შეგაყენებ!..



***

— თქვენმა ძაღლმა ჩემი სიდედრი დაკბინა!..

— და გინდათ, მკურნალობის ფული გადამახდევინოთ?!

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, თქვენი ძაღლი მინდა ვიყიდო!

***

— რას მოღვაწეობ?
— ლანდშაფტის დიზაინერი ვარ!
— რა მაგარია!.. მაინც რას აკეთებ?
— ბულდოზერზე ვმუშაობ!

***

ოჯახში გახურებული ქეიფია. მასპინძელს უზრდელი თუთიყუში ჰყავს, გალიაში ზის და ყველას ლანძღავს. დაინახა თუთიყუშმა, რომ თამადად თავისი პატრონის უფროსი აირჩიეს და მორთო ყვირილი:

— თამადა ნამუსგარეცხილია! თამადა ნამუსგარეცხილია!

თამადა გაბრაზდა. მასპინძელი იხმო და ეუბნება:

— მიდი ერთი, ეგ საძაგელი დაკალი და კარგად შემიწვი!

— თუთიყუში როგორ უნდა დავკლა? — შეიცხადა მასპინძელმა.

— მიდი და 2.000 დოლარს მოგცემ!

მასპინძელმა თუთიყუში მეორე ოთახში გაიყვანა და დამალა. უფროსს კი წიწილა შეუწვა. უფროსმა გემრიელად მიირთვა და კმაყოფილმა გააგრძელა ქეიფი.

— ფული?! — გაახსენა მასპინძელმა.

— რა ფული?

— 2.000 დოლარი?!

— მოიცა, თუ ძმა ხარ, მართლა გეგონა, რომ ერთ თუთიყუშში ამდენ ფულს გადაგიხდიდი? — გაეცინა თამადას.

ამის თქმა იყო და მეორე ოთახში თუთიყუში აყვირდა:

— ხომ გეუბნებოდით, თამადა ნამუსგარეცხილია-მეთქი?!.

***

ცოლი ქმარს:

— რაზე ოცნებობ, ძვირფასო?

— ზღვაზე, იახტაზე, მზიან ამინდზე... შენ კი გვერდით...

— ოჰ, ძვირფასო, რა რომანტიკული ხარ!

— ...იხრჩობი!

***

სვანმა მეორე სვანს ანეკდოტი მოუყვა:

— მოგეწონა?

— ძალიან!

— მაშინ, კიდევ ერთხელ მოგიყვები!

***

ღია ფანჯრიდან განწირული ყვირილი ისმის:

— მიშველეთ, ხალხო, კატამ შემჭამა!

ქვემოთ ხალხი შეიყარა:

— რა დაგემართა შე კაცო, ამხელა კაცი კატამ შეგაშინა?!

— კაცი არა ვარ, თუთიყუში ვარ!

***

რეპორტაჟი ზოოპარკიდან: სამი დღეა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა დარაჯი... თუმცა შესაძლოა, ლომები ბოლომდე არ ამბობენ სიმართლეს...

***

ცოლი ეკითხება ქმარს:

— სად იყავი, ძვირფასო?

— დავრბოდი.

— მაისური რატომ გაქვს სისხლიანი და თვალი დალურჯებული?

— დამეწივნენ!

***

სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გამოცდაზეა:

— აი, ბატონო პროფესორო, ბონბონიერი მოგართვით!.. იქნებ ჩათვლა დამიწეროთ!

— რა ბონბონიერი, ყმაწვილო, ხომ არ შეიშალეთ?! თქვენს ცოდნაზე მომავალში პაციენტის სიცოცხლე იქნება დამოკიდებული!.. ამ საქმეს მხოლოდ ტორტი და ერთი ყუთი შამპანური თუ უშველის!..

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. რონალდ რეიგანს.
2. ვაზის.
3. ახალი ზელანდიის.
4. უღელს შეუჩვეველ, უხედნავ მოზვერს.
5. ანტარქტიდა.
6. შოთა რუსთაველის შესახებ.
7. თითქმის ყველაფერი, რასაც ირგვლივ ხედავენ, მათ უკვე სხვადასხვა ფილმში აქვთ ნანახი.
8. „განთიადი“ და „დაფიონი“ სინონიმებია.
9. რომელსაც უკანა ფეხები გაფარჩხული აქვს.
10. პრაიდი.
11. ძლიერი ღრუბლიანობის გამო მფრინავი იძულებული გახდა, ნაგასაკისკენ აეღო გეზი და ბომბიც იქ ჩამოაგდო.
12. შვედეთის აკადემიამ, რომელიც ნობელის პრემიის ლაურეატებს არჩევს, გადაწყვიტა, ეს უმაღლესი ჯილდო არც ერთ იმ ქვეყნის მოქალაქისთვის არ გადაეცა, რომელიც პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა.
13. ჟან პოლ სარტრი.

ჩვენი ფოტოგალერეა

ჰოროსკოპი

19-25 მაისი

ვერძა

კარგი პერიოდია ცოდნის მისაღებად, იურიდიული დოკუმენტების გასაფორმებლად. დროა, მეუღლე ფულის ფლანგვას გადააჩვიოთ. დასვენების დღეებში სტუმრიანობა გელით.

ჯუარა

მოულოდნელად დიდ თანხას მიიღებთ, რისი საშუალებითაც უამრავ პრობლემას მოაგვარებთ. არ გადაიღალოთ. დილაობით ივარჯიშეთ და გათავისუფლდით მავნე ჩვევებისგან.

ტყუა

მეგობრების დახმარებით წარმატებას მიაღწევთ. ეცადეთ, მეტი გულისხმიერება გამოიჩინოთ გარშემო მყოფთა მიმართ. კარგი პერიოდია სამომავლო საქმეების დასაგეგმად. მოერიდეთ ღამის კლუბებსა და ხმაურიან თავშეყრის ადგილებში სიარულს.

ჯიგრგხიტი

დაარწმუნეთ კოლეგები თქვენი იდეების სისწორეში და ერთიანი ძალისხმევით წარმატებას მიაღწევთ. ახალგაზრდა კირჩხიბებს მშობლებთან არსებული კონფლიქტების გამო ოჯახის დატოვება და მეგობრებთან ერთად დაბინავება მოუნდებათ.

ციმა

ინტერნეტის წყალობით, უამრავ მეგობარს გაიჩენთ და დაიკმაყოფილებთ ინტერესის სფეროს. ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონფლიქტს არ გირჩევთ. დასვენების დღეებში დრო საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

ჟანგწუნი

მოულოდნელობებით აღსავსე კვირა გელით. მიზნების მისაღწევად შესაძლოა, რისკზე წახვიდეთ. დაწინაურებისა და ხელფასის მომატების გამო შესაძლოა, უფროსთან რომანიც კი გააბათ.

სანსწორი

კარგი პერიოდია შეყვარებულთან ურთიერთობის აღსადგენად, გაბუტული მეგობრების შესარიგებლად და იურიდიული საკითხების განსახილველად. თავი შეიკავეთ ოპერაციებისგან.

ბოგრიბი

სწორი კვება და ვარჯიში გაგაძლიერებთ. გათავისუფლდით ძველი ნივთებისგან. მოაწესრიგეთ იურიდიული დოკუმენტები. სამსახურებრივი რომანი დიდ უსიამოვნებას მოგიტანთ.

ბუვიდგოსანი

შეყვარებულ მშვილდოსნებს ბედნიერი პერიოდი დაუდგათ. მოსალოდნელია ნიშნობა ან ქორწინება. შვილები სასიამოვნო ამბით გაგახარებენ. კვირის ბოლოს სიფრთხილე გამოიჩინეთ. შესაძლოა, მცირე ტრავმა მიიღოთ.

ოხიტ რეა

ციბრუტივით მოგიწევთ ტრიალი. სახლშიც და სამსახურშიც უამრავი საქმე დაგიგროვდებათ. ხალხმრავალ ადგილებს მოერიდეთ. შაბათ-კვირას სახლი საფუძვლიანად დაალაგეთ.

ბეერწყუნი

რომანტიკული შეხვედრები, ინტრიგები და ფლირტი თქვენს ცხოვრებას მაქსიმალურად გაახალისებს. თავისუფალი დრო შემოქმედებით საქმიანობას დაუთმეთ. დასვენების დღეებში შვილებთან ერთად გასართობ ადგილებს ეწვიეთ.

ოვეზბეტი

მატერიალური პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული. ოჯახისთვის ახალი საყოფაცხოვრებო ნივთები შეიძინეთ. ნათესავებთან ურთიერთობა გამოგისწორდებათ. კარგი პერიოდია ბინაში დიზაინის შესაცვლელად.

ტიბეტური ჰოროსკოპი ზოდიაქოს აღმოსავლური ნიშნებისთვის

ვირთხის წელში დაბადებული

მამაკაცი — მდიდრული ცხოვრება ელის. მე-12 და მე-20 წელი ფრთხილად უნდა გაატაროს. ქორწინება ცხენთან სახიფათოა. საკუთარი დაბადების თვეში დაკრძალვაზე არ უნდა წავიდეს.

ქალი — მზრუნველი და მგრძნობიარეა. უყვარს ხელსაქმე. უნდა გაუფრთხილდეს ყელს. უიღბლოა მისი ქორწინება ხართან და ცხენთან. იღბლიანია ვირთხასთან და ვეფხვთან. მისთვის კრიზისული ასაკია — 15, 37, 61 და 73 წლები.

ხარის წელში დაბადებული

მამაკაცი — გაზაფხულსა და ზაფხულში დაბადებულს გამდიდრების შანსი აქვს. ქალებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. კარიერულ წარმატებას 24 და 40 წლის ასაკში მიაღწევს.

ქალი — ახლობლების გამო მსხვერპლს გაიღებს. უამრავი მეგობარი ჰყავს. იღბლიანები არიან შემოდგომასა და ზამთარში დაბადებულნი. მისი ქორწინება სასურველია გველთან და მამალთან. კრიზისული ასაკია — 23, 46, 55, 64, 71 და 81 წლები.

ვეფხვის წელში დაბადებული

მამაკაცი — სიყვარულში უმართებს. უნდა უფრთხილდეს წყალსა და ცეცხლს. 40 წლის ასაკში სურვილს აისრულებს და წარმატებას მიაღწევს.

ქალი — ფიცხი ხასიათი აქვს, მაგრამ წყენის გულში ჩადება არ იცის. გაზაფხულსა და ზაფხულში დაბადებულს სიყვარულში უმართლებს. უნდა გაუფრთხილდეს მკერდსა და მუცელს. სიფრთხილე მართებს ცეცხლთან და წყალთან. მისი ქორწინება იღბლიანია გველთან და მამალთან. მისთვის კრიზისული ასაკია — 55, 77 და 82 წლები.

ურდღლის წელში დაბადებული

მამაკაცი — გულკეთილი, ინტელიგენტური, იმპულსური და მიზანდასახულია. შესაძლოა, ბავშვობაში ძაღლის ნაკბენი გაუმიზეზდეს. ჯანმრთელობას უნდა გაუფრთხილდეს თებერვალსა და აგვისტოში. კრიტიკული ასაკია — 30, 42 და 60 წლები.

ქალი — საინტერესო და ბედნიერი ცხოვრება ელის. საუკეთესო კულინარია, უყვარს ხელსაქმე. კრიზისული ასაკია — 17, 20, 40, 53, 61, 77 და 97 წლები.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ტაიმ-აუტი



1. ჩუქურთმა
2. სახალხო კრება ძვ. საბერძნეთში
3. ინგლისელი შოვინისტების მეტსახელი
4. კურორტი ბულგარეთში
5. ხორციანი კერძის საკაზმი
6. ნოტიო, ჩახურებული ფქვილი
7. ჭადრაკის ფიგურა
8. იაპონური ელფირმა
9. სასიმინდე
10. ვაზის სახლავი მაკრატელი
11. ე. ნინოშვილის მოთხრობა
12. შტატი აშშ-ში
13. სამხედრო გემების შენაერთი
14. ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში
15. რუსი კომიკოსი
16. ხვეისბერი გოჩას ვაჟი
17. გემების სარემონტო ნაგებობა
18. კინო
19. შვლის ნაშიერი
20. ფილიპინების დედაქალაქი
21. თბილისის უბანი
22. მოუხარშავი, შეუწვავი
23. აშშ-ის შტატი
24. დასაჯდომი ავეჯი
25. ჭურის თხელი ფიცარი
26. დიდ არქ. ნაგებობა საფლავზე
27. ფრანგი მსახ. ... დელონი
28. წყლის დიდი მოვარდისფრო ფრინველი
29. ჭრილობა
30. ზღაპრული გრძნეული ქალი
31. ქვეყანა აზიაში
32. ხელოვნური ენა
33. მღვდლის სამოსის ნაწილი
34. იტალიის დედაქალაქი
35. გამარჯვების ბერძ. ქალღმერთი
36. მოკლე სადღეგრძელო
37. ვარდობისთვე
38. ... ფლემინგი
39. ლანგარი
40. მზის ეგვიპტური ღვთაება
41. ჰერას ქურუმი ქალი
42. ნაძვის ყვავილედი

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. სოლარიუმი; 2. ხაჭო; 3. მძიმე; 4. ბია; 5. ფაორიტი; 6. სოჭი; 7. ალ; 8. შტო; 9. მისია; 10. ჰოკეი; 11. ინდაური; 12. მამა; 13. სუპინატორი; 14. ტაერია; 15. ბრინზა; 16. ჭილაია; 17. სინაგოგა; 18. კაპილარი; 19. პანტა; 20. დარი; 21. ჟაკანი; 22. ზურნა; 23. სატირა; 24. რალი; 25. ოქრო; 26. კაპრიზი; 27. კორიდა; 28. როტარუ; 29. დირიჟორი; 30. ქინძი; 31. ბრენდი; 32. მირაჟი; 33. ოაზისი; 34. ნინი; 35. ვალერიანი; 36. ჰონსიუ; 37. გვიმრა; 38. გიგლია.

სურათებზე: 1. სოფო ნიჟარაძე; 2. ნოდიკო ტატიშვილი.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

გ. „თუ როგორ ... ოცნება ყველა...“; **ზ**. მსხვერპლად შესაწირავი საკლავი; **ა**. ქართველი მეფე-პოეტი; **გ**. ქალაქი შოტლანდიაში; **ზ**. რამდენიმე თოფის, ან ზარბაზნის ერთდროული დაცლა; **ი**. მშვიდი, აუღელვებელი ცხოვრება; **ს*. სტალინის ერთ-ერთი ფსევდონიმი; **თ*. დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ვ*. იტალიელი კომპოზიტორი; **ი*. სახელმწიფო, რომელსაც ჩერჩილი ევროპის დაუცველ მუცელს ეძახდა; **ს*. პარიზის უნივერსიტეტი; **ა*. ცელქი, მოუსვენარი; **ო*. საერთო ხარჯით გამართული ნადიმი, ლხინი (იციან რაჭაში); **მ*. კუნძული და სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში, რომლის დედაქალაქია ვალეტა; **კ*. რომის იმპერატორი, რომელიც ზურგზე იკრავდა ხელებს და ისე ვარჯიშობდა ცხენოსნობაში; **ი*. ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც საკუთარმა ძმებმა მონად მიჰყიდეს ეგვიპტელებს; **თ*. წვრილი ღვედი; **ხ*. გაიძვერული ხერხი რაიმე მიზნის მისაღწევად, ოინი; **ვ*. თბილისის ერთ-ერთი უბანი; **ე*. ლითონის საჟღარუნებელი, რომლის შებმასაც კატას უპირებდნენ თაგვები; **ლ*. ძველებური ფრანგული ოქროს ფული; **ი*. მდინარე, რომელშიც მოინათლა მაცხოვარი; **ს*. ბედი, იღბალი; **თ*. გარდამავალი ჯილდო რაიმე სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებულისათვის — მხატვრულად გაფორმებული ჭურჭელი გარკვეული ფორმისა; **ვ*. მუნჯური კინოს ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; **ი*. ჰომეროსის ნაწარმოები, სადაც ტროას ომის ბოლო 54 დღეა აღწერილი; **ს*. სამოცდაათიანი წლების ინგლისური ანსამბლი, რომლის სოლისტი იყო კრის ნორმანი; **ა*. გერმანული საავტომობილო ფირმა; **ო*. კანადის დედაქალაქი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**დ*. დიურერი; **ა*. ანგარი; **ი*. იხვი; **ს*. სკალპი; **ვ*. ვერონა; **ე*. ეზოპე; **ნ*. ნაცია; **ე*. ეშხი; **ჩ*. ჩხეიძე; **ვ*. ვენდეტა; **ე*. ეუსებიო; **ნ*. ნიაგარა; **ს*. სკოტი; **ჟ*. ჟენევა; **უ*. უსუპი; **რ*. რეალი; **ნ*. ნაჭუჭი; **ა*. არმანდო; **ლ*. ლიე; **თ*. თავლა; **ა*. ასთმა; **ნ*. ნიქოზია; **ე*. ელენე; **რ*. რურუა; **თ*. თასმა; **ა*. ათაბაგი; **დ*. დრო.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

უგვარო ცხენსაო ნუ აჭმევთ ძერსაო

იაპონური სენსაციის სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

5	6	7	9	3	1	2	4	8
2	8	1	4	7	6	3	5	9
3	9	4	8	5	2	7	6	1
1	2	9	6	8	4	5	7	3
8	5	6	3	1	7	9	2	4
4	7	3	5	2	9	1	8	6
6	1	2	7	9	8	4	3	5
7	4	5	1	6	3	8	9	2
9	3	8	2	4	5	6	1	7

3	7	2	5	1	9	6	8	4
4	8	1	3	6	7	2	5	9
9	5	6	4	2	8	1	3	7
1	4	9	8	3	2	7	6	5
8	6	5	7	4	1	9	2	3
7	2	3	6	9	5	4	1	8
6	9	7	2	8	3	5	4	1
2	1	8	9	5	4	3	7	6
5	3	4	1	7	6	8	9	2

4	5	9	2	6	7	3	1	8
6	3	8	9	1	4	5	2	7
2	7	1	8	3	5	6	4	9
7	8	4	6	5	1	9	3	2
1	2	3	4	7	9	8	5	6
5	9	6	3	8	2	1	7	4
3	1	2	7	9	8	4	6	5
9	6	7	5	4	3	2	8	1
8	4	5	1	2	6	7	9	3

* მარტივი

	4			6		7		9
	9				2		1	
8			5				6	
	8			4			9	
	6		2		1		5	
	3				8		4	
	7				4			2
	5		9				7	
4		2		8			3	

** საშუალო

		6	5				4	1
2			4			7		
		3			6		8	
5					8	3		
		1	6	2		4		
		8			1			9
	6		3			1		
		7			4			2
3	2				7	8		

*** რთული

1	4		9				7	
		8	7				5	
		6		4				1
		9				3		
8		5		7		6		4
		2		3		8		
2				1		5		
	6				8	1		
	8				6		4	2

ფოტოკუჩიოზები

Colgate +

GSA

საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაცია

ქოლგეითის და სტომატოლოგების პარტნიორობა პირის ღრუს ჯანმრთელობისთვის

დაიწყეთ

უფასო სტომატოლოგიური კონსულტაციით

9 მაისიდან 9 ივნისის ჩათვლით

ეწვიეთ პროექტში მონაწილე თქვენთან ახლოს მყოფ სტომატოლოგს

"ნიუ დენტი"
ყაზბეგის 29ა

"ნიუ დენტი"
პეტრიაშვილის 32

"ნიუ დენტი"
მიცკევიჩის 18

"ნიუ დენტი"
საბურთალოს ქ. 40

"ნიუ დენტი"
აგლაძის 39

"ბელა-დენტი"
კოსტავას 72

"სითი-დენტი"
კერესელიძის 1

"ფემილი დენტი"
თევდორე მღვდლის 7

"თბილისი-დენტალი"
ფალიაშვილის 118

"დენტექსი-95"
რევაზ ლაღიძის 8

"SapaRus"
ნავთლუღის 2

"Dental-K"
რობაქიძის 7

"Do Manus"
ჯანაშიას 5

"Dens"
ჯანაშიას 18

"Dens"
რუსთავი, კოსტავას 11

"Dens"
რუსთავი, შარტავას 17

"ჩემი სტომატოლოგი"
გლდანი, 5 მკრ. კორპ. 6

"დენტალაინი"
ლესელიძის 17

"კურა მედიანა"
პუშკინის 15

"ალგანი-დენტი"
ვახუშტი ბაგრატიონის 19

"დენტიკს"
ალ. ყაზბეგის 1

"ელიტი"
აბაშიძის 47

"დენტ ოფისი ქეი"
ოჟიოს (მიროტაძის) 1

"დენტალ ჰაუსი"
ტაშკენტის 31

"დოიჩეს ცენტრი"
მაზნიაშვილის 9

"ვპ დენტალი"
კანდელაკის 5

"პრიმა დენტი"
აღმაშენებლის 17

"დენტ-ივერი 21"
კონსტიტუციის ქ. # 2

"IB-dent"
ტაშკენტის 31/3

"მიულერდენტი"
ვაჟა-ფშაველას 6

"ესთეტი"
წინამძღვრიშვილის 140/2

"ემ-ჯი-პი"
ვეკუას 2

"დენტა პლუსი"
ვაჟა-ფშაველას 38

"ლიდერ დენტალი"
რუსთაველის გამზ. 23

"HBI-dent"
მიცკევიჩის 20

"არჩილ თამასაძის სტომატოლოგიური ცენტრი"
ჭავჭავაძის გამზ. 48/2

"მამუკა მარგველაშვილის სტომატოლოგიური კლინიკა"
ინგოროყვას 10

"ცედექსი"
აბაშიძის 56, კანდელაკის 56

საუკეთესო პროდუქტები საუკეთესო ფასად

ნიკორა საფირმო

ძეხვი ..მოყვარულთა" ..ნიკორა"

~~2.90~~

2.60

სარდელი ..პიცა" ..ნიკორა"

~~7.50~~

6.60

ნიურნბერგის ბრატვურსტი ..ნიკორა"

~~4.80~~

3.50

კარაქი ..ჩვენი ფერმერი" 200გრ.

~~2.10~~

1.85

ლულა ქაბაბი ..მზარეული"

~~5.50~~

4.80

კატლეტი ოჯახური ..მზარეული"

~~6.30~~

5.45

ბრინჯი ..მზარეული" 1 კგ.

~~1.65~~

1.55

მაკარონი ..კორონა" 400 გრ

~~1.10~~

0.90

ტომატ პასტა ..კულა" 750 გრ

~~3.70~~

3.10

ნაყინი ვანილით, ..პალომა"

~~4.50~~

3.90

შეიძინე 100 გრ. ყავა და მიიღე 50 გრ. საჩუქრად!

~~5.80~~

3.50

ლუდი ..ფრანციზკანერი"

~~3.80~~

2.30

შეთავაზება ძალაშია 13.06.2011-მდე თბილისის მასშტაბით

ეს სამყარო

„ეს სამყაროს“
ბოლო ტომი
23-დან 30 მაისამდე

რა სასიკვდილო დაავადების გადატანა შეუძლია კოლოს?

როგორ ამარცხებს ტარანტულის კრაზანა თავისზე ორჯერ დიდ ობობას?

წაიკითხე და გაიგე უფრო მეტი!

სპეციალური ფასი 15 ლარი!
მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!
წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს
ტელ.: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ!

სერია „ეს სამყაროა“-ს უკვე გამოსული ტომები იყიდება წიგნის მაღაზიებში